


ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი



№ 4

1999

ქ ი ე ბ ა ნ ი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი

Д З И Е Б А Н И

Журнал
Центра археологических исследований
Академии наук Грузии

D Z I E B A N I

The Journal
of the Centre for Archaeological Studies
Georgian Academy of Sciences

№ 4

1999

Tbilisi

თბილისი

Тбилиси

63.4 (2Г)
902/904 (479.22)
ძ531

მთავარი რედაქტორი: ოთარ ლორთქიფანიძე
Главный редактор: **Отар Лордкипанидзе**
Editor-in-Chief: **Otar Lordkipanidze**

სარედაქციო საბჭო: გ. ლიხელი, ირ. ჯალაღანია,
გ. კვირკველია, გ. ჯაფარიძე,
გ. ნარიმანიშვილი, ბ. ჯორბენაძე,
გ. მინდიაშვილი, დ. ბაქრაძე

Редакционный совет: В. Личели, И. Джалагания,
Г. Квирквелия, В. Джапаридзе,
Г. Нариманишвили, В. Джорбе —
надзе,
Г. Миндиашвили, Д. Бакрадзе

Editorial council: **V. Licheli, I. Jalaghania, G. Kvirkvelia,**
V. Japaridze, G. Narimanishvili, B.
Jorbenadze,
G. Mindiashvili, D. Bakradze

სარედაქციო კოლეგია: ოთ. ლორთქიფანიძე (მთ.
რედაქტორი), დ. კაჭარავა, გ.
კვირკველია,
გ. ნარიმანიშვილი, ბ. ჯორბენაძე

Редакционная коллегия: О. Лордкипанидзе
(гл. редактор), Д.
Качарава,
Г. Квирквелия, Г.
Нариманишвили, В.
Джорбенадзе

Editors of the Volume: **O. Lordkipanidze (chief-ed.),**
D. Kacharava, G. Kvirkvelia,
G. Narimanishvili, B. Jorbenadze

© არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 1999

შინაარსი

Содержание

Contest

ს ტ ა ტ ი ე ბ ი

С т а т ь и

Articles

ლ. ჭელიძე. ქვის სამუშაო იარაღები დმანისის რაიონის ტერიტორიიდან	5
Л. М. Челидзе. Каменные орудия труда с территории Дманисского района (резюме)	8
.....	
L. Chelidze. Stone Tools of the Ancient Population on the Territory of Dmanisi District (Summary)	8
ა. ორჯონიკიძე. მტკვარ-არაქსის კულტურის კერა-ზესადგარი (საქართველოს მასალების მიხედვით)	13
A. З. Орджоникидзе. Очаги и очажные подставки куро – аракской культуры (по материалам Грузии) (резюме)	20
A. Orjonikidze. Hearths and Andirons of Kura-Araxes Culture (According to the Materials of Georgia) (Summary)	20
მ. კვაჭაძე. შუაბრინჯაოდან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამარხები სოფ. კავთისხევთან	23
М. А. Квачадзе. Погребения переходного периода от средней – к поздней бронзе близ с. Кавтисхеви (резюме)	25
M. Kvachadze. Burials of the Transitional Period from the Middle Bronze to the Late Bronze Age from the Village of Kavtiskhevi (Summary)	25
ბ. მაისურაძე, გ. მინდიაშვილი. აეროარქეოლოგია შირაქში	29
В. Г. Майсурадзе, Г. М. Миндиашвили. Аэроархеология в Шираки (резюме)	30
V. Maisuradze, G. Mindiashvili. Aeroarchaeology in Shiraki (Summary)	30
რ. კვიციანი. დაკრძალვის წესი ბორჯომის ხეობაში ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში	37
Р. Д. Квиркваиа. Погребальный обряд в Боржомском ущелье VIII – VI вв. до н.э. (резюме)	41
R. Kvirkvaia. Burial Customs in Borjomi in the 8 th -6 th Centuries B.C. (Summary)	42
დ. ახვლედიანი, რ. ფურუიძე. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი როდოსულ ამფორათა დამდეგი	47
Д. В. Ахведиани, Р. В. Путуридзе. Родосские амфорные клейма, обнаруженные на территории древней Колхиды (резюме)	52
D. Akhvlediani, R. Puturidze. Stamps of Rhodian Amphorae Discovered on the Territory of Colchis (Summary)	52
ე. გიგოლაშვილი. ვერცხლის სიტულები ვანიდან	53
Е. Г. Гиголашвили. Серебряные ситюлы из Вани (резюме)	55
E. Gigolashvili. Silver Situlae from Vani (Summary)	55
ზ. მახარაძე. ახალი აღმოჩენები ციხიაგორაზე	57
Z. Makharadze. Новые открытия на Цихиагора (резюме)	59
Z. Makharadze. New Discoveries on Tsikhiagora (Summary)	60
მ. წოწელია, დ. მინდორაშვილი. ფალაურწარწერიანი გემა გველეთის სამაროვნიდან	67
М. В. Цоцелия, Д. В. Миндорашвили. Гемма с пехлевийской надписью из Гвелетского могильника (резюме)	69
M. Tsotselia, D. Mindorashvili. A Gem with a Pahlavi Inscription from Gveleti (Summary)	69

მ. ჩხატარაშვილი. მინის ჭურჭელი რუსთავიდან	70
М. Н. Чхатарашвили. Стеклянная посуда из Рустави (резюме)	75
M. Chkhatarashvili. Glass Vessels from Rustavi (Summary)	75
კ. წერეთელი. ანატორის ეკლესია	78
К. Б. Церетели. Анаторская церковь (резюме)	85
K. Tsereteli. The Church of Anatori (Summary)	86

შ ი ლ ო ც ვ ა
П о з д р а в л е н и е
C o n g r a t u l a t i o n

თემურაზ ჩიქოვანი 75 წლისაა	88
T. A. Чиковани 75 лет	89
T. Chikovani – 75	90

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა ს ი ს ტ ო რ ი ა
И с т о р и я а р х е ო ლ ო გ ი ი
History of Archaeology

გ. გამყრელიძე. დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი (1815-1878)	91
Г. А. Гамкrelidze. Д. К. Мегвинетухуцесишвили (1815 – 1878)	93
G. Gamkrelidze. D. Meghvinetukhutsesishvili (1815-1878)	93
მ. მუმლაძე. უცხოეთში გამართული რამდენიმე გამოფენის შესახებ	94
М. Н. Мумладзе. О некоторых выставках за границей (резюме)	96
M. Mumladze. On some Exhibitions held Abroad (Summary)	97
რ. ჯანაშია. ალექსანდრე კალანდაძის წერილები სიმონ ჯანაშიასადმი	98
Р. С. Джанашиа. Письма Ал. Каландадзе к С. Джанашиа (резюме).. ..	101
R. Janashia. A. Kalandadze's Letters to S. Janashia (Summary)	101

ქ რ ო ნ ი კ ა
Х р о н и კ ა
Chronicle

გ. მინდიაშვილი. 1998 წლის საველე სამუშაოები	102
Г. Миндиашвили. Полевые работы в 1998 году	105
G. Mindiashvili. Field Work in 1998	108

რ ე ც ე ნ ზ ი ა
Р е ц е н з и я
Book Review

ბ. ჯორბენაძე. კრებული რუსთავის წარსულზე	111
В. А. Джорбенадзе. Сборник о прошлом Рустави	112
V. Jorbenadze. Collected Papers on the History of Rustavi	112
რ. პაპუაშვილი. საქართველოს არქეოლოგია ირანულ ჟურნალში	113
Р. Папуашвили. Археология Грузии в иранском журнале	113
R. Papuashvili. Georgian Archaeology in an Iranian Journal	113

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა
П а м я т ь

In Memoriam

ბ. ჯორბენაძე. გიორგი ლომთათიძე (1914-1971)	114
В. А. Джорбенадзе. Г. А. Ломтатиძე (1914 – 1971)	115
V. Jorbenadze. Giorgi Lomtadidze (1914-1971)	116
რ. რამიშვილი. იოსებ გველიშვილი (1909-1968)	116
Р. М. Рамишвили. И. А. Гзелишвили (1909 – 1968)	118
R. Ramishvili. Ioseb Gzelishvili (1909-1968)	118
შემოკლებათა სია	119
Список сокращений	119
Abbreviations	119

სტატიები
СТАТЬИ
ARTICLES

ლიდა ქელიძე

ქმის სამუშაო იარაღები დმანისის რაიონის ტერიტორიიდან

დმანისის რაიონი სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ უძველეს რეგიონში – ქვემო ქართლშია განლაგებული და მდინარე მაშავერას ზემო და შუა დინებას მოიცავს. ეს ტერიტორია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებითაა მდიდარი, ქვემო პალეოლითიდან დაწყებული და შუა საუკუნეებით დამთავრებული. ადამიანის ქვედა ყბის სენსაციურმა აღმოჩენამ (1 მლნ. 800 ათასი წელი) დმანისის ქვედაპალეოლითური სადგომი მეცნიერულ წრეებში ფართოდ ცნობილი გახდა [1, გვ. 114-122; 2, გვ. 160-177; 3, გვ. 140-159]. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. დ. გოგელია) 1980 წ. დმანისის რაიონის ტერიტორიაზე სადაზვერვო შურფები გაიჭრა დმანისის ადრენეოლითური სადგომისა და ჯავახის კლდის გადმონაშვერზე (ენეოლითი)¹ აგრეთვე სხვადასხვა პუნქტებში შეგროვებულია ანაკრეფი მასალა, რომელიც წარმოდგენილია შავი ფერის ნატკეცი ობსიდიანით, მასში პრაქტიკულად ნახევარი მეორადი დამუშავების კვალით და სხვადასხვა ეპოქის კერამიკის მცირერიცხოვანი, ძალიან წვრილი ნატკეცებით [5, გვ. 13-17, ტაბ. XIII-XIX]. მოცემული სტატია 13 პუნქტში შეგროვებული ობსიდიანის სამუშაო იარაღების ანალიზს ეძღვნება.

თუკი ობსიდიანის მასალას მთლიანობაში დაგახასიათებთ, უნდა ითქვას, რომ ეს არის ქვის ინდუსტრია სრულიად განსხვავებული ფორმის ანატკეცებზე, რომელთა შორის მსხვილი ეგზემპლარები პრაქტიკულად არ არსებობს. წვრილი ამორფული ნუკლეუსები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ნატკეც მასალაში ლამელები თითქმის არ არის არასწორი ფორმის ერთეული ეგზემპლარების გამოკლებით. აქ ნაპოვნი იარაღების მეორადი დამუშავების ხერხები შეიცავს წვრილ ნახევრად ციცაბო და წამმახვილებელ რეტუსს, ბრტყელ ჩამოთლას, მსხვილ ციცაბო რეტუსს, ფართო ბრტყელ რეტუსსა და სასაჭრისე ჩამოტკეცის ერთეულ შემთხვევებს. როგორც წესი, ერთი ზედაპირი

რეტუსირებული, ზოგიერთ შემთხვევაში შეინიშნება საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუსში სახვრეტებისა და ამოღარული სახოკების გაფორმების დროს.

სოფ. დალარის შემოგარენში მასალა ექვს სხვადასხვა პუნქტში შეგროვდა. ყველაზე მეტი ნატკეცი ობსიდიანი სოფ. დალარის ჩრდილოეთ გარეუბანშია აღმოჩენილი – 98 ეგზ., მათგან 47 ეგზ. მეორადი დამუშავებით. მოიპოვება 4 წვრილი ამორფული და 1 წვრილი კონუსისებური ნუკლეუსი, 42 სხვადასხვა ფორმის წვრილი და საშუალო ანატკეცი, მოღუნული პროფილის 2 სმ-ზე ნაკლები სიგანის 3 ლამელა არასწორი კიდეებითა და მიკროლამელის 1 ნატეხი დამუშავების გარეშე.

იარაღები წარმოდგენილია ხვეწებით 29 ეგზემპლარის რაოდენობით. მათგან 1 ხვეწია ერთი სამუშაო პირით (ტაბ. I₁₁₋₁₂), 9 ხვეწი ორი სამუშაო პირით, რომელთა შორის 2 – არასწორი ფორმის ლამელაზეა (ტაბ. I₇₋₈), და 1 – ხვეწი სამი სამუშაო პირით (ტაბ. I₁₀). ზოგიერთი ეგზემპლარისთვის სამუშაო პირის ცალმხრივი დამუშავებაა დამახასიათებელი.

მოიპოვება 2 სახვრეტი, ზურგის მხრიდან წვრილი რეტუსით გაფორმებული სამუშაო ბოლოებით. ერთ-ერთ მათგანს წვეტი ოდნავ გამოყოფილი აქვს (ტაბ. I₂₋₃).

ერთი ეგზემპლარის სახითაა წარმოდგენილი საჭრისი გატეხილი წვრილი ლამელისებური ანატკეცის კუთხეზე (ტაბ. I₄).

მოიპოვება 2 კიდურა საფხეკი ანატკეცებზე, თანაც, ერთ-ერთი მათგანი ხვეწის ორ სამუშაო პირთან არის შეხამებული, ხოლო მეორე – სახოკის სამუშაო პირთან (ტაბ. I₅₋₆), ერთი წვრილი საფხეკი ოვალური ფორმის ანატკეცზე, ძლიერ მოსწორებული.

აღმოჩენილია 3 ამოღარული სახოკი წვრილ ანატკეცებზე საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუსით (ტაბ. I₉) და 8 ანატკეცი წამმახვილებელი ან დამაბლაგვებელი რეტუსით ზურგის ან მუცლის მხრიდან.

საინტერესო აღმოჩენას წარმოადგენს ერთი წვრილი ტირიფის ფოთლის ფორმის ისრისპირი ორი წაწვეტებული ბოლოთი. ორივე ზედაპირი ბრტყელი რეტუსითაა დამუშავებული (ტაბ. I₁).

კონცხის ჩრდილოეთ მხარეს, მდინარეებს მაშავერასა და კარაჩაის შორის (სოფ. დალარი), 13 ნატკეცი ობსიდიანია შეგროვებული. მასალა მეორადი დამუშავების გარეშეა წარმოდგენილი

¹ შემდგომ წლებში დმანისის რაიონული ცენტრის ტერიტორიაზე, სადაც ადრენეოლითური სადგომია განლაგებული, გამოკვლეულია ყორღანი, რომელიც ბედენის კულტურას ეკუთვნის [7, გვ. 66], ხოლო სოფ. ჯავახში შუაბრინჯაოს ეპოქის ყორღანია გათხრილი [6, გვ. 58-59].

2 წვრილი ამორფული ნუკლეუსითა და 2 ანატაკეციტით.

იარაღებს შორის მოიპოვება 5 ხვეწი წვრილი ანატაკეციტებზე ერთი სამუშაო პირით (ტაბ. I₁₃₋₁₄) და ერთი ხვეწი ორი სამუშაო პირითა და წვრილი წამმახვილებელი რეტუსით სივრძივი პირის გაყოლებით, ზურგის მხრიდან (ტაბ. I₁₆).

ამავე კონცხის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს 16 ნატაკეცი ობსიდიანი შეგროვდა. მათგან 10 ეგზ. მეორადი დამუშავებით. ნაპოვნია ერთი საშუალო ზომის ამორფული ნუკლეუსი და სხვადასხვა ფორმის 5 წვრილი ანატაკეცი დამუშავების გარეშე.

იარაღები წარმოდგენილია 3 ხვეწით, ერთი სამუშაო პირით, 3 ამოღარული, საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუსით გაფორმებული სახოკით (ტაბ. I₂₀₋₂₁), 2 კუთხის საჭრისითა (ტაბ. I₁₇₋₁₈) და ერთი ანატაკეციტით წვრილი ნახევრადციცაბო რეტუსით მუცლის მხრიდან.

ამ კონცხზე ნატაკეცი ობსიდიანის გარდა, კერამიკის რამდენიმე წვრილი ნატეხი შეგროვდა, რომელთა შორის 2 არქაული სახისაა: ხელით ნაძერწი, კეცში მოიპოვება დაფქული ბაზალტის მნიშვნელოვანი მინარევი.

ანაკრეფი ობსიდიანის მასალა აღმოჩენილია აგრეთვე სოფ. დალარის აღმოსავლეთით, მდინარე კარაჩაის ხეობაში განლაგებულ პუნქტში. იქ შეგროვდა 45 ნატაკეცი ობსიდიანი, მათგან 18 ეგზ. მეორადი დამუშავებით. კოლექციაში წარმოდგენილია 1 წვრილი კონუსური ნუკლეუსი და სხვადასხვა ფორმის 26 წვრილი და საშუალო ანატაკეცი დამუშავების გარეშე.

იარაღებს შორის მოიპოვება 4 სახვრეტი წვრილი ანატაკეციტებზე ოდნავ გამოყოფილი წვეტებით. მათგან 2 სახვრეტი ერთი სამუშაო ბოლოთი, 1 – სამი სამუშაო ბოლოთი, რომელთაგან ორი საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუსითაა გაფორმებული (ტაბ. II₂) და 1 – ორი სამუშაო ბოლოთი კიდურა საფხეკთან შეხამებით, რომლის სამუშაო პირი მუცლის მხრიდანაა გაფორმებული (ტაბ. II₁).

ერთეული ეგზემპლარის სახით მოიპოვება კომბინირებული საჭრისი, შუალა-გვერდულა წვრილი ანატაკეციტზე (ტაბ. II₃).

წარმოდგენილია 3 საფხეკი, რომელთაგან 1 კიდურაა, ამოღარულ სახოკთან შეხამებული, ხოლო 2 საფხეკს კი სამი სამუშაო პირი აქვს (ტაბ. II₄₋₅).

გარდა ამისა, მოიპოვება 1 ამოღარული სახოკი (ტაბ. II₇).

5 წვრილი და საშუალო ზომის ანატაკეცი დამუშავებულია წვრილი ან მსხვილი რეტუსით, ძირითადად ზურგის მხრიდან, წამმახვილებული ან ნახევრად ციცაბოთი.

სოფ. დალარის მახლობლად კიდევ 2 პუნქტშია შეგროვებული ანაკრეფი მასალა. ეს პუნქტები მდ. მაშავერას ხეობაში შავი მღვიმეს წინ მდებარე ფერდობზეა და მის მოპირდაპირე მხარეს, ხეობის მარჯვენა მხარესაა განლაგე-

ბული. შავი მღვიმეს წინ 2 საფხეკია აღმოჩენილი საშუალო ანატაკეციტზე, მათგან 1 კიდურაა და 1 – ორი სამუშაო პირით, საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუსით გაფორმებული (ტაბ. II₉). საინტერესო იყო სატეხის პოვნა მსხვილ ანატაკეციტზე ორი გამკვრივებული და წამახვილებული სამუშაო ბოლოთი. ორივე ზედაპირი მსხვილი ჩამონატაკეციტითაა დამუშავებული (ტაბ. II₁₀). გარდა ამისა, ნაპოვნია გვიანი კერამიკის 1 პატარა ნატეხი.

შავი მღვიმეს მოპირდაპირე მხარეს აღმოჩენილია 1 ხვეწი ერთი სამუშაო ბოლოთი ბაზალტის საშუალო ზომის ანატაკეციტზე და 1 ხვეწი ორი სამუშაო ბოლოთი ობსიდიანის წვრილი ანატაკეციტზე (ტაბ. II_{6, 8}).

ნატაკეცი ობსიდიანი შეგროვდა 2 პუნქტში სოფ. აილას შემოგარენში. სარწყავი არხის ტერიტორიაზე ნაპოვნია 2 საშუალო ზომის ანატაკეცი დამუშავების გარეშე, 2 ანატაკეცი (მსხვილი და საშუალო) რეტუსირებული ამონაჭრებით, ობსიდიანის 10 წვრილი მომრგვალო კონკრეტია, 1 წვრილი ნატაკეცი. კონკრეტია ორი მოცილებული ანატაკეციტის ნეგატივითა და გვიანი კერამიკის 1 წვრილი ნატეხი.

ცივწყაროს ტერიტორიაზე (სოფ. აილა) აღებულია ობსიდიანის 1 ნატაკეცი წვრილი კონკრეტია მოცილებული ანატაკეციტების ნეგატივებით, 2 წვრილი ანატაკეცი დამუშავების გარეშე და 4 იარაღი. მათ შორის მოიპოვება 1 მართკუთხედისებური საფხეკი მსხვილი ციცაბო რეტუსით ზურგის მხრიდან (ტაბ. II₁₂), 1 კიდურა საფხეკი საშუალო ზომის ანატაკეციტზე (ტაბ. II₁₁), 1 კიდურა საფხეკი შეხამებული ხვეწთან ცალმხრივი დამუშავებით ზურგის მხრიდან და წვრილი დამაბლაგვებელი რეტუსით გაფორმებული 1 მიკროსაფხეკი (ტაბ. II₁₇).

მცირე რაოდენობით ანაკრეფი მასალა შეგროვდა დმანისის რაიონის ტერიტორიაზე ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე, ხეობაში და ტბის ჩრდილო-დასავლეთ, კონცხის სამხრეთ ფერდობზე, ორი ხეობის შეერთების ადგილზე. პირველ პუნქტში აღმოჩენილია: 21 ნატაკეცი ობსიდიანი, რომელთაგან 19 ეგზ. მეორადი დამუშავებითაა, წვრილი ამორფული ნუკლეუსები სამი ეგზემპლარის რაოდენობით, 4 წვრილი და საშუალო სხვადასხვა ფორმის მქონე ანატაკეცი დამუშავების გარეშე.

იარაღები წარმოდგენილია 3 წვრილი ანატაკეციტით, წვრილი ნახევრად ციცაბო რეტუსით მუცლისა ან ზურგის მხრიდან (ტაბ. II₁₃), 1 ანატაკეციტით რეტუსირებული ამონაჭრით (ტაბ. II₁₄), 2 კომბინირებული იარაღით, რომლებშიც შეხამებულია საფხეკი და სახვრეტი (ტაბ. II₁₅) და საფხეკი-საჭრისი გატეხილი ანატაკეციტის კუთხეზე (ტაბ. II₁₆), ოვალური ფორმის 1 საფხეკით მსხვილი დამაბლაგვებელი რეტუსით, 5 კიდურა საფხეკით წვრილი ანატაკეციტებზე (ტაბ. II₁₈), 6 ხვეწით, რომელთაგან ნახევარს ორი სამუშაო ბოლო აქვს და ნახევარს – ერთი (ტაბ.

II₉), 1 ბურლით საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე ჩამონატკეცივით გამოყოფილი წვეტით ვიწრო ლამელაზე, წვრილი ნახევრად ციცაბო რეტუშით ორივე პირის გაყოლებით ზურვის მხრიდან (ტაბ. II₂₀).

გარდა ამისა, აქ შეგროვდა არქაული კერამიკის რამდენიმე ძალიან წვრილი ნატეხი.

მეორე პუნქტში, ტბიდან ჩრდილო-დასავლეთით, აღმოჩენილია 5 ნატკეცი ობსიდიანი მეორადი დამუშავებით. მათ შორის მოიპოვება 1 წვრილი ანატკეცი ბრტყელი ჩამონატკეცივით ერთი პირის გაყოლებით ზურვის მხრიდან, ოვალური ფორმის 1 საფხეკი (ტაბ. II₂₁), 3 კომბინირებული იარაღი წვრილ ანატკეცივებზე, რომლებშიც შეხამებულია ხვეწები ერთი სამუშაო პირითა და საფხეკები ერთი, ორი და სამი სამუშაო პირით, რომლებიც ძალადი ციცაბო რეტუშითაა გაფორმებული (ტაბ. II₂₂).

ნატკეცი ობსიდიანის გარდა აქ აღმოჩენილია შავპრიალა კერამიკის 1 წვრილი ნატეხი და უფრო არქაული სახის კერამიკის 4 წვრილი ნატეხი კეცში დაფუძული ბაზალტისა და მსხვილმარცვლოვანი ქვიშის მინარევით.

ნატკეცი ობსიდიანის საინტერესო და საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექცია (109 ეგზ.) შეგროვდა წყალსაცავის ტერიტორიაზე (ზემო სოფელი). მასალა მეორადი დამუშავების გარეშე მოიცავს 4 ამორფულ ნუკლეუსსა და სხვადასხვა ფორმის 58 წვრილ და საშუალო ანატკეციებს.

იარაღები წარმოდგენილია 15 ხვეწით, მათგან 11 ეგზ. – ერთი სამუშაო პირით, 3 ეგზ. – ორი სამუშაო პირით და 1 ეგზ. – სამი სამუშაო პირით (ტაბ. III₁₂₋₁₃); 10 კიდურა საფხეკით წვრილ და საშუალო ანატკეცივებზე, რომელთა სამუშაო პირი ხშირად ამოღარული რეტუშითაა დამუშავებული და ამიტომ უსწორმასწოროა (ტაბ. III₁₄). ამ საფხეკებიდან 1 ამოღარულ სახოკთან არის შეხამებული, 2 შეხამებულია დანებთან, რომელთა სამუშაო პირები ფართო წამმხვილებელი რეტუშითაა დამუშავებული (ტაბ. III₁₅₋₁₆), და 1 საფხეკი შეხამებულია დანასთან და სასაჭრისო ჩამონატკეცთან; 8 სახვრეტით წვრილ და საშუალო ანატკეცივებზე, რომელთაგან შეიძლება გამოყოფილი აქვს, ხოლო 1 ეგზ. გამოყოფილი წვეტით სახოკთანაა შეხამებული (ტაბ. III₁₇₋₂₀); 1 შუალა საჭრისით წვრილ ანატკეცივზე (ტაბ. III₂₄); 1 გვერდითი საჭრისით, რომელიც საფხეკთანაა შეხამებული (ტაბ. III₂₁); 5 ამოღარული სახოკით წვრილ და საშუალო ანატკეცივებზე, რომელთაგან 1 ხვეწთანაა შეხამებული (ტაბ. III₂₃); 1 ამოღარული სახოკით ლამელისებურ ანატკეცივზე საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუშით (ტაბ. III₂₂) და 6 წვრილი და საშუალო ანატკეცი ნაწილობრივი ბრტყელი ან წვრილი დამაბლაგვებელი რეტუშით მუცლის მხრიდან.

ნატკეცი ობსიდიანის არცთუ ურიგო კოლექცია შეგროვდა სოფ. შახმარლოში, სულ 40

ეგზ., რომელთაგან 24 ეგზ. წარმოდგენილია მეორადი დამუშავებით, დანარჩენი – სრულიად განსხვავებული ფორმის 16 ანატკეცი.

4 ანატკეცი წვრილი ნახევრად ციცაბო რეტუშით აქვს ზურვისა ან მუცლის მხრიდან, 1 ანატკეცი ფართო ბრტყელი რეტუშითაა დამუშავებული და 2 ანატკეცი წვრილი წამმხვილებელი რეტუშით ზურვისა ან მუცლის მხრიდან (ტაბ. III₁). გარდა ამისა, იარაღები წარმოდგენილია 1 კიდურა საფხეკით ოვალური ფორმის ანატკეცივზე (ტაბ. III₃), 4 ამოღარული სახოკით (ტაბ. III₂), 1 კომბინირებული იარაღით ანატკეცივზე, მასში ამოღარული სახოკი და ხვეწია შეხამებული, რომელსაც ერთი ცალმხრივად დამუშავებული სამუშაო პირი აქვს (ტაბ. III₅). აქ მოიპოვება 1 შუალა საჭრისი ხვეწი ერთი სამუშაო პირით ლამელისებურ ანატკეცივზე (ტაბ. III₆), 2 ხვეწი ერთი სამუშაო პირით წვრილ ლამელაზე (ტაბ. III₇), 5 ხვეწი ერთი სამუშაო პირით ანატკეცივებზე, 1 ხვეწი 2 სამუშაო პირით ანატკეცივზე (ტაბ. III₉) და 1 სახვრეტი ანატკეცივზე, რომლის გამოყოფილი წვეტი ზურვის მხრიდან წვრილი ნახევრად ციცაბო რეტუშითაა გაფორმებული, ხოლო სასაჭრისო ჩამონატკეცივით მუცლის მხრიდან (ტაბ. III₈).

ობსიდიანის იარაღები აღმოჩენილია გომარეთის ზემოთ, სეიფანდ საყდრის ტერიტორიაზე კლდოვანი გადმონაშვერის ქვეშ, რომელთა შორის მოიპოვება 2 კიდურა საფხეკი ანატკეცივებზე, 1 სახვრეტი გამოყოფილი წვეტის გარეშე (ტაბ. III₁₁), 1 საჭრისი გატეხილი ანატკეცის კუთხეზე, რომლის სამუშაო პირი არაერთხელაა შესწორებული, და 1 ამოღარული სახოკი (ტაბ. III₁₀).

მასალა მეორადი დამუშავების გარეშე შეიცავს 5 მსხვილ და საშუალო ანატკეცივს, მოღუნული პროფილის 1 ვიწრო, უსწორმასწორო ფორმის ლამელას და 5 პატარა კონკრეციას ჩამოთლის კვალით.

გარდა ამისა, კლდოვანი გადმონაშვერის ქვეშ აღმოჩენილია არქაული სახის კერამიკის რამდენიმე წვრილი ნატეხი კეცში მსხვილმარცვლოვანი ქვიშის მინარევით და გვიანი ეპოქის თიხის ჭურჭლის მრგვალი სახელური.²

დმანისის რაიონის სხვადასხვა პუნქტებში შეგროვებული ობსიდიანის იარაღების ანალიზის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სანადირო ინვენტარი წარმოდგენილია შესანიშნავი ისრისპირით, რომელიც სოფ. დალარის ჩრდილო გარეუბანშია აღმოჩენილი. გარდა ამისა, რამდენიმე პუნქტში აღმოჩენილი ობსიდიანის წვრილი მომრგვალო კონკრეციები შესაძლოა შურდულის ქვებად გამოყენებინათ. საფხეკები და სახვრეტები იხმარებოდა ცხოველების ტყავ-

² სოფ. გომარეთის შემოგარენში პაპუნანთწყაროს მახლობლად გამოკვლეულია მტკვარ-არაქსის ხანის ნამოსახლარი, რომელიც ძვ.წ. III ათასწ-ის პირველ ნახევარს განეკუთვნება [4. გვ. 83-85].

ზე მუშაობის დროს. მჭრელ იარაღებად გამოიყენებოდა წამმახვილებელი რეტუშით გაფორმებული ანატაკეცები. ხოლო ხვეწები, სახოკები, საჭრისები და სატეხი იხმარებოდა ხისა და ძვლის დამუშავებისას.

ძნელია ჯერჯერობით რაიმე განსაზღვრულის თქმა ზემოთ განხილული კოლექციების კულტურული კუთვნილებისა და დათარიღების შესახებ, რადგან ისინი მხოლოდ ანაკრეფი მასალისაგან შედგება. უფრო სავარაუდოა, რომ აქ სხვადასხვა ეპოქებია წარმოდგენილი – ნეოლითიდან ადრეულ ბრინჯაომდე. სავარაუდოა, აგრეთვე, რომ უფრო ადრეულად გამოიყურება მასალები, რომლებიც ტბის შემოგარენში, სეიფანდ საყდრისა და წყალსაცავის ტერიტორიაზე, მდ. კარაჩაის ხეობაში სოფ. დალარის აღმოსავლეთით, სოფ. შახმარლოშია შეგროვებული.

ეჭვგარეშეა, რომ ეს მასალები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ძეგლები, რომლებიც წინ უსწრებენ ძვ.წ. VI-IV ათასწ-ის ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარებს, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით წარმოდგენილია მხოლოდ დმანისის ნეოლითური სადგომით. მასალის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი იმითაც აიხსნება, რომ ობსიდიანის სამუშაო იარაღების მეორადი დამუშავების ხასიათი ზემოთ განხილული აღმოჩენის ადგილებიდან მსგავსია შულავერ-შომუთეფეს კულტურის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების ინვენტარის დამუშავების ხასიათისა [8, გვ. 67-85, ტაბ. XIII-XXIV].

Л. М. Челидзе

КАМЕННЫЕ ОРУДИЯ ТРУДА С ТЕРРИТОРИИ ДМАНИССКОГО РАЙОНА (резюме)

Дманисский район расположен в одном из древнейших регионов Южной Грузии – Квемо Картли и охватывает верхнее и среднее течение реки Машавера. Эта территория богата археологическими памятниками разных периодов, начиная с нижнего палеолита, кончая средневековьем. Сенсационная находка нижней челюсти ископаемого человека (I млн. 800 тыс. лет) сделала Дманисскую нижнепалеолитическую стоянку широко известной.

В результате работы Квемо-Картлийской археологической экспедиции (рук. Д. Гогелия) Центра археологических исследований Академии наук Грузии на территории Дманисского района в 1980 г. частично раскопаны

Дманисская раннеолитическая стоянка и Джавахский скальный навес (энеолит), а также в 13 различных пунктах собран подъемный материал, представленный расщепленным обсидианом черного цвета, среди которого практически половина со следами вторичной обработки, и немногочисленными очень мелкими обломками керамики различных эпох. Среди обсидиановых орудий имеются скребки, проколки, резцы, ретушированные отщепы, стамески, выемчатые изделия, наконечник стрелы. Скорее всего здесь представлены разные эпохи – от неолита до ранней бронзы.

Несомненно, эти материалы очень интересны, так как памятники, предшествующие равнинным раннеземледельческим поселениям VI–IV тыс. до н.э. на территории Восточной Грузии, представлены пока только Дманисской неолитической стоянкой. Более того, характер вторичной обработки обсидиановых орудий труда из выше-рассмотренных местонахождений и из раннеземледельческих поселений шулавери-шомутепинской культуры сходны.

L. Chelidze

STONE TOOLS OF THE ANCIENT POPULATION ON THE TERRITORY OF DMANISI DISTRICT

(Summary)

Dmanisi district lies in one of the ancient regions of South Georgia – Kvemo Kartli, covering the upper and middle course of the Mashavera. This territory is rich in archaeological monuments of Palaeolithic to the Middle Ages. The sensational discovery of the lower mandible of a fossil man made the Lower Palaeolithic site of Dmanisi well known.

In 1980 as a result of the work of the Kvemo-Kartli archaeological expedition of the Centre for Archaeological Studies of the Georgian Academy of Sciences the Early Palaeolithic settlement of Dmanisi and rocky cave of Javakheti (Aeneolithic) were excavated. Surface materials were gathered at 13 different sites, also excavated. These materials represented smallest fragments of pottery of different periods and flaked obsidian of black colour. Practically half of them bore traces of secondary treatment. There were scrapers, cutters, retouched flakes, chisels and an arrowhead among the obsidian tools. Different periods are

represented here – from the Neolithic to the Early Bronze Age.

This material is of considerable interest; for remains preceding early husbandry settlements of the 6th-4th millennia on the territory of Eastern Georgia are represented only by the Dmanisi Palaeolithic site. Furthermore, the character of the secondary treatment of obsidian tools from the sites under discussion and from the Early Husbandry settlements of Shulaveri-Shomu-tepe culture are similar.

ლიტერატურა

1. ბუგანიშვილი თ. ქვის ხანის ახალი მონაპოვარი ქვემო ქართლში. – დმანისი, I, 1998, გვ. 114-122.
2. გაბუნია ლ., ვეკუა ა., ლორთქიფანიძე დ. დმანისის ჰომინიდის ეკოლოგიური გარემო. – დმანისი, I, 1998, გვ. 160-177.
3. ნიორაძე მ., იუსტუსი ა. ქვის იარაღები დმანისის ადრეპალეოლითური ძეგლიდან. – დმანისი, I, 1998, გვ. 140-159.
4. ცქვიტინიძე ზ. ახალი აღმოჩენები სოფ. გომარეთის მიდამოებში. – დმანისი, I, 1998, გვ. 83-87.
5. Гогелия Д. Д. Квемо – Картлийская археологическая экспедиция 1979 – 1980 гг. – ПАИ, 1980 (1982), с. 13 – 17.
6. Кахиани К. К., Глигвашвили Э. В., Дзneladze М. С., Каландадзе Г. Г., Цквितिцидзе З. Р. Археологическое исследование Машаверского ущелья в 1984 – 86 гг. – ПАИ, 1986 (1991), с. 51 – 59.
7. Кахиани К. К., Глигвашвили Э. В., Каландадзе Г. Г., Цквितिцидзе З. Р. О работе экспедиции Машаверского ущелья. – ПАИ, 1987 (1995), с. 62 – 69.
8. Челидзе Л. М. Развитие каменной индустрии в эпоху энеолита Восточной Грузии. – МАГК, IX, 1984, с. 67 – 85.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – სოფ. დალარის შემოგარენში აღმოჩენილი ობსიდიანის სამუშაო იარაღები.

ტაბ. II – სოფ. დალარის შემოგარენში აღმოჩენილი ობსიდიანის სამუშაო იარაღები (1-10). სოფ. აილას შემოგარენში (11-12, 17), ტბის შემოგარენში (13-16, 18-22).

ტაბ. III – სოფ. წახმარლოში აღმოჩენილი ობსიდიანის სამუშაო იარაღები (1-9), სეიფანდ საყდრის ტერიტორიაზე (10-11), წყალსაცავის ტერიტორიაზე (12-23).

Описание таблиц

Табл. I – Obsидиановые орудия труда, обнаруженные в окрестностях сел. Далари.

Табл. II – Obsидиановые орудия труда, обнаруженные в окрестностях сел. Далари (1–10), в окрестностях сел. Айла (11–12, 17), в окрестностях озера (13–16, 18–22).


Табл. III – Obsидиановые орудия труда, обнаруженные в сел. Шахмарло (1–9), в местности Сейпанц–Сақдари (10–11), на территории водохранилища (12–23).


Description of the Plates

Pl. I – Obsidian tools discovered in the environs of the village of Dalari (surface material).


Pl. II – Obsidian tools discovered in the environs of v. Dalari (1-10); discovered in the environs of Aila (11-12, 17), and near the lake (13-16, 18-22).

Pl. III – Obsidian tools discovered in v. Shakhmarlo (1-9); in the locality of Seipand Saqdary (10-11) and on the territory of the water storage reservoir (12-23).





ტაბ. III




ალექსანდრე ორჯონიძე

მტკვარ-არაქსის კულტურის კერა-ზმსაღვარი (საქართველოს მასალების მიხედვით)

მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდიზაცია მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა კერამიკულ მასალას. თრიალეთის აღმოჩენების დროიდან მოკიდებული იგი იქცა ამ კულტურის ძველთა ქრონოლოგიური ადგილის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელად. მის საფუძველზე შემუშავებული პერიოდიზაციის სქემის დამაჯერებლობა არაერთგზის დამტკიცდა სტრატეგრაფიული მონაცემებითა და რადიონახშირბადის მეთოდით. ფორმისა და ორნამენტის მარტივიდან რთული-საკენ ევოლუციის წინარე, მომდევნო და მეზობელ სინქრონულ კულტურებთან შენიშნული კავშირების გათვალისწინებით მასში სამი საფეხური იქნა გამოყოფილი, რაც კარგად შეესაბამება მტკვარ-არაქსის კულტურის ძირითადი

ლი საზოგადოების რელიგიური შეხედულებების თავისებურებათა შესახებ ცალკეული საფეხურის მიხედვით. უხვი პარალელები შესაძლებელს ხდის დადგინდეს მჭიდრო კავშირი ამ კულტურის სხვადასხვა რეგიონსა თუ ლოკალურ ვარიანტს შორისაც. ეს გარემოება კი აძნელებს იმ მოსაზრების გაზიარებას, რომლის მიხედვითაც მტკვარ-არაქსის კულტურის ფარგლებში შიდა კავშირები არქეოლოგიურად ნაკლებად ფიქსირდება [35, გვ. 237]. თავი რომ დავანებოთ თიხის ჭურჭელს, რომელიც ამ კავშირებს ყველაზე ნათლად ავლენს, ამ კულტურის ოლქებს შორის ურთიერთობის არსებობა სხვა მასალითაც კარგად ჩანს, მათ შორის კერამიკის მიხედვითაც.



სურ. 1.

არეალის — აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებს და ასახავს კერამიკის განვითარებას ამ კულტურის დასაწყისი ხანიდან, ვიდრე მის დასასრულამდე [2; 3], გვ. 115].

ბოლო ხანებში ძლიერდება ტენდენცია პერიოდიზაციის არსებულ სქემაში ნაცვლად სამისა, გამოიყოს ოთხი საფეხური. ამგვარი დაყოფა, თავდაპირველად განხორციელებული საქართველოს ზოგიერთ რეგიონზე [7, გვ. 91; 6, გვ. 64], მისაღები აღმოჩნდა მთელი კულტურისათვისაც [35, გვ. 89].

კერამიკულ ნაწარმს განეკუთვნება კერა და კერის ზესადგარიც, რომელთაც ოთხივე საფეხურზე ვხვდებით. პრაქტიკულის გარდა მათ საკულტო-სარიტუალო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა [21, გვ. 86], რაც საშუალებას იძლევა გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ იმდროინდელი


I საფეხურის მტკვარ-არაქსის კულტურაში დამოწმებულ სხვადასხვა ტიპის კერებს შორის მრგვალი, შვერილებიანი კერას განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან იგი მხოლოდ ამ კულტურას ახასიათებს [39, გვ. 156]. ფართოდაა გავრცელებული ამგვარი კერა სომხეთსა და საქართველოში, ხოლო ირან-აზერბაიჯანისათვის იგი უცხოა [34, გვ. 175]. იშვიათია ის ანატოლიის ელიაზიგ-მალათიას მხარესა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, კირბეტ-კერაკის კულტურის ძეგლებზეც [22, გვ. 160]. სამაგიეროდ, ამგვარმა კერამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი შიდა ქართლში (სურ. 1). სტრატეგიური ძეგლების მასალებით ჩანს, რომ იგი აქ თავს იჩენს უკვე ადრეულ საფეხურზევე. ხიზანაანთგორის E ფენიდან მოკიდებული, სადაც სამშვერილიანი მომცრო კერაა

აღმოჩენილი, იგი აქ ამ კულტურის ჩაქრობამდე აგრძელებს არსებობას [3, გვ. 42, 48]. ცნობილია ის თეთრწყაროზე [2, გვ. 64]. შვერილებიანი კერა მდ. ფრონეს მარჯვენა ნაპირას, სოფ. ტახტისძირის ადრეულ ნასახლარზეც აღმოჩნდა [1, გვ. 16]. დიდუბიდან კი ამგვარი კერის მინიატურული მოდელია ცნობილი [14, ტაბ. X]. არის ის ჩრდილო კავკასიაში [39, გვ. 347].

გარდა მრგვალი, შვერილებიანი კერისა, ამ საფეხურზე გვხვდება ორმოს თავზე გამართული თიხის ბრტყელი დისკი, შუაში ნახვრეტით (სურ. 1). იგი ცნობილია ხიზანანთგორის E ფენიდან და ბერიკლდეების მტკვარ-არაქსული ნამოსახლარიდან [4, გვ. 164; 26, გვ. 82]. ამგვარი კერა მტკვარ-არაქსის კულტურაში ნაკლებადაა გავრცელებული. იგი უფრო წინა და შუა აზიის ადრეული ხანის კულტურებისათვის იყო დამახასიათებელი [17, გვ. 64]. როგორც ჩანს, ხიზანანთგორის E ფენისა და ბერიკლდეების ეს კერა უნდა წარმოადგენდეს პროტოტიპს აღმოსავლეთ საქართველოს უფრო მოგვიანო ხანის ძეგლებზე დადასტურებულ მრგვალი შუაგულამოღებული კერებისა [4, გვ. 164].

რომელსაც უკვე ხიზანანთგორის E ფენაში ვხვდებით. იგი ძალზე წააგავს ზემო ავჭალის სადგარს [3, გვ. 42]. მას ვხვდებით არაგვის ხეობაშიც ხიმშიანთმიწაზე ადრემტკვარ-არაქსულ მასალასთან ერთად [40, გვ. 75]. ასეთივე სადგარის ფრაგმენტებია აღმოჩენილი კიკეთში გათხრილ ორმოებსა და ღრმახევისთავის ადრეული ხანის ძეგლებზე [11, გვ. 100; 16, გვ. 16]. როგორც ჩანს, ამგვარი სადგარი უნდა იყოს წეროვან II-ზეც [5, გვ. 79].

რქისებრი სადგარი, კარგად ცნობილი მცირე აზიასა და ბალკანეთზე, ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიაშიც [3, გვ. 50-52]. აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზე აღმოჩენილი სადგრები უახლოვდება შენგავითისა და ქიულთეფეს ცალებს. თუმცა, ამ უკანასკნელთ უფრო დაკუთხული ტანი და ნახვრეტის ნაცვლად ყური აქვთ მიძერწილი [39, გვ. 159]. ნახვრეტიანი სადგარია ჩრდილო კავკასიაში – ლუგოვოეს ნამოსახლარზე, მაგრამ იქ აღმოჩენილ ზოგ სადგარს ნახვრეტი გვერდიდანაც აქვს დატანილი, რაც უცხოა სამხრეთკავკასიური ცალებისათვის [38, გვ. 124]. ჩრდილოკავკასიურ სადგრებთან ახლოს უფრო



სურ. 2.

კერასთანაა დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის სადგარიც, რომელთაგან აღსანიშნავია ერთ-ერთი უადრესი და ფართოდ გავრცელებული ტიპი – რქისებრი სადგარი [4, გვ. 166]. იგი წარმოადგენს თიხის ფილას, რომლის ცალ მხარეს ორი ზეაწეული შვერილია გამოსახული, ხოლო მოპირდაპირე მხარეს ნახვრეტი აქვს (სურ. 2). ამგვარი სადგარი რქისებრი სადგარის უადრეს ტიპს წარმოადგენს [10, გვ. 76],


აბელიას ოთხშვერილიანი სადგარი დგას [47, ტაბ. XXIII], მსგავსი შაუ-ლეგეტისა და სერჟენ-იურტის ცალებისა [39, გვ. 342]. ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილი ეს სადგრები შიდა ქართლის ადრეულ კომპლექსებს უკავშირდება და ძირითადად ამ გზით ვრცელდება იქ [22, გვ. 165].

ჩრდილოკავკასიურ სადგრებთან იჩენს კავშირს პირველ საფეხურზე გავრცელებული სადგრის სხვა ტიპიც – კოჭისებრი სადგარიც. იგი ცილინდრული ფორმისაა, მეტნაკლებად გამოყვანილი ტანით და კოჭისებრი მრგვალი თავებით ბოლოებში (სურ. 2). ამგვარია კიკეთში აღმოჩენილი სადგარი [11, სურ. 13], მსგავსი ქიულთეფეს ცალისა [39, გვ. 342; სურ. 78; 21, გვ. 82].

ამავე საფეხურზე გვხვდება კიდევ ერთი ტორსისებრი ტიპის სადგარიც, ფართოდ გავრცელებული მცირე აზიასა და ეგეოსში. თუმცა, სამხრეთ კავკასიაში იგი არაა მრავალრიცხოვანი (სურ. 3). ამგვარი სადგარი ფართოა, ჭრილში ოვალური, შუაზე ნახვრეტი. მსგავსი სადგარი აღმოჩენილია ზემო ავჭალაში, ტყვიავსა და ზღუდრის გვერდაზე [21, გვ. 81]. იგი ასევე ცნობილია ქვემო ქართლიდან – აბელას ნასახლარიდან [47, ტაბ. XXIII] და არაგვის

ბულ უშვერილო ნალისებრ ზესადგარს, იგი შიდა ქართლში ცნობილია ხიზანანთგორის E ფენიდან [3, გვ. 51]. მისი თანადროულია ნალისებრი ზესადგრის ფრაგმენტი ბერიკლდეებიდან [26, გვ. 80-87]. ამგვარივე, სადგრის ფრაგმენტი ნაპონია ზღუდრისგვერდაზეც. მას ზემოდან მომცრო კოპი აქვს დაბერწილი [36, გვ. 15]. ცნობილია ის ჩრდილო კავკასიიდან – შაუ-ლეგეტიდანაც [38, გვ. 125]. არსებული მონაცემებით ჩანს, რომ ნალისებრმა სადგარმა შიდა ქართლსა და მის მიმდებარე ოლქებში შემდგომ გავრცელება ვერ ჰპოვა. იგი უცნობი დარჩა ამ რეგიონის მთელი რიგი საკვანძო ძეგლებისათვის.³ ამგვარ ზესადგარს ვერც ქვემო ქართლსა და იორ-ალაზნის აუზის ძეგლებზე ვხვდებით. სამაგიეროდ, მტკიცედ დამკვიდრდა ის სამცხე-ჯავახეთში ამ კულტურის მოგვიანო – III საფეხურზე [7, გვ. 100; 10, გვ. 104].

II საფეხურზე მრგვალი, შვერილებიან კერას



სურ. 3. მტკვარ-არაქსის კულტურის კერის ზესადგარები

ხეობიდან ხიმშიანთმიწიდან [40, ტაბ. CXXXVIII].

აღნიშნულის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია თიხის ნალისებრი ფორმის ზესადგარიც (სურ. 3). მასში ორი ქვეტიპი გამოიყოფა: ცენტრალურშვერილიანი და უშვერილო. უკანასკნელი შიდა ქართლის ადრეულ ძეგლებს ახასიათებს. ცენტრალურშვერილიანი კი, რომელიც უშვერილო სადგრის განვითარებული ვარიანტია, მესხეთის ძეგლებზეა ძირითადად აღმოჩენილი და იქ კერის ზესადგრის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის მტკვარ-არაქსის კულტურის მესამე საფეხურზე. რაც შეეხება პირველ საფეხურს მიკუთვნე-

უკვე გაბატონებული მდგომარეობა უკავია. ეს განსაკუთრებით ითქმის შიდა ქართლის ძეგლების მიმართ, სადაც მას ვხვდებით ხიზანანთგორის D – B ფენებში, ქვაცხელას C დონეზე. იგი ცნობილია ამ რეგიონის სიღრმეშიც – ცხინვალის მიდამოებში გათხრილ ძეგლებზეც [21, გვ. 21], ასევე თრიალეთშიც – ოზნიდან და ბეშთა-

³ ნალისებრ ზესადგარს ასახელებენ ხიზანანთგორის B ფენაში [3, სურ. 8]. მაგრამ ფრაგმენტულობის გამო მისი გრაფიკულად აღდგენილი სურათი მთლად დამაჯერებლად არ გამოიყურება. ბ. კუფტინი ერთგან აღნიშნავს ამგვარი სადგრის არსებობას ოზნიში [32, გვ. 36].

შენიდან [29, გვ. 31, 33, 44]. რამდენადმე განსხვავებული სურათია ახალციხის ამირანის გორაზე. აქ ამგვარი კერის არსებობა, მართალია, დადასტურებულია ნასახლარის ადრეულ ფენებში [7, გვ. 63], მაგრამ – ნაკლებად. იგი იქ არც მოგვიანო ფენებშია წარმოდგენილი, რის გამოც ამ ძეგლს გამოარჩევენ შიდა ქართლური ნასახლარებიდან და უახლოვებენ მალაქლუს, ქიულთეფეს, გეოთეფეს და სხვა ძეგლებს [17, გვ. 65].

ამ საფეხურზე კერასთანაა დაკავშირებული ხიზანანთგორისა და ქვაცხელას C ფენაში აღმოჩენილი მასიურფენიანი სადგარი [3, გვ. 5; 18, გვ. 32], რომლის უახლოეს ანალოგებს ვხვდებით ჩრდილო კავკასიაში – შაულეგეტისა და სერჟენ-იურტის მასალებში. ამგვარი სადგარი რქისებრი სადგრის სქემატურ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს [39, სურ. 78]. ჩნდება ახალი – უზანვისებური ტიპის სადგარიც, რომელიც მხოლოდ ქვაცხელას C₁ ფენაშია აღმოჩენილი [18, გვ. 32]. ეს ტიპი შემდგომ აღარ გვხვდება, არც სხვაგან გავრცელებულა.

აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი, ადრე ცნობილი კოჭისებრი ტიპის სადგარიც (სურ. 2). სტრატოციფიცირებული ძეგლებიდან მას ვხვდებით ხიზანანთგორასა და ქვაცხელას C ფენებში, თუმცა აქ აღმოჩენილი სადგრები რამდენადმე თავისებურია და გამოირჩევა სისქითა და პატარა სიმაღლით [3, გვ. 5; 18, გვ. 27], რითაც განსხვავდება თრიალეთისა და სამცხეში აღმოჩენილი ცალეებისაგან [29, ტაბ. 25; 23, გვ. 82]. ქვაცხელას C ფენაში გვხვდება კოჭისებრი სადგარი, რომელსაც სიმაღლეზე მთლიანად გახვრეტილი ტანი აქვს [18, გვ. 32]. ნახვრეტი აქვს დატანილი ბეშთაშენში გათხრილ ნასახლარისა და ახალქალაქის მუზეუმში დაცულ (№ 3913), სოფ. პატარა ხორენიაში ნაპოვნ სადგრებსაც. თუმცა, მათ ნახვრეტი ტანის შუა ნაწილში, სიგანეზე აქვს გაკეთებული. ამგვარი სადგარი ცნობილია ჩრდილო კავკასიაში – სერჟენ-იურტისა [38, სურ. 78] და ლუგოვოეს ნასახლარებიდანაც, სადაც ის ოთხწახნაგა, პირამიდული ტიპის სადგართან ერთადაა აღმოჩენილი [38, სურ. 44]. ამ უკანასკნელს ჩვენში ნაკლებად ვხვდებით. იგი უფრო სომხეთის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი [44, გვ. 32].

III საფეხურზეც სხვადასხვა ტიპის კერაა გავრცელებული. შიდა ქართლში წამყვანი კვლავ მრგვალი, შვერილებიანი კერაა. ქვაცხელასა და ციხიაგორას B ფენებში ამგვარი კერის არაერთი ცალია დადასტურებული [18, ტაბ. IV; 6, ტაბ. 28]. მას ვხვდებით არგვეთში [12, გვ. 67], ხაშურში [41, გვ. 25], მჭადიჯვრისგორაზე, გუდაბერტყაზე, თეთრი წყაროს B ფენაში [2, გვ. 64], სამცხეში – ზველის

სამარხიყანებზე [10, გვ. 92, 189]. საინტერესოა, რომ ამგვარი კერა მახლობელი აღმოსავლეთის მსგავსად ნაკლებადაა აღმოჩენილი ამირანის გორაზე. აქ ამ პერიოდში გავრცელებულია მრგვალი, უშვერილო, ცილინდრული კერა (სურ. 1), მსგავსი მეტეხისა და თეთრი წყაროს ნასოფლართა ცალეების [10, გვ. 105].

კიდევ ერთი ტიპის – მრგვალ-ბრტყელი, შუაგულამოღებული კერა იყო ამ დროს ხმარებაში. მას ვხვდებით ამირანის გორაზე, ოხნიში, ზველის სამარხიყანებზე [17, გვ. 64; 32, ტაბ. 42; 7, გვ. 22]. თიხის ამგვარი კერები თუ ზესადგრებია აღმოჩენილი ასევე სომხეთში – შენგავითზე, არიჭში, ყარათეფეზე; ანატოლიაში – ქარაზე [7, გვ. 68]. როგორც ჩანს, საქართველოში ეს ტიპი უფრო სამცხე-ჯავახეთ-თრიალეთშია გავრცელებული. ალიზის მრგვალი უშვერილო კერა არგვეთის ნასახლარზეცაა აღმოჩენილი [12, გვ. 67].

ამავე საფეხურზე არსებობას აგრძელებს რქისებრი სადგარი. იგი წარმოდგენილია ამირანის გორის ხარის სქემატური ფიგურით და შედარებით რეალისტურად შესრულებული ასეთივე ფიგურით ციხიაგორის B ფენიდან [17, გვ. 69; 6, ტაბ. LXXI].⁴ ორივე სადგარი ახლო პარალელებს პოულობს სომხეთში. ერთი – არიჭის ნასახლარზე, მეორე – ჯრაოვიტში [28, ტაბ. 3, 4]. სომხეთში რქისებრი სადგრის სხვა ვარიანტებიცაა [28, ტაბ. 12-16]. რქისებრი სადგრის ფრაგმენტები აღმოჩნდა არგვეთის ნასახლარზე [12, გვ. 67] და მჭადიჯვარზე [45, გვ. 50].

კვლავ ვხვდებით კოჭისებრ სადგარსაც. იგი ცნობილია ამირანის გორიდან მჭადიჯვრისგორიდან, ჟინვალიდან [7, ტაბ. 17; 45, გვ. 50; 10, გვ. 92]. არის ის ქვემო ქართლშიც – ორწყლების ნასახლარზე, სადაც ის ტორისებრ სადგართან ერთად გვხვდება [46, გვ. 133]. ამგვარივეა ოხნის მოგვიანო კომპლექსის ტორისებრი სადგარიც [32, ტაბ. 31]. ერთი მინიატურული კოჭისებრი სადგარი არგვეთშიცაა აღმოჩენილი [12, გვ. 67].

ამ საფეხურზე ფართო გავრცელება მიიღო ადრეულ საფეხურზე დადასტურებულმა ნალისებრი ტიპის სადგარმა. განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი ანთროპომორფულმა სადგარმა მესხეთ-ჯავახეთში მტკვარ-არაქსის კულტურის მოგვიანო ეტაპზე მაშინ, როცა უცნობი დარჩა იგი აღმოსავლეთი საქართველოს სხვა

⁴ აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში არ ჩანს სამფეხა სადგარი. იგი მხოლოდ არარატის ველის ძეგლებს ახასიათებს [34, გვ. 175]. რაც შეეხება ოხნის სამფეხა სადგარს, იგი განსხვავებული ფორმისაა [29, ტაბ. 22], ხოლო გრემის ადრეულ კერამიკასთან ერთად აღმოჩენილი სადგრის ნატეხი, რომელსაც შ. დედაბრიშვილი შენგავითის ცალეებს უდარებს [27, გვ. 68], ძლიერ ფრაგმენტულობის გამო არაფრის მოქმედია.

მხარეებისთვის, სადაც სამხრეთული, განსაკუთრებით არარატული ნაკადის გავლენები საგრძნობი იყო [15; 6]. როგორც ჩანს, მესხეთ-ჯავახეთში ეს გავლენები რამდენადმე განსხვავებული ხასიათისაა.

აქ აღმოჩენილ ნალისებრ ზესადგარს აქვს მრგვალი, ელიფსური, ოთხკუთხა განივკვეთის ანთროპომორფული შვერილი, რომელიც სადგარის ცენტრში, კიდესთან იწყება. მას წინ, დაბალი ღარით გამოყოფილ შიდა მხარეს პატარა ფალოსი აქვს გამოყვანილი. თვალები და პირი გამოსახულია გამოწვამდე გაკეთებული მრგვალი ფოსოებით. უმეტესობას რელიეფური ცხვირი ამკობს. ზოგჯერ თვალები და პირი საერთოდ არაა გამოსახული. ხშირად სადგარს შვერილს უკან ყური აქვს მიძერწილი. ზოგს ანთროპომორფულის ნაცვლად სხავდასხვა ტიპის შვერილი აქვს გამოსახული შიდა მხარეს ფალოსით, რაც ამ სადგარებსაც ანთროპომორფული ზესადგარების რიგში აყენებს. ნალისებრ სადგარს უნდა ჰქონოდა როგორც პრაქტიკული, ისე საკულტო-სარიტუალო დანიშნულება. მასზე გამოსახულია მჯდომარე მამაკაცი არაპროპორციულად შემცირებული ტანით, რკალურად მოხრილი ფეხებით და გამოყოფილი ცერა თითით. იგი ითიფალური მამაკაცის კერპს წარმოადგენს და კერის კულტს უკავშირდება [17, გვ. 66-68].

ბოლო ხანებამდე ანთროპომორფულშვერილიანი ნალისებრი ზესადგარი მხოლოდ სამცხეში იყო დადასტურებული. სადღეისოდ იგი ჯავახეთის პლატოდანაც გახდა ცნობილი [13, ტაბ. II]. ამგვარი ზესადგარის უმეტესობა ახალციხის ამირანის გორაზეა აღმოჩენილი, სტრატეგრაფიულად მეორე ფენაში. ამ სადგართა შვერილებზე მარტივი და პრიმიტიული გულუბრყვილობით გადმოცემულია ადამიანის სახის სქემატური გამოსახულება. მათ ახასიათებს ძერწვის ერთიანი სტილი და ნაკვეთების ასახვის ერთი და იგივე მანერა [17, გვ. 65]. X შენობაში აღმოჩენილ სადგარს თავზე აქვს რქისებრი მორჩები; XIII შენობის სადგარს შუაზე ჩაზნექილი მრგვალი შვერილი აქვს, რომელზეც ფოსოებითაა გამოყვანილი პირი და თვალები, რელიეფით კი მოზრდილი ცხვირი. აქვე აღმოჩენილ მეორე სადგარს შიდა მხარეს ფალოსი აქვს გამოყვანილი, ანთროპომორფულის ნაცვლად კი ხვრელიანი ოთხკუთხა შვერილი ამკობს. XIV და XXI შენობათა ზოგ სადგარს არ გააჩნია თვალები და პირი და მხოლოდ რელიეფური ცხვირი აქვს. უფრო მრავალრიცხოვანია სადგარები მომრგვალებულთავიანი შვერილით, რომელთაც ზემოთ აღწერილი ხერხებით აქვს გამოსახული პირი, თვალები და ცხვირი. არ გამოირიცხავენ, რომ ფოსოებში, წინააზიური ზოგიერთი სკულპტურის მსგავსად, ორგანული ნივთიერების ფერადი შევსება იყო [47, გვ. 66].

ამირანის გორის გარდა ანთროპომორფულშვერილიანი სადგარი ცნობილია აგრეთვე ადი-

გენის რ-ში, ფარეხასგორაზე გათხრილი საკულტო ორმოდან. ამავე რაიონში კიდევ ორ ადგილას დაფიქსირდა ნალისებრი ზესადგარი, ერთი სოფ. ბენარასთან, მეორე – სოფ. ლელოკანთან [25, ტაბ. 74; 10, ტაბ. CXV].

ცნობილია ის ასპინძის რაიონშიც, სოფ. ზეფლის სამარხიდან, სადაც იგი შიდაქართლური ტიპის მტკვარ-არაქსულ ჭურჭელთან ერთად იყო ნაპოვნი [22, გვ. 110; 7, გვ. 22]. თიხის ნალისებრი ზესადგარის ფრაგმენტი შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი აქვე გათხრილ ერთ მოგვიანო ხანის ყორღანში, რომელიც ადრევე ყოფილა დაზიანებული [24, გვ. 51]. ნალისებრი ზესადგარი ჯავახეთის პლატოზე, სოფ. ბარალეთის ამაღლებისგორაზეც აღმოჩნდა [13, ტაბ. 11].

ძირითადად ჩამოთვლილით ამოიწურება აღმოსავლეთ საქართველოში ამ საფეხურის ძეგლებზე ნალისებრი ზესადგარის აღმოჩენის შემთხვევები. უფრო ნაკლებადაა ის წარმოდგენილი აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაში [7, გვ. 66]. სამაგიეროდ, მრავლად ვხვდებით მას ამ კულტურის გავრცელების სამხრეთ ოლქებში. ამასთან, იქ გვხვდება უფრო მრავალფეროვანი და უხვად ორნამენტირებული როგორც ანთროპომორფულ, ისე ზომორფულშვერილიანი ცალებიც. უკანასკნელი უცნობია საქართველოსათვის.

ნალისებრი ზესადგარი კარგადაა ცნობილი სომხეთიდან და აღმოსავლეთ ანატოლიიდან. არანაკლებადაა იგი წარმოდგენილი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთშიც. კირბეტ-კერაკის კულტურის სადგარებს ხშირად ანთროპომორფული გამოსახულება ფეხის ტერფებზეც კი აქვს დატანილი, რაც ასევე უცნობია ჩვენი ცალებისათვის.

სომხეთში ნალისებრი სადგარი ცნობილია კარნუტის ნასახლარიდან, ოღონდ მასზე ცხვარია გამოსახული, მსგავსად არიჭის, ამასიისა და შენგავითის ცალებისა [44, გვ. 72]. ანთროპომორფულგამოსახულებიანი ზესადგარია ტიგნისში, არიჭში, მოხრა-ბლურსა და არმავირ-ბლურზეც [44, გვ. 72; 43, ტაბ. 17; 33, გვ. 81].

კიდევ უფრო მრავლადაა ნალისებრი ზესადგარი აღმოსავლეთ ანატოლიაში. ამირანის-გორის ცალებს უახლოვდება ყარსის ახლოს ყარა-კურტში აღმოჩენილი სადგარი რუდიმენტული წანაშვერით. არის ის იგდირშიც [33, გვ. 81], ერზრუმის პულურის მტკვარ-არაქსულ ფენებშიც [22, გვ. 151], ბეიჯესულტანის ადრე-ბრინჯაოს II პერიოდის მასალებში [50, ტაბ. 24]. ნალისებრი სადგარია კორუკუთეფესა და სოს-ჰუიუკზე, გვიანმტკვარ-არაქსულ ფენებში [53, გვ. 75; 55, ტაბ. 8]. ახლო დგას ამირანის გორის ცალებთან ალიშარის ხალკოლითური ფენის ზესადგარიც. მას თვალები ფოსოებით აქვს გამოსახული, ხოლო ცხვირი, მესხეთის სადგარის მსგავსად, რელიეფით აქვს გამოყვანილი [51, ტაბ. 100]. გარკვეული მსგავსება

აღინიშნება ბუიუკთეფე ჰუიუკის ანთროპომორფულ სადგრებთანაც, რომელთაც თავის მხრივ ახლო პარალელები აქვს მახლობლად მდებარე ძეგლებზე – პულურსა და გიუზელოვაზე [54, სურ. 2]. ამ ძეგლის ზესადგრის გამოსახულება უფრო მეტად შეიძლება დაუახლოვოთ კერის გამოსახულებას ციხიაგორის A ფენიდან [6, ტაბ. LVIII].

არაერთი ანალოგი მოეპოვება საქართველოს ნალისებრ ზესადგრებს სირია-პალესტინაშიც. აქ, კირბეტ-კერაკის კულტურის ნასახლარებზე გვხვდებით ისეთივე ზესადგრებს, როგორც ამირანის გორის კომპლექსებშია აღმოჩენილი, განსაკუთრებით XIV და XXV შენობებში [49, ტაბ. XI]. ამუკში, კირბეტ-კერაკში აღმოჩენილ ნალისებრ ზესადგრებს ხშირად უახლოვებენ ანატოლიურ და ამირანის გორის ცალებს [22, გვ. 159; 17, გვ. 68]. H ფაზის ზესადგარი ფოსოებით გამოყვანილი თვალებითა და პირით, რელიეფური ცხვირით ძალზე ახლო ღვას ამირანის გორის სადგრებთან [48, ტაბ. 290]. ნალისებრი სადგრებია მომდევნო – i ფაზაზეც [48, გვ. 400]. სირია-პალესტინაში მტკვარ-არაქსული ნაწარმის გაჩენის შესახებ არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. მკვლევართა უმეტესობა თვლის, რომ კირბეტ-კერაკის კულტურის სახელით ცნობილი ეს კულტურა აქ აღმოსავლეთი ანატოლიიდან, ძირითადად ელიაზიგის მხრიდან უნდა გავრცელებულიყო ძვ.წ. III ათასწ. პირველი ნახევრის ბოლოს და მომდევნო საუკუნეების განმავლობაში უნდა ეარსება [22, გვ. 159-161]. კირბეტ-კერაკის კერამიკას ელიაზიგის ოლქში გავრცელებულ თიხის ჭურჭელს უახლოვებენ [22, გვ. 160]. გამორიცხული არაა, რომ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის მიმართულების გარდა აღმოსავლეთი ანატოლიიდან გარკვეული კულტურული გავლენები აღმოსავლეთ საქართველოს მხარესაც წარმართულიყო. ანატოლიასთან სიახლოვე არაერთგზისაა შენიშნული როგორც სამშენებლო საქმისა და არქიტექტურის, ისე კერამიკული ნაწარმის მხრივაც [17; 22; 18; 6]. ზოგი ამ სიახლოვეს ქარაზიდან ამირანის გორაზე მოსახლეობის შემოჭრით ხსნის [42, გვ. 3-42]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქარაზზე ამირანის გორის მსგავსი ორნამენტი უფრო ადრეულ – ბიკონუსური ფორმის ჭურჭელზეა დატანილი. ამასთან, მისი ადრეული ფენებისათვის საერთოდ უცნობია ნალისებრი ანთროპომორფული ზესადგარი [34, სურ. 24].

ამირანის გორის ნასახლართან მეტ სიახლოვეს ავლენს პულურისა (საქიოლი) და გიუზელოვას ნასახლარები როგორც მასალის ხასიათის, ისე რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული თარიღების მხრივ [30, გვ. 90]. კირბეტ-კერაკის ანთროპომორფული ნალისებრი ფორმის ზესადგარი სიახლოვეს იჩენს ანატოლიისა და აღმოსავლეთ საქართველოს ცალებთან. მარ-

თალია, ნალისებრი სადგარი ჩვენში მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურიდანვე იჩენს თავს, მაგრამ მალევე წყვეტს არსებობას. ანთროპომორფული შვერილი მას მოგვიანებით უჩნდება, რაც შესაძლოა მოსაზღვრე – ელიაზიგის მხრიდან გარკვეული გავლენების შედეგი იყოს. საინტერესოა, რომ კირბეტ-კერაკის კულტურაში ისევე, როგორც ელიაზიგ-მალათიას მხარეში მაინცდამაინც არ გვხვდება შიდა ქართლისა და არარატის ველის ძეგლებისათვის დამახასიათებელი მრგვალი, შვერილებიანი კერა [22, გვ. 160]. ამგვარი კერა იშვიათია ამირანის გორის ანთროპომორფული ზესადგრების შემცველი კომპლექსებისთვისაც. აღსანიშნავია, რომ ამირანის გორის ზესადგრები აღმოსავლეთ ანატოლია-სირია-პალესტინურ ცალებს უახლოვდება ადამიანის სახის შედარებით რეალისტური გამოსახვით. უნდა ითქვას, რომ დიდ ტერიტორიაზე-პალესტინიდან კავკასიამდე ნალისებრი ანთროპომორფულ გამოსახულებიანი სადგრის გავრცელების ჩრდილო ზღვარი სამცხე-ჯავახეთზე გადის, ხოლო მისი უკიდურესად ჩრდილოეთით მდებარე პუნქტს ახალციხის ამირანის გორა წარმოადგენს [7, გვ. 65]. აღსანიშნავია, რომ ამავე ოლქებთან პოულობს ბევრ საერთოს აღმოსავლეთ საქართველოს თიხის ანთროპომორფული ფიგურაც [19, გვ. 40].

ძველი ტრადიციების განგრძობაზე მიუთითებს IV საფეხურის თიხის სტაციონარული თუ გადასატანი ტიპის მრგვალი, შუაგულამოღებული [13, ტაბ. II, III] და შვერილებიანი კერების არსებობაც. ოღონდ ახლა მრგვალ შვერილებიან კერას ორნამენტიც უჩნდება [7, ტაბ. 30], მსგავსად მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთი ოლქების კერებისა [19, გვ. 34]. ხაშურის ნაცარგორის [41, ტაბ. 46] და ორხევის ნასახლარის ამგვარ კერას დამატებით ტყუპი მომცრო შვერილებიც აქვს [37, ტაბ. 15]. თუ არ ჩავთვლით ქულბაქების კერას [21, გვ. 73], მრგვალი კერის ეს ელემენტი ამ საფეხურზე იჩენს თავს და არ გვხვდება წინარე საფეხურის შიდა ქართლურ კულტურულ წრეში დამოწმებულ კერაზე, რომელიც კორპუსისა და შვერილების სისადავით გამოირჩევა [19, გვ. 34]. ზოგჯერ ამგვარი შვერილებით ზომორფული თუ ანთროპომორფული სახეებია გამოყვანილი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ციხიაგორის A ფენის კერა, რომელსაც ფოსოებით გაკეთებული თვალებიანი შვერილები აქვს [6, ტაბ. LVIII]. ბერიკლდეების ბედნური ფენის წრიული, ბორტიანი კერაც ზოგჯერ შემკულია ანთროპომორფული წყვილი გამოსახულებით, რომელსაც ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალები აქვს [20, გვ. 62]. მისი გენეტიკური სიახლოვე მტკვარ-არაქსულ კერასთან იმთავითვე იქნა შენიშნული ალ. ჯავახიშვილის მიერ. ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალებიანი მოზრდილი ტყუპი შვერილი ახასიათებს ბერიკლდეების სინქრონულ ზველის რაბათის კერასაც,

რომელიც მტკვარ-არაქსული და ბედენური კერამიკის შემცველ ფენაში აღმოჩნდა [7, გვ. 64]. შესაძლოა, მრგვალი კერის ფრაგმენტს წარმოადგენდეს აქვე აღმოჩენილი ფრაგმენტიც ზემოდან დაძვრული წყვილი მომცრო შვერილით [7, ტაბ. 30].

შვერილებიანია ჯავახეთიდან ცნობილი ერთი ოთხკუთხა კერაც. მისი ანალოგი ჩვენთვის უცნობია და მხოლოდ ზოგიერთი ნიშნის გათვალისწინებით (ზედაპირის დამუშავების ტრადიციული ტექნიკა, სხვა კულტურებში შვერილიანი კერის არარსებობა) ვფიქრობთ მტკვარ-არაქსული კულტურული წრისადმი მისი მიკუთვნების შესაძლებლობას [7, გვ. 64].

ამავე საფეხურზე არსებობას განაგრძობს რქისებრი [7, ტაბ. 30, 31] და ნალისებრი ზესადგარიც, ოღონდ რამდენადმე განსხვავებული სახით. დიგაშენი I ნასახლარზე აღმოჩენილ ნალისებრ ზესადგარს ზედა კიდე ზოგჯერ დაჭედული აქვს, რაც წინა საფეხურზე არ ჩანდა [9, გვ. 17]. კვლავაც გვხვდება კოჭისებრი სადგარი. ერთი ამგვარი სადგარი მსხლისებრი ფორმის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა სათხეს B1 უბანზე [13, ტაბ. V₄]. ამ საფეხურზე მრავლდება ცილინდრული ტიპის სადგარი. იგი ჭურჭლის ყელის მსგავსი ფორმისაა, ღრუ, შუაში შევიწროებული, ზოგჯერ ბრტყელი ძირით (ტაბ. III). წინარე საფეხურზე იგი იშვიათი იყო და წარმოდგებოდა ქვაცხელას B ფენის ცალით [18, ტაბ. IV]. IV საფეხურზე კი მას ვხვდებით ბადაანისა და ციხიაგორის B₁ ფენის ნასახლარზე [10, ტაბ. LXXXIII; 6, ტაბ. XLV]. მსგავსი სადგრებია კორუკუთეფესა და იანიკთეფეზე [52, Form 212, 215]. ცნობილია ის არსლანთეფეს VIB პერიოდშიც [52, გვ. 112]. ამ ტიპის, ოღონდ ბრტყელძირა სადგარი უფრო სომხეთის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. ზოგჯერ მას ყურეც აქვს მიძვრული [43, ტაბ. XVIII]. საქართველოში იგი ცნობილია ქვემო ქართლიდან – ლაითმაზიდან არარატული ვარიანტის კერამიკასთან ერთად და მიჩნეულია უცხო მტკვრის აუზისათვის და ტიპიურად არაქსის აუზისათვის [15, გვ. 132]. საერთოდ, ამგვარი სადგარი სამხრეთის ძეგლებიდან უხვადაა შემკული ჭრილი ან ფოსოებიანი ორნამენტით, რაც იშვიათია აღმოსავლეთი საქართველოს ცალეხისათვის. ერთი ბრტყელძირა ზესადგარის ფრაგმენტი კორპუსის ბოლოს შემოყოლებული ღარებით ცნობილია ჯავახეთიდანაც [8, სურ. I-15].

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში გავრცელებული სხვადასხვა ტიპის კერა-ზესადგარი უახლოეს პარალელებს ამავე კულტურის არეალის ძეგლებზე პოულობს. ამასთან, მათი გარკვეული ნაწილი ზოგჯერ რამდენადმე ტრანსფორმირებული სახით ამ კულტურის დასასრულამდე განაგრძობს არსებობას. ზოგიერთი ტიპი მხოლოდ ცალკეულ რეგიონს ახასიათებს, ზოგი კი საერ-

თოა მთლიანად საქართველოს ყველა მხარისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია მრგვალი, შვერილებიანი კერა, რომელიც ამ კულტურის პროტოტიპს წარმოადგენს და სხვაგან არსად გვხვდება [39, გვ. 156]. როგორც ფიქრობენ, იგი წარმოშობილი უნდა იყოს მრგვალი, შუაგულამოღებული კერისა და რქისებრი ან ნალისებრი სადგარის შერწყმის შედეგად [3, გვ. 55]. ფართოდ გავრცელდა ის საქართველოსა და სომხეთში [34, გვ. 175]. განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი მრგვალმა, შვერილებიანმა კერამ შიდა ქართლის კულტურულ წრეში. მისგან განსხვავებით მრგვალი, შუაგულამოღებული კერა მსგავსებას იჩენს წინა და შუა აზიის ადრეულ კულტურათა კერებთან [17, გვ. 64], მაგრამ შემდგომ ადგილობრივ ნიადაგზე ვითარდება [4, გვ. 164]. მას ისეთი ფართო გავრცელება არ მიუღია, როგორც მრგვალ, შვერილებიან კერას. იგი უფრო მეტად სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთში მკვიდრდება, მსგავსად მოსახლვრე ჩრდილო-დასავლეთი სომხეთისა, რომელიც სამხრეთ საქართველოსთან კავშირს სხვა მხრივაც იჩენს [9, გვ. 20].

ადრეული საფეხურიდანვე იწყებს გავრცელებას რქისებრი და კოჭისებრი სადგარიც. აღმოსავლეთ საქართველოდან მტკვარ-არაქსის კულტურის სხვადასხვა მიმართულებით განფენასთან უნდა იყოს დაკავშირებული ამგვარი სადგრების გაჩენა სომხეთსა და ჩრდილო კავკასიაში [22, გვ. 85, 164; 39, გვ. 365].⁵

ამ კულტურის მომდევნო საფეხურზე ტრადიციულის გვერდით ჩნდება ახალი ტიპის ზესადგრებიც – ცილინდრული და ნალისებრი, ანთროპომორფული შვერილით. ამასთან, თუ ცილინდრულს საქართველოს სხვადასხვა მხარეში ვხვდებით, ნალისებრი ანთროპომორფულ-შვერილიანი ზესადგარი მხოლოდ სამცხე-ჯავახეთიდანაა ცნობილი. ორივე ტიპის ზესადგარის გამოჩენა პირუკუ პროცესის – მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთი ოლქების – არარატის ველისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ვარიანტების გააქტიურების მაჩვენებელი უნდა იყოს აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებით. აქ ამ ოლქების კულტურული ნაკადების შემოღწევა კარგად ჩანს თიხის ჭურჭლითაც [22, გვ. 114; 6, გვ. 66].

საქართველოს ტერიტორიაზე, ბედენური კულტურის გავრცელების მიუხედავად, ჩანს არ ისპობა მტკვარ-არაქსული ტრადიციები. არსებობას კვლავ განაგრძობს ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული კერა-ზესადგარის ზოგიერთი ტიპი, თუმცა რამდენადმე შეცვლილი სახით, რაც

⁵ მკვლევართა უმრავლესობა ამ კულტურის ფართო განფენას სამხრეთ კავკასიიდან მტკვარ-არაქსული მოსახლეობის გავრცელებას უკავშირებს. ბოლო ხანებში ანალოგიური აზრი გამოთქვა გ. ფხაკაძემაც აკც-ს სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში „მტკვარ-არაქსული კერა-სადგრების გავრცელების საკითხისათვის“.

ამ კულტურათა ურთიერთხემოქმედების შედეგი უნდა იყოს.

А. З. Орджоникидзе

ОЧАГИ И ОЧАЖНЫЕ ПОДСТАВКИ КУРО – АРАКСКОЙ КУЛЬТУРЫ (ПО МАТЕРИАЛАМ ГРУЗИИ)

(резюме)

Существующая по сей день периодизация памятников куро – аракской культуры, в основном опирается на изучение керамического материала. Достоверность этой периодизации не – однократно была подтверждена стратиграфическими данными и радиоуглеродным методом. К керамическим изделиям относятся очаги и очажные подставки, которые отражают особенности религиозных представлений племен куро – аракской культуры Грузии и дают возможность выявить тесную связь с другими, иногда отдалёнными областями распространения этой культуры.

Богатый ассортимент этих вещей – круглые очаги разных типов, катушкообразные, роговидные, подковообразные и др. подставки – находят близкие аналоги в материалах памятников Южного и Северного Кавказа, а также Восточной Анатолии и Восточного Средиземноморья и указывает на культурную близость Грузии с этими регионами на разных этапах куро – аракской культуры.

A. Orjonikidze

HEARTHES AND ANDIRONS OF KURA-ARAXES CULTURE (ACCORDING TO THE MATERIALS OF GEORGIA)

(Summary)

The periodization of the monuments of the Kura-Araxes Culture is largely based on pottery. The periodization was repeatedly proved by stratigraphic evidence and the radiocarbon method. The hearths and andirons belong to ceramic materials. They reflect the religious belief of Kura-Araxes tribes on the territory of Georgia and reveal close contacts of distribution of this culture with other, occasionally rather remote regions.

Diverse materials discovered here – round hearths of different types, hornshaped, horseshoe

shaped, reelshaped andirons – bear analogy to the materials of the South and North Caucasus as well as Eastern Anatolia and the Eastern Mediterranean, pointing to the cultural closeness of Georgia with these regions in different stages of the Kura-Araxes culture.

ლიტერატურა

1. გაგოშიძე ი. არქეოლოგიური გათხრები ფრონეს ხეობაში 1997 წელს. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია. I, მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 16-17.
2. გობეჯიშვილი გ. თეორიულად ნასოფლარი. თბ., 1978.
3. კიკვიძე ი. ხიზანანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბ., 1971.
4. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.
5. მცხეთა, IX. თბ., 1989, გვ. 78-80.
6. მახარაძე ზ. ციხეაგორას მტკვარ-არაქსული ნასახლარი. თბ., 1994.
7. ორჯონიკიძე ა. სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში. თბ., 1983.
8. ორჯონიკიძე ა. მტკვარ-არაქსის კულტურის ახალი მასალები ჯავახეთის პლატოდან. – მაცნე, № 2, 1989, გვ. 172-176.
9. ორჯონიკიძე ა. ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი დიგაშენი I. – ძიებანი, № 1, 1998, გვ. 15-22.
10. საქართველოს არქეოლოგია. II, თბ., 1992.
11. ფხაკაძე გ. ქვემო ქართლის ენეოლითი. თბ., 1963.
12. ფხაკაძე გ. დასავლეთი ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში. თბ., 1993.
13. ქიქოძე ზ., კოლი ფ., მინდიაშვილი გ., ორჯონიკიძე ა. ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა სამხრეთ საქართველოდან – ძიებანი, № 2, 1998, გვ. 42-51.
14. ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. I, თბ., 1955.
15. ღლონტი ლ. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები. – ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-71). თბ., 1975, გვ. 129-136.
16. ღრმახვევისთავის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1980.
17. ჩუბინიშვილი ტ. ამირანის გორა. თბ., 1963.
18. ჯავახიშვილი ა., ღლონტი ლ. ურბნისი, I, თბ., 1963.
19. ჯავახიშვილი გ. ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში. თბ., 1984.

20. **ჯალაბაძე მ.** ბელენის კულტურა შიდა ქართლში. – საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1998. ხელნაწერის უფლებით. ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში.
21. **ჯაფარიძე თ.** ქართული ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.
22. **ჯაფარიძე თ.** ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბ., 1976.
23. **გამბაშიძე ო. ს., კვიჯინაძე კ. დ., ორჯონიკიძე ა. ზ.** Отчет работы Месхет–Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1977 (1980), с. 78–85.
24. **გამბაშიძე ო. ს., გამბაშიძე ი. ო.** Работы Месхет–Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1987 (1995), с. 48–54.
25. **გამბაშიძე ო. ს., კვიჯინაძე კ. დ., გამბაშიძე ი. ო.** Основные результаты работ Месхет–Джавахетской экспедиции в 1985–1986 г. – ПАИ, 1986 (1991), с. 27–34.
26. **გლonti ლ. ი., დჯავახიშვილი ა. ი.** Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита–поздней бронзы в Шида Картли – Бериклдееби. – КСИА, 192, 1987, с. 80–87.
27. **დედაბრიშვილი შ. შ.** Памятники эпохи ранней и средней бронзы. – ТКАЭ, I, 1969, с. 35–75.
28. **ესаян ს. ა.** Скульптура древней Армении. Ереван, 1980.
29. **ჯორჯიკაშვილი ლ. გ., გოგაძე ე. მ.** Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тბ., 1974.
30. **კავთარაძე გ. ლ.** К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии. Тб., 1983.
31. **куфтин Б. А.** Археологические раскопки в Триалети. I, Тб., 1941.
32. **куфтин Б. А.** Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тб., 1948.
33. **куфтин Б. А.** Урартский "колумбарий" у подошвы Арарата и куро–аракский энеолит. – ВГМГ, XIII–V, 1944. с. 1–71.
34. **Кушнарёва К. Х., Чубинишвили Т. Н.** Древние культуры Южного Кавказа. Л., 1970.
35. **Кушнарёва К. Х.** Южный Кавказ в IX–II тыс. до н.э. С–Пб., 1993.
36. **Любин В. П.** Археологическая разведка в окрестностях г. Сталинира. – КСИИМК, 60, 1955, с. 14–22.
37. **Мирцхулава Г. И., Мирцхулава Н. Д.** Экспедиция Иорского ущелья. – ПАИ, 1988 (1997), с. 24–26.
38. **Мунчаев Р. М.** Древнейшая культура Северо–Восточного Кавказа. – МИА, 100. М., 1961.
39. **Мунчаев Р. М.** Кавказ на заре бронзового века. М., 1975.
40. **Рамишвили Р. М. и др.** Археологическое изучение Арагвского ущелья. – ПАИ, 1984–85 (1987), с. 74–89.
41. **Рамишвили А. Т.** Раскопки в Хашурском районе в 1984–86 гг. – ПАИ, 1986 (1991), с. 22–25.
42. **Ростунов В. Л.** Куро–аракская культура на Центральном Кавказе. – Античность и варварский мир. Орджоникидзе, 1985, с. 3–42.
43. **Ханзадян Э. В.** Культура Армянского нагорья в III тыс. до н.э. Ереван, 1967.
44. **Хачатрян Т. С.** Древняя культура Ширака. Ереван, 1975.
45. **Цитланадзе Л., Мирцхулава Г., Гочиашвили М.** Археологические исследования в долине р. Нареквави. – ПАИ, 1974 (1976), с. 49–50.
46. **Цквитиниძე ზ. რ.** Поселение куро–аракской культуры из Орцклеби. – Палеолит Кавказа и сопредельных территории. Тб., 1990, с. 131–135.
47. **Чубинишвили Т. Н.** К древней истории Южного Кавказа. Тб., 1971.
48. **Braidwood R. Braidwood L.** Excavations in the plain of Antioch. Chicago, 1960.
49. **Hood S.** Excavations at Tabara el Akrad. – Anatolian Studies, № 1, 1951.
50. **Lloyd S., Mellaart J.** Beycesultan, II.
51. **Osten H.** The Alishar Hüyük, I, Chicago, 1937.
52. **Palmieri A.** Excavations at Arslan tepe (Malatya). – Anatolian Studies. 1981, № 31, p. 101-119.
53. **Sagona A.** The Caucasian region in Early Bronze Age, 1984.
54. **Sagona A., Pemberton E., Mc Phee L.** Excavations at Büyüktepe Hüyük, 1992. – Anatolian Studies, p. 69-83.
55. **Sagona A., Erkmén M., Sagona C., Thomas L.** Excavations at Sos Hüyük, – Anatolian Studies, 1996, XLVI, p. 27-52.

სურათების აღწერილობა

სურ. 1. – მტკვარ-არაქსის კულტურის კერები: I – შუაგულამოღებული; II – შვერილებიანი; III – ცილინდრული:

1. ზველი; 2. ამირანის გორა; 3. არგვეთი; 4. ხაშურის ნაცარგორა; 5. ტახტისძირი; 6. ბერიკლდეები; 7. ხიზანანთგორა; 8. ქვაცხელა; 9. ქულბაქები; 10. გუდაბერტყა; 11. მეტეხი; 12. ციხიაგორა; 13. ჟინვალი; 14. მუხათგვერდი; 15. დიდუბე; 16. თეთრი წყარო; 17. ორხევი; 18. ილტო; 19. ბადაანი; 20. ბარალეთი; 21. ახალქალაქი; 22. სათხე; 23. ოზნი; 24. ბეშთაშენი; 25. მჭადიჯვარი.

სურ. 2. – მტკვარ-არაქსის კულტურის კერის ზესადგრები: I – რქისებრი; II – კოჭისებრი:

1. ლოდობანა; 2. ზველი; 3. ამირანის გორა. 4. არგვეთი; 5. ხიზანანთგორა; 6. ქვაცხელა; 7. ცხინვალი; 8. აბანოსხევი; 9. ჟინვალი; 10. მჭადიჯვარი; 11. წეროვანი II; 12. ზემო ავჭალა; 13. კიკეთი; 14. აბელა; 15. ღრმახევისთავი; 16. განთიადი (ორწყლები); 17. ოზნი; 18. ბეშთაშენი; 19. სათხე; 20. პატარა ხორენია; 21. დილისკა.

სურ. 3. – მტკვარ-არაქსის კულტურის კერის ზესადგრები: I – ცილინდრული; II – ტორსისებრი; III – ნალისებრი:

1. ლელოვანი; 2. ბენარა; 3. ფარეხა; 4. ამირანის გორა; 5. ზველი; 6. ჩუნჩხა; 7. ბარალეთი; 8. დიგაშენი I; 9. განთიადი (ორწყლები); 10. აბელა; 11. ღაით-მაზი; 12. ბერიკლდეები; 13. ხიზანანთგორა; 14. ზღუდრისგვერდა; 15. ტყვიავი; 16. ციხიაგორა; 17. ზემო ავჭალა; 18. ბადაანი; 19. ჟინვალი.

Описание рисунков

Рис. 1 – Очаги куро-аракской культуры: I – кольцеобразные; II – с роговидными выступами; III – цилиндрические.

1. Звели; 2. Амيرانис гора; 3. Аргвети; 4. Хашурская Нацаргора; 5. Тахтисдзири; 6. Бериклдеები; 7. Хизанаантгора; 8. Квацхела; 9. Кулбакеби; 10. Гудабертка; 11. Метехи; 12. Цихиагора; 13. Жинвали; 14. Мухатгверди; 15. Дидубе; 16. Тетрицкаро; 17. Орхеви; 18. Илто; 19. Бадаани; 20. Баралети; 21. Ахалкалаки; 22. Сатхе; 23. Озни; 24. Бешташени; 25. Мчадиджвари.

Рис. 2 – Очажные подставки куро-аракской культуры: I – роговидные; II – катушкообразные.

1. Лодобана; 2. Звели; 3. Амيرانис гора; 4. Аргвети; 5. Хизанаантгора; 6. Квацхела; 7. Цхинвали; 8. Абаносхеви; 9. Жинвали; 10. Мчадиджвари; 11. Церо-

вани; 12. Земо Авчала; 13. Кикети; 14. Абелиа; 15. Грмахевистავი; 16. Гантиади (Орцклеби); 17. Озни; 18. Бешташени; 19. Сатхе; 20. Патара Хорения; 21. Дилиска.

Рис. 3 – Очажные подставки куро-аракской культуры: I – Цилиндрические; II – Торсовидные; III – Подковообразные.

1. Леловани; 2. Бенара; 3. Пареха; 4. Амيرانис гора; 5. Звели; 6. Чунчха; 7. Баралети; 8. Дигашени I; 9. Гантиади (Орцклеби); 10. Абелиа; 11. Гаит-Мази; 12. Бериклდეები; 13. Хизанаантгора; 14. Згудრისგვერდა; 15. Тквиავი; 16. Цихია – гора; 17. Земо Авчала; 18. Бадаани; 19. Жинвали.

Description of the figures

Fig. 1 – Hearths of the Kura-Araxes Culture: I – ring-shaped; II – with horn shaped knobs; III – cylindrical

1. Zveli; 2. Amiranis Gora; 3. Argveta; 4. Natsargora of Khashuri; 5. Takhtidziri; 6. Berikldeebi; 7. Khizanaantgora; 8. Kvatskhela; 9. Kulbakebi; 10. Gudabertqa; 11. Metekhi; 12. Tsikhiagora; 13. Zhinvali; 14. Mukhatgverdi II; 15. Didube; 16. Tetrtsqaro; 17. Orkhevi; 18. Ilto; 19. Badaani; 20. Baraleti; 21. Akhalkalaki; 22. Satkhe; 23. Ozni; 24. Beshtasheni; 25. Mchadijvari.

Fig. 2 – Andirons of the Kura-Araxes Culture: I – hornshaped; II – reelshaped

1. Lodobana; 2. Zveli; 3. Amiranis Gora; 4. Argveta; 5. Khizanaantgora; 6. Kvatskhela; 7. Tskhinvali; 8. Abanoskhevi; 9. Zhinvali; 10. Mchadijvari; 11. Tserovani II; 12. Zemo Avchala; 13. Kiketi; 14. Abelia; 15. Ghrmakhevistavi; 16. Gantiadi (Ortsqlebi); 17. Ozni; 18. Beshtasheni; 19. Satkhe; 20. Patara Khorenia; 21. Diliska.

Fig. 3 – Andirons of the Kura-Araxes Culture: I – cylindric; II – torsoshaped; III – horseshoe shaped.

1. Lelovani; 2. Benara; 3. Parekha; 4. Amiranis Gora; 5. Zveli; 6. Chunchkha; 7. Baraleti; 8. Digasheni I; 9. Gantiadi (Ortsqlebi); 10. Abelia; 11. Ghait-masi; 12. Berikldeebi; 13. Khizanaantgora; 14. Zghudrisgverda; 15. Tqviavi; 16. Tsikhiagora; 17. Zemo Avchala; 18. Badaani; 19. Zhinvali.

მარინა კვაჭაძე

შუაბრინჯაოვან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდაამავალი პერიოდის სამარხები სოფ. კავთისხევთან

დღეს უკვე მიღებულია, რომ შუაბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურა მის მომდევნო, გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურას უკავშირდება ე.წ. გარდამავალი პერიოდის ძეგლების საშუალებით, რომლებიც ხასიათდებიან, როგორც ძველი – შუა ბრინჯაოს ხანის, ასევე ახალი, გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით [7, გვ. 125-127; 10, გვ. 62-66; 5, გვ. 19-21; და სხვ.].

გარდამავალი ხანის ძეგლებს შეემატა კიდევ ერთი სამაროვანი სოფ. კავთისხევთან. 1996 წელს კასპის რ-ნის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზ. მახარაძე) სოფ. კავთისხევის ჩრდილო-დასავლეთით 1,5 კმ-ზე ნამოსახლარ იორამის გორასთან მდებარე მინდორზე გათხარა ორი ყორღანი და ოთხი ქვაყრილიანი ორმოსამარხი. სამარხები მიწის ზედაპირთან ახლოს მდებარეობდა, ამიტომ ქვაყრილები ძლიერ დაზიანებული იყო.

№ 1 ყორღანი ჩვენთვის ამჯერად საინტერესო პერიოდს არ ეკუთვნის, ამიტომ აქ არ განვიხილავთ.

№ 2 ყორღანს ჰქონდა მართკუთხა ფორმის ქვაყრილი, რომელსაც შემოლაგებული ჰქონდა მოზრდილი ქვები, ხოლო შიდა სივრცე შევსებული იყო მომცრო ქვებით (8 × 2,5 მ). შემორჩენილია მხოლოდ ქვაყრილის ჩრდილო ნაწილი. ყორღანის ქვაყრილი დაფარული იყო მიწაყრით. ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა მართკუთხა ფორმის, კუთხეებმომრგვალებული ორმოსამარხი (2,2 × 1,3 × 0,7 მ), რომელიც ქვით იყო ამოვსებული. სამარხი დამზრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთით. სამარხში მიცვალებული დაკრძალული იყო თავით ჩრდილოეთისაკენ, ძლიერ მოხრილი კიდურებით, მარცხენა გვერდზე. სამარხში აღმოჩნდა თიხის 3 ჭურჭელი – მიცვალებულის თავთან და 40-მდე მძივი – მიცვალებულის ყელისა და გულმკერდის არეში (ტაბ. I₁).

დერგი (№ 1) – კეცი ორფენიანია, ზედაპირი მოშავო, შიდა – მოყავისფრო; ზედაპირი ხაოიანია და დაღარული ჩარხისეული ხაზებით. მხარი შემკულია ამოღარული ტალღისებური, ირიბი ნაჭდეგებისა და გრეხილი რელიეფური სარტყლებით; ირიბი ნაჭდეგები შემოსდევს ძირზეც (ტაბ. I₄).

დერგი (№ 2) – კეცი ორფენიანია, ზედაპირი – შავი და ნაპრიალები, შიდა – მონაცრისფრო; შემკულია ორი წყვილი ამოღარული ხაზით (ტაბ. I₂).

ქილა (№ 3) – კეცი ორფენიანი აქვს, ზედაპირი – შავი და ნაპრიალები, შიდა მოყავისფრო. მხარი შემკულია ამოღარულ-ნაპრიალები, ერთმანეთის მიმართ დახრილი მოკლე ხაზების ჯგუფებისაგან შედგენილი ფრიზით (ტაბ. I₃).

მძივები სარდინის: ა) ოვალური ფორმის, ექვსწახანა (5 ცალი, 1 – სიგრძე 1,7 სმ; 4 –

სიგრძე 1,3 სმ) (ტაბ. I₅; ბ) დახეთქილი (16 ცალი); გ) მრგვალი (3 ცალი).

მძივები ცისფერი პასტის, ცილინდრული ფორმის (6 ცალი).

მძივები ბრინჯაოსი (10 ცალი, დიამ. – 1 მმ).

№ 2 ყორღანის აღმოსავლეთით 25 მ-ზე გაითხარა ქვაყრილიანი 4 ორმოსამარხი, რომელთა ყრილები ერთმანეთს ებჯინებოდა. № 1 სამარხს ჰქონდა წრიული ქვაყრილი (დიამ. 6 მ), რომლის ქვეშ აღმოჩნდა მართკუთხა ფორმის, კუთხეებმომრგვალებული ორმოსამარხი, ორიენტირებული ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. მიცვალებული დაკრძალული იყო თავით დასავლეთისაკენ, ძლიერ მოხრილი კიდურებით, მარცხენა გვერდზე. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მიცვალებულის პირისახისა და გულმკერდის წინ ეწყო თიხის 6 ჭურჭელი და წვრილფეხა საქონლის ძვლები (ტაბ. II₁).

ბადია (№ 1) – კეცი მოყავისფრო აქვს, ზედა და შიდა პირი – მოშავო და ნაპრიალები; მხარი შემკულია ნაპრიალები ბადისებური ორნამენტით (ტაბ. II₂).

ბადია (№ 2) – კეცი მოყავისფრო აქვს, ზედა და შიდაპირი – მოშავოა, ზედაპირი კარგად ნაპრიალებია. მხარი შემკულია 3 რელიეფური სარტყლით (ტაბ. II₃).

ქოთან (№ 3) – კეცი ლეგამოშავოა, ზედაპირი ხაოიანი და დაფარულია ჩარხისეული ხაზებით. მხარი შემკულია ამოღარული ტალღისებური სარტყლით (ტაბ. II₄).

ქილა (№ 4) – ზედაპირი შავი, კარგად გაპრიალებული, შიდაპირი – მოყავისფროა, მხარი შემკულია ნაჭდევი მოკლე ხაზებით შედგენილი სამკუთხედებით. მხარს ქვემოთ კი დატანილია ნაპრიალები წიწვისებური ორნამენტი და ვერტიკალური ხაზები (ტაბ. II₅).

ქოთან (№ 5) – კეცი მოყავისფრო აქვს; ზედაპირი ხაოიანია და დაფარულია ჩარხისეული ხაზებით. მხარი შემკულია ირიბი ნაჭდეგებისა და ამოღარული ტალღისებური სარტყლებით (ტაბ. II₆).

ქილა (№ 6) – კეცი ორფენიანია, ზედაპირი მოშავო და ნაპრიალები; შიდაპირი მოყავისფროა, მხარი შემკულია მოკლე ნაჭდეგებით შედგენილი ირიბი ხაზების სარტყლებით (ტაბ. II₇).

№ 2 სამარხი მდებარეობდა № 1 სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჰქონდა წრიული ქვაყრილი (დიამ. – 6 მ), რომლის მხოლოდ სამხრეთი ნაწილი იყო შემორჩენილი. სამარხი ორმო გეგმაში კუთხეებმომრგვალებული კვადრატის ფორმისაა (1,1 × 1,1 × 0,2 მ) და ორიენტირებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთით. სამარხში დაკრძალული იყო ბავშვი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით, ძლიერ მოხრილი კიდურებით, მარცხენა გვერდზე; იატაკზე შეიმჩნეოდა ნახში-

რისა და ცარცის კვალი. სამარხი უნივერსალური იყო.

№ 3 სამარხი მდებარეობდა № 1 სამარხის აღმოსავლეთით, ჰქონდა წრიული ქვაყრილი (დიამ. – 5 მ), რომლის ჩრდილოეთისა და დასავლეთის ნაწილი იყო შემორჩენილი; ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა მართკუთხა ფორმის, კუთხეებში მომრგვალებული ორმოსამარხი (1,4 × 0,7 × 0,7 მ), ორიენტირებული დასავლეთიდან აღმოსავლეთით. სამარხი ამოვსებული იყო ქვებით, ხოლო სამარხის კიდეებზე შეიმჩნეოდა ხის ძელების კვალი. ორმოსამარხი ცარიელი იყო. შესამდლოა, ეს კენოტაფია.

№ 4 სამარხი მდებარეობდა № 3 სამარხის ჩრდილოეთით; ქვაყრილი თითქმის არ შემორჩა. სამარხს ორმოს გადაფარებული ჰქონდა ქვიშაქვის ბრტყელი ფილა. სამარხი მართკუთხედის ფორმის კუთხეებში მომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა (0,95 × 0,4 × 0,4 მ), რომელიც მიმართული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით. სამარხში დაკრძალული იყო ბავშვი, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ძლიერ მოხრილი კიდურებით, მარჯვენა გვერდზე. მიცვალებულის თავთან იდო მრგვალი რიყის ქვა. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლები, ობსიდიანის ანატაკეცი და თიხის 3 ჭურჭელი (ტაბ. III).

ქოთანის (№ 1) – კეცი მოყავისფრო აქვს, ზედაპირი ხაოიანია და დაფარულია ჩარხისეული ხაზებით; მხარი შემკულია ამოღარული ტალღისებური და ირიბი ნაჭდევების სარტყლით. ძირის კიდე შემოსდევს ნაჭდევები (ტაბ. III).

ქოთანის (№ 2) – კეცი მოყავისფროა, ზედაპირი ლეგა-მოშავო და ხაოიანია. ხელითაა ნაძერწი (ტაბ. III).

ქილა (№ 3) – კეცი მოყავისფრო აქვს, ზედაპირი ლეგა-მოშავო. ხელითაა ნაძერწი. ვერ აღგა.

იორამის გორის სამარხებში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში გამოიყოფა რამდენიმე ტიპის თიხის ჭურჭელი: დერგები (ტაბ. I_{2,4}); ქოთნები (ტაბ. II_{4,6}; ტაბ. III_{2,3}); ქილები (ტაბ. I₃; ტაბ. II_{5,7}); ბადიები (ტაბ. II_{2,3}). სამკაულიდან აღმოჩნდა მხოლოდ სარდიონის, პასტისა და ბრინჯაოს მძივები (ტაბ. I₅).

ზემოთ აღწერილი თიხის ჭურჭელი ფორმის, კეცის სტრუქტურისა და ზედაპირის დამუშავებით ახლო მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ შუა ბრინჯაოდან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის არქეოლოგიურ მასალასთან. მაგ.: № 1 ქვაყრილიან ორმოსამარხში აღმოჩენილი ბადია (ტაბ. II₂), რომლის მხარი შემკულია ნაპრიალები ბადისებური ორნამენტით, ემსგავსება ზემო ბოლბის № 1 სამარხში [10, ტაბ. V₇], ბრიმანწყლის № 1 ყორღანის № 1 სამარხში [10, ტაბ. X₂], ბაიბურთის ქვედა და ზედა სამარხებში [7, LVI_{1, 2}], ცხინვალის სატყეო კომბინატის ტერიტორიაზე გათხრილ № 4 სამარხში [7, ტაბ. LV] აღმოჩენილ ბადიებს. № 1 სამარხში აღმო-

ჩენილ ქილას, რომელსაც ამკობს ნაპრიალები წიწვისებური ორნამენტი და მოკლე ნაჭდევებით შედგენილი სამკუთხედები, ზუსტი პარალელი არ მოეძებნება, მაგრამ მოკლე ნაჭდევებით შედგენილი ორნამენტები დამახასიათებელია შუაბრინჯაოს ხანის კერამიკისათვის [4, გვ. 43], ხოლო ნაპრიალები წიწვისებური ორნამენტი გვხვდება ცხინვალის სატყეო კომბინატის ტერიტორიაზე გათხრილ № 3 სამარხში აღმოჩენილ დერგზე [7, ტაბ. LIV].

შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნების მატარებელი კერამიკის გვერდით, ყოველ სამარხში აღმოჩნდა ხაოიანზედაპირიანი თიხის ჭურჭელი, რომელიც ხასიათდება ტანზე ჩარხისეული ხაზებით და რელიეფურ-ნაჭდევი ორნამენტების სარტყლებით. № 2 ყორღანში აღმოჩენილი დერგი (ტაბ. I₄) დიდ მსგავსებას იჩენს თრელის № 74 სამარხში აღმოჩენილ ჭურჭელთან [2, ნახ. 39]; ხოლო № 1 და № 4 ქვაყრილიან ორმოსამარხებში აღმოჩენილი ქოთნები (ტაბ. II_{4,6}; ტაბ. III₂) ჰგვანან ლილოს № 5 ყორღანში [9, ტაბ. V] აღმოჩენილ ქოთანს.

ამრიგად, იორამის გორის სამარხებში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელს აქვს შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნები: ზედაპირი კარგად მოგლუვებული და შავად გაპრიალებული, რომელზეც დატანილია ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი მოკლე ნაჭდევებით შედგენილი ორნამენტი (პუნქტირისებური) და ნაპრიალები ბადისებური და წიწვისებური ორნამენტული სახეები. ასეთი კერამიკის გვერდით აღმოჩნდა ე.წ. ბაიბურთული ტიპის თიხის ჭურჭელი: დაღარულზედაპირიანი კერამიკა, რომელიც შემკულია რელიეფური გრეხილი, ირიბი ნაჭდევებისა და ამოღარული ტალღისებური სარტყლებით, ხოლო ძირის კიდე შემოსდევს ირიბი, ღრმა ნაჭდევები. ამ ნიშნებით იორამის გორის ქვაყრილიანი ორმოსამარხები ახლო მსგავსებას ამჟღავნებენ აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ შუაბრინჯაოდან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ეპოქის არქეოლოგიურ მასალასთან. მაგრამ ამ პერიოდის ძეგლებზე არ არის აღმოჩენილი ოვალური ფორმის ექვსწახნაგა მძივები, რომლებიც ძირითადად თარიღდებოდა ძვ.წ. XIII-XII სს-ით [1, გვ. 321]. თუმცა რ. აბრამიშვილი არ გამორიცხავდა მათ აღმოჩენას უფრო ადრეულ ხანაში [3, გვ. 150-151].

სარდიონის ექვსწახნაგა მძივები აღმოჩენილია ძვ.წ. 1350-1300 წწ. დათარიღებულ სამთავროს სამაროვნის № 160 სამარხში [6, გვ. 48, ტაბ. XXVIII₉]; ასევე ძვ.წ. XIV ს-ით თარიღდება არტიკის სამაროვნის № 53 სამარხში აღმოჩენილი მძივი [11, გვ. 12]; უფრო ადრეული ხანით, ძვ.წ. XVII ს-ის II ნახევრით თარიღდება ზურტაკეტის № 2 ყორღანი, რომელშიც აღმოჩნდა ორი ექვსწახნაგა მძივი [8, გვ. 24, 248, ტაბ. III₂]. ამიტომ გარდამავალი ხანის სამარხში ექვსწახნაგა მძივების აღმოჩენა არ უნდა იყოს მოულოდნელი.

ამრიგად, იორამის გორასთან გათხრილი სამარხები, მოყვანილი პარალელების გათვალისწინებით [5, გვ. 21], თარიღდება შუაბრინჯაოდან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის II ეტაპით.

М. А. Квачадзе

ПОГРЕБЕНИЯ ПЕРЕХОДНОГО ПЕРИОДА ОТ СРЕДНЕЙ – К ПОЗДНЕЙ БРОНЗЕ БЛИЗ С. КАВТИСХЕВИ
(резюме)

В 1,5 км к северо-западу от с. Кавтисхеви (Каспский р-н), близ поселения Иорамис гора, раскопано несколько грунтовых погребений с каменной насыпью. Погребения были ингумационные. Инвентарь, в основном глиняная посуда, носит характерные признаки, как средней, так и поздней бронзы; шестигранные сердоликовые бусы впервые обнаружены в комплексе т.н. переходного периода, хотя аналогичные бусы были найдены в Зуртакетском кургане № 2, который датируется концом эпохи средней бронзы. Кроме этого в погребении № 2 был захоронен подросток без инвентаря, а погребение № 3 было пустым – вероятно это кенотаф.

Исходя из параллельного материала, курган № 2 с четырехугольной каменной насыпью и четыре погребения с круглой каменной насыпью датируются концом т.н. переходного периода от средней – к поздней бронзе.

М. Kvachadze

BURIALS OF THE TRANSITIONAL PERIOD FROM THE MIDDLE BRONZE TO THE LATE BRONZE AGE FROM THE VILLAGE OF KAVTISKHEVI
(Summary)

Several pit burials were excavated 1.5 km north-east of the village of Kavtiskhevi (Kaspi district), near the settlement of "Ioramis Gora." These were inhumation burials. The inventory, mainly pottery bears characteristics of both Middle Bronze and Late Bronze Ages.

Oval-shaped sard beads were discovered for the first time in a so-called transitional period complex. Similar beads were also discovered in barrow 2 of Zurtaketi, being dated to the end of the Middle Bronze Age.

Besides, in burial 2 a child was buried while burial 3 was empty – apparently a cenotaph.

Judging by parallel materials barrow 2 and pit burials 1-4 are dated to the end of the transitional

period from the Middle Bronze to the Late Bronze Age.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმ, ტ. XXII-B, 1961, გვ. 291-377.
2. აბრამიშვილი რ. თრელის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი. – თბილისი, I, თბ., 1978, გვ. 48-85.
3. აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი კ., ოქროპირიძე ნ., სულთანაშვილი ი. თრელის სამაროვნის ძვ.წ. XIII-XII სს-ის სამარხები. – თბილისი, I, თბ., 1978, გვ. 86-159.
4. გოგაძე ე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.
5. რამიშვილი ალ. შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიური პრობლემები. ავტორ. ისტ. მეცნ. დოქტ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998.
6. სადრაძე ვ. სამთავროს სამაროვნის ბრინჯაოს ხანის ძეგლები. თბ., 1997.
7. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.). თბ., 1973.
8. ჯაფარიძე თ. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969.
9. გოგაძე Э. Курганные погребения Лило. – ВГМГ, XXXII – В, 1976, с. 223 – 252.
10. Пицхелаური К. Восточная Грузия в конце бронзового века. Тб., 1972.
11. Хачатрян Л. Артикский некрополь. Ереван, 1979.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I – № 2 ყორღანი და ინვენტარი.
ტაბ. II – № 1 წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხი და ინვენტარი.
ტაბ. III – № 4 წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხი და ინვენტარი.






Описание таблиц


- Табл. I – Курган № 2 и инвентарь.
Табл. II – Погребение № 1 и инвентарь.
Табл. III – Погребение № 4 и инвентарь.

Description of the plates



- Pl. I – Barrow № 2 and inventory.
Pl. II – № 1 circular stone embankment pit burial and inventory.
Pl. III – № 4 circular stone embankment pit burial and inventory.

ტაბ. I





ტაბ. III



აპროარქეოლოგია შირაქში

1991 წლის სექტემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიური ძეგლების ტექნიკური მეთოდებით ძიების ჯგუფმა შირაქის არქეოლოგიურ ექსპედიციას (ხელმძღვ. ბ. მაისურაძე) მიაწოდა ინფორმაცია, რომ 1971 წელს გადაღებულ აეროფოტოსურათებზე კამერალური დემიფრირებით აღმოჩენილი იყო რამდენიმე საინტერესო ობიექტი. გამოვლენილი ობიექტები დედოფლისწყაროს სამხრეთით, დაახლოებით 14-19 კმ-ზე იყო საგულვებელი. ამის საფუძველს იძლეოდა დედოფლისწყაროდან ნაზარლების მთისაკენ მიმავალი შირაქის საავტომობილო გზის პირველივე გასაყართან შემჩნეული ანთროპოგენული ხასიათის ლანდშაფტის მადემასკირებელი გეომეტრიული კონფიგურაციისა და რელიეფის არაბუნებრივი დანაწევრების ნიშნები. ამ ნიშნებიდან ოთხი შეკრული ოვალისა და წრეების სისტემას წარმოადგენდა. გამოითქვა ეჭვი, რომ ისინი ნამოსახლარების თავდაცვითი ნაგებობები უნდა ყოფილიყო, ხოლო მათ მიდამოებში შემჩნეული შედარებით მცირე ზომის შავი წრეებით შეკვებული ფართობები – დასახლებისაგან დარჩენილი ნაგებობათა ნაშთები (ტაბ. 1, 2).

იმავე წელს შირაქის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ტექნიკური მეთოდებით ძიების ჯგუფთან ერთად შემოწმდა ის ადგილები, სადაც აეროფოტოსურათებზე გამოვლენილი ობიექტები მდებარეობდა. დაზვერვით მიკვლევულ იქნა ოთხი ნამოსახლარი ბორცვი, რომლებიც განლაგებული არიან დედოფლისწყაროს რაიონში მდ. ივრის მარცხენა მხარეს ნაზარლების მთისა და დედოფლისწყაროს შორის, ამ უკანასკნელიდან 14-18 კმ-ის მანძილზე. ნამოსახლარების ერთი ჯგუფი ერთმანეთის მიყოლებით მჭიდროდაა განლაგებული (ნაქალაქარი?) (ტაბ. II, რუკა).

ექსპედიციამ პირველი და მესამე ნამოსახლარები მოსინჯა მცირე თხრილებით. პირველ ნამოსახლარზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ტიპური, გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები, სარლასტზე ნალესი ბათქაშები და შენობათა ქვის საძირკვლები, რომლებიც ნაგებია დიდი ნაგლევი და მოზრდილი რიყის ქვებით (ტაბ. II). ნაგებობებიდან შემორჩენილია მხოლოდ შენობის კუთხის ფრაგმენტები, ორი ნაგებობის ნაშთი და მესამე შენობის კედელი. ნამოსახლარის დაზიანებულ ნაწილში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს გაიწმინდა კულტურული ფენების გაშიშვლება, რომელშიც კარგად ფიქსირდება დამწვარი კულტურული ღონეები (ტაბ. II).

პირველი ნამოსახლარი ბორცვის სადაზვერვო თხრილიდან მომდინარე კერამიკის ფრაგმენტები დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან,

ზოგიერთ მათგანს კეცში აქვს წვრილი თეთრი მინარევი, არის ისეთი ცალებიც, რომელთა კეცი ორფენიანია – შიდაპირი მოყავისფრო, გარეთა პირი – ლეგა ნაცრისფერი. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები გამოწვარია ნაცრისფრად, ზოგიერთ მათგანს არათანაბარი გამოწვის გამო ზედაპირზე აქვს მოშავო ლაქები, არის ისეთი თიხის ჭურჭლის ნატყეხებიც, რომლებიც დამზადებულია სუფთა, განლექილი თიხისაგან. ფრაგმენტებს ამკობს წრიულად ამოღარული, ყელის ძირს ღრმად ამოღარული და ვერტიკალური ხაზები, ჩარხისეული, ფრჩხილისეული ორნამენტი, ტალღურად ამოღარული ორი ხაზი, ნაპრი-ალები ორნამენტი და სხვა. ფრაგმენტები ძირითადად მიეკუთვნება თიხის ჭურჭლის პირებს, პირ-გვერდის და ძირის ფრაგმენტებს (ტაბ. III, IV₁₋₆). ანალოგიური თიხის ჭურჭელი დამახასიათებელია იორ-ალაზნის აუზის გვიანბრინჯაოს ხანისათვის [6, ტაბ. III; 7, ტაბ. IV-V; 8, ტაბ. XVII-XVIII, XXIV, XXX, 1, ტაბ. XLV-LI, LIII, LV; 3, ტაბ. XV-XVIII, XX].

მესამე ნამოსახლარი ბორცვი მდებარეობს ნაზარლების მთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, პატარა შირაქის მისადგომებთან. ზღვის დონიდან მისი სიმაღლეა 716,5 მ. იგი მკვეთრად არის დანაწევრებული ერთმანეთთან მჭიდროდ და უსისტემოდ განლაგებული ნაგებობების ნაშთებით. ბორცვის დასავლეთით უნდა მდებარეობდეს ორმაგი ზღუდით შემოსაზღვრული ციტადელი, რომელიც დასახლებას უერთდება კარიბჭით.

ნამოსახლარი ბორცვის თხემზე და სამხრეთის მხარეს გავლებულ იქნა ორი სადაზვერვო თხრილი (5 × 2 მ; 5 × 1,5 მ). სადაზვერვო თხრილებიდან მომდინარე კერამიკის ფრაგმენტები დამზადებულია ლეგად, ნაცრისფრად, მოყავისფროდ და მოშავოდ გამოწვარი ქვიშანარევი თიხისაგან. ზოგიერთ მათგანს ზედაპირი შავი, ხოლო შიდაპირი ნაცრისფერი აქვს. თიხის ჭურჭლების პირის რამდენიმე ფრაგმენტს ბაკო ბრტყელი აქვს, რომელზედაც შემოუყვება წრიულად და ირიბად ამოღარული ხაზები. ზედაპირზე აქვთ ჩარხისეული ხაზები, ღრმად ამოღარული ერთი წრიული ხაზი, რომლის ქვემოთაც დატანილია ტალღურად ამოღარული ხაზების სარტყელი; რელიეფურად დატანილი ზოლი, დაფარული იგივე ტალღური ორნამენტით. შემორჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები მიეკუთვნება პირის, პირ-გვერდის, ძირ-გვერდის, ყურის ფრაგმენტებს. ამავე სადაზვერვო თხრილებში აღმოჩენილია ობსიდიანის უსახო ანატ-კეცები (ტაბ. IV₇₋₁₇, V).

ნაზარლების № 1 ნამოსახლარი განსხვავდება № 3 ნამოსახლარისაგან თავისი კონფიგურაციით, არა აქვს ტერასები და მისი კულტურუ-

ლი ფენა უფრო მძლავრია, ეტყობა ნაცრის კვალი. № 1 ნამოსახლარი უფრო ადრეული ძეგლია, ვიდრე № 3 ნამოსახლარი. № 3 ნამოსახლარის კულტურული ფენა უფრო სუსტია (№ 1 საღებავო თხრილში მიწის პირიდან 0,67 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა გრუნტი), გამართულია ბუნებრივ შემადლებულ ადგილზე, ერთფენიანი ძეგლია და იქ აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტის მიხედვით უნდა დათარიღდეს ძვ.წ. I ათასწ. შუა ხანებით.

როგორც აეროფოტოსურათებმა, ისე ადგილზე ჩატარებულმა საველე დაზვერვებმა გვაჩვენა, რომ საქმე გვაქვს სხვადასხვა პერიოდის განსხვავებული არქიტექტონიკის ნამოსახლარ ძეგლებთან, თუმცა, როგორც ჩანს, ყველა შემთხვევაში ძეგლის გამაგრებული ნაწილი არ უნდა წარმოადგენდეს მუდმივ საცხოვრებელს და, მხოლოდ საშიშროების შემთხვევაში, მოსახლეობის დროებითი თავშესაფრის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. როგორც ჩანს, აერომეთოდით არქეოლოგიური კვლევა შირაქისათვის მაღალეფექტურია, რაც იმედს გვაძლევს, რომ ამ მიმართულებით გაგრძელებული შემდგომი სამუშაოები მრავალ მნიშვნელოვან აღმოჩენასთან მივყვანს [4; 5].

В. Г. Майсурадзе, Г. М. Миндиашвили

АЭРОАРХЕОЛОГИЯ В ШИРАКИ (резюме)

Осенью 1991 года Ширакская экспедиция (рук. В. Майсурадзе) Центра археологических исследований АН Грузии провела разведки для идентификации открытых на аэрофотоснимках археологических объектов. Полевая дешифровка, проведенная совместно с группой поиска археологических памятников с помощью технических методов, подтвердила существование в 14–18 километрах к югу от Дедоплисацкаро нескольких поселений с оборонительными комплексами. В 1992 году заложенные на двух поселениях разведывательные раскопы показали, что поселение № 1 относится к эпохе поздней бронзы, а № 3 – к середине I тысячелетия до н.э.

В. Maisuradze, G. Mindiashvili

AEROARCHAEOLOGY IN SHIRAKI (Summary)

In autumn 1991, the Shiraki archaeological expedition (director B. Maisuradze) of the Centre for Archaeological Studies Acad. Sci. of Georgia carried out exploratory work in order to identify archaeological sites found in aerial photographs. Field deciphering conducted jointly with the group searching for archaeological sites with technological means confirmed the existence of several sites with defensive complexes 14-18 km south of Dedoplis-Tsqaro. In 1992 exploratory digs were made at two sites, demonstrating that site I belonged to the Late Bronze Age and site III to the middle of the 1st millennium B.C.

ლიტერატურა

1. **კობაიძე ლ.** ჩალიანხევის სამაროვანი "A". – კავშ, VI, 1984, გვ. 108-129.
2. **მამიაშვილი ნ.** ძვ.წ. I ათასწ. პირველი ნახევრის სამაროვანი საგარეჯოდან. – კავშ, VIII, 1988, გვ. 72-111.
3. **მაისურაძე ბ.** არქეოლოგიური გათხრები სოფ. თეთრწყლებში. – კავშ, IV, 1980, გვ. 81-100.
4. **მაისურაძე ბ., გომიაშვილი ნ.** შირაქის არქეოლოგიური ექსპედიციის 1991 წლის საველე სამუშაოების ანგარიში. 1992, ხელნაწერი (ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიური ძეგლების დოკუმენტაციისა და პუბლიკაციის განყოფილების ფონდში).
5. **მაისურაძე ბ., გომიაშვილი ნ.** შირაქის არქეოლოგიური ექსპედიციის 1992 წლის საველე სამუშაოების ანგარიში. 1993, ხელნაწერი (ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიური ძეგლების დოკუმენტაციისა და პუბლიკაციის განყოფილების ფონდში).
6. **ფიცხელაური კ.** იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა. წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ., 1965.
7. **ფიცხელაური კ.** აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.). (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). თბ., 1973.
8. **Пицхелаури К. Н.** Восточная Грузия в конце бронзового века. – ТКАЭ, т. III, 1979.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – აეროფოტოსურათები: 1. ნაზარლების ნამოსახლარები შირაქის გზის გაყოლებით; 2. ნაზარლების ნამოსახლარი № 3.

ტაბ. II – 1. ნაზარლების ნამოსახლარების რუკა; 2. ნაზარლების ნამოსახლარი № 1 –

კულტურული ფენის გაშიშვლების პროფილი; სადაზვერვო თხრილის გეგმა და ჭრილები.

ტაბ. III, IV₁₋₆ – ნაზარლების ნამოსახლარი № 1, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები სადაზვერვო თხრილიდან.

ტაბ. IV₇₋₁₇ – ნაზარლების ნამოსახლარი № 1, კერამიკული მასალა კულტურული ფენის გაშიშვლებიდან.

ტაბ. V – ნაზარლების ნამოსახლარი № 3, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები თხრილიდან.

Описание таблиц

Табл. I – Аэрофотоснимки Ширакских поселений Назарлеби: 1. Поселения вдоль дороги; 2. Поселение № 3.

Табл. II – 1. Карта расположения поселений Назарлеби; 2. Назарлеби, поселение № 1, профиль оголенного культурного слоя; разведывательный раскоп – план и разрезы.

Табл. III, IV₁₋₆ – Назарлеби, поселение № 1, фрагменты глиняных сосудов из разведывательного раскопа.

Табл. IV₇₋₁₇ – Назарлеби, поселение № 1, керамика из оголенного культурного слоя.

Табл. V – Назарлеби, поселение № 3, фрагменты глиняных сосудов из раскопа.

Description of the Plates

Pl. I – Aerial photographs of the Shiraki sites Nazarlebi: 1. Site along the road; 2. Site 3.

Pl. II – 1. Map of the location of the Nazarlebi site; 2. Nazarlebi, settlement № 1, profile of a cultural layer; trial trench – plan and sections.

Pl. III, IV₁₋₆ – Nazarlebi, site 1, pottery fragments from the trial trench.

Pl. IV₇₋₁₇ – Nazarlebi, site 1, fragments of clay vessels from the cultural layer.

Pl. V – Nazarlebi, site 1, pottery fragments from the trench.


ტაბ. I




1





2



1





- | | |
|---------------------|----------------------|
| 1. ბალახოვანი | 4. დამწვარი |
| 2. I კულტურული ფენა | 5. II კულტურული ფენა |
| 3. ძვლები | 6. ნაგებობის ნაშთი |







2

ტაბ. III







დაკრძალვის წესი ბორჯომის ხეობაში კვ. VIII-VI საუკუნეებში

1969-1988 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, შემდგომ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ო. ლამბაშიძე) გაითხარა ოთხი მრავალფენიანი სამაროვანი: რველის, ჩითახევის, კვირაცხოვლის და ბორნილელის. ოთხივე სამაროვანზე დაფიქსირდა რკინის ფართო ათვისების ხანის – ძვ.წ. VIII-VI სს-ის სამარხები.

სამაროვნები მდებარეობენ ბორჯომის რაიონში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ბორჯომ-ახალციხის საავტომობილო გზის გასწვრივ, სოფ. რველიდან სოფ. ქვაბისხევამდე, ერთმანეთისაგან 5-10 კმ-ის დაშორებით.

მიუხედავად გეოგრაფიული სიახლოვისა, ყველა სამაროვანი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება (თუმცა, რა თქმა უნდა, საერთოც ბევრია). ეს გარემოება გარკვეულწილად აისახა დაკრძალვის წესშიც.

აგებული მხრივ სამარხები ორ ჯგუფად იყოფა: ორმოსამარხებად და ქვისსამარხებად. მათი რაოდენობრივი თანაფარდობა ყველა სამაროვანზე სხვადასხვაა. მაგ., ბორნილელეს სამაროვანზე თუ მხოლოდ ორი ქვითნაგები სამარხი გვხვდება, რველის სამაროვანზე ამ პერიოდის ყველა სამარხი ქვაყუთს წარმოადგენს. კვირაცხოვლის სამაროვანზე ამ პერიოდის არცერთი ქვისსამარხი არ დაფიქსირდა. რაც შეეხება ჩითახევის სამაროვანს, აქ საკმაო რაოდენობითაა როგორც ორმოსამარხები (15 სამარხი), ისე ქვისსამარხები (28 სამარხი).

ორმოსამარხები შეიძლება კიდევ ორ ჯგუფად დაიყოს: ორმოსამარხებად, რომლებიც ნიადაგისაგან არაფრით გამოიყოფა (ტაბ. I₄) და ქვებით შემოზღუდულ ორმოსამარხებად (ტაბ. I₁).

სამარხების შემოსაზღვრულად ჩვეულებრივ დაუმუშავებელი, საშუალო ზომის ბაზალტის ან რიყის ქვები გამოიყენებოდა, რომლებიც სამარხის ზედაპირს ერთ ან ორ რიგად შემოუყვებოდნენ. ასეთი სამარხები დაფიქსირდა კვირაცხოვლისა და ბორნილელის სამაროვნებზე (ტაბ. I₁).

ზშირია შემთხვევები სამარხთა თავზე ქვაყრილების არსებობისა. ისინი გვხვდება როგორც ორმოსამარხების, ისე ქვისსამარხების თავზე. ქვაყრილიანი ორმოსამარხები დაფიქსირდა ბორნილელისა და კვირაცხოვლის სამაროვნებზე, ხოლო ქვაყრილიანი ქვისსამარხები – ჩითახევის სამაროვანზე.

მოყვანილობის მიხედვით ორმოსამარხები არის როგორც მართკუთხედის, ისე ოვალის (ჩითახევის № 15 სამარხი) და მრავალკუთხედის ფორმისა. ზოგი სამარხის ფორმა კი საერთოდ არ იკითხება. ქვისსამარხები ძირითადად სწორ-

კუთხედის ფორმისაა, რომელთა სიგრძე ოდნავ აჭარბებს ხოლმე სიგანეს. ისინი უმეტეს შემთხვევაში ბრტყელი ფილაქვებით ყოფილან დახურული, მაგრამ სახურავი ყველგან სამარხში იყო ჩაწოლილი. იატაკი როგორც ორმოსამარხებში, ისე ქვისსამარხებში მიწისაა.

ქვისსამარხები ნაგებია მშრალი წყობით. სამშენებლო მასალად გამოიყენებოდა დაუმუშავებელი, მაგრამ საგანგებოდ შერჩეული ბაზალტის ქვები (ტაბ. II₂).

მიცვალებულთა დაკრძალვის წესის მხრივ სამარხები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: 1) ინჰუმაციურ სამარხებად, 2) კრემაციურ სამარხებად, 3) ე.წ. „შერეული“, ანუ ისეთ სამარხებად, სადაც დადასტურდა დაკრძალვის როგორც ინჰუმაციური, ისე კრემაციული წესი.

სხვადასხვა სამაროვანზე ამ ტიპის სამარხების რაოდენობრივი თანაფარდობა სხვადასხვაა: ბორნილელის სამაროვანზე გვხვდება 26 ინჰუმაციური, 14 კრემაციული და 18 ე.წ. „შერეული“ სამარხი; ჩითახევის სამაროვანზე – 28 ინჰუმაციური, 14 კრემაციული და 2 „შერეული“ სამარხი. კვირაცხოვლის სამაროვანზე დადასტურდა 6 ინჰუმაციური და 1 კრემაციული სამარხი. „შერეული“ სამარხები აქ არ დაფიქსირებულა, რველის სამაროვანზე კი, გარდა ერთი გამოწკლისისა, მხოლოდ ინჰუმაციური სამარხებია.

ოთხივე სამაროვანზე გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილადი და კოლექტიური სამარხები. ბორნილელის სამაროვანზე 21 ინდივიდუალური და 27 წყვილადი და კოლექტიური სამარხია, ჩითახევის სამაროვანზე – 16 ინდივიდუალური და 11 წყვილადი და კოლექტიური სამარხი, კვირაცხოვლის სამაროვანზე – 3 ინდივიდუალური და 3 წყვილადი სამარხი, რველის სამაროვანზე კი – 6 ინდივიდუალური და 4 წყვილადი სამარხი.

კოლექტიურ სამარხებში არის შემთხვევები, როცა ერთი მიცვალებულის ჩონჩხი კარგადაა შენახული, დანარჩენის ძვლები კი იმდენად არეულია, რომ მათ რაოდენობაზე მხოლოდ მიახლოებით შეიძლება მსჯელობა (ტაბ. I₄). ზოგჯერ სამარხის ცენტრალურ ნაწილში დასვენებულია მიცვალებულის კარგად შენახული ჩონჩხი, ხოლო სხვა მიცვალებულთა ძვლები სამარხის ერთ რომელიმე კუთხეშია მიხვეტილი (ტაბ. I₄). სავარაუდოა, რომ ასეთ სამარხებში რამდენიმე თაობის მიცვალებულია დაკრძალული და ყოველი ახალი მიცვალებულის დაკრძალვისას, ძველი მიცვალებულის ნამუსრევს სამარხის ერთ კუთხეში მიაწყოდნენ. ასეთი რამ კი მხოლოდ საგვარეულო სამარხებში შეიძლება მომხდარიყო.

ზოგ კოლექტიურ სამარხში მიცვალებულები ერთ სიბრტყეზე – იატაკის დონეზე არიან დაკრძალული, ხოლო ზოგან ერთმანეთზე დაკრძალვის ფაქტებიც გვხვდება.

არის შემთხვევები, როდესაც კრემაციულ ან ე.წ. „შერეულ“ სამარხებში მიცვალებულთა დამწვარი ძვლები დადასტურდა რამდენიმე ჭურჭელში (მაგ., ბორნილელის № 76 სამარხში აღმოჩნდა ცხრა მიცვალებულის ჩონჩხი და სამი კრემაციული ურნა-ქოთანნი (ტაბ. III). სხვადასხვა ჭურჭლებში აღმოჩენილი ძვლები შესაძლოა ერთ მიცვალებულს ეკუთვნოდეს, შესაძლოა – რამდენიმეს.

კრემაციული ურნები უმეტეს შემთხვევაში მკაფიოდ გამოკვეთილ სამარხებში გვხვდება. მაგრამ არის შემთხვევები (მაგ., ჩითახევის № 88 სამარხი), როდესაც ურნად გამოყენებული მცირე ზომის ქოთანნი უშუალოდ მიწაში იყო ჩადგმული. ზოგჯერ პირიქით, საკმაოდ დიდი ზომის (120×105×76 სმ) ქვებით შემოზღუდულ ორმოსამარხში, როგორცაა ბორნილელის № 26 სამარხი, მხოლოდ ერთი კრემაციული ურნა-ქოთანნი აღმოჩნდა (ტაბ. I₂).

ურნებად ყოველთვის საყოფაცხოვრებო და ნიშნულების ჭურჭელია გამოყენებული, ძირითადად სხვადასხვა ზომის ქოთნები. ადამიანის დამწვარი ძვლები დადასტურდა აგრეთვე ჯამბეში და ერთ შემთხვევაში (ბორნილელის № 50 სამარხში) ჩაიდნისებურ ჭურჭელში. ურნა-ქოთნები, უმეტეს შემთხვევაში, ჯამბებით იყო თავდასურული (ტაბ. II₃), იშვიათად სარქველის მაგივრობას საგანგებოდ შერჩეული ბრტყელი ქვა ასრულებდა.

სამარხთა და მიცვალებულთა დამხრობის მხრივ, ზემოაღნიშნულ სამაროვნებზე საკმაოდ განსხვავებული სურათი შეიმჩნევა. მაგ., ბორნილელის სამაროვანზე ყველაზე ხშირია მიცვალებულთა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დამხრობა (18 შემთხვევა). ხუთი შემთხვევაა მიცვალებულის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობისა, ორი – დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, სამი შემთხვევაა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ, სამი – სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და ორი შემთხვევაა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დამხრობისა.

კვირაცხოვლის სამაროვანზე ერთი მიცვალებული დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ერთი – დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ერთი – ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და ერთი – სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

რველის სამაროვანზე ყველაზე ხშირია ქვაყუთებისა და შესაბამისად მიცვალებულთა სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დამხრობა (5 შემთხვევა), ერთი შემთხვევაა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობისა, სამ შემთხვევაში სამარხები და მიცვალებულები დამხრობილნი არიან ჩრდილოეთიდან სამხრეთი-

საკენ, ორ შემთხვევაში კი – ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

არის შემთხვევები, როდესაც კოლექტიურ და წყვილად სამარხებში მიცვალებულები სხვადასხვა მხარეს არიან დამხრობილი. მაგ., ბორნილელის № 44 სამარხში ერთი მიცვალებული დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ხოლო ორი – ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ან ჩითახევის № 6 სამარხში ერთი მიცვალებული თუ სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენაა დამხრობილი, მეორე პირიქით – ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და ა.შ.

ოთხივე სამაროვანზე მიცვალებულები უმრავლეს შემთხვევაში დაკრძალული არიან კიდურებმოხრილ მდგომარეობაში მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე (ტაბ. I). კოლექტიურ და წყვილად სამარხებში გვხვდება შემთხვევები, როცა იქ დაკრძალული ყველა მიცვალებული მარჯვენა ან მარცხენა გვერდზეა დასვენებული ან როცა ერთ სამარხში ზოგი მიცვალებული მარჯვენა გვერდზეა დაკრძალული, ზოგი – მარცხენაზე. ზოგჯერ მიცვალებულებს თავქვეშ დაუშუშავებელი ბრტყელი ქვა – ე.წ. „სასთუმალი“ ედო (ტაბ. I₃). ზოგ სამარხში კი ჩონჩხი იმდენად ცუდად იყო დაცული, რომ ვერ მოხერხდა დაკრძალვის პოზის დადგენა.

ერთი საინტერესო შემთხვევა დაფიქსირდა ბორნილელის № 36 სამარხში. იქ დაკრძალული მიცვალებულის ჩონჩხი მარცხენა გვერდზე იყო დასვენებული, თავის ქალა კი მარჯვენა ყვრიმალზე იდო. სამარხს მარცვისა და აოხრების კვალი არ ეტყობა. ასე რომ, ეს გარემოება საკმაოდ ძნელი ასახსნელია.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გავგაჩნია ანთროპოლოგიური და კრანოლოგიური დასკვნები, ამიტომ მიცვალებულთა სქესის შესახებ მისდამი ჩატანებული ინვენტარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ.⁶ ამ მხრივ კი დაკრძალვის პოზაში (მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე დაკრძალვა) არავითარი კანონზომიერება არ შეინიშნება. ერთსა და იმავე სამაროვანზე მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე დაკრძალული არიან როგორც მამაკაცად, ისე ქალად მიჩნეული მიცვალებულები, როგორც მოზრდილი ადამიანები, ისე ბავშვები.

იშვიათად თუ გვხვდება სამარხი ინვენტარის გარეშე. კრემაციულ ურნა-ქოთნებშიც ხშირია ინვენტარი: ძირითადად სამკაული, ზოგ შემთხვევაში იარაღიც კი. მაგ., ბორნილელის № 8 სამარხის ურნა-ქოთანში აღმოჩნდა რკინის საგანგებოდ მოღუნული მახვილი, რომელსაც ცეცხლში ყოფნის კვალი ეტყობა. ცეცხლში

⁶ თუმცა ზოგ სამარხში ამ მხრივაც გაურკვეველი ვითარებაა. მაგ., ჩითახევის № 26 სამარხში დაკრძალულ მიცვალებულს აღმოაჩნდა როგორც წმინდა ქალური (საყურები, გულსაკიდი, მძივები, სამაჯური და ა.შ.), ისე მამაკაცური ინვენტარი (მახვილი, სატევარი, ისრისპირები და სხვ.).

ყოფნის კვალი ეტყობოდა ურნა-ქოთნებში აღმოჩენილ სხვა ნივთებსაც.

იშვიათად მაგრამ მაინც არის კრემაციული ურნები, სადაც გარდა ადამიანის დამწვარი ძვლებისა არაფერი აღმოჩენილა.

ურნებში არსებული დამწვარი ძვლების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აქ მიცვალებულთა ნაწილობრივ კრემაციასთან გვაქვს საქმე. გვამის მთლიანად დაწვისა და ფერფლად ქცევის კვალი არც ერთ სამარხში არ დაფიქსირებულა. ძვლები ტვინისაგან გაცილებილი არ არის. მთლიანად წვაგდნენ მიცვალებულს თუ მხოლოდ მის ნაწილს, ასევე ძნელი დასადგენია. თუმცა ისეთ პატარა ჭურჭლებში, როგორც ურნებად გამოყენებული ქოთნებია, კრემირებული მთელი სხეულის მოთავსება ალბათ შეუძლებელი იქნებოდა. ინჰუმაციურ სამარხებში სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები (საქინძები, ბალთები და სხვ.) უმრავლეს შემთხვევაში გვხვდება თვით ჩონჩხის უშუალო სიახლოვეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი მიცვალებულს დაკრძალვის დროს სხეულზე და ტანსაცმელზე ჰქონია, სხვა სახის სამარხეული ინვენტარი, როგორცაა იარაღი და ჭურჭელი გვხვდება სამარხის სხვადასხვა ადგილებში – ზოგჯერ მიცვალებულისაგან საკმაოდ დაშორებით, ზოგჯერ კი უშუალოდ მიცვალებულის წინ ან უკან. ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ სამარხეულ ინვენტარს სრულიად განსხვავებული, თვალშისაცემი ადგილი ეჭირა. ასე მაგ., ჩითახევის № 85 კრემაციულ სამარხში საგანგებოდ შერჩეულ ბრტყელ ქვაზე იღო ბრინჯაოს სატყუარი.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სამარხებში გვხვდება საქონლის (როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა) და შინაური ფრინველის ძვლები. განსაკუთრებით ხშირია ასეთი შემთხვევები ჩითახევის სამაროვანზე.

არის შემთხვევები (მაგ., ბორნიღელის № 65 სამარხში), როდესაც კოლექტიურ სამარხებში დაკრძალულ მიცვალებულთაგან ერთ რომელიმე მათგანს გამორჩეული ადგილი უჭირავს და სამარხეული ინვენტარიც ძირითადად მასთანაა დაკავშირებული, რაც, ალბათ, გარკვეული დიფერენციაციაზე უნდა მიუთითებდეს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს სამაროვნები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ამ მხრივ პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნიშნებს, რომლებიც რველის სამაროვანს დანარჩენი სამაროვნებისაგან განასხვავებს: 1) აქ ძვ.წ. VIII-VI სს. დათარიღებული ყველა სამარხი, გარდა ერთი გამონაკლისისა (№ 7 სამარხი), ქვითნაგებია; 2) არ გვხვდება კრემაციული დაკრძალვის არც ერთი შემთხვევა; 3) სამარხეულ ინვენტარში თუმცა საგრძნობლად შეინიშნება კოლხური კულტურის გავლენა (განსაკუთრებით ბრინჯაოს ნივთებში), მაგრამ მაინც ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა დომინირებს (მხოლოდ ამ სამაროვანზეა აღმოჩენილი

სკვითური ისრისპირებიც); 4) ადრეული პერიოდის – ძვ.წ. XV-XIII და X-IX სს. დათარიღებული სამარხები რველის სამაროვანზე ორმოსამარხებს წარმოადგენენ, ე.ი. ქვისსამარხები აქ მხოლოდ ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში არსებობს.

შედარებით სამხრეთით მდებარე ჩითახევის სამაროვანზე ორმოსამარხებისა და ქვითნაგები სამარხების რაოდენობრივი თანაფარდობა უფრო გაწონასწორებულია (28 ქვისსამარხი და 15 ორმოსამარხი). აქ უკვე გვხვდება დაკრძალვის კრემაციული წესიც (8 სამარხში).

რაც შეეხება კვირაცხოვლისა და ბორნიღელის სამაროვნებს, რომლებიც კიდევ უფრო სამხრეთით მდებარეობს, გარდა ორი გამონაკლისისა არც ერთი ქვითნაგები სამარხი არ გვხვდება და საგრძნობლად მატულობს კრემაციულ ურნა-ქოთანთა რიცხვიც (განსაკუთრებით ბორნიღელზე). ეს ის სამაროვნებია, სადაც აშკარად დომინირებს კოლხური კულტურა.

ოთხივე სამაროვანზე შესანიშნავადაა გამოკვეთილი ქრონოლოგიური ფენები (ძვ.წ. XVI-XIII სს.; ძვ.წ. XII-IX სს.; ძვ.წ. VIII-VI სს. და რველის სამაროვანზე აქემენიდური პერიოდის რამდენიმე სამარხი). დაკრძალვის კრემაციული წესი კი მხოლოდ ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში ჩანს გავრცელებული (თუმცა არსებობს გამონაკლისიც – ჩითახევის № 44 სამარხი, რომელიც ძვ.წ. XIV-XIII სს. თარიღდება) [5, გვ. 58-62; 11, გვ. 50-53].

რითი შეიძლება იყოს ყოველივე ეს გამოწვეული? შეიძლება დავუშვათ რამდენიმე ვერსია:

1) **ახალი ეთნიკურ-რელიგიური ტალღის შემოჭრა.** ამ საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქვა ო. ღამბაშიძემ [6, გვ. 404]. კრემაციული სამარხების გამოჩენას იგი ძვ.წ. VII საუკუნეში კიმერიელების მიერ ფრიგიის სამეფოს – „მუშქების ქვეყნის“ განადგურებას, მიდიის გაძლიერებას, ასურეთისა და ურარტუს დაცემას, ერთი სიტყვით, იმ დიდ პოლიტიკურ კატაკლიზმებს უკავშირებს, რომელიც იმ დროინდელ მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მოხდა და რომელმაც, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გამოიწვია „ხეთიზებული მესხური ტომების“ [9, გვ. 236] ჩრდილოეთით გადმონაცვლება. სწორედ მათ მოიტანეს, ო. ღამბაშიძის აზრით, ხეთურ სამყაროში საყოველთაოდ გავრცელებული კრემაცია. აქ, სამხრეთ კავკასიის სამხრეთ რეგიონებში ისინი შეერწყნენ მკვიდრ მოსახლეობას (ანუ იმ მოსახლეობას, რომელსაც ეკუთვნოდა ზემოაღნიშნული სამაროვნების ქვედა ფენები) და მოხდა ამ ორი ეთნიკურ-რელიგიური ერთობის შერწყმა-თანაარსებობა რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებით. ამის

დასტურად ო. ღამბაშიძე ე.წ. „შერეულ“ სამარხებს მიიჩნევს⁷ [6, გვ. 40-41].

ჩვენი აზრით, ამ მოსაზრებას გააჩნია როგორც არგუმენტები, ისე კონტრარგუმენტებიც: ერთი მხრივ, ამ პერიოდში მართლაც მოხდა დიდი პოლიტიკური ძვრები, რომლებმაც მკვლევართა აზრით, გამოიწვია მცირე აზიაში – ფრიგიის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ქართველური ტომების – „მუშქების“ სამხრეთ კავკასიაში შემოსვლა. მცირე აზიაში, ურმიისპირეთსა და ჩრდილო მესოპოტამიაში ამ პერიოდში მართლაც, საკმაოდ გავრცელებული იყო დაკრძალვის კრემაციული წესი მცირე ზომის ურნებში. ასევე უცხო არ არის ერთ სამაროვანზე დაკრძალვის ორგვარი წესის არსებობა. თუმცა ერთ სამარხში ასეთი რამ საკმაოდ იშვიათი მოვლენაა.

მეორე მხრივ, ე.წ. „შერეული“ სამარხები ლოგიკურად მხოლოდ საოჯახო სამარხები შეიძლება ყოფილიყო, ე.ი. ერთ სამარხში დაკრძალული იყო ორი სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების ადამიანი ანუ არსებობდა, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, „შერეული ოჯახები.“ ჩვენი აზრით, ასეთი სამარხების საკმაოდ დიდი პროცენტული რაოდენობა ამ მოსაზრებას საეჭვოს ზღის. საეჭვოა აგრეთვე ამგვარი რელიგიური შემწყვანარებლობის იმ ეპოქაში არსებობა. გარდა ამისა ძნელი დასაჯერებელია, რომ ახალმა ეთნიკურმა ტალღამ მხოლოდ დაკრძალვის ახალი წესი მოიტანოს და სხვა არაფერი. როგორც აღვნიშნეთ, ამ სამაროვნებზე ინვენტარი ძირითადად კოლხური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიურია. მნიშვნელოვანი მცირეაზიური ელემენტი მასში არ ჩანს. აქ არ გვხვდება ფრიგიისათვის (ანუ იმ ქვეყნისათვის, საიდანაც უნდა მომხდარიყო „მუშქების“ შემოჭრა) დამახასიათებელი მონათული კერამიკა. ფრინველისა და ცხოველთა ფორმის კერამიკული ჭურჭლები, ბრინჯაოს ჭურჭლები და ა.შ. [7, გვ. 255, ტაბ. XXXIV-XXXVI]. თუმცა ო. ღამბაშიძე ბორნილელის ერთ-ერთ კრემაციულ სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ითიფალურ ქანდაკებაში, რომელსაც თავზე ნახევარმთვარისებური მუზარადი ხურავს (სურ. 1), მცირეაზიურ ელემენტებს ხედავს. მსგავსი მუზარადი ახურავს ცაგერის მუზეუმში დაცულ ბრინჯაოს მხედრის ქანდაკებასაც, რომელსაც შ. ამირანაშვილი ასევე მცირე აზიურად მიიჩნევს [1, გვ. 52, ტაბ. IV]. ცნობილია აგრეთვე ჩვენს მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრება, რომ მამაკაცური ნაყოფიერების კულტი საქარ-

თველოში მცირე აზიიდანაა შემოსული, მაგრამ ეს უფრო ადრეულ ხანებშია სავარაუდო.



სურ. 1. ბრინჯაოს ითიფალური ქანდაკება. ბორნილელის № 32 სამარხი.

ჩვენი აზრით, დაკრძალვის წესში მომხდარი ცვლილებების მუშქების შემოჭრასთან დასაკავშირებლად ჯერ არ არსებობს საკმაოდ არგუმენტები, პირველ რიგში ნივთიერი მასალა. ერთი ნივთი რაოდენ შთაბეჭედავიც არ უნდა იყოს შორსმდევალი დასკვნების გამოტანისათვის მაინც არ გამოდგება. თუმცა ო. ღამბაშიძის მოსაზრება ძალზე საინტერესოა და მომავალში სინქრონული ძეგლების აღმოჩენით, ალბათ, ბევრ რამეს მოეფინება ნათელი.

2) სხვადასხვა გარემოებაში გარდაცვლილ მიცვალებულთა განსხვავებული წესით დაკრძალვა. ამ საკითხის წამოჭრისას, მაშინვე ჩნდება ასოციაცია კოლხურ სამყაროში საყოველთაოდ გავრცელებულ მეორად დაკრძალვასთან. რეგიონი კოლხური კულტურის გავრცელების არეალშია.⁸ კოლხეთში ამ დროს მეორადი დაკრძალვა ნაწილობრივი კრემაციით საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა (ცნობები: აპოლონიოს როდოსელის, ნიმფოდორე სირაკუზელის, ფსევდო-პლუტარქეს, კლაუდიუს ელინიუსის და სხვ.). მაგრამ ბორჯომის ხეობის სამაროვნები საგრძნობლად განსხვავდება კოლხური სამაროვნებისაგან: აქ არ გვხვდება დიდი კოლექტიური სამარხები ე.წ. „საძვლები,“ ისე როგორც პალურში [4, გვ. 96-97], ნიგვზიანში [2, გვ. 71] ან ურეკში [2, გვ. 15-18]. ისინი არც ბრილისა [3, გვ. 191] და წითელი შუქურას [10, გვ. 149-150] სამაროვნებს ჰგვანან, სადაც მეორადი დაკრძალვა დადასტურებულია ურნების გარეშე და სადაც კრემაცია პირდაპირ სამარხ ორმოებში ხდებოდა. აქ არაა აღმოჩენილი უშუალოდ სამაროვნის სიხლოვეს არსებული კრემაციული მოედნები, რომლებიც ასე დამახასიათებელია კოლხეთისათვის. არაა ასევე სრული კრემაცია, როგორც, მაგალითად, ურეკში [2, გვ. 15-18] ან გუადიხუზე [10, გვ. 46-50]. კოლხეთშიც (ეშერა) გვხვდება მეორადი დაკრძალვა თი-

⁷ ო. ღამბაშიძე ხეთურ სამყაროსთან კავშირით ხსნის აგრეთვე ჩითახევის № 44 სამარხში კრემაციული ურნის არსებობას (ეს სამარხი ძვ.წ. XIV-XIII სს. თარიღდება). იგი პარალელს ავლებს ხეთების სახელმწიფოში ე.წ. „შუა მეფობის ხანაში“ გავრცელებულ დაკრძალვის წესთან.

⁸ ეს ჩანს არა მხოლოდ მატერიალურ კულტურაში, არამედ ამ მხარის ტოპონიმიკაშიც.

ნის ჭურჭლებში – ე.წ. „ოსუარიუმებში“, მაგრამ კრემაციის გარეშე [8, გვ. 181-182].

ასე რომ, კოლხურ სამყაროსთან ამ მხრივ განსხვავება მეტია, ვიდრე საერთო (საერთოა ნაწილობრივი კრემაცია). მაგრამ ეს მაინც არ გამოირიცხავს შესაძლებლობას, რომ აქაც სწორედ კოლხეთისათვის დამახასიათებელ მეორად დაკრძალვასთან გვეკონდეს საქმე, მით უმეტეს, რომ თვით კოლხეთშიც სხვადასხვა სამაროვნები ამ მხრივ საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან (ცენტრალური კოლხეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი კოლხეთი, ბრილი). თუმცა ამ ვერსიის გადაჭრით მტკიცებაც, ჩვენი აზრით, ჯერჯერობით არ იქნებოდა მართებული.

3) სქესობრივი ან ასაკობრივი სხვაობა.

ეს ვერსია ყველაზე ნაკლებ დამაჯერებელია, ვინაიდან ინჰუმაციურად დაკრძალული მიცვალებულები არიან როგორც ქალები, ისე მამაკაცები (ჩატანებული ინვენტარის მიხედვით).

არც ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს განსხვავებული დაკრძალვის წესის მიზეზი, ვინაიდან ინჰუმაციურად დაკრძალული არიან როგორც ხანდაზმული, ისე ახალგაზრდა ადამიანები და მცირეწლოვანი ბავშვები.

4) სოციალური სხვაობა.

ესეც ნაკლებ დამაჯერებელია, ვინაიდან ინჰუმაციური და კრემაციური დაკრძალვის წესი თანაარსებობს ერთ სამარხში, ე.ი. ერთ ოჯახში.

ამ სამაროვნების თავისებურებაა აგრეთვე მიცვალებულთა დამხრობასა და დაკრძალვის პოზაში (მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე დასვენება) რაიმე კანონზომიერების არარსებობა (თანამედროვე ხედვით). ის გარემოება, რომ ამა თუ იმ სამაროვანზე ამა თუ იმ მიმართულებით დამხრობა ზოგჯერ სხვებს სჭარბობს, შეიძლება შემთხვევითიც იყოს.

ბორჯომის ხეობაში არ გვხვდება განსაკუთრებით მდიდრული სამარხები (თუმცა გარკვეული დიფერენციაცია თვალსაჩინოა), არაა ოქროსა და ელექტრუმის ნივთები, იშვიათია ვერცხლი. სამაგიეროდ უხვი და მრავალფეროვანია ბრინჯაოსა და რკინის ნივთები. განსხვავებით კოლხეთისაგან, აქ მიცვალებულებს საერთოდ არ ატანდნენ სამეურნეო იარაღებს: თოხებს, სეგმენტებს და სხვ.

მომავალი გათხრები როგორც სამხრეთით (სამცხის ტერიტორიაზე), ისე რველის ჩრდილოეთით, ალბათ, ბევრ საკითხს მოჰფენს ნათელს. ერთი რამ კი აშკარად შეიმჩნევა: კრემაციური დაკრძალვის წესის მატარებელი კულტურა, რომელზედაც აშკარაა კოლხური სამყაროს მძლავრი გავლენა, ბორჯომის ხეობაში ვრცელდება სამხრეთიდან და მისი გავრცელების ჩრდილოეთი საზღვარი ჯერჯერობით თანამედროვე ბორჯომის მახლობლად (რველი) ფიქსირდება.

Р. Д. Квиркваиа

ПОГРЕБАЛЬНЫЙ ОБРЯД В БОРЖОМ – СКОМ УЩЕЛЬЕ VIII – VI ВВ. ДО Н.Э.

(резюме)

В 1969 – 1988 годах Месхет-Джавахетская археологическая экспедиция Института истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили, впоследствии Центра археологических исследований (рук. О. Гамбашидзе) в Боржомском ущелье, на левом берегу р. Куры раскопала четыре многослойных могильника: Рвельский, Читахевский, Квирацховельский и Борнигельский. На каждом из них зафиксирован более или менее мощный слой, который датируется VIII-VI до вв. н.э.

Несмотря на географическую близость, эти могильники различаются своими достаточно характерными особенностями. На определенном уровне это нашло свое отражение и в погребальном обряде.

Погребения на этих могильниках представлены двумя типами: грунтовыми и каменными ящиками. Их количественное соотношение на разных могильниках разное.

По обряду погребения на этих могильниках захоронения делятся на три группы: 1) ингумационные, 2) кремационные, 3) погребения, где зафиксированы оба обряда захоронения, или т.н. смешанные погребения. Их количественное соотношение на разных могильниках тоже разное.

Покойники почти всегда захоронены в скорченном положении, на левом или на правом боку. В этом отношении нет никаких различий между женскими и мужскими погребениями.

Кремация только частичная. Полного сожжения покойника нигде не зафиксировано. Обугленные кости, в которых сохранились остатки костного мозга, уложены в сосудах бытового назначения, чаще всего в горшках, которые были закрыты мисками или плоскими камнями.

Очень редки безинвентарные погребения. Инвентарь – чаще всего украшения, а иногда оружие, встречаются и в кремационных урнах.

Рвельский могильник в достаточной степени отличается от других могиль-

ников. Здесь все погребения VIII – VI вв. до н.э. каменные ящики, а одно грунтовое. Не зафиксировано ни одного случая кремационного захоронения. Хотя в достаточной степени чувствуется влияние колхидской культуры (особенно в бронзовых изделиях), но все-таки на могильнике доминирует центральнокавказская культура.

Существование кремационных и ингумационных захоронений О. Гамбашидзе связывает с падением Фригийского государства в VII в. до н.э. в результате нападения киммерийцев, вследствие чего произошло перемещение "хеттизированных месхов" (мушков) на север – на Южный Кавказ.

Можно допустить и второе предположение. В VIII – VI вв. до н.э. в Колхиде было широко распространено вторичное захоронение с частичной кремацией. Хотя там не встречаются случаи помещения обугленных костей в урнах и сосуществования таких урн с ингумационными захоронениями. И в общем, колхидские могильники отличаются также по другим признакам от могильников Боржомского ущелья, но и в самой Колхиде в этом отношении нет одинаковой картины (Центральная Колхида, Северно – Восточная Колхида, Брили). Очевидно, что Боржомское ущелье в этот период находится под сильным влиянием колхидской культуры. Это хорошо отражается не только в материальной культуре, но и в топонимике этого края. Поэтому допустимо, что зафиксированный здесь обряд кремационного захоронения был одним из разновидностей колхидского вторичного захоронения.

Пока нет достаточных материалов для разрешения вопроса о происхождении кремационного обряда захоронения (малоазийского или колхидского) на этих могильниках.

R. Kvirkvaia

BURIAL CUSTOMS IN BORJOMI IN THE 8TH-6TH CENTURIES B.C.

(Summary)

In 1969-1988 the Meskhet-Javakheti archaeological expedition (director O. Ghambashidze) excavated four multilayer necropoleis: Rveli, Chitakhevi, Kviratskhoveli and Bornighele in the Bor-

jomi valley on the left bank of the Mtkvari. Layers of varying thickness were brought to light at all necropoleis dating from the 8th-6th cent. B.C.

Despite geographical closeness these necropoleis are distinguished for quite a few characteristics, clearly reflected in the burial customs.

According to their structure, the necropoleis fall into two groups – pit burials and cists.

According to burial customs, the burials are divided into three groups: 1) inhumation burials, 2) cremation burials and 3) so-called "mixed burials" – burials where both above-cited burial customs are in evidence.

The deceased was almost invariably buried in the crouched position lying on the right or left side, irrespective of gender (according to inventory).

Cremation was only partial. Not a single case of full cremation was attested. Charred bones with the marrow intact were put into household utensils, mainly in pots covered with basins or flat stones.

Burials without inventory are rare. Inventory – mainly jewelry and occasionally weapons occur in cremation urns.

The necropolis of Rveli differs appreciably from the other ones: all the burials of the 8th-6th cent. B.C. were built of stone, except burial 7; not a single case of cremation was attested. Though the influence of Colchian culture is felt at this necropolis (especially in bronze items), still east Transcaucasian and so-called "Samtavro" culture are predominant.

In O. Ghambashidze's view, the co-existence of cremation and inhumation at the necropoleis of Chitakhevi and Bornighele in the 7th cent. B.C. was connected with the incursion of Cimmerians into the Kingdom of Phrygia and invasion of the Transcaucasus by the Mushki, Hittitised Meskhan tribes.

Another view may be advanced: secondary burial with partial cremation was widely spread in Colchis in the 8th-6th cent. B.C. However, placement of bones in urns and their co-existence with inhumation burials are not attested. In general Colchian necropoleis differ from the cited necropoleis in many other features. But the picture is not uniform in Colchis proper (Central Colchis, North-eastern Colchis, Briili). At the period under discussion, Borjomi valley fell under the strong influence of Colchis. This is well reflected not only in material culture but also in the toponymy of this region. Partial cremation evidenced here, may have been a form of secondary burial, widely practiced in the Colchian World.

However, in the author's view, so far the evidence is not enough for a positive assertion of the former or latter view. Future excavations will probably shed new light on many problems.

ლიტერატურა

1. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1944.
2. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985.
3. გობეჯიშვილი გ. განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეებთან. – საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959, გვ. 190-206.
4. თქრობირიძე ნ., ბარამიძე მ. პალურის საძვლე. – მსკა, VI, 1977, გვ. 95-107.
5. დამბაშიძე თ. რველის სამაროვანი. – მმ, № 39, 1975, გვ. 58-62.
6. დამბაშიძე თ., დამბაშიძე ი. ახალი არქეოლოგიური მასალები სამცხე-ჯავახეთიდან. – მმ, № 4, 1987, გვ. 36-43.
7. საზარაძე ნ. მცირე აზია ძვ.წ. XII-VII საუკუნეებში. ფრიგია. – ძველი აღმოსავლეთის ისტორია. თბ., 1988, გვ. 249-258.
8. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. Т. 1, Тб., 1944.
9. Меликишвили Г. К истории древней Грузии. Тб., 1959.
10. Трапш М. Труды. Т. 2, Сухуми, 1969.
11. Гамбашидзе О., Артилакვა В. О работе Месхет – Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1974 (1976), с. 50 – 53.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I – 1. ბორნიღელის № 21 სამარხი; 2. ბორნიღელის № 26 სამარხი; 3. ჩითახევის № 93 სამარხი; 4. ბორნიღელის № 85 სამარხი.
- ტაბ. II – 1. ჩითახევის № 21 სამარხი. აღმოსავლეთი კედელი; 2. კრემაციული ურნა-ქოთანის (ჩითახევის № 88 სამარხი).
- ტაბ. III – 1. ბორნიღელის № 76 სამარხი; 2. ბორნიღელის № 76 სამარხი (ჭრილი).

Описание таблиц

- Табл. I – 1. Борнигельский могильник. Погребение № 21; 2. Борнигельский могильник. Погребение № 26; 3. Читахевский могильник. Погребение № 93; 4. Борнигельский могильник. Погребение № 85;
- Табл. II – 1. Читахевский могильник. Погребение № 21. Восточная стена; 2.

Кремационная урна. Читахевский могильник. Погребение № 88.

Табл. III – 1. Борнигельский могильник. Погребение № 76; 2. Борнигельский могильник. Погребение № 76 (разрез).





Description of the plates



Pl. I. – 1. Burial 21 of Bornighele; 2. Burial 26 of Bornighele; 3. Burial 93 of Chitakhevi; 4. Burial 85 of Bornighele.



Pl. II. – 1. The eastern wall of burial 21 of Chitakhevi; 2. Cremational urn-pot (burial 88 of Chitakhevi).

Pl. III. 1. – Burial 76 of Bornighele; 2. Burial 76 of Bornighele (section).

ტაბ. I







2

0 10 20

დიმიტრი ახვლედიანი, რუსუდან ფუთურიძე

კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი როდოსულ აფორათა ღამლები

კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი იმპორტული ნაწარმის დამლათაგან, როდოსული ამფორების ღამლები წარმოადგენენ ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს. ჩვენი ნაშრომის მიზანია ამ მასალის მთლიანად შეტანა სამეცნიერო მიმოქცევაში.

როგორც ცნობილია, როდოსულ ამფორებზე ღამლები დაიტანებოდა ორივე ყურზე. ერთ ღამლაზე ეწერა ეპონიმის სახელი. როდოსზე ეპონიმი იყო ჰელიოსის ქურუმი. მისი სახელი ღამლაზე იღვანათესაობით ბრუნვაში, ჩვეულებრივ თავსართ $\iota\pi\lambda$ -თან ერთად. ზოგიერთ შემთხვევაში ქურუმის წოდების აღნიშვნით – $\epsilon\pi\lambda\mu\delta$. მეორე ღამლაზე ეწერა ფაბრიკანტის საკუთარი სახელი, უმრავლეს შემთხვევაში ნათესაობით ბრუნვაში, იშვიათად სახელობითში. როდოსული კალენდრის თვის დასახელება ხან ეპონიმის ღამლაში თავსდება, ხან ფაბრიკანტის. გარდა ამისა როდოსული ღამლები აღიჭურვებოდნენ ემბლემით. ხშირად ეს იყო ვარდის (ზოგჯერ მას ბროწეულის ყვავილს უწოდებენ), უფრო იშვიათად ჰელიოსის თავის გამოსახულება. ხანდახან სხვა ემბლემაც დაიტანებოდა. ემბლემა ან ეპონიმის ღამლაზე თავსდებოდა, ან ფაბრიკანტის.

თავდაპირველად ვ. გრეისმა ეპონიმთა ღამლები ექვს ქრონოლოგიურ ჯგუფად დაჰყო და ისინი შემდეგნაირად დაათარიდა: I – ძვ.წ. IV ს-ის ბოლო – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი; II – დაახლოებით ძვ.წ. 280-220 წწ.; III – დაახლოებით ძვ.წ. 220-180 წწ.; IV – დაახლოებით ძვ.წ. 180-150 წწ.; V – ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარი; VI – ძვ.წ. II ს-ის ბოლო – ძვ.წ. I ს-ის დასაწყისი [13, გვ. 514-540].

სადღეისოდ როდოსულ ეპონიმთა ღამლების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხში ერთსულოვნება არ არსებობს და ამდაგვარად გამოიყურება:

ვ. გრეისი, ი. ამპერეუარი – Ia – ძვ.წ. 380-280 წწ.; Ib – ძვ.წ. 279-270 წწ.; Ic, d – ძვ.წ. 269-240 წწ.; IIa – ძვ.წ. 239-225 წწ.; IIb – ძვ.წ. 224-206 წწ.; IIIa – ძვ.წ. 205-202 წწ.; IIIb – ძვ.წ. 201-194 წწ.; IIIc – ძვ.წ. 193-189 წწ.; IIId – ძვ.წ. 188-183 წწ.; IIIe – ძვ.წ. 182-175 წწ.; IVa – ძვ.წ. 174-156 წწ.; IVb – ძვ.წ. 155-146 წწ.; Va, b – ძვ.წ. 145-108 წწ.; VI – ძვ.წ. 107-88 წწ.; VII – ძვ.წ. 85 წ. – ავეუსტუსის ხანამდე.

გ. ფინკელშტეინი – Ia – ძვ.წ. 300-269 წწ.; Ib – ძვ.წ. 268-259 წწ.; Ic – ძვ.წ. 258-245 წწ.; I d – ძვ.წ. 244-229 წწ.; IIa – ძვ.წ. 228-214

წწ.; IIb – ძვ.წ. 213-195 წწ.; IIIa – ძვ.წ. 194-191 წწ.; IIIb – ძვ.წ. 171-164 წწ.; IIIc – ძვ.წ. 182-178 წწ.; IIId – ძვ.წ. 177-172 წწ.; IIIe – ძვ.წ. 171-164 წწ.; IVa – ძვ.წ. 163-156 წწ.; IVb – ძვ.წ. 155-146 წწ.; Va – ძვ.წ. 145-111 წწ.; Vb – ძვ.წ. 111-108 წწ.; VI – ძვ.წ. 107-88 წწ.; VII – ძვ.წ. 85 – ავეუსტუსის ხანამდე (ეს ორივე ცხრილი მოცემულია ფილკენშტეინის ნაშრომში [13, გვ. 279-296]).

ბ. ბიორკერი, ი. ბუროვი – I – ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა – ძვ.წ. 240 წ.; II – ძვ.წ. 240-205 წწ.; III – ძვ.წ. 205-175 წწ.; IV – ძვ.წ. 175-150 წწ.; V – ძვ.წ. 149-108 წწ.; VI – ძვ.წ. 107-88 წწ.; VII – ძვ.წ. 85 – ძვ.წ. I ს-ის მეორე მესამედი [9, გვ. 14].

როდოსულ ფაბრიკანტთა ღამლები ცალკე შეისწავლა ი. ბადალიანცმა. იგი დაეყრდნო ვ. გრეისის მიერ შემუშავებულ ეპონიმთა ღამლების ძველ ქრონოლოგიას და მეთუნეთა ღამლები შემდეგნაირად დააჯგუფა:

I¹ – ძვ.წ. IV ს-ის შუა წლები – ძვ.წ. 300წ.; I – ძვ.წ. 300-275 წწ.; I² – ძვ.წ. 300-250 წწ.; II – ძვ.წ. 275-220 წწ.; II³ – ძვ.წ. 250-200 წწ.; III – ძვ.წ. 220-180 წწ.; III⁴ – ძვ.წ. 200-165 წწ.; IV – ძვ.წ. 180-150 წწ.; IV⁵ – ძვ.წ. 165-130 წწ.; V – ძვ.წ. 150-108 წწ.; V⁶ – ძვ.წ. 130-90 წწ.; VI – ძვ.წ. 108-80 წწ.; VI^x – ძვ.წ. 90-50/40 წწ. (ყველა აბსოლუტური თარიღი მოცემულია მიახლოებით) [4].

კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია როდოსულ ამფორათა 88 ღამლაზე მეტი, აქედან 58 – ვანის ნაქალაქარზე; 30 – საყანჩიაზე; 1 – დაფნარში.⁹

ვანის ნაქალაქარი:

ეპონიმთა ღამლები:

1) 07:1-90/238

ჰელიოსის	ἔπι Ἄθρα	ოთხკუთხა
თავი	σιδόντου	ღამლა

ათანოლოტოსის ღამლებს ვ. გრეისი ძვ.წ. 183 წლით ათარიღებს [15, გვ. 9]. საერთოდ კი „შუა სტოას“ კომპლექსი, რომელშიც ამ ეპონიმის ღამლები არის აღმოჩენილი, მიეკუთვნება IIId პერიოდს [12].

ლიტერატურა და ანალოგიები [11, გვ. 80, 82; 10, გვ. 62, 71-72, 78, 84, 86-87].

2) 07:1-69/268

⁹ კოლხეთის დანარჩენ ტერიტორიაზე როდოსულ ღამლათა შესახებ ზუსტი ცნობა არ მოგვეპოვება.

ἐπὶ Αἰνῆτορος Ἀρταμίτου მრგვალი დამლა
ცენტრში – ვარდი

ძვ.წ. 220-180 წწ. [3, გვ. 22].

აინეტოროსის დამლებს დ. არიელი ძვ.წ. 190
წლით ათარილებს [6, გვ. 41-42] და ისინი ვ.
გრეისისა და ი. ამპერეუარის IIIc პერიოდში
თავსდება.

ლიტერატურა და ანალოგიები [10, გვ. 22].

3) 07:1-66/421

ἐπ' ἱέρεως ὀთხკუთხა დამლა

Ἀρατοφάνευσ

Δαλίου

ძვ.წ. 220-180 წწ. [3, გვ. 22].

ცნობილია ორი არატოფანესი: არატოფანეს
I-ის დამლებს ვ. გრეისი ძვ.წ. 182-175 წწ-ით
ათარილებს [15, გვ. 8-9], რომელიც IIIe პერი-
ოდში თავსდება. არატოფანეს II-ის დამლებს ვ.
გრეისი და მ. სავატანუ-პეტროპულაკუ VI პე-
რიოდს მიაკუთვნებენ [16 გვ. 313]. დ. არიელი და
გ. ფინკელშტეინი ძვ.წ. 108 წ-ით ათარილებენ
[7, გვ. 194] (Vb პერიოდი).

ლიტერატურა და ანალოგიები არატოფანეს
I-ის შესახებ [10, გვ. 64, 67, 89], ორივე
არატოფანესზე [11, გვ. 35].

4) 07:1-91/50

ἐπὶ Ἀρισ ὀთხკუთხა დამლა

[τάκ] ο [υ]

არისტაკოსს ვ. გრეისი V პერიოდს მიაკუთ-
ვნებს [13]. V პერიოდი ძვ.წ. 145-108 წწ-ით თა-
რიდება [12]. არისტაკოსი არ მოიხსენიება იმ
ეპონიმთა შორის, რომლებსაც დ. არიელი და გ.
ფინკელშტეინი ძვ.წ. 131-106 წლებს მიაკუთვნე-
ბენ [7, გვ. 186], ე.ი. ჩვენი დამლა ძვ.წ. 145-132
წლებით თარიღდება.

5) 07:1-82/3

ἐπ[ὶ Ἀριστα] ὀთხკუთხა დამლა

νακτος

Πανάμου

არსებობს ორი არისტანაქსის დამლები. ჩვენი
დამლა მიეკუთვნება არისტანაქს II-ს (არისტა-
ნაქს I-ის დამლა ღილისებურია), რომელსაც დ.
არიელი და გ. ფინკელშტეინი ძვ.წ. III წლით
ათარილებენ [7, გვ. 194-195]. ეს დამლა Va პე-
რიოდში თავსდება [12].

ლიტერატურა და ანალოგიები [11, გვ. 36-
37].

6) NXLI

ἐπὶ Ἀρισ ὀთხკუთხა დამლა

τομ[άχου]

ცნობილია ორი არისტომაქოსის დამლები. ვ.
გრეისი და მ. სავატანუ-პეტროპულაკუ არის-
ტომაქოს I-ს ათავსებენ IV პერიოდში; არის-
ტომაქოს II-ს VI პერიოდში [16, გვ. 314]. დ.
არიელი და გ. ფინკელშტეინი არისტომაქოს I-ს

IV პერიოდის ბოლო ხანას მიაკუთვნებენ [7, გვ.
195].

ლიტერატურა და ანალოგიები [11, გვ. 39-41].

7) 07:1-84/174

ἐπ[ὶ Δαμ]α ὀთხკუთხა დამლა

νέτου

Καρνείου

დამაინეტოსის დამლებს ვ. გრეისი და მ.
სავატანუ-პეტროპულაკუ IV პერიოდში
ათავსებენ [16, გვ. 303-304].

ლიტერატურა და ანალოგიები [11, გვ. 51-
52].

8) 07:1-70/352

პელიოსის

ἐπι Δα

ὀთხკუთხა

თავი

μοθέμιος

დამლა

ძვ.წ. 275 წლამდე [3, გვ. 22]

დამოთემისის დამლები აღმოჩენილია პერგა-
მონის კომპლექსში და, ვ. გრეისის აზრით, მას-
ში შემავალ ეპონიმთაგან ერთ-ერთი ყველაზე
ადრეული უნდა იყოს – II და III პერიოდების
მიჯნა [14, გვ. 92-94].

9) 07:1-89/452

[ἐπι] θαρ

ὀთხკუთხა დამლა

[σιπ]όλιος

თარსიპოლიოსის დამლებს ვ. გრეისი და მ.
სავატანუ-პეტროპულაკუ II პერიოდის გვიან-
დელ ხანას მიაკუთვნებენ [16, გვ. 303].

ლიტერატურა და ანალოგიები [10, გვ. 33-34;
11, გვ. 55-56].

10) 07:1-67/204

ἐπὶ [Καλ]

ὀთხკუთხა დამლა

λικρά[τεος]

ძვ.წ. 220-180 წწ. [3, გვ. 23].

ხ. ბიორკერი კალიკრატეს დამლებს ძვ.წ. III
საუკუნის მიწურულით ათარილებს, რაც III
ქრონოლოგიურ ჯგუფში თავსდება [8, გვ. 40-
41]. ხ. ბიორკერი და ი. ბუროვი ამ ეპონიმს
I/IIa, IIIc და V პერიოდებით ათარილებენ [9, გვ.
91].

11) 07:1-72/258

[Κ]λε[ῖ]τ[α]χ[ος]

მრგვალი დამლა

ცენტრში ვარდი

ძვ.წ. 220-180 წწ. [3, გვ. 23]

კლეიტომაქოსის დამლებს ვ. გრეისი
დაახლოებით 205 წლით ათარილებს (IIIa
პერიოდი) [15, გვ. 40].

12) 07:1-87/82

ἐπ[ὶ Νι]κασα

[γόρα]

ὀთხკუთხა დამლა

Δα[λ]ίου

დ. შელოვის აზრით, არსებობს ორი ნიკასა-
გორასის დამლები. ნიკასაგორას I-ს აკუთვნებს
ძვ.წ. 220-180 წწ.-ს, ხოლო ნიკასაგორას II-ს
ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევრით ათარილებს [5,

გვ. 61]. ჩვენი დამლა შრიფტის მიხედვით მიეკუთვნება ნიკასაგორას I-ს. ვ. გრეისი მას ძვ.წ. 185 წ-ით ათარიღებს [15, გვ. 9], რაც IIId პერიოდში თავსდება.

ლიტერატურა და ანალოგიები [10, გვ. 46-47].

13) 07:1-88/328

ἐπι Νίκασα

γόρα

ოთხკუთხა დამლა

Πανάμου

Δευτέρου

ესეც იგივე ნიკასაგორასია, როგორც წინა და ისევე თარიღდება.

14) 07:1-87/224

ἐπι Πυθιγέ

ოთხკუთხა დამლა

νθευ

Πανάμου

პითოგენესის დამლებს ი. ნიკოლაუ და ი. ამპერეუარი დაახლოებით ძვ.წ. 150 წ-ით ათარიღებენ [17, გვ. 515-533], რაც IVb პერიოდში თავსდება.

ლიტერატურა და ანალოგიები [10, გვ. 54].

15) 07:1-86/136

პელიოსის [ἐπι] Συμμ

ოთხკუთხა

თავი

[ἀχ]ισ

დამლა

სიმპქოსის დამლებს ვ. გრეისი ძვ.წ. 188-186 წლებით ათარიღებს [15, გვ. 9], რაც IIId პერიოდში თავსდება.

ლიტერატურა და ანალოგიები [10, გვ. 55-56].

16) 07:1-76/442

[ἐπι] Συμμ

ოთხკუთხა დამლა

[ἀχ]ισ

---I---

ძვ.წ. 210-175 წწ. [3, გვ. 24].

ეს დამლა წინამორბედის ანალოგიურია და ასევე უნდა დათარიღდეს.

17) 07:1-88/325

ἐπι Τιμοδικου

ოთხკუთხა დამლა

Δαλίου[σ]

ტიმოდიკოსს ვ. გრეისი და მ. სავატიანუ-პეტროპულაკუ მიაკუთვნებენ V პერიოდის ადრეულ ეტაპს [16, გვ. 311]. დ. შელოვის აზრით, რადგან არსებობს მისი სახელის შემცველი ამფორის ყური დამატებითი დამლით, იგი ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს [5, გვ. 74].

ლიტერატურა და ანალოგიები [10, გვ. 59].

ფაბრიკანტა დამლები:

18) 07:1-68/289

Ἀριστάρχου

ოთხკუთხა დამლა

ვარსკვლავები კუთხეებში

ძვ.წ. 220-180 წწ. [3, გვ. 23]

ი. ბადალიანცი არისტარქოსს III პერიოდს მიაკუთვნებს [4], ამავე აზრის არის დ. არიელი [6, გვ. 44].

ლიტერატურა და ანალოგიები [10, გვ. 65-66].

19) 07:1-90/48

Ἀριστοκλῆς

მრგვალი დამლა

ცენტრში ვარდი

ი. ბადალიანციის აზრით, არსებობდა ორი არისტოკლესი, არისტოკლეს I-ს სავარაუდოდ I პერიოდს აკუთვნებს; არისტოკლეს II-ს – III⁴ პერიოდს [4]. ჩვენი დამლა არისტოკლეს II-ის დამლას წააგავს და ამიტომ მის ანალოგიურად უნდა ჩაითვალოს.

ლიტერატურა და ანალოგიები [11, გვ. 85-87; 10, გვ. 32, 46, 51, 59, 72, 78, 90].

20) 07:1-88/559

Βρόμιου გვირგვინი

ოთხკუთხა დამლა

ი. ბადალიანცი ბრომიოსს III⁴ პერიოდს მიაკუთვნებს [4]. დ. არიელის აზრით, ბრომიოსი IV პერიოდს მიეკუთვნება [6].

ლიტერატურა და ანალოგიები [10, გვ. 70-71].

21) 07:1-66/391

Διοκλεία

ოთხკუთხა დამლა

ქვედა მარცხენა და ზედა მარჯვენა კუთხეებში ვარსკვლავები

ძვ.წ. 220-180 [3, გვ. 23].

ვ. გრეისი და მ. სავატიანუ-პეტროპულაკუ დიოკლესის დამლებს ძვ.წ. II ს-ის შუა წლებით ათარიღებენ [16, გვ. 308]. ი. ბადალიანცი მათ IV⁵ პერიოდს მიაკუთვნებს [4].

ლიტერატურა და ანალოგიები [10, გვ. 73-74].

22) 07:1-66/585

Ἑρμία

ოთხკუთხა დამლა

ჰერმიასის დამლებს IV პერიოდს აკუთვნებენ, როგორც ვ. გრეისი და მ. სავატიანუ-პეტროპულაკუ [16, გვ. 305]. ასევე ი. ბადალიანცი [4].

ლიტერატურა და ანალოგიები [10, გვ. 60; 11, გვ. 94-95].

23) 07:1-89/175

Ἑρμαῖσκου

ოთხკუთხა დამლა

ჰერმა, ვარსკვლავი?

ჰერმოსკოსის დამლებს ვ. გრეისი და მ. სავატიანუ-პეტროპულაკუ VI პერიოდს აკუთვნებენ [16, გვ. 309]. ი. ბადალიანცი – V⁶ პერიოდს [4].

24) 07:1-68/301

კალუკუმი

Ἡφαι[στί]

ოთხკუთხა დამლა

აოს

ძვ.წ. II ს. [3, გვ. 23].

ჰეფაისტონის დამლებს IV პერიოდს აკუთვნებენ როგორც ვ. გრეისი და მ. სავატიანუ-პეტ-

როპულაკუ [16, გვ. 305], ასევე ი. ბადალიანცი [4].

25) 07:1-89/670

Ἰπποκράτους მრგვალი დამლა

ცენტრში ვარდი დამატებითი დამლა A

ი. ბადალიანცი ჰიპოკრატესის დამლებს III⁴ პერიოდს მიაკუთვნებს [4]. დ. არიელი მათ გვიანდელი III და IV პერიოდებს მიაკუთვნებს [7, გვ. 52].

ლიტერატურა და ანალოგიები [10, გვ. 78-79].

26) 07:1-90/239

Μαρσά οთხკუთხა დამლა

Πανάμο

მარსიასის დამლებს ი. ბადალიანცი III⁴ პერიოდს აკუთვნებს [4].

ლიტერატურა და ანალოგიები [11, გვ. 100-101].

27) 07:1-86/134

Μαρσά οთხკუთხა დამლა

Ἀγριανίσι

28) 07:1-86/134

Μαρσά

Θεσμοφορίσι οთხკუთხა დამლა

29) 07:1-81/190

Τιμαρχίδα მრგვალი დამლა

ცენტრში ვარდი

გ. იორენსი, რომელიც როდოსულ დამლებზე მუშაობს და ამზადებს გამოსაცემად, ტიმარქიდასის დამლებს IV პერიოდს მიაკუთვნებს.

30) 07:1-90/240

Τιμαρχίδα მრგვალი დამლა

ცენტრში ვარდი

31) 07:1-70/343

Φανί[α]

ძვ.წ. II ს. [3, გვ. 23]

ფანიასის დამლებს ი. ბადალიანცი III პერიოდს მიაკუთვნებს [4].

32) 07:1-85/160

კალუცეუმი? Φιλανίσι

ფილენიოსი ი. ბადალიანცის აზრით III პერიოდში თავსდება [4].

ლიტერატურა და ანალოგიები [10, გვ. 86-87; 11, გვ. 108].

33) 07:1-80/389

Φίλο --- οთხკუთხა დამლა

ჰერმა

ძვ.წ. 220-180 წწ. [3, გვ. 24].

დამლები გაურკვეველი წარწერით:

34) 07:1-78/220

ἐ[πι Ἀγ][εμ[αχσ]

ძვ.წ. 220-180 წწ. [3, გვ. 24].

35) 07:1-72/237

ἐπ[ι Ἀγη] οთხკუთხა დამლა

σ[πιο]

ძვ.წ. III-II სს. [3, გვ. 24].

36) 07:1-88/326

ἐπ[ι] --- NE --- M οთხკუთხა დამლა

AN ----- O

P -----

ემბლემა და თვე:

37) 07:1-87/8

გარშემო -E----OY Δαλίσι მრგვალი დამლა

ცენტრში ვარდი.

38) 07:1-90/

გარშემო Θεμσμοφορίσι მრგვალი დამლა

ცენტრში ვარდი

მარტო ემბლემა:

39) 07:1-88/136

გარშემო ---- PANOP --- მრგვალი დამლა

ცენტრში ჰელიოსის თავი.

40) 07:1-58/406

გარშემო ---- OMA --- მრგვალი დამლა

ცენტრში ვარდი

[3, გვ. 24].

41) 07:1-68/229

----- MA οთხკუთხა დამლა

კალუცეუმი

[3, გვ. 23].

42) 07:1-74/350

----- ოვალური დამლა

ცენტრში ჰელიოსის თავი

[4, გვ. 24].

43) 07:1-84/191

----- მრგვალი დამლა

ცენტრში ვარდი

44) 07:1-90/172

----- οთხკუთხა დამლა

ჰერმა?

45) 07:1-85/80

----- ვარდი? οთხკუთხა დამლა

Δ -----

თვე:

46) 07:1-68/271

----- ΡΟΣ οთხკუთხა დამლა

[Βαδ]ρομίσι

[3, გვ. 22].

47) 07:1-67/246

Δαλίσι

[3, გვ. 23].

48) 07:1-73/153

PA -----

οთხკუთხა დამლა

Πα[νάμο]ს

[3, გვ. 24].

გაურკვეველი წარწერა:
49) 07:1-61/326

Mv ----- ჰერმა? ოთხკუთხა
დამლა

[3, გვ. 23].
50) 07:1-70/440

ΔΑ? ვარდი? ოთხკუთხა დამლა
[3, გვ. 29].

რვა დამლაზე არაფერი არ იკითხება: 51)
07:1-48/25; 52) 07:1-6/208; 53-54) 07:1-69/260,
264; 55-57) 07:1-72/154, 267, 367; 58) 07:1-
86/354.

საყანჩია
59) 07:5-76/581

Τιμὸς ὄτხკუთხა დამლა
ძვ.წ. II ს-ის შუა წლები [2, გვ. 124].
ტიმო (ფაბრიკანტი ქალის სახელი) დ. არი-
ელის აზრით მიეკუთვნება IV პერიოდს, მაგრამ
V პერიოდშიც მუშაობდა [6, გვ. 65-66].

60) 07:5-77/887

---- M ---- ოთხკუთხა დამლა
---- E ----

ძვ.წ. III-II სს. [2, გვ. 124].
61) 07:5-78/328

გარშემო Θεσμοφορίუს მრგვალი დამლა
ცენტრში ვარდი
[2, გვ. 124]

ამის გარდა მოპოვებულია 27 დამლიანი ყუ-
რი, რომლებზეც წარწერა და ემბლემა მთლი-
ანად არის გადაშლილი. მათგან რვა დამლა
მრგვალია, 19 ოთხკუთხა [2, გვ. 113-114].

დაფნარი:
5-979-198

Κάρπυ [1, გვ. 137].

კოლხეთში აღმოჩენილი როდოსული ამფორების დამღებში მოხსენიებული საკუთარი სახელები:

ეპონიმები:

1. Ἄθαισδότης (№ 1)
2. Ἀενήτωρ (№ 2)
3. Ἀρατοφάνης (№ 3)
4. Ἀρίστακος (№ 4)
5. Ἀριστάνναξ (№ 5)
6. Ἀριστόμαχος (№ 6)
7. Δαμαίνετος (№ 7)
8. Δαμοθέμιος (№ 8)
9. Θαρσίπολις (№ 9)
10. Καλλικράτης (№ 10)
11. Κλειτμάχος (№ 11)
12. Νικασαγόρας (№ 12-13)
13. Πυθογένης (№ 14)
14. Σύμμαχος (№ 15-16)
15. Τιμόδουκος (№ 17)

ფაბრიკანტები:

1. Ἀρίσταρχος (№ 18)
2. Ἀριστοκλής (№ 19)
3. Βρόμιος (№ 20)
4. Διόκλεια (№ 21)
5. Ἑρμίας (№ 22)
6. Ἑρμαῖσκος (№ 23)
7. Ἐφαιστίων (№ 24)
8. Ἰπποκράτης (№ 25)
9. Μάρσυας (№ 26-28)
10. Τιμαρχίδας (№ 29-30)
11. Τιμῶ (№ 59)
12. Φανία (№ 31)
13. Φιλαίσιος (№ 32)

კოლხეთში აღმოჩენილი როდოსული ამფორების დამღებში მოხსენიებული კალენდრის თვეები:

Ἄγριάνιος № 2, 27
Ἄρταμιος № 2
Βαδρόμιος № 46
Δαλίος № 3, 12, 17, 47
Διόσθιος
Θεσμοφόριος № 28, 38
Θευδαί

Καρεῖος № 7
Πάναμος № 5, 14, 21, 48
Πάναμος δεύτερος № 13
Πεδαγείτνιος
Σμίθιος
Ἰακίνθιος

Д. В. Ахвледиани, Р. В. Путуридзе

РОДОССКИЕ АМФОРНЫЕ КЛЕЙМА, ОБНАРУЖЕННЫЕ НА ТЕРРИТОРИИ ДРЕВНЕЙ КОЛХИДЫ (резюме)

Целью работы является полная публикация родосских клейм, обнаруженных на территории древней Колхиды.

На сегодняшний день обнаружено 88 клейм. Из них — 58 на Ванском городище; 30 — в Саканчия; 1 — в Дапнари.

Проникновение родосской клейменной керамической тары на территории древней Колхиды начинается с конца III в. до н.э., своего максимума она достигает в первой половине II в. до н.э. и полностью прекращается в конце II в. до н.э.

D. Akhvlediani, R. Puturidze

STAMPS OF RHODIAN AMPHORAE DISCOVERED ON THE TERRITORY OF COLCHIS (Summary)

The goal of this article is to publish all the stamps of Rhodian amphorae discovered on the territory of Colchis.

To date 88 stamps have been discovered in all. Of these 58 were discovered at Vani city site; 30 — in Saqanchia and 1 — in Dapnari.

The import of pottery with Rhodian stamps in Colchis started at the end of the 3rd century B.C., reached its peak in the first half of the 2nd century B.C. and ended at the close of the 2nd century B.C.

ლიტერატურა

1. თოლორდავა ვ. დაუნარი. — ვანი, VII, თბ., 1983, გვ. 136-138.
2. ლიხელი ვ. საყანჩიას ნაპოსახლარი. — ვანი, VII, თბ., 1983, გვ. 113-125.
3. ფუთურძე რ. კერამიკული ტარა. — ვანი, VII, თბ., 1983, გვ. 9-26.
4. Бадалянц Ю. С. Опыт хронологической классификации родосских фабрикантских клейм. — НЭ, т. XIII, 1980, с. 3-12.
5. Шелов Д. Керамические клейма из Танаиса III—I веков до н.э., М., 1975.
6. Ariel D. T. Excavations at the City of David 1978-1985, Qedem 30, 1990.
7. Ariel D. T., Finkielstejn G. Stamped Amphora Handles. — Tel Anafa, I, i, Ann Arbor, in: J. C. Herbert (ed.), 1994, pp. 183-240.
8. Börker C. Griechische Amphorenstempeln von Tell Halaf bis zum persischen Golf. — Baghdader Mitteilungen, 7, 1990, S. 31-49.
9. Börker C., Burow J. Die hellenistischen Amphorenstempeln aus Pergamon, 1998.
10. Brugnone A. Bolli anforari rodî della necropoli di Lilibeo. — ΚΩΚΑΛΟΣ, 32, 1986, pp. 1-82.
11. Criscuolo L. Bolli d'anfora greci e romani. La Collezioni dell 'Universita di Milano. Studi di Storia Antica 6, Bologna, 1982.
12. Finkielstejn G. Chronologie basse des timbres amphoriques rhodiens et évaluation des exportations d'amphores. — Ancient Sicily, Acta Hyperborea, 6, 1995, pp. 279-296.
13. Grace V. R. Timbres amphoriques trouvés à Délos. — BCH, 76, 1952, pp. 514-540.
14. Grace V. R. Stamped Amphora Handles. — Anatolian Collection of Charles University (Kyme I), in J. Bouzek (ed.), Prague, 1974, pp. 89-98.
15. Grace V. R. The Middle Stoa dated by Amphora Stamps. — Hesperia, 54, 1985, pp. 1-54.
16. Grace V., Savvatiadou-Petropoulakou M. Les timbres amphoriques. — L'îlot de la Maison des Comédiens, Exploration archéologique de Délos, XXVII, Paris, 1970, pp. 277-382.
17. Nicolaou J., Empereur J.-Y. Amphores rhodiennes du Musée de Nicosie. — BCH, Suppl. XIII, pp. 515-533.

ელენე გიგოლაშვილი

ჰერცხლის სიტულები ვანიდან

ანტიკური ხანის კოლხეთის კულტურის შესწავლის პროცესში მრავალფეროვან არქეოლოგიურ მონაპოვარს შორის მნიშვნელოვანი ადგილი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ძეგლებს ეთმობა, მათში ერთ-ერთი არსებითი ადგილი ჭურჭლის ძვირფასი ლითონისგან და ბრინჯაოსგან დამზადებასა და მხატვრულ დამუშავებას უკავია. რაც უფრო დახვეწილია ჭურჭლის ფორმები და მათი შესრულების ტექნიკური ხერხები, მით უფრო მეტყველებენ ისინი ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის მაღალ კულტურულ დონეზე, ხოლო მათი შესწავლა ხელს უწყობს არა მარტო სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების კვლევას, არამედ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სავაჭრო ურთიერთობათა საკითხების შესასწავლადაც. ამასთან ერთად, არქეოლოგიურ კომპლექსებში გამოვლენილი ლითონის მხატვრული ნაკეთობანი გარკვევით მიუთითებენ სხვადასხვა ქვეყნის კულტურული ელემენტების ურთიერთკავშირზე, მოსახლეობის ყოფაზე და მის მხატვრულ გამოვლენაზე გარკვეულ ეპოქაში [8, გვ. 1; 1, გვ. 12]. ამ ფონზე საინტერესოდ მიგვაჩნია ორი ვერცხლის ჭურჭლის განხილვა, რომლებიც ვანის ნაქალაქარის გათხრებმა გამოავლინა.



სურ. 1


პირველი ესაა ე.წ. ვერცხლის სიტულა (ინვ. № 10-975:102, 1969, სამარხი № 11, ძვ.წ. V ს-ის შუა წლები, ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმში). იგი პირფართო, განიერმხრებიანი, ძირისკენ შევიწროებული ჭურჭელია. ყურები – ფრთოსანი ლომისა და მწოლიარე ვერძების სკულპტურულ გამოსახულებას წარმოადგენს. მასზე დამაგრებულია მშვილდისებური, მოძრავი სახელურის კაუჭი. სიტულას სადგარისებური ძირი აქვს, რომელიც შემკულია პირქვე დამხობილი ლოტოსის ყვავილების უწყვეტი რიგით. ჭურჭლის ტანის სადგართან შეერთების ად-

გილზე დარჩილულია დაკეჭნილი მავთული [2, გვ. 24; 3, გვ. 235; 4, გვ. 90] (სურ. 1, 2). სიტულის სიმაღლე – 13 სმ, პირის დიამ. – 11,5 სმ, ძირის სიმაღლე – 2 სმ, ძირის დიამ. – 9 სმ.



სურ. 2

მეორე ჭურჭლის მხოლოდ ფრაგმენტებია შემონახული, მაგრამ ეს ფრაგმენტებიც მოწმობს, რომ მეორე სიტულაც ფორმით პირველის იდენტურია (ინვ. № 11-974:45, 1961, სამარხი № 6, ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისი, ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში), შემორჩენილია მხოლოდ სადგარისებური ძირი, ყურები და მშვილდისებური, კაუჭებით დაბოლოებული სახელური. ყურები ამ სიტულაზეც ლომისა (თუ ჯიხვის?) და მწოლიარე ვერძების გამოსახულებებს წარმოადგენს, სადგარი კი ქვედა ნაწილში წვრილი, ლოტოსის ფურცლების („ენების“) უწყვეტი რიგითაა მორთული. მის ზემოთ პირქვე დამხობილი სტილიზებული ლოტოსის ყვავილების ორმაგი, ერთმანეთთან რკალებით გადაბმული უწყვეტი რიგია (სურ. 3), [6, გვ. 116,




სურ. 3

სურ. 6]. ორივე სიტულაზე ლოტოსის ყვავილები ერთმანეთთან შეერთებულია მარტივი რკალებით. ასეთი ორნამენტი იონიური კულტურის წრისათვის არის დამახასიათებელი. ეს ორნამენტი ბერძნულ-იონიურ სამყაროში „ორიენტალიზირებული“ სტილის გავრცელებასთან ერთად ჩნდება. შემდგომში, დაახლოებით ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისისთვის, იგი თავს იჩენს ატიკაშიც. ამ დროიდან მოყოლებული, ლოტოსის გირლანდების სხვადასხვა ვარიაციები ატიკური შავფიგურული ვაზებისათვის წამყვან დეკორატიულ მოტივს წარმოადგენს [14, გვ. 155].

პირველ ჭურჭელზე ლომის თავი დაფარულია ფაფრით, რომელიც სამკუთხა ნაჭდევებით არის გადმოცემული. ფრთები დიდაა, მორკალული და ზეაზიდული. ფრთებზე ბეწვი მორკალული ქედებითა და მათ შორის მოთავსებული ღრმა ნაჭდევებითაა შესრულებული. ყურები მომრგვალებულია, ყურებს შორის და მათ ქვემოთ ორივე მხარეს ბეწვი მაღალ რელიეფშია გამოყვანილი. თვალები დიდი აქვს, ამობურცული. ამობურცულია აგრეთვე თვალის ზედა შუბლის არეც. კუდი დაშვებულია, მაგრამ მისი ბოლო ზეაწეულია და ჩახვეული. ლომს ხახა მოკუმეული აქვს და მისი საერთო იერი მშვიდი და ზომიერია. ვერძები ერთ ხაზზე, ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით წვანან. ფეხები შეკეცილი აქვთ, თავები კი ორივეს მობრუნებული, ეს ის პოზაა, ადრეული ირანული ხელოვნებისთვის რომ არის აგრე რიგად დამახასიათებელი [13, გვ. 29]. ბეწვი ორივეს ჩაჭდეული წერტილებითა და ხაზებით აქვს აღნიშნული. მსხვილი რქები თავის ორივე მხარეს სპირალისებურად იხვევა და შუაში იქცევა ყურს. რქებზე განივი ღარების კვალია შემორჩენილი. ვერძებსაც ლომივით დიდი, მრგვალი თვალები აქვთ, ამობურცული (სურ. 2).

მეორე ჭურჭლის სკულპტურული გამოსახულებების ჯგუფში ძნელი გასარკვევია მტაცებლის გამოსახულება, რომელიც ჯიქად იყო აღქმული [6, გვ. 116]. ვფიქრობ, ესეც ლომია, ვინაიდან მის თავსა და კისერზე აქა-იქ პატარა ჭდეების კვალია შერჩენილი, შუბლი კი ზედა ნაწილში რელიეფური ზოლითაა შემოსაზღვრული, რაც შესაძლოა ფაფრის აღმნიშვნელი დეტალია. ლომი ხახადაღებულია, კუდი მოტეხილი აქვს. სხეულის პოზა მიგვანიშნებს, რომ იგი ნახტომისთვისაა მომზადებული. ვერძები ზუსტად ისევე წვანან, როგორც პირველი ჭურჭლის გამოსახულებები, მაგრამ მათი ტანი უფრო სქემატურად არის მოდელირებული. ლომის მსგავსად, ვერძების შუბლის ზედა ნაწილიც შემოსაზღვრულია რელიეფური ზოლით. ვერძების რქებსაც შიდა ნაპირზე გასწვრივი რელიეფური ზოლი გასდევს. რქები მათაც ყურის გარშემო აქვთ შემოვლებული, მაგრამ თვალები იმდენად დიდი არ არის, დრუნჩიც უფრო თხელია და წაგრძელებული (სურ. 3). საერთოდ ამ ორი სიტულის სკულპტურულ გამოსახულებებს შორის

სხვაობა იმაშია, რომ პირველ ჯგუფში ცხოველებს უფრო სტატიკური, მშვიდი პოზა აქვთ, ლომის უსიცოცხლო გამომეტყველება სიმშვიდის შეგრძნებას იწვევს. მეორე ჯგუფი შედარებით უფრო ექსპრესიულია, ცოცხალი, ლომი ხახადაღებულია და თითქოს თავდასასხმელად აკრეფილი. ვერძების პოზაც და გამომეტყველებაც უფრო ფრთხილია.



სურ. 4

ვანში აღმოჩენილი ამ ორი ვერცხლის სიტულის წარმოების ცენტრის განსაზღვრისას, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება მათი შედარება კოლხურ ბრინჯაოს სიტულებთან [შდრ. 5, გვ. 46-48; 1, გვ. 1-2; 12, გვ. 242]. ფორმით ისინი ერთნაირია, აქვთ ერთნაირად ფართო პირ-ყელი, განიერი მხრები, მრგვალი, ქვემოთკენ დავიწროებული ტანი, სადგარისებური ძირი. სადაც კოლხურ ბრინჯაოს სიტულას ზომორფული ყური აქვს – ვერცხლის სიტულაზე იქ სკულპტურული გამოსახულებაა. სახელური ორივეს მშვილდისებური ფორმის აქვს, კაუჭიანი ბოლოებით (სურ. 4). ამგვარი მსგავსება ბრინჯაოსა და ვერცხლის ჭურჭლებს შორის, უფლებას გვაძლევს დავუშვათ, რომ ვანის ვერცხლის სიტულები წარმოადგენს ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშებს, რომლებიც ადგილობრივ ნიადაგზეა შექმნილი; ამასთან ერთად მათ დეკორში აღმოსავლური და ბერძნული ხელოვნების ძეგლების ზეგავლენაც იგრძნობა [შდრ. 10, გვ. 107-120]. კერძოდ კი, ამ ჭურჭელში შერწყმულია კოლხური სიტულის ფორმა, ხოლო შემკულობა სხვადასხვა სკოლის ტრადიციებზე აღზ-

რდილი ხელოსნის მიერაა შესრულებული. პირველი სიტულის შემკულობაში თითქოს აღმოსავლური, აქემენიდური ხელოვნების გავლენა უფრო შეინიშნება (ამობურცული თვალები, მშვიდი იერი, ვერძების განივკალიანი რქები), მეორე სიტულის სკულპტურული გამოსახულებანი, ჩვენი აზრით, უფრო აღმოსავლეთ-ბერძნული ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ნიშნების მატარებელია (სადგარზე გამოსახული „ენების“ ორნამენტი, ცხოველთა სკულპტურული გამოსახულების ნათელი და მწყობრი კომპოზიცია) [9, გვ. 284].

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ტორევეტიკის ნიმუშები ზოგ შემთხვევაში „პოლიტიკურ ძღვენს“ წარმოადგენდა კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით მირთმეულს [7, გვ. 29]. ასეთ დროს გათვალისწინებული იყო იმათი გემოვნება და მოთხოვნილებები, ვისთვისაც განკუთვნილი იყო ეს „ძღვენი.“ გარდა ამისა, ვინაიდან ხელოსნები, როგორც ცნობილია, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, ამზადებდნენ კიდევაც თავისი გემოვნების შესაბამისად სხვადასხვა ჭურჭელს და დაკვეთებსაც იღებდნენ ადგილობრივი მოსახლეობისგან. ეს დაკვეთაც დამკვეთის სურვილის მიხედვით სრულდებოდა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ვანის სიტულები ან „პოლიტიკურ ძღვენს“ წარმოადგენს, ანდა დაკვეთით შესრულებულ ნიმუშებს, მაგრამ ორივე შემთხვევაში მიუთითებს კოლხეთის კავშირებზე გარე სამყაროსთან.

Е. Г. Гиголашвили

СЕРЕБРЯНЫЕ СИТУЛЫ ИЗ ВАНИ (резюме)

В богатых погребениях, выявленных во время археологических раскопок, проводимых на Ванском городище, среди многочисленного и интересного материала, следует отметить и два металлических сосуда – серебряные ситулы.

Одна из ситул (из погр. № 11) сравнительно хорошей сохранности. Ее ручка представляет скульптурное изображение крылатого льва и двух лежащих баранов. В нее вдевалась дужка с крючками на концах; поддон деко – рирован снаружи цветками лотоса. От второго сосуда (из погр. № 6) ныне сохранены только скульптурная группа, состоящая из изображений льва вместе с лежащими баранами, дужка с крючкообразными окончаниями и поддон, украшенный „язычковым“ орнаментом и цветками лотоса.

Анализ скульптурных изображений ручек и орнаментов обоих сосудов, а также сравнение их формы с колхидскими бронзовыми ситулами, дает основание предположить, что серебряные ситулы, возможно, представляют прекрасные образцы искусства, которые создавались мастерами на почве коренных, местных традиций, и в которых явно прослеживаются влияния как восточного, так и греческого искусств. В частности, в них соединены форма местных колхидских бронзовых ситул и орнаментация, выполненная мастерами, работающими в традициях различных школ. В случае одной из ситул, можно допустить, что это ахеменидское искусство, а в декоре второй ситулы преобладает влияние восточно-греческого искусства.

E. Gigolashvili

SILVER SITULAE FROM VANI (Summary)

Two metal vessels – silver situlae – should be distinguished among numerous and interesting materials found in the burials during the archaeological investigations on the Vani City Site.

One of the situlae (from burial 11) is comparatively in a good state of preservation. Its handle is a sculptural representation of a winged lion and two lying rams. A hoop with hooks at the end was passed through it; the bottom is decorated by the lotus flowers on the outside.

At present, from the other vessel (burial 6) only the sculptural group is preserved. It consists of a lion and sheep in lying position, hoop with hooks and the bottom decorated with "tongue" ornament and lotus flowers.

Analysis of the handles and the fragments of both of vessels as well as a comparison of their forms with Colchian bronze situlae permit us to assume that silver situlae are beautiful pieces of art made by masters on the ground of local traditions in which the influence of Eastern and Greek art is observable. In particular, in these vessels the form of local Colchian bronze situlae is combined with ornamentation used by masters working in the traditions of different schools. In connection with one of the situlae we can assume that this is Achaemenian art. The influence of East-Greek art prevails in the decor of the other situlae.

ლიტერატურა

1. გიგოლაშვილი ელ. კოლხეთის ადგილობრივი ბრინჯაოს ჭურჭელი. 1986, 21 გვ., 2 ტაბ. (ხელნაწერი ინახება აკც ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში).
2. ლორთქიფანიძე თ. ვანის ნაქალაქარი. – ვანი, I, თბ., 1972, გვ. 7-42.
3. ლორთქიფანიძე თ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. – ვანი, I, თბ., 1972, გვ. 198-238.
4. ლორთქიფანიძე თ. ტორევეტიკა. – ვანი, VII, თბ., 1983, გვ. 89-91.
5. სახაროვა ლ. ბრინჯაოს უძველესი მხატვრული ჭურჭელი საქართველოში. – სს, № 12, 1965, გვ. 46-48.
6. ხოშტარია ნ., ფუთურიძე რ., ჭყონია ა. ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. – ვანი, I, თბ., 1972, გვ. 111-132.
7. კვიციანი გ. სავაჭრო ურთიერთობანი შავიზღვისპირეთში ადრეანტიკურ ხანაში. – ავტ. ისტ. მეცნ. დოქტ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.
8. Кошкарлы К. О. Античная и раннесредневековая торевтика из Азербайджана. – Автореф. дисс. на соиск. учен. степени канд. истор. наук. Тб., 1981.
9. Максимова М. И. Серебряное зеркало из Келермеса. – СА, XXI, 1954, с. 281 – 305.
10. Никулина Н. М. К вопросу о "восточногреческом" и "греко-персидском" искусстве. – ВДИ, № 3, 1969, с. 107 – 120.
11. Онайко Н. П. Античный импорт в Приднепровье и Побужье в VII – V вв. до н.э. – САИ, Д1 – 27, 1966, с. 7 – 70.
12. Техов Б. В. Скифы и материальная культура Центрального Кавказа в VII – VI вв. до н.э. – Скифия и Кавказ. Киев, 1980, с. 219 – 257.
13. Negahban E. O. A preliminary report on Marlik excavation, Tehran, 1964.
14. Payne H. Necrocorinthia, Oxford, 1931.

სურათების აღწერილობა

- სურ. 1 – ვერცხლის სიტულა № 11 სამარხიდან.
- სურ. 2 – სიტულის ყური სკულპტურული გამოსახულებებით შემკული.
- სურ. 3 – სიტულის ფრაგმენტები (ყური, ძირი) № 6 სამარხიდან.
- სურ. 4 – ბრინჯაოს კოლხური სიტულა.

Описание рисунков

- Рис. 1 – Серебряная ситула из погр. № 11.
- Рис. 2 – Ручка ситулы украшенная скульптурными изображениями.
- Рис. 3 – Фрагменты ситулы (ручка, поддон) из погребения № 6.
- Рис. 4 – Бронзовая колхидская ситула.

Description of Figures

- Fig. 1 – The silver situla from Burial 11.
- Fig. 2 – The handle of a situla adorned with a sculptural representation.
- Fig. 3 – Fragments of situla (the handles, the bottom) from burial 6.
- Fig. 4 – A bronze situla from Colchis.

ახალი აღმოჩენები ციხიაგორაზე

არქეოლოგიური ძეგლი ციხიაგორა მდებარეობს კასპის რაიონში, სოფ. კაკეთისხევის ჩრდილო განაპირას. იგი წარმოადგენს ბორცვს, რომლის სიმაღლე 12 მ იყო, თხემის ფართობი 0,5 ჰა. ძეგლის შესწავლა 1971-1992 წლებში მიმდინარეობდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კასპის რაიონის ექსპედიციის მიერ გ. ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით [4; 3]. კულტურული ფენების სიმძლავრე 6 მ აღემატებოდა. ყველაზე ადრეული ფენა წარმოდგენილია ადრეპრინჯაოს ხანის ნასახლარით, რომელიც ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახევრით თარიღდება [2]. შუაპრინჯაოს ხანა წარმოდგენილია მცირე ზომის ყორღანული სამარხებით – ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანა [1]. გვიანპრინჯაოს ხანის ნასახლარი ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს მიეკუთვნება. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის, ადრერკინის ხანის ფენა სუსტად არის წარმოდგენილი. დაახლოებით ძვ.წ. VI საუკუნეში, მიდიურ ან ადრეაქემენიდურ ხანაში, როგორც ჩანს, იცვლება გორის ფუნქცია. მოსახლეობა ბარში, გორის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, დაბად სახლდება. გ. ცქიტიშვილის აზრით, ამიერიდან გორა საკულტო დანიშნულებას იძენს [3, გვ. 170]. ძვ.წ. VI-V სს. ფენაში შერჩენილია დიდი შენობის საძირკვლის ნაშთები, ქვაფენილიანი მოედანი და სამეურნეო თუ საკულტო ორმოები. ეს ფენა ძლიერ დაზიანებულია მომდევნო, ელინისტური ხანის საკულტო კომპლექსის მშენებლობისას. ყველაზე კარგად სწორედ ეს კომპლექსია შემორჩენილი. იგი თარიღდება ძვ.წ. IV-III საუკუნეებით. კომპლექსში შედის ტაძარი, მარანი, ბეღელი, წისქვილი, სათონე და საცხოვრებელი შენობები. შემოზღუდულია ალიზით ნაგები გალავნით, რომელიც გორის თხემის კიდე გასდევს [5]. სატაძრო კომპლექსის ფართობი 2 ჰა აღწევს. გ. ცქიტიშვილის აზრით, კომპლექსი ხანძარს გაუნადგურებია ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანებში. მის ნანგრევებზე განახლებულია გაცილებით მცირე მასშტაბის ცხოვრება. დასტურდება ორი სამშენებლო ჰორიზონტი. შემორჩენილი იყო შენობების ფრაგმენტები და სამეურნეო ქვევრები, აგრეთვე თითო-ოროლა ორმოსამარხი, რომლებიც უშუალოდ ნანგრევებშია ჩადგმული და თარიღდება ძვ.წ. II-I საუკუნეებით [3, გვ. 170-171].

ციხიაგორა, მიმდებარე ტერიტორიით, დაყოფილია სექტორებად 100 x 100 მ-ზე. სექტორები დაყოფილია კვადრატებად 4 x 4 მ-ზე. ჯერ კიდევ 1991-92 წწ. მიმდინარეობდა მუშაობა გორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, XXVI სექტორში (ტაბ. I). გამოვლინდა დიდი ეზო, თიხით მოტეკანილი, რომელიც აღმო-

სავლეთიდან ტაძრის კედლით იფარგლება, ხოლო დასავლეთით – კედლით, რომელიც განლაგებულია კვ. 46-145. 1 მ სიმაღლის კედელი ნაგებია ალიზით, რიყის ქვის საძირკველზე და ქმნის ტერასას. კედლის შუა ნაწილში, კვ. 95, არის ღიობი და ხის ძელებით გამართული საფეხურები, ტერასაზე იდგა ნაგებობა, კვ. 66, 67, 91, 92, ე.წ. „სატრაპეზო“. ტერასის ჩრდილოეთით, კვ. 16-20, გამოვლინდა 4 მ სიგანის დერეფანი, იგი გამოყოფილია ალიზის კედლებით მარნის წინა დერეფნისაგან და ტერასისაგან. ტერასას ეს დერეფანი უკავშირდება ღიობით, კვ. 45, და დიდ ეზოს, კვ. 21 (ტაბ. I). დერეფნის იატაკი თიხითაა მოტეკანილი და მალდება აღმოსავლეთიდან დასავლეთით. სატრაპეზოს ქვეშ და ტერასის სამხრეთი ნაწილის გათხრის შემდეგ, კვ. 66-68, 91-93, 117-119, 144, გამოვლინდა კიდევ ხუთი სამშენებლო ჰორიზონტი, წარმოდგენილი რიყის ან ნატეხი ქვით ნაგები კედლების საძირკვლებით, რომლებიც უშუალოდ ერთმანეთზე გადადიან (ტაბ. II). ამრიგად, ელინისტური ხანის ფენა, რვა სამშენებლო ჰორიზონტითაა წარმოდგენილი, აქედან ექვსი – III-VIII, უშუალოდ სატაძრო კომპლექსს უკავშირდება. III სამშენებლო ჰორიზონტი (ტაბ. I) სატაძრო კომპლექსის ნგრევის სურათს ასახავს, ხოლო ქვედა ჰორიზონტები – იმ ინტენსიური მშენებლობის კვალს, რომელიც მიმდინარეობდა გორის დასავლეთ ნაწილში ტაძრის არსებობის დროს (ტაბ. II).

1997 წელს ციხიაგორაზე სამუშაოები განახლდა. მთლიანად გაიწმინდა ძველი განათხარი. მუშაობა XXVI სექტორში გაგრძელდა, გაითხარა 600 კვ. მ ფართობი, ძირითადად ტერასის ჩრდილოეთი ნაწილი და ბორცვის სამხრეთი ფერდი (ტაბ. II).

ტერასის გათხრა საშუალებას იძლევა დადგინდეს შიდა სტრატეგრაფია, ამიტომ მასალები განხილული იქნება სამშენებლო ჰორიზონტების ანუ დონეების მიხედვით. III დონის მასალა წარმოდგენილია დერეფნის იატაკზე, კვ. 16, 17, 18 (ტაბ. I), აღმოჩენილი კერამიკით (ტაბ. III₁₋₅). ის ძირითადად თხელკეციანია, ვარდისფრად გამომწვარი, წითლად შეღებილი (ტაბ. III₂), წითლად (ტაბ. III₅) და ნაცრისფერ ფონზე თეთრი ხაზებით მოხატული (ტაბ. III₄). გვხვდება კრამიტის ფრაგმენტები.

ამავე დონეს უნდა მიეკუთვნებოდეს ტერასაში ჩაჭრილი სამეურნეო ორმები (ტაბ. II): კვ. 94, ორმო № 1 (ტაბ. III₁₃₋₁₅), ორმო № 2 (ტაბ. III₆₋₁₀), კვ. 95, ორმო № 3 (ტაბ. III₁₁₋₁₂), კვ. 70, ორმო № 4 (ტაბ. III₁₆). ორმოებში დადასტურდა შავპრიალა კერამიკა (ტაბ. III_{6,8,16}), ვარდისფრად გამომწვარი (ტაბ. III_{7,9-12}), წითლად (ტაბ. III_{10,11,15}) და თეთრი ზოლებით

მოხატული (ტაბ. III₁₃). კვ. 69 გაითხარა ქვევრი, რომელსაც ჩაჭრილი აქვს IV დონის კედელი. ქვევრში აღმოჩნდა რამდენიმე ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. III₁₇₋₂₃). ვარდისფრად გამომწვარი, ხაოიანი ზედაპირით, წითლად მოხატული დერგი (ტაბ. III₁). მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული, შავად გამომწვარი, უხეშუდაპირიანი ქოთნები (ტაბ. III₁₈₋₁₉). თხელკეციანი, ყავისფრად გაპრიალებული ქოთანი (ტაბ. III₂₀) და თხელკეციანი შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტები (ტაბ. III₂₁₋₂₃), ნაჭდევებით (ტაბ. III₂₂) და ნაპრიალები ორნამენტით (ტაბ. III₂₃).

დერეფნის იატაკის ქვეშ და ტერასის ჩრდილოეთი ნაწილის გათხრის შედეგად გამოვლინდა IV დონე. იგი წარმოდგენილია მოზრდილი ნაგებობის ნაშთით, კვ. 18,19,20, 43,44, ნაგები ალიზით, რიყის ქვის საფუძველზე, კედლების სისქე – 80 სმ. თიხატკეპნილი იატაკი დამწვარი იყო და ნაცრის თხელი ფენა ფარავდა. დასავლეთის მხრიდან მეორე სათავსო უნდა ყოფილიყო, დაფიქსირდა იატაკის ფრაგმენტი. სტრატეგრაფიულად ეს ნაგებობა, ადრე გათხრილი, „სატრაპეზოს“ ქვეშ მდებარე კონტროფორსებიანი, დამწვარი ნაგებობის თანადროული უნდა იყოს (ტაბ. II). IV დონის შევსებაში, რომლის სისქე 20-30 სმ აღწევდა, დიდი რაოდენობის მასალა აღმოჩნდა. კვ. 17,18 – ქვევრების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, ვარდისფრად გამომწვარი, გლუვზედაპირიანი, ხშირად შემკული რელიეფური ორნამენტით და წითლად მოხატული (ტაბ. IV_{3,5-7}). ერთ-ერთ ნატეხზე მხედარია გამოსახული (ტაბ. IV₅). აქვე გვხვდება შავპრიალა ჯამი (ტაბ. IV₁). ყურადღებას იქცევს ორი თხელკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტი, ვარდისფრად გამომწვარი. ერთი, წითლად მოხატული, ზედ დატანილი თეთრი წერტილებით (ტაბ. IV₂). მეორე, ყავისფრად ანგობირებული, თეთრად მოხატული (ტაბ. IV₄). კვ. 43 – ორი დერგის ფრაგმენტები, ვარდისფრად გამომწვარი, გლუვზედაპირიანი, რელიეფური სარტყლებით, წითლად მოხატული (ტაბ. IV₈₋₁₀).

უშუალოდ ნაგებობის იატაკზე, ნაცროვან ფენაში, აღმოჩნდა მაღალი ხარისხის, წითლად ანგობირებული კერამიკის ფრაგმენტები (ტაბ. V_{1,3}), ვარდისფრად გამომწვარი, წითლად მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. V₅₋₇) და შავად გაპრიალებული საცეცხლურის ნატეხი (ტაბ. V₄).

კვ. 70 – გაითხარა ქვედა, V დონის მცირე მონაკვეთი. აქ აღმოჩნდა ერთი მთელი, ნიშნიანი კრამიტი და კრემისფერ ფონზე წითლად მოხატული ჭურჭლის ნატეხი.

მნიშვნელოვანი შედეგები მიღებულია გორის სამხრეთი ფერდის გათხრისას. აღმოჩნდა სატაძრო კომპლექსის თავდაცვითი სისტემის და შესასვლელის ნაშთები.

კვ. 141-169 დაფიქსირდა გალავნის კედლის ნაშთი 2 მ სიგანის, ნაგები ალიზით, რიყის ქვის

საძირკველზე (ტაბ. II) მოზრდილი რიყის ქვებით, ორ რიგად, გაკეთებულია პერანგი, შევსებული ხურდით. კედლის გარეთა, სამხრეთი მხარე, ჩაქცეულია ფერდზე. კედელი ემიჯნება კოშკს, კვ. 169, 170, 195 (ტაბ. II). კოშკი, 6,5 x 6,5 მ, ნაგებია ქვის საფუძველზე. საძირკველის პერანგი ნატეხი ქვით არის ნაგები და მთლიანად შევსებულია მოზრდილი რიყის ქვებით. ზევიდან ალიზის წყობა ჰქონდა, იგი 1,2 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. კოშკი მთლიანად დამწვარია, ალიზი – აგურად ქცეული. კოშკი ძლიერ დაზიანებულია, მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ჩაქცეულია. შედარებით კარგად შემორჩენილია ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები. აღმოსავლეთის კედელი საგანგებოდ შელესილია. კოშკის აღმოსავლეთი კედელი, ამავე დროს სათავსოს შიდა კედელია, რომელიც კოშკის აღმოსავლეთითაა მოწყობილი.

სათავსო, 7 x 7 მ, კვ. 171, 172, 196 (ტაბ. II). მისი იატაკი 1 მ დაბლაა ეზოს იატაკზე, ამიტომ, სათავსოს ჩრდილოეთი კედელი ტერასულად ჩაჭრილია მიწაში. მთელი სათავსო ამოვსებულია დამწვარი ალიზებით. სათავსოს ჩრდილოეთ მხარეს, ეზოს დონეზე, მრავლად იყო დამწვარი ხის ძელების ნაშთები და რკინის ლურსმნები. აშკარად რაღაც ხის კონსტრუქცია იყო ამ ნაგებობასთან დაკავშირებული.

გაიწმინდა სათავსოს დასავლეთი ნაწილი. გამოვლინდა კიბე, რომელიც სათავსოს თიხატკეპნილი იატაკიდან, კოშკის კედელს აუყვება და დიდ ეზოში ამოდის (ტაბ. II). კიბის სიგრძე – 3 მ, სიგანე 2,1 მ. სულ 12 საფეხურია, თითო 25-30 სმ სიგანის და 8-10 სმ სიმაღლის. საფეხურები გამართულია თიხის საფუძველზე, ხის ნახევარძელებით, ბრტყელი მხარით ზევით, ასევე გადალესილი თიხით. კიბის თავზე, ეზოს დონეზე 15 სმ დაბლა, საგანგებოდ მოტკეპნილი მოედანია 2,1 x 1,2 მ. კიბის შუა ნაწილში, კოშკის კედელში გაკეთებულია ნიშა – 70 სმ სიგანის და 35 სმ სიმაღლის, მასთან დაპირქვაკებული იყო საცეცხლური (ტაბ. V₂₉). საფეხურებზე გვხვდებოდა კედლის შელესილობის ფრაგმენტები საბეჭდავის ანაბეჭდების კვალით.

სათავსოში აღმოჩენილი კერამიკა უმეტესწილად ცეცხლისაგან ფერმეცვლილია, ნაწილი დეფორმირებულია, განსაკუთრებით დიდი ზომის ჭურჭელი. კერამიკა (ტაბ. V₈₋₂₉), ძირითადად ვარდისფრად არის გამომწვარი, რელიეფური ნაჭდევებით ყელზე (ტაბ. V₈), წითლად ანგობირებული (ტაბ. V₁₀), წითლად მოხატული (ტაბ. V_{18,26,27}) და თხელკეციანი, ყავისფრად ანგობირებული მცირე ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები გვხვდება (ტაბ. V₂₀). აგრეთვე, შავპრიალა დოქების ფრაგმენტები (ტაბ. V_{15,16}) და შავად გამომწვარი უხეშუდაპირიანი ქოთნის ნატეხები (ტაბ. V₉).

საინტერესოა ზოომორფული ფორმის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. V₂₈), ყავისფრად ანგო-

ბირებული და თეთრი წერტილებით ორნამენტირებული.

თვით კოშკის დამწვარი ალიზის ნანგრევებში, აღმოჩნდა ტერაკოტის ჩიტი ფიგურა (ტაბ. V₃₀). იგი ნაკლულია, თავი არა აქვს. ვარდისფრად გამომწვარი, მოხატულია წითელი საღებავით.

ჩვენი აზრით, კოშკი და საფეხურებიანი სათავსო, სატაძრო კომპლექსის შესასვლელი სისტემის ნაწილია, ამოსასვლელი დიდ ეზოში (ტაბ. I). მისი გაგრძელება გორის სამხრეთ ფერდზე უნდა ვეძიოთ, თუ გადარჩა. შემდგომმა კვლევამ, სათავსოს მთლიანად გაწმენდამ, შესაძლოა ნათელი მოჭვინოს ამ საკითხს.

როგორც ჩანს, კოშკი და საფეხურებიანი სათავსო უფრო ადრე დაიწვა, ვიდრე მთლიანად სატაძრო კომპლექსი. ტერასის კედელს, რომელიც დიდ ეზოს დასავლეთიდან ზღუდავს, არ ეტყობოდა ცეცხლის კვალი და უშუალოდ მიშენებული იყო კოშკის დამწვარ ალიზებზე, კვ. 170 (ტაბ. II).

რიყის ქვის საძირკვლიანი გალავნის კედელიც, კვ. 141-169 (ტაბ. II), უფრო მოგვიანო ჩანს და მიშენებულია კოშკზე. თუმცა ის საკმაოდ ღრმად არის ჩაჭრილი ფენებში, რაზეც მოწმობს მასთან აღმოჩენილი მასალა (ტაბ. V₃₁₋₃₄). განსაკუთრებით აღსანიშნავია ყავისფრად გაპრიალებული ჯამები (ტაბ. V_{32,34}), რომლებიც წინაელენისტურ ფენას მიეკუთვნება. მაგრამ გალავნის საძირკვლის მშენებლობის ტექნიკა, განსხვავდება კოშკის მშენებლობის ტექნიკისაგან. თუ გალავნის ამ ნაწილში საძირკვლის პერანგისათვის გამოყენებულია რიყის ქვა, ყველა სხვა შემთხვევაში, როგორც გალავნის, ისე კოშკების საძირკვლის პერანგისთვის ნატეხი, კლდის ქვაა გამოყენებული და მხოლოდ შევსებაში – რიყის ქვა. ვფიქრობთ, ეს მომენტი მათ ქრონოლოგიურ სხვაობაზეც მიუთითებს. სტრატეგრაფიული დაკვირვებაც გვარწმუნებს რომ კოშკი უფრო ადრე არსებობდა და დაიწვა, ვიდრე მას ამ გალავნის კედელს მიაშენებდნენ.

როგორც ჩანს, სატაძრო კომპლექსის არსებობის რაღაც ეტაპზე მისი საფორტიფიკაციო ნაგებობის სამხრეთი ნაწილი დაიწვა და ნაწილობრივ დაინგრა. საფეხურებიანი სათავსო აღარ აღუდგენიათ, ხოლო დამწვარი კოშკი ჩართეს ახალ სისტემაში, როგორც შიდა გეგმარებაში – ტერასის შექმნა, ასევე ახალი გალავნის სისტემაში (ტაბ. I).

1997 წელს ციხიაგორაზე ჩატარებულმა გათხრებმა გვიჩვენა ამ ძეგლის განვითარების რთული სურათი. უფრო მეტი პრობლემა წამოიჭრა, ვიდრე პასუხი გაეცა. მაგრამ შემდგომი სავსე კვლევა-ძიება და მასალის ანალიზი საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მყარი სტრატეგრაფიული მონაცემები აღმოსავლეთ საქართველოს ელინისტური ხანისათვის და შესაძლოა, უფრო ადრეული, აქემენიდური ხანისათვისაც.

3. Э. Махарадзе

НОВЫЕ ОТКРЫТИЯ НА ЦИХИАГОРА (резюме)

Многослойный памятник Цихиагора расположен на правом берегу р. Куры, в 40 км западнее г. Тбилиси, в Каспском районе, близ с. Кавтисхеви. Он представлял собой холм, высотой 12 м, верхняя часть имела размеры 100 × 40 м. Раскопки памятника в 1971–1992 гг. проводила экспедиция под руководством Г. Г. Цкитишвили.

Мощность культурных слоев достигала 6 м. Нижние слои относятся к эпохе бронзы. Лучшее всего на памятнике представлен слой эллинистической эпохи, в котором выявлен храмовый комплекс (табл. I). По мнению Г. Г. Цкитишвили, комплекс датируется IV–III вв. до н.э. и был уничтожен пожаром в середине III в. до н.э. На развалинах возобновилась жизнь в гораздо меньших масштабах. Зафиксировано два строительных горизонта II–I вв. до н.э.

В юго–западной части холма выявлен большой двор, с востока примыкающий к храму, а с запада – к террасе высотой в 1 м. При раскопках террасы зафиксировано шесть строительных горизонтов, непосредственно связанных с храмовым комплексом (табл. II). Следовательно, III строительный горизонт (табл. I) отражает картину разрушения храмового комплекса, а нижние горизонты свидетельствуют об интенсивном строительстве в западной части комплекса во время функционирования храма (табл. II).

В 1997 году возобновились работы на Цихиагора. Раскопки проводились в северной части террасы и на южном склоне холма (табл. II).

Материал III горизонта представлен из слоя (табл. III_{1–5}) и хозяйственных ям, впущенных в террасу (табл. III_{6–23}). Керамика в основном тонкостенная, розового обжига, часто расписанная красной краской (табл. III_{2,5,10,11,15,12}), или белыми полосами на сером фоне (табл. III_{4,13}). Встречается чернолощеная керамика (табл. III_{6,16,21–23}).

К IV горизонту принадлежит большое здание, выявленное в северной части террасы (табл. II). В заполнении здания встречаются фрагменты крупных сосу-

дов розового обжига, часто украшенных рельефными поясками и расписанных красной краской (табл. IV_{3,5-10}). Встречаются и чернолощенные миски (табл. IV₁). Привлекают внимание два фрагмента тонкостенной керамики с полихромной росписью, красной и белой краской (табл. IV_{2,4}). Непосредственно на полу здания обнаружена высококачественная краснолощенная и расписанная красной краской керамика (табл. V₁₋₇).

В южной части храмового комплекса выявлены остатки фортификационного сооружения: фундамент крепостной стены, башня и помещение из сырцовых кирпичей на каменном фундаменте. Башня и помещение разрушены пожаром. Керамика, обнаруженная в помещении (табл. V₈₋₂₉), в основном розового обжига, окрашенная или расписанная красной краской (табл. V_{10,26,27}). Встречаются чернолощенные сосуды (табл. V_{15,16}). Интересны фрагменты сосуда зооморфной формы (табл. V₂₈), орнаментированного белыми точками на коричневом фоне.

В развалинах башни обнаружена терракотовая фигурка птицы (табл. V₃₀), расписанная красной краской.

Раскопки 1997 года на Цихиагора свидетельствуют о сложной картине развития этого памятника. Дальнейшие раскопки и анализ материала позволят получить надежные стратиграфические данные по эллинистической эпохе Восточной Грузии.

Z. Makharadze

NEW DISCOVERIES ON TSIKHIAGORA (Summary)

The multilayered site of Tsikhiagora is situated on the right bank of the river Mtkvari 40 km westward of Tbilisi, near v. Kavtiskhevi, Kaspi district. It is a 12 m high hill, the area of its upper part being 100 × 40 m. In 1971-1992 excavations were carried out by the expedition under the direction of G. Tskitishvili.

The thickness of the cultural layers attained 6 m, the lower layers belonging to the Bronze Age. The layer of the Hellenistic period is preserved best of all, featuring a temple complex (pl. I). In Tskitishvili's view, the complex is dated to the 4th-3rd centuries B.C. and was destroyed by fire in the middle of the 3rd century B.C. Life resumed here

on a much smaller scale. Two constructional horizons of the 2nd-1st centuries B.C. were revealed.

In the south-western part of the hill a large yard was discovered, adjoining the temple from the east and a 1 m high terrace from the west. Six constructional horizons directly connected with the temple complex were identified during excavations (pl. II). Consequently the 3rd constructional horizon (pl. I) reflects the destruction of the temple complex, while the lower horizons at the time of functioning of the temple point to intensive construction in the western part of the complex (pl. II).

In 1977 work was resumed on Tsikhiagora. Excavations were carried out in the northern part of the terrace and on the southern slope of the hill (pl. II).

The material of the third horizon is represented by the layer (pl. III₁₋₅) and storage pits cut into the terrace and on the floor of the hall in the north of the terrace (pl. III₆₋₂₃). Pottery is mainly thin-walled, pink, often decorated with red paint (pl. III_{2,5,10,11,12,15}) or with white paint stripes on grey ground (pl. III_{4,13}). Black-polished pottery is also met (pl. III_{6,16,21-23}).

A large building, revealed in the northern part of the terrace (pl. II), belongs to the 4th constructional horizon. There were fragments of big vessels, fired pink, often decorated by relief ornaments and painted in red (pl. IV_{3,5-10}). Black-polished basins also occur (pl. IV₁). Interest attaches to two fragments of thin-walled polychrome pottery (red and white) (pl. IV_{2,4}). Red-polished pottery of high quality, painted in red, was discovered on the floor (pl. V₁₋₇).

In the southern part of the temple complex remains of fortificational structure were discovered: foundation of the wall, tower and a room built of adobe bricks on a stone foundation. The tower and the room were destroyed by fire.

The pottery, found in the room, is mainly baked in pink (pl. V₈₋₂₉), or painted in red (pl. V_{10,26,27}). Black-polished vessels are also found (pl. V_{15,16}). Fragments of a zoomorphic vessel ornamented with white dots on brown ground are of interest (pl. V₂₈).

A terracotta figurine of a bird, painted in red, was discovered in the ruins of the tower (pl. V₃₀).

The 1997 excavations on Tsikhiagora reveal a complex picture of the development of this site. Further excavations and analysis of the material will help to obtain reliable stratigraphic data on the Hellenistic period of Eastern Georgia.

ლიტერატურა

1. კახელიშვილი თ. შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები ციხიაგორაზე. თბ., 1990. პრეპრინტი.
2. მასარაძე ზ. ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარები. თბ., 1994.
3. ცქიტიშვილი გ. ციხიაგორა. – საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V, თბ., 1990, გვ. 169-171.
4. Цкитишвили Г. Г. Результаты работ на Цихиагора (1971–1974 гг). – КСИА, 151, 1977, с. 87–93.
5. Zkitischwili G. Der frühhellenistische Feuertempel von Kawtiskhewi. – Archäologische Anzeiger. 1995, p. 83-98.

ტაბულების აღწერილობა


- ტაბ. I – ციხიაგორას ელინისტური ხანის სატაძრო კომპლექსის გეგმა.
- ტაბ. II – ციხიაგორა. 1997 წლის გათხრების გეგმა.
- ტაბ. III – 1-5 – III დონის მასალა; 6-10 – ორმო № 2, მასალა; 11-12 – ორმო № 3, მასალა; 13-15 – ორმო № 1, მასალა; 16 – ორმო № 4, მასალა; 17-23 – ქვევრში აღმოჩენილი მასალა.
- ტაბ. IV – IV დონის მასალა.
- ტაბ. V – 1-7 – IV დონის მასალა; 8-29 – საფეხურებიანი სათავსოს მასალა; 30 – კოშკი, ფრინველის ფიგურა; 31-34 – წინაელინისტური ფენის მასალა.


Описание таблиц

- Табл. I – Цихиагора. План храмового комплекса эллинистической эпохи.
- Табл. II – Цихиагора. План раскопок 1997 года.
- Табл. III – 1–5 – материал III горизонта; 6–10 – яма № 2; 11–12 – яма № 3; 13–15 – яма № 1; 16 – яма № 4; 17–23 – материал из пифоса.
- Табл. IV – материал IV горизонта.
- Табл. V – 1–7 – материал IV горизонта; 8–29 – материал из помещения со ступенями; 30 – фигурка птицы из башни; 31–34 – материал до-эллинистического слоя.


Description of the Plates



- Pl. I – Tsikhiagora. Plan of the temple complex of the Hellenistic period.
- PL. II – Tsikhiagora. Plan of the excavation in 1997.
- Pl. III – 1-5 – materials from the 3rd horizon; 6-10 – materials from pit 2; 11-12 – materials from pit 3; 13-15 – materials from pit 1; 16 – pit 4; 17-23 – material from the pithos.
- Pl. IV. – material from horizon 4.
- Pl. V – 1-7 – material from horizon 4; 8-29 – material from the room with steps; 30 – figurine of a bird from the tower; 31-34 – material of the pre-Hellenistic layer.






ტაბ. III






გახ. V



ფალაურწარწერიანი გემა გველეთის სამაროვნიდან

ირანული წარმოშობის გემები მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოში და სპეციალისტების მიერ სათანადოდ შესწავლილი [5, გვ. 4-15]. ბოლო დრომდე თერგის ხეობიდან ნაკლებად იყო ცნობილი სასანური გლიპტიკის ნიმუშები [7, გვ. 70]. 1991 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) მიერ დარიალის ხეობაში, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, გველეთის ციხიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით შესწავლილმა ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანმა ეს ხარვეზი რამდენადმე შეავსო. სამაროვანზე სხვა მასალებთან ერთად აღმოჩნდა 6 გემა, რომელთაგან 5 ბეჭედში იყო ჩასმული, 1 ბეჭდის გარეშე გამოვლინდა [3, გვ. 16]. გველეთის გემიანი ბეჭდებიდან საყურადღებოა ერთ-ერთი ბეჭედი, რომელიც № 15 ქვისსამარხში აღმოჩნდა. აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი სამარხის კედლები შედგენილი და გადახურული იყო ფიქალის ფილებით (სამარხის ზომები: სიგრძე – 1,4 მ, სიგანე – 0,5 მ, სიმაღლე – 0,4 მ). სამარხში დაეკრძალათ ორი მიცვალებული. მამაკაცი ესვენა ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით. მარჯვენა ხელი ელო ტანის გასწვრივ. იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელის მტევანი ელო ბარძაყის ძვლებს შორის. მიცვალებულს მკერდზე ესვენა მცირე-წლოვანი ბავშვი, ისიც ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთით, რამდენადმე ჩრდ.-დას. – სამხ.-აღმ. ხაზზე დამხრობილი.

სამარხის მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ინვენტარს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვერცხლის მასიური ბეჭედი, რომელიც აღმოჩნდა მამაკაცის მენჯის ძვალთან. ბეჭდის მრგვალგანივიკეთიან გახსნილ რკალზე მირჩილულია ოვალური მოყვანილობის მაღალი თვალბუდე. მასში ჩასმულია მუქი წითელი ფერის სარდერის ოვალური მოყვანილობის კარგად გათლილი და ფონგაპრიალებული ქვა, რომლის ცენტრში ამოკვეთილია მარცხნივ მიმართული ლომი, თავით პროფილში. თავი



სურ. 1.


თები ნაბიჯის პოზიციაშია. კუდი გრძელია. ცხოველის ბეჭვი გამოხატულია ვერტიკალური პარალელური ხაზებით. კვეთა საშუალო სიღრმისაა. გამოსახულება შესრულებულია ე.წ. ესკიზური ანუ „შტრიხული მანერით“ (ბეჭდის რკალის შიდა დიამეტრი – 2,2 სმ, თვალბუდის სიმაღლე – 6 მმ, დიამ. – 1,1-1,4 სმ; ქვის ზომა 0,9-1,2 სმ. სურ. 1).

სასანურ ხელოვნებაში, და კერძოდ გლიპტიკაში, ლომი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ცხოველი იყო. „შტრიხული მანერით“ შესრულებული ცხოველების გამოსახულებით შემკული საბეჭდავები საკუთრივ ირანის გარდა ფართოდ იყო გავრცელებული მცირე აზიაში, ერაყში, შუა აზიაში, ამიერკავკასიაში [8, გვ. 30]. გველეთის საბეჭდავზე წარმოდგენილი ლომის ფორმა უჩვეულოა და მისი ზუსტი ანალოგი ჩვენთვის უცნობია. გემა, მასზე წარმოდგენილი საკმაოდ მაღალ დონეზე შესრულებული გამოსახულების გარდა, იმ მხრივაც იპყრობს ყურადღებას, რომ ცხოველის ფიგურას ზემოდან შემოუყვება საშუალო სპარსულით – ფალაურით შესრულებული ერთსიტყვიანი წარწერა. ასოები ფაქიზადაა ამოტვიფრული და ადვილად იკითხება: „r'styhy“ – „სამართლიანობა.“ ეს ლეგენდა ზშირად გვხვდება როგორც სასანური გლიპტიკის ნიმუშებზე, ისე მონეტებზე. სიტყვები „r'sty“ და „r'st“ წარმოდგენილია სასანური დრაქიმების რევერსზე ატამდანის (ცეცხლის საკურთხევლის) კოლონაზე [10, კატ. №№ 208-211, 214, 216, 219, 245, 263]. მათი მონეტებზე გამოსახვა მონეტის წონის სიზუსტესა და მეტალის სიწმინდეს აღნიშნავდა. წერილობითი წყაროების ცნობით, სასანიანთა დინასტიის დამაარსებელს არდაშირ I-ს (224-241 წწ.) ოთხი ბეჭედი ჰქონდა. სამხედრო ბრძანებებისათვის განკუთვნილ ბეჭედზე ამოტვიფრული იყო სიტყვა „ამტანიანობა.“ ფინანსებთან და მშენებლობასთან დაკავშირებული საბუთების დასაბეჭდად იყენებდა სხვა ბეჭედს, რომელზეც წარმოდგენილი იყო სიტყვა „დადასტურება.“ ფოსტასა და გადაზიდვებთან დაკავშირებულ ბეჭედს ამკობდა სიტყვა „სიჩქარე.“ ბეჭედს, რომელზეც ამოკვეთილი იყო სიტყვა „r'styhy“ – „სამართლიანობა,“ იყენებდა სასამართლო საქმეებში [8, გვ. 10, 11]. ამგვარი წარწერა სასანურ გემებზე მრავლად გვხვდება. აღნიშნული წარწერა იკვეთებოდა ისეთ ბეჭედებზე, რომლებიც ძირითადად სასამართლო საქმეებში გამოიყენებოდა [8, გვ. 30]. ფალაურწარწერიანი გემები საქართველოში ცოტაა აღმოჩენილი [5, გვ. 18; 6, გვ. 86]. მსგავსი წარწერის მქონე გემა კი ჩვენში დღემდე უცნობი იყო. სასანურ ირანში

გემაზე ამოკვეთილ გამოსახულებასა და წარწერას მკაცრად შეზღუდული დანიშნულება ჰქონდა. სხვადასხვა ხასიათის საბუთების დასაბეჭდად სხვადასხვა გემა გამოიყენებოდა, მაგრამ ირანის ფარგლებს გარეთ გემები კარგავდნენ თავის განსაკუთრებულ შინაარსს. ქართულ სამყაროში მოსახლეობის ფართო ფენა გემა-საბეჭდავებს ძირითადად იყენებდა როგორც ავგაროზებს – ავი თვალისაგან დამცველს, ბედნიერების მომტანს და სხვ. თუმცა, რა თქმა უნდა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გემებს თავისი პირდაპირი დანიშნულებითაც (პირადი ქონებისა თუ ღოკუმენტების დაბეჭდვა) იყენებდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც უფლისციხესა და ურბნისში აღმოჩენილი ბულები [5, გვ. 49, 51].

გველეთის საბეჭდავზე ცხოველის გამოსახულება შესრულებულია ე.წ. ესკიზური ანუ „შტრიხული მანერით.“ „შტრიხული მანერით“ შესრულებული გამოსახულებით შემკული გემების ფართოდ გავრცელების ხანად VI-VII საუკუნეებია მიჩნეული [8, გვ. 27]. მკვლევართა აზრით, რადგან ასეთი გემები საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე სტილისტური თვალსაზრისით საოცარ ერთიანობას ამჟღავნებენ, მათი დამზადების ცენტრი საძებნია ერთ ადგილას, კერძოდ ირანში. ასეთი გემები იქიდან მასიურად გადიოდა მეზობელ ქვეყნებში [8, გვ. 30]. გველეთის გემა, რომლის გამოსახულებაში უკვე შეიმჩნევა ესკიზური სტილისათვის დამახასიათებელი სქემატიზაციის ნიშნები, კვეთის მანერის მიხედვით VI-VII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. თუმცა, შესაძლოა თარიღი უფრო დაკონკრეტდეს. სამარხი № 15, სადაც გემა აღმოჩნდა, იქ გამოვლენილი სხვა მრავალრიცხოვანი ინვენტარით მყარად თარიღდება VII საუკუნით. მართალია, გემების დათარიღება სამარხეული კომპლექსების მიხედვით ყოველთვის მიზანშეწონილი არაა, რადგან ისინი ზოგჯერ დიდი ხნის გამოყენების შემდეგ მოხვედბოდნენ ხოლმე სამარხებში [9, გვ. 263], მაგრამ ამ შემთხვევაში ბეჭდის დამზადებისა და მისი სამარხში მოხვედრის თარიღები ერთმანეთისაგან დიდად არ ჩანს დაშორებული. ყოველ შემთხვევაში უცილობლად იმის დადგენა მაინც შეიძლება თუ როდის მოხვდა გემა სამარხში. ამ თარიღის გარკვევა კარგად ხერხდება გემის თანმხლები სამარხეული ინვენტარით: ვერცხლის „ნიღბისებური“ ბალოებით, ბრინჯაოს საკინძებით, ბრინჯაოს B-ს მაგვარი აბზინდით და სხვ. (სურ. 2). „ნიღბისებური“ ბალოების ანალოგები მრავლადაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებიდან და მათ ძირითადად VII საუკუნეს მიაკუთვნებენ [1, გვ. 50]. იმავე პერიოდის სამარხეულ კომპლექსთა ტიპური შემადგენელი ნაწილია ბრინჯაოს მთლიანადსხმული საკინძები [1, გვ. 85; 2, გვ. 62]. VII საუკუნით თარიღდება აღმოსავლეთ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ აღმო-

ჩენილი B-ს მაგვარი აბზინდები [1, გვ. 45]. ამდენად, თანმხლები ინვენტარის მიხედვით, გველეთის № 15 სამარხის ფალაურწარწერიანი გემა VII საუკუნით, უფრო კი VII საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს. ესაა ბეჭდის სამარხში მოხვედრის თარიღი.



სურ. 2

დარიალის ხეობაში სასანური ნივთების აღმოჩენის ფაქტები სულ უფრო მრავლდება. ქართლში სასანური გემების მასიური შემოსვლა V საუკუნის მეორე ნახევრიდან უნდა დაწყებულიყო [5, გვ. 55]. ჩვენში სასანური ნაწარმის გავრცელება კიდევ უფრო ინტენსიური ხდება მას შემდეგ, რაც 523 წელს ირანელებმა აქ მეფობა გააუქმეს. მათ ხელთ იგდეს დარიალის ხეობაც, რომელზეც გადიოდა ჩრდილოეთ კავკასია – ამიერკავკასიის დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი, და ის თავის კონტროლს დაუქვემდებარეს [4, გვ. 95]. გარდა სამხედრო-სტრატეგიული მიზნებისა, ბუნებრივია, ირანელები ამ გზას საკუთარი ეკონომიკური ინტერესებისთვისაც იყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ძეგლებზე გამოვლენილი სასანური ნივთების, მათ შორის გემების ერთი ნაწილი იქ დარიალის გზითაა მოხვედრილი [7, გვ. 70]. ასეთ ვითარებაში დარიალის ხეობის მოსახლეობაც გარკვეულწილად უნდა ჩაბმულიყო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში სასანურ ირანთან, რასაც ადასტურებს გველეთში აღმოჩენილი სასანური გემები, რომელთა შორის ფალაურწარწერიანი ნიმუშიც გვხვდება.

М. В. Цоцелия, Д. В. Миндорашвили

ГЕММА С ПЕХЛЕВИЙСКОЙ НАДПИСЬЮ ИЗ ГВЕЛЕТСКОГО МОГИЛЬНИКА (резюме)

Геммы иранского (сасанидского) происхождения неоднократно были найдены на территории Грузии. В 1991 г. экспедиция Центра археологических исследований в Дарьяльском ущелье, к северу от гвелетской крепости выявила раннесредневековый могильник. Среди многообразного и многочисленного археологического материала Гвелетского могильника, особый интерес представляет серебряный перстень с печатью (рис. 1). Гемма представляет собой овальной формы плоский камень из породы халцедонов, т.н. сардер темно-красного цвета. Камень хорошо отточен и отполирован. В центре – изображение льва в профиль влево. Лапы в позиции шага, хвост длинный, шерсть передана штрихами. Изображение средней глубины. Над изображением пехлевийская надпись "r'styhy" – "справедливость." Легенда часто встречается на памятниках сасанидской глиптики и на аташдане некоторых сасанидских монет. Изображение льва в "штриховой манере." Значимость геммы и в том, что она найдена *in situ* в определенном пункте Восточной Грузии в погребальном комплексе первой половины VII века. Как видно, население Дарьяльского ущелья было вовлечено в торгово-экономические взаимосвязи с сасанидским Ираном.

M. Tsotselia, D. Mindorashvili

A GEM WITH A PAHLAVI INSCRIPTION FROM GVELETI (Summary)

Sasanian gems were found in a great number on the territory of Georgia. Six rings were uncovered in grave 15 in Gveleti, a mountain region of East Georgia.

One silver ring has an oval-shaped gem with an extremely simple design: a small lion figure to right with a Middle Persian inscription: "r'styhy" – "justice." The linear rendering of the lion has parallels on Sasanian seals. The ring must have belonged to a private person and may have been amuletic in purpose. The grave is dated from the 1st half of the 7th cent. A.D.

Findings of Sasanian gems on the territory of Georgia, as well as coins, point to trade with the economic relations of Sasanian Iran and Kartli State.

ლიტერატურა

1. აფხაზაგა ნ. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ., 1979.
2. აფხაზაგა ნ. ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ., 1988.
3. მინდორაშვილი დ. სასანური გემები გველეთის სამაროვნიდან. – ძმ, № 4, 1997, გვ. 16-22.
4. მოქცევაძე ქართლისად, ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ილ. აბულაძის საერთო რედაქციით. წ. I, (V-X სს.), თბ., 1963.
5. რამიშვილი ქ. სასანური გემები საქართველოში. თბ., 1979.
6. წოწელია მ. ფალაურწარწერიანი სამკაული ჟინვალიდან. – სსმმ, ტ. XXXV-B, 1981, გვ. 84-88.
7. Абрамова М. П. Раннесредневековый могильник с. Чми в Северной Осетии. – Новые материалы по археологии Центрального Кавказа. Орджоникидзе, 1986, с. 60 – 70.
8. Борисов А. Я., Луконин В. Г. Сасанидские геммы. Л., 1963.
9. Раевская Т. А. К вопросу о методе датировки некоторых памятников сасанидской глиптики. – Искусство и археология Ирана. М., 1971, с. 263 – 268.
10. Paruck F. Sasanian coins, Bombay, 1924, catalogue №№ 208-211, 214, 216, 219, 245, 263.

სურათების აღწერილობა

სურ. 1. ფალაურწარწერიანი ბეჭედი № 15 სამარხიდან.

სურ. 2. ბეჭედთან ერთად აღმოჩენილი ინვენტარი.

Описание рисунков

Рис. 1. Перстень с пехлевийской надписью из погребения № 15.

Рис. 2. Инвентарь обнаруженный с перстнем.

Description of the Figures

Fig. 1. A finger-ring with a Pahlavi inscription from burial 5.

Fig. 2. Inventory discovered with the finger-ring.

მინის ჭურჭელი რუსთავიდან

კუხეთის რუსთავის მინის კოლექცია ერთ-ერთი საუკეთესო საქართველოს შუა საუკუნეთა ნაქალაქარებში აღმოჩენილ მინის ნაწარმს შორის. იგი გამოირჩევა თავისი მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით. მინის ჭურჭელი რუსთავის განათხარში IV ს. გვხვდება როგორც კულტურულ ფენებში, ასევე, და უმთავრესად, სამაროვნებზე. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ სამაროვნებიდან მომდინარე მინის ჭურჭელს.¹⁰

რუსთავის ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (მტკვრის მარჯვენა ნაპირი) გაითხარა ერთმანეთთან ახლოს მდებარე ორი სამაროვანი, რომელიც ვრცელი სამოსახლოს ცალკეული უბნების კუთვნილი უნდა იყოს [7, გვ. 37, 38, 54]. I სამაროვნის (გაითხარა 1949 წ.) 21 ორმოსამარხიდან ინვენტარიანი იყო 7 სამარხი. ინვენტარის (ოქროსა და ბრინჯაოს საყურეები და ბეჭდები, ბრინჯაოს სარკე, ნაირგვარი მძივები) მიხედვით, რომელიც უახლოეს ანალოგიას პოულობს მცხეთის სამარხულ ინვენტართან [1, გვ. 104-129, ტაბ. XIII, 3, 4, 7; სურ. 136], იგი IV-V სს. დათარიღდა [5, გვ. 179-181. ტაბ. XVI, 3-6, XVII, 1-2; 7, გვ. 11-12]. ამ თარიღს მხარს უჭერს სტრატეგრაფიული მონაცემებიც; სამარხებს ზედ ადევს მარან-ბელდების ფენა, რომელიც VI-IX სს. ბერძნულ-ქართულ წარწერიანი ქვის საბეჭდავით და VII ს. ბიზანტიური ვერცხლის მონეტით თარიღდება [5, გვ. 175, 176, 179-181, ტაბ. XVII, 3; 24, გვ. 268-263]. იხ. აგრეთვე [29, გვ. 41-43].

II სამაროვნის (გაითხარა 1959 წ.) 29 სამარხიდან 19 ქვისსამარხია, ხოლო 10 – ორმოსამარხი; აქედან ინვენტარიანი იყო 8 სამარხი. ინვენტარი (ბრინჯაოს საკინძები, ზოგი ოქროს ბუდიანი აღმადინის თვლებით, ოქროს თვალედი ბეჭედი და სხვ.) მცხეთური ანალოგების მიხედვით IV-VI სს. დათარიღდა [6, გვ. 54; 7, გვ. 37, ტაბ. XXV, 1-7]. აქ სხვა ფენა არა გვაქვს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოში ორმოსამარხები საკმაოდ გავრცელებული ტიპია და იგი IV-V სს. თარიღდება, ხოლო ქვისსამარხების გავრცელების პერიოდად IV-VIII სს. მიჩნეული [30, გვ. 76-77].

რუსთავის ნაქალაქარის I სამაროვანზე აღმოჩნდა მინის 7, ხოლო II სამაროვანზე – 3 ჭურჭელი (2 შემთხვევითია). ამგვარად, ორივე სამაროვანზე მინის 10 ჭურჭელია წარმოდგენილი: სამი ერთ სამარხში (№ 1), ორი – ერთში


(№ 11), ხოლო თითო – სამში (№ 2, 3; II სამაროვნის № 1). ორი სანელსაცხებლე შემთხვევით აღმოჩნდა ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (მტკვრის მარცხენა ნაპირი).

ამ ჭურჭლების საგანგებო კვლევამ [25, გვ. 136-139, ტაბ. I, სურ. 1; 26, გვ. 8-13, 19, ტაბ. I, II, 1-4, 8] და შემდგომმა ახალმა აღმოჩენებმა შესაძლებელი გახდა თითოეული მათგანის თარიღისა თუ წარმომავლობის დაზუსტება. განსახილველი 12 ჭურჭლიდან¹¹ მხოლოდ ერთია სასმისი, დანარჩენი – სანელსაცხებლეებია. სანელსაცხებლეებში გამოიყო რამდენიმე ტიპი. I, II და III ტიპი ყალიბში გამოხერხდება დამზადებული; IV-IX – თავისუფალი ბერვით. ყოველი მათგანის მინა მეტ-ნაკლებად გამოფიტულია.

განხილვას დავიწყებთ სანელსაცხებლეებით.

I ტიპი. პირი შიგნით ჩაკეცილი და გაშლილია; ყელი – ფართო, მაღალი, შიგნით შევიწროებული; ტანი – ოდნავ მოგრძო, გამობერილი, მთლიანად მრგვალი ბურცობებით შემკული; ძირი – ბრტყელი; მინა – მომწვანო, კრიალა, მოთეთრო-მოყვითალოდ გამოფიტული. დამზადებულია ორნაწილიან ორნამენტთან ყალიბში გამოხერხებით.

ერთი მთელი (სურ. 1, № 360) და მეორე დამტკვრული (№ 361) ასეთი სანელსაცხებლე აღმოჩნდა I სამაროვნის № 1 სამარხში. თანმხლები მა-



სურ. 1

სალა: მინის სასმისი, ბრინჯაოს სარკე, ქვის ავგაროზი. ზუსტად ასეთივე სანელსაცხებლე 1963 წ. შემთხვევით აღმოჩნდა ალაიანში. სამივე IV ს. სირიულ ნაწარმად არის მიჩნეული [26, გვ. 8, 9].

სირიულად მიჩნეული ამ ტიპის მეოთხე სანელსაცხებლე 1986 წ. აღმოჩნდა მცხეთაში, ბაიათხევის სამაროვანზე, რომელიც ძირითადად III-IV ს. I ნახევრისთვის დამახასიათებელ კომპლექსებს შეიცავს, ხოლო კონკრეტულად № 18 სამარხი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო სანელსაცხებლეც იყო, დაკრძალვის წესის გათვალისწინებით (საოჯახო დაკრძალვა) IV ს. I ნახევრით დათარიღდა [15, გვ. 209, 210, სურ.

¹⁰ იბეჭდება გერმანიაში (წარმოდგენილი სტატია შევსებული ვარიანტია).

¹¹ მასალა ინახება რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ნახატები შესრულებულია ე. გომარელის, გ. ტოგონიძისა და ნ. კვინიკაძის მიერ.

2₅; 31, გვ. 80, 81, ტაბ. 187₂; 16, გვ. 101, 102, 115-118; სურ. 938, 939, 1181]. ზემოთ აღნიშნული სანელსაცხებლებისაგან განსხვავებით, მცხეთაში აღმოჩენილი მოლურჯო-მომწვანო სანელსაცხებლის ბურცობები რომბულია და დგას რგოლისებრ ძირ-ქუსლზე, რომელზედაც ერთმანეთში ჩამჯდარი რომბებია.


I ტიპის სანელსაცხებლები, ლიტერატურაში „მტევნისებურ ბოთლებად“ წოდებული, დიდი რაოდენობითაა გავრცელებული მთელ მასშობელ აღმოსავლეთში I-IV სს. და ყველგან სირიულ ნაწარმადაა მიჩნეული. ამ პერიოდის განმავლობაში ისინი მცირეოდენ სახეცვლილებას განიცდიან. ფორმა და შემკულობა ძირითადად ერთნაირია, მაგრამ განსაკუთრებით I – III სს. ზოგიერთს დამატებით ერთი ან ორი ელემენტი აქვს: ქუსლი, ყელზე რგოლი, ტუჩიანი პირი ან ყურები [45, გვ. 133, № 258; 46, გვ. 15, სურ. 10; 39, სურ. 17; 42, კატ. №№ 470-474, 32, კატ. №№ 130-132; 38, გვ. 80, ტაბ. VI, 1,2; სურ. 28₂]. III-IV სს. ისინი უფრო სადაა. რუსთავიდან და ალაიანიდან მომდინარე ნიმუშები განსაკუთრებით დიდ მსგავსებას (ფორმით, მინის ფერით, შემკულობით) პოულობს III-IV სს. სირიულად მიჩნეულ სანელსაცხებლებთან [42, კატ. №№ 479, 480]. მინის ჭურჭლებს გარდა (სასმისის შესახებ იხ. ქვემოთ) № 1 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სარკე, რომელიც ფრიად გავრცელებული ნივთია III-IV სს. იგი საკმაოდაა წარმოდგენილი როგორც კონკრეტულად IV ს. I ნახევრით, მაგ. მცხეთის სამთავროს სამაროვნის [10, იხ. ცხრილი, გვ. 98-107; სურ. 247, 256 და სხვ.], ისე ურბნისის IV ს. [28, გვ. 81-82, ტაბ. XXIV, 1-4] დათარიღებულ სამარხებში.

ამგვარად, თანმხლები და ანალოგიური მასალებით I ტიპის სანელსაცხებლები, ისევე როგორც ალაიანისა, IV ს. სირიულ ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ.

II ტიპი. პირი – ფართო, გადაშლილი, ნაპირგადმოკეცილი; ყელი – შევიწროებული, მხრები დაქანებული; ტანი – გამობერილი, ძირი – შედრეკილი. ყელ-პირი და მხრები სადაა, ტანი კი მთლიანად ღრმად დაღარული აქვს. მინა – მომწვანო, სქელკედლიანი, თეთრად გამოფიტული. დამზადებულია ორნამენტთან ყალიბში გამობერვით.

ერთი სანელსაცხებლე (სურ. 2. № 329), ნატეხების სახით, ნეკნებს შუა აღმოჩნდა I სამაროვნის № 11 სამარხში სხვა ტიპის სანელსაცხებლესთან ერთად (იხ. ქვემოთ). მეორესი მხოლოდ ძირ-კედლის ნატეხი (№ 274 მკერდის ძვლების ქვეშ იღო) აღმოჩნდა № 3 სამარხში მძივებთან და ოქროს ბეჭედთან ერთად. აქვე აღვნიშნავთ, რომ თანმხლები ოქროს ბეჭდის ანალოგიურია მცხეთის (არმაზისხევი, სამთავრო), ალაიანის, მოდინახეს IV ს. სამარხებიდან მომდინარე ნიმუშები [1, გვ. 115; ტაბ. XIII 7a,b.,

11, გვ. 100-103, სურ. 2, 162; 12, გვ. 64, ტაბ. XV, 7, 14]. შდრ. [9, გვ. 86-90, სურ. 12; 23, გვ. 52, 53, ტაბ. I, 38].





სურ. 2

რაც შეეხება თვით ტანდაღარულ სანელსაცხებლებს მათი ანალოგიები, ოღონდ უფრო მომცრო ზომისა, აღმოჩენილია მცხეთის სამთავროს სამაროვნის (ტიპი IX) ორ სამარხში და ზოგადად IV-V სს. არის დათარიღებული [23, გვ. 31, სურ. 10]. ამათგან ერთი, № 24 ორმოსამარხი, შემცველი მასალებით (მინის თასი ფარშევანგის გამოსახულებით, ბრინჯაოს ბეჭედი, სამაჯური, მშვილდსაქინძი და სხვ.) კონკრეტულად IV ს. არის დათარიღებული [23, გვ. 47]. ანალოგიურია აგრეთვე ურბნისის IV ს. № 3 სამარხიდან მომდინარე სანელსაცხებლე [28, გვ. 72, 73, სურ. 32₁, ტაბ. XXVI, 1]. ურბნისის IV ს. სამარხები დათარიღებულია ინვენტარის (თვალბუდიანი ოქროს ბეჭდები და ოქროს საყურეები მტევნის გამოსახულებით, ბრინჯაოს სარკე და სხვ.) მიხედვით [28, გვ. 80-82]. მსგავსი ჭურჭელი სომხეთში ადგილობრივ ნაწარმადაა მიჩნეული და III-IV სს. მიეკუთვნება [32, კატ. №№ 137, 142, 143, 146; 38, გვ. 81, 82, ტაბ. VII, 2, XIX, 5]. აზერბაიჯანში აღმოჩენილი ნიმუშები IV-VII სს. არის დათარიღებული [35, გვ. 68, ტაბ. XVII, 1,3, 6].

ანალოგიებისა და თანმხლები მასალის (ოქროს ბეჭედი) გათვალისწინებით, ტანდაღარული სანელსაცხებლები IV ს. უნდა დათარიღდეს.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ II ტიპი მინით ემსგავსება სირიულად მიჩნეულ სანელსაცხებლებს; მაგრამ უცხოურ ლიტერატურაში მისი ანალოგია ჯერჯერობით, ვერ მოვიძიეთ, რის გამოც II ტიპის სანელსაცხებლის წარმოშობის შესახებ ამჯერად თავს ვიკავებთ.



III ტიპი. პირი – შესქელებული; ყელი მაღალი, ვიწრო, პირდაპირ გადადის მცირედ გაფართოებულ ტანში, რომელიც 5 კანელურითაა შემკული. არ იდგმება. მინა – მომწვანო, კრიალა, მთლიანად დაბუშტული და დახეთქილი, მცირედ გამოფიტული. დამზადებულია ორნამენტთან ყალიბში გამობერვით. იგი (სურ. 3. № 2133) II სამაროვნის დანგრეული ქვისსამარხიდან მომდინარეობს (აღმოჩნდა 1954 წ.).



სურ. 3

ამგვარი სანელსაცხებლები უმთავრესად გავრცელებულია III ს. II ნახევრის შემდეგ [43, გვ. 144, 159, ტაბ. XXVIII, 4; 40, კატ. № 71]. III ტიპის ანალოგიური სანელსაცხებლები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე (ტიპი XVII) IV-V სს. დათარიღებულ სამარხებში [23, გვ. 35, 36, 54; სურ. 20]. რუსთავეში აღმოჩენილი სანელსაცხებლები IV-V სს. უნდა დათარიღდეს, რასაც მხარს უჭერს მასთან ერთად ნაპოვნი ნივთებიც (სპილენძის აბზინდა და სხვ.). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანარჩენი სანელსაცხებლები თავისუფალი ბერვითაა დამზადებული.

IV ტიპი. პირი – გაშლილი, კიდურაკეცილი; ყელი – მაღალი, მკვეთრად გამოყოფილი; ტანი – დაბრტყელებული; ძირი – ოდნავ შედრეკილი. მინა – თეთრი, მოსქო, დაბუშტული, მცირედ გამოფიტული. საბერავი მილი სუფთადაა მოჭრილი. აღმოჩნდა I სამაროვნის № 2 სამარხში. თანმხლები მასალა: ოქროს ცალი საყურე, პასტის დაღარული მძივები. იგი (სურ. 4. № 244. იდო მარცხენა მხართან) იმთავითვე და შემდგომშიც IV-V სს. მეტად თავისებურ ტიპად იქნა მიჩნეული [5, გვ. 180, ტაბ. XVI, 4; 22, ტაბ. 15].



სურ. 4

ამგვარი სანელსაცხებლები საქართველოში სადღეისოდ არ აღმოჩენილა. მისი ზუსტი ანალოგი ვერც საქართველოს გარეთ მოვიძიეთ. მეტ-ნაკლებად მსგავსი ნიმუშები გავრცელებულია გვიანანტიკურ სამყაროში და ითვლება სირიულ ნაწარმად [46, გვ. 38-44, სურ. 1, 2; 41, კატ. № 14; 44, გვ. 21, ტაბ. VI, E].


სანელსაცხებლის თანმხლებ ოქროს საყურეს დამათარიღებელი მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს პირგახსნილ რგოლს, რომელზედაც მირჩილულია ყუნწი, ხოლო მასზე ჩამოკიდებულია ვარდულებითა და პასტის როდინისებრი მძივებით ასხმული თავყუნწიანი ღერაკი. ამგვარი ოქროს საყურეები დიდი რაოდენობით გვხვდება IV ს. სამარხებში. ასეთებია: არმაზისხევის მდიდრული სამარხები [1, გვ. 104-128, ტაბ. XIII, 3, 4; XIV, 6, 7; XCVII, 2; CV, 14, 15, 19-21; 138_{1,3,11}], მცხეთის [4, გვ. 94-101, ტაბ. I, 2], მცხეთის სამთავროს სამაროვნის [10, სურ. 347, 348]; ურბნისის [28, გვ. 67, 74, სურ. 34_{8,10}], მოდინახეს [12, გვ. 61, 62, 75, სურ. 7, 14] და სხვ. ამგვარი საყურეები, ოღონდ ვერცხლისა და ბრინჯაოსი გვაქვს ვაშლაჯვარის IV ს. სამარხებიდან [13, გვ. 70, 72, ტაბ. XV, 1, 2, 17]. ნ. უგრელიძე სამთავროზე აღმოჩენილ ოქროსა და ვერცხლის ამგვარ საყურეებს ინვენტართან ერთად IV-V სს. ათარიღებს [23, გვ. 55, 56, ტაბ. I, № 45, 46].

როგორც დავინახეთ, ამგვარი საყურეები მეტად ცნობილია IV ს-ში. თანმხლებ მასალასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ, რომ სანელსაცხებლის ეს ტიპი გვიანანტიკურ ხანაშია გავრცელებული, ვფიქრობთ, არ შევცდებით, რომ საქართველოში აღმოჩენილი ეს ერთადერთი სანელსაცხებლები IV ს. სირიულ ნაწარმად მივიჩნიოთ.

V ტიპი. პირი – ოდნავ გაშლილი და გამოკეცილი, ყელი – მაღალი; ძირი – მცირედ შედრეკილი; ტანი გვერდებზანქილი ექნებოდა. მინა – თეთრი, თხელკედლიანი, გამოფიტული. იგი (სურ. 5. № 330) აღმოჩნდა ნატეხების სახით (პირ-ყელი და ძირი) № 11 სამარხში, ტანდაღარულ სანელსაცხებლესთან ერთად. გვერდებზეზანქილი სანელსაცხებლები აღმოჩენილია მცხეთის სამთავროს სამაროვნის (ტიპი XIII) IV-V სს. სამარხებში [23, გვ. 32, 33, სურ. 14, 15]; ურბნისის [28, გვ. 75, სურ. 33] და ვაშლაჯვარის [13, გვ. 71, ტაბ. XV, 4] სამაროვნების IV ს. სამარხებში, ქუშანანთგორის II სამაროვანზე, რომელიც III-IV სს-თა დათარიღებული [17, გვ. 54, 70, 71, 102, სურ. 10, № 376; ტაბ. 44₃].


რუსთავეში აღმოჩენილი გვერდებზეზანქილი სანელსაცხებლები ზომებით უფრო უახლოვდება ურბნულს. მას IV ს. ვათარიღებთ, რასაც მხარს უჭერს მასთან ერთად აღმოჩენილი II ტიპის

ტანდალარული სანელსაცხებლის თარიღიც (იხ. ზემოთ).



სურ. 5

VI ტიპი. პირი – გადაშლილი, შიგნით ჩაკეცილი, ყელი – დაბალი, ტანი – გამობერილი, ძირი – შედრეკილი. ყელი და ტანი შემკული აქვს გარშემოვლებული რუხი ძაფით; მინა – მომწვანო, თხელკედლიანი, გამოფიტული. იგი (სურ. 6. № 1454) აღმოჩნდა II სამაროვნის № 1 ქვისსამარხში, იღვა მარჯვენა ხელის მტევანთან. სხვა ნივთი არ ახლავს.




სურ. 6

მინის ძაფებით შემკული ჭურჭელი საქართველოში შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული, უმთავრესად II-IV სს. [18, გვ. 106]. VI ტიპის თითქმის ზუსტი ანალოგიაა (მხოლოდ ოდნავ მაღალი, ძაფი – თავისივე ფერის) სანელსაცხებლე, რომელიც აღმოჩნდა მცხეთაში, მარტაზისხევის სამარხში. სამარხი, ინვენტარის (ბრინჯაოს ბუდეაბმული და რკინის დაფანჯრული მშვილდსაკინძები და სხვ.) ანალიზის საფუძველზე, IV ს. არის დათარიღებული [18, გვ. 102-108, ტაბ. I,2] შდრ. [23, გვ. 38-40, სურ. 27]. IV ს. ვათარიღებთ რუსთავის სანელსაცხებლესაც.

VII ტიპი. პირი – გაშლილი, არათანაბრად შესქელებული; ყელი – დაბალი, სწორი; ტანი – მოგრძო, მცირედ და თანაბრად გამობერილი; ძირი – ოდნავ შედრეკილი. მინა – მომწვანო, სქელკედლიანი, წვრილბუშტულებიანი, გამოფიტული. კარგი ნახელავი არ არის (სურ. 7. № 59-42). ანალოგიურია: მცხეთის (სამთავრო – ტიპი VIII; მცხეთისგორა) IV-V სს. სამარხებიდან მომდინარე ნიმუშები, ოღონდ ესენი უფრო მომცრო ზომისაა [23, გვ. 30, 31, 47, სურ. 9; 14, გვ. 132-133, 142, სურ. 808]. ურბნისის IV ს. № 15 სამარხში აღმოჩენილი სანელსაცხებლე


[28, გვ. 70, სურ. 33₂] კი ზომით უფრო უახლოვდება რუსთავში აღმოჩენილ სანელსაცხებლეს.



სურ. 7

რუსთავში სანელსაცხებლე შემთხვევითაა მოპოვებული 1959 წ. II სამაროვნის ტერიტორიაზე. მას სხვა ნივთი არ ახლავს, ამიტომ იგი ზოგადად IV-V სს. უნდა მივაკუთვნოთ. როგორც აღინიშნა, 2 სანელსაცხებლე შემთხვევით იქნა მოპოვებული ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (მტკვრის მარცხენა ნაპირი).

VIII ტიპი. პირი – გაშლილი, ყელი დაბალი, ვიწრო; ტანი – ოვალურად დაბრტყელებული; ძირი – ბრტყელი; მინა – მომწვანო, ბუშტულებიანი, თხელკედლიანი; გამოფიტული (სურ. 8. № 2129). ანალოგიურია IV-V სს. სანელსაცხებლეები სამთავროს [23, გვ. 34, 35, 52, 53, სურ. 18], ურბნისის [28, გვ. 83-88, ტაბ. XXVI, 7], ვაშლაჯვარის [21, გვ. 21, ტაბ. II, № 52-54] სამაროვნებიდან. ეს ტიპი (სამთავროსთვის XV) გადმონაშთის სახით არსებობს VI-VIII სს-შიც, ოღონდ შედარებით უფრო ტლანქი და დაუდევრად ნაკეთებია, პირს ქვემოთ კი ღრმა ნაკეცი აქვს [23, გვ. 59, ტაბ. II]. მოტანილი ანალოგიების მიხედვით VIII ტიპის სანელსაცხებლე IV-V სს. უნდა დათარიღდეს.




სურ. 8

გვინდა აღვნიშნოთ, რომ იგი (სხვა ნივთი არ ახლავს) აღმოჩნდა 1954 წ. დანგრეულ ქვისსამარხში, მშენებელთა ქუჩის № 45 სახლის წინ (VI კვარტალი). ეს არის გაგრძელება იმ ტერიტორიისა, სადაც 1946 წ. მ. ივაშჩენკო, ხოლო 1988 წ. კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია თხრიდა VI-VIII სს. სამაროვანს. ამ სამაროვანზე, ჯერჯერობით, მხოლოდ სამკაულია წარმოდგენილი და მინისა თუ თიხის ჭურჭელი არ არის დადასტურებული [34, გვ. 73, 75; 37, გვ. 100].

ვფიქრობთ, შესაძლებელია, რომ ამ ვრცელი სამაროვნის გარკვეულ უბანზე უფრო ადრეული სამარხებიცაა, რომლებიც მინის ჭურჭელსაც შეიცავს. ამას შემდგომი გათხრები გაარკვევს.

არის კიდევ ერთი სანელსაცხებლე, რომლის აღმოჩენის ადგილი ეჭვს იწვევს, მაგრამ ვფიქრობთ, იგიც სამარხეული უნდა იყოს და სწორი იქნება თუ აქვე განვიხილავთ.

IX ტიპი. პირი – შესქელებული, ყელი – მაღალი, უშუალოდ გადადის დაბალ, გამობერილ ტანში; ძირი – შედრეკილი; ასიმეტრიულია. მინა – თეთრი, ყავისფრად გამოფიტული (სურ. 9. № 2193).




სურ. 9

ეს ტიპი, ე.წ. კოლბისებური სანელსაცხებლეები, ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ კავკასიაში I-VIII სს. მაგრამ ცალკეული ქრონოლოგიური ჯგუფები I-III, IV-V და VI-VIII სს. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმით, მინით, ზომით [23, გვ. 70, 71; 19, გვ. 20, 21]. რუსთვაში აღმოჩენილი სანელსაცხებლე ახლო ანალოგიებს პოულობს სამთავროს (ტიპი XXII) VI-VIII სს. სანელსაცხებლეებთან [23, გვ. 64-67, 70, 71, სურ. 32].

სასმისი. ცილინდრული ფორმისაა, ოღონდ პირი მცირედ გადაშლილია; მინა – თეთრი, მცირედ გამოფიტული. დამზადებულია თავისუფალი ბერვით. იგი (სურ. 10. № 362) I სამაროვნის № 1 სამარხიდანაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქვე იყო I ტიპის 2 სანელსაცხებლე ბრინჯაოს სარკე, ქვის ავგაროზი.

ანალოგიური სასმისი აღმოჩნდა 1985 წ. არაგვის ხეობაში, ნეძიხის სამაროვანზე, რომელიც კომპლექსების ანალიზის საფუძველზე III-IV სს. არის დათარიღებული [36, გვ. 84, ტაბ. CXLVI, 4], ხოლო კონკრეტულად № 47 ორ-



სურ. 10

¹² როგორც აღნიშნულია, იგი აღმოჩნდა 1955 წ. შემთხვევით (XVI კვარტალი), სადაც მხოლოდ კულტურული ფენები და ბრინჯაოს ხანის მასალებია წარმოდგენილი.

მოსამარხი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო სასმისია წარმოდგენილი, IV ს. თარიღდება.

ზუსტ ანალოგიებს ვერ მივაგენით, მაგრამ მეტ-ნაკლებად მსგავსი სასმისები გავრცელებულია მახლობელ აღმოსავლეთში I-IV სს. და ითვლება სირიულ ნაწარმად [40, კატ. №№ 29, 31, 32, 128].

რუსთავში აღმოჩენილი სასმისი, თანმხლები მასალების გათვალისწინებით (იხ. ზემოთ), IV ს. თარიღდება და სირიულ ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ.

განხილულ ჭურჭელთა უმრავლესობა – სანელსაცხებელთა III, V-IX ტიპი, ადგილობრივ უნდა იყოს დამზადებული, რასაც მხარს უჭერს მათი დიდი მსგავსება (ფორმით, მინით, ნაკეთობით) საქართველოში აღმოჩენილ თანადროულ მასალებთან.

სასმისი და სანელსაცხებელთა I და IV ტიპი დამახასიათებელია გვიანანტიკური ხანისათვის. აღმოჩენის ვითარებითა და ანალოგიებით რუსთავის ნიმუშები IV ს. თარიღდება; აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში I-III სს. დათარიღებულ ძეგლებზე [33, 19, 20] არც ერთი ეს ტიპი არ გვხვდება. არ გვხვდება ისინი არც IV ს. შემდგომ ხანაში. როგორც აღვნიშნეთ, ისინი სირიულ ნაწარმს წარმოადგენს და სადღეისოდ, საქართველოში ერთეულების სახითაა ცნობილი.¹⁴

I სამაროვნის 7 ინვენტარიანი სამარხიდან 4 სამარხში (№№ 1, 2, 3, 11) აღმოჩენილი მინის შვიდივე ჭურჭელი IV ს. დათარიღდა. ასევე დათარიღდა II სამაროვნის № 1 სამარხის ჭურჭელიც. ვფიქრობთ, მართებული იქნება, რომ თვით ეს სამარხებიც (შესაძლებლად მიგვაჩნია მთელი I სამაროვანიც) IV ს. დათარიღდეს, რასაც მხარს უჭერს სხვა ნივთებიც, რომელთა ანალოგიებს გზა და გზა ვუთითებდით.

I-III სს. იბერიაში მინის ჭურჭლის სირიული იმპორტის არსებობა დასტურდება მის დედაქალაქ მცხეთაში [8, გვ. 74-76], ურბნისში [19, გვ. 47]. რუსთავში (აგრეთვე ალაიანსა და მცხეთაში) აღმოჩენილმა ნიმუშებმა დაგვანახა, რომ ეს ტრადიცია IV ს. გრძელდება. როგორც ცნობილია, საქარავნო გზა უშუალოდ რუსთავზე არ გადიოდა, მაგრამ რუსთავი ძალიან ახლოს მდებარეობდა იმ ორ ცნობილ და მნიშვნელოვან სავაჭრო გზასთან, რომლებიც იბერიას, მის დედაქალაქ მცხეთას და მცხეთის მეშვეობით სხვა ქალაქებს აკავშირებდა სამხრეთთან (სომხეთი, მახლობელი აღმოსავლეთი და სხვ.) [27, გვ. 40, 204-205; 8, გვ. 68, 69].

განხილულმა მინის ჭურჭელმაც დაგვანახა, რომ გვიანანტიკური ხანის დასასრულს – ადრეული შუა საუკუნეების დასაწყისში საქართვე-

¹³ აზრი გავიზიარა გამოხრელმა ც. რობაქიძემ.

¹⁴ სასმისი – 2 ცალი; სანელსაცხებლეების I ტიპი – 4; IV ტიპი – 1.

ლოს ქალაქებს ურთიერთობა ჰქონდა, როგორც ერთმანეთთან, ისე გარე სამყაროსთან.

М. Н. Чхатарашвили

СТЕКЛЯННАЯ ПОСУДА ИЗ РУСТАВИ (резюме)

В статье рассмотрена стеклянная посуда из могильников Кухетского Рустави. На могильниках I и II (правобережье Куры) обнаружено 10 сосудов, а 2 — случайные находки (левобережье Куры). По стратиграфии и погребальному инвентарю, могильник I датируется IV—V вв., а могильник II — IV—VI вв. (Г. А. Ломтатидзе).

Специальное исследование стеклянных сосудов и новые находки дали возможность уточнить датировку и происхождение каждого из них. Из 12 сосудов только один сосуд для питья, а остальные бальзамарии. Среди бальзамарий выделяется несколько типов. Бальзамарии I, II, и III типов изготовлены выдуванием в форме, а IV—IX типы и сосуд для питья — свободным выдуванием.

Большинство из рассмотренной посуды — бальзамарии III типа (рис. 3), а также V—IX типы (рис. 5—9) должны быть местными изделиями, о чем свидетельствует их близость (по форме, стеклу, изделию) с одновременными материалами из других пунктов (Мцхета, Урбниси, Вашладжвари и др.). II, V и VI типы датируются IV в.; III, VII, VIII — IV—V вв, а IX тип — VI—VIII вв.

Сосуд для питья (рис. 10) и бальзамарии I (рис. 1) и IV (рис. 4) типов характерны для позднеантичного периода. По обстоятельству находки, сопровождающим материалам и аналогиям руставские образцы датируются IV в. и являются сирийским производством.

На могильнике I из 7 инвентарных погребений, обнаруженные в 4 погребениях (№№ 1, 2, 3, 11) семь сосудов датируются IV в. Так датируется и сосуд из погребения № 1 могильника II.

По нашему мнению, будет правильно, если эти погребения (возможно и весь могильник I) датировать IV в., что подтверждается и сопровождающим материалом.

В Иберии I—III вв. подтверждается сирийский импорт стеклянных сосудов (О. Д. Лордкипанидзе, М. Н. Сагинашвили). Как видно, эта традиция продолжается и в IV веке.

При изучении стеклянных сосудов хорошо видно, что в конце позднеантичного периода — в начале раннего средневековья города Грузии имели связи между собой и с внешним миром.

М. Chkhatarashvili

GLASS VESSELS FROM RUSTAVI (Summary)

The paper deals with glass vessels from the necropolis discovered in Rustavi of Kukheti. Ten vessels were discovered at necropoleis I and II (right bank of the Mtkvari) while two vessels were casual finds (left bank of the Mtkvari). Stratigraphically, and according to analogies of the inventory, necropolis I is dated to the 4th-5th cent., and necropolis II — to the 4th-6th cent. (G. Lomtadze).

A special study of the glass vessels, and further new discoveries, made it possible to determine the date and origin of each vessel. Of the 12 vessels only one is for drinking, the rest are unguentaria. Several types of balsamaria have been identified: types I, II and III were made by blowing in a mould; types IV-IX and the drinking vessel — by free blowing.

The majority of the vessels studied must have been of local manufacture. This is supported by their great resemblance with other contemporaneous materials from the sites of Mtskheta, Urbnisi, Vashlijvari, etc. Vessels of types II, V and VI are dated to the 4th cent. III, VII, VIII- to the 4th-5th cent., and type IX to the 6th-8th cent.

The cup and the unguentaria of types I (fig.1) and IV (fig. 4) are characteristic of the Late Classical period. According to the context of discovery, attending materials and analogies the Rustavi specimens are dated to the 4th cent. representing Syrian manufacture.

Seven glass vessels discovered in four burials (Nos. 1, 2, 3, 11) of necropolis I are dated to the 4th cent. Vessels discovered in burial 1 of necropolis II are dated to the same century. In the author's view, it will be correct to date these vessels and possibly the entire necropolis to the 4th cent. which is also supported by the accompanying materials.

The import of Syrian glass vessels in Iberia is confirmed in the 1st-3rd cent. (O. Lordkipanidze, M. Saginashvili), this tradition continuing in the 4th century.

Judging by the glass vessels it is obvious that at the end of the late Classical Period and at the beginning of the Early Middle Ages Georgian cities had contacts both with one another and with the outer world as well.

ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. I, თბ., 1955.

2. აფაქიძე ა., აბდუშელიშვილი მ., ნიკოლაიშვილი ვ. და სხვ. მცხეთა – 1978 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. V, თბ., 1981, გვ. 153-169.

3. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., სინარულიძე ა. და სხვ. დიდი მცხეთა, 1981. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. IX, თბ., 1989, გვ. 40-76.

4. დავლიანიძე ც. 1941 წ. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი მცხეთაში. – სსმმ, ტ. XXVII-B, 1967, გვ. 94-101.

5. ლომთათიძე გ. რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები. – მსკა, I, 1955, გვ. 171-210.

6. ლომთათიძე გ. არქეოლოგიური გათხრა რუსთავში 1959 წელს. – სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბ., 1960, გვ. 50-55.

7. ლომთათიძე გ. ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით. – რუსთავი. არქეოლოგიური გათხრები. 1946-1965. თბ., 1988, გვ. 6-61.

8. ლორთქიფანიძე თ. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია). თბ., 1968.

9. მაკალათია ს. არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში: სოფ. საკობიანოში, დაბლაგომში და ალაიანში. – სსმმ, XI-B, 1941, გვ. 81-90.

10. მანჯგალაძე გ. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები. – მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. VII, თბ., 1985, გვ. 43-108.

11. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ალაიანის არქეოლოგიური ძეგლები). – ნაეშ, II, 1983.

12. ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975.

13. ნიკოლაიშვილი ვ. ვაშლაჯვარის სამაროვანი (1972 წლის განათხარის მიხედვით). – სას, II, 1979 (1978), გვ. 63-77.

14. ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., ლლონტი ნ. მცხეთისგორის სამაროვანი. – მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. VII, თბ., 1985, გვ. 132-150.

15. ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., ნიშნაშვილი კ. მზის ტაძრის აღმოჩენა მცხეთაში. – სმამ, 132, № 1, 1988, გვ. 209-212.

16. ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი ვ. ბაიათხევი. – მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. X, თბ., 1995, გვ. 97-134.

17. რამიშვილი რ. ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. თბ., 1979.

18. საგინაშვილი მ. მარტაზისხევში აღმოჩენილი IV ს. სამარხი. – სსმმ, XXVII-B, 1967, გვ. 102-108.

19. საგინაშვილი მ. ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი. თბ., 1970.

20. სინარულიძე ა., აბუთიძე ა. მოგვთაკარის სამაროვანი (კატალოგი). – მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. VII, თბ., 1985, გვ. 109-131.

21. ტყეშელაშვილი თ. არქეოლოგიური დაზვერვები თბილისსა და მის მიდამოებში (1954-1962წწ.). – თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. თბ., 1966, გვ. 13-53.

22. უგრელიძე ნ. მინა ძველ საქართველოში. თბ., 1961.

23. უგრელიძე ნ. ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის. თბ., 1967.

24. ყაუხჩიშვილი თ. ბერძნული წარწერები საქართველოში. თბ., 1951.

25. ჩხატარაშვილი მ. შუა საუკუნეთა რუსთავში მინის წარმოების ისტორიისათვის. – ფსად, I, 1969, გვ. 136-153.

26. ჩხატარაშვილი მ. მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში. თბ., 1978.

27. ჭილაშვილი ლ. ქალაქი რუსთავი. ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი. თბ., 1958.

28. ჭილაშვილი ლ. ქალაქი ურბნისი. თბ., 1964.

29. ხავთასი მ. სეფისკვერი – ევლოგიის საბეჭდავი რუსთავიდან. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია, I. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 41-43.

30. ჯორბენაძე ბ. ადრეული შუა საუკუნეების სამარხი ნაგებობები და დაკრძალვის წესი აღმოსავლეთ საქართველოში. – ძიებანი, № 3, თბ., 1999, გვ. 76-84.

31. **Апакидзе А. М., Николайшвили В. В., Гиუნашвили Г. Д. и др.** Мцхетская экспедиция. – ПАИ, 1986 (1991), с. 79-84.

32. **Аракелян Б. Н., Тирацян Г. А., Хачатрян Ж. Д.** Стекло древней Армении (I-IV вв). – АПАр, № 3, 1969.

33. **Иващенко М. М.** Самтаврские погребения первых трех веков н.э. – მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. III, თბ., 1980.

34. **Иващенко М. М.** Руставский могильник (Археологические раскопки в 1946 г.). – რუსთავი. არქეოლოგიური გათხრები. 1946-1965. თბ., 1988, გვ. 71-77.

35. **Нურიев А. Б.** Стекло и их производство в Кавказской Албании. Баку., 1981 (на азерб. яз.).

36. **Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Чиковани Г. Ч. и др.** Археологическое изучение Арагвского ущелья. – ПАИ, 1984-1985 (1987), с. 74-89.

37. **Чикоидзе Ц. Н., Арчвадзе Т. Д., Чхатарашвили М. Н. и др.** Отчет о работе Кухетской экспедиций в 1987 – 88 гг. – ПАИ, 1988 (1997), с. 108-110.

38. **Хачатрян Ж. Д., Гарни, В.** Античный некрополь (результаты раскопок 1956-1972 гг.). – АПАр, N 5, 1976.

39. **Художественное стекло.** Альбом по материалам выставки в Государственном Эрмитаже. Л., 1967.

40. **Antike Gläser.** Staatliche Kunstsammlungen Kassel. Vollständiger Katalog bearbeitet von Edith Spartz, 1967.

41. **Glass from the Ancient World.** Municipal Museum of the Hague. Hague, 1966.

42. **Gläser der Antike.** Sammlung Erwin Oppenländer. Ausstellung. Hamburg-Köln. 1974-1975 (Katalog).

43. **Intercisa, II (Dunapentele).** Geschichte der Stadt in der Römerzeit, Budapest, 1957.

44. **Schmidt T.** L'expédition de Ctésiphon en 1931-1932. Syria. Revue d'art oriental et d'archéologie, v. XVI. Paris, 1935.

45. **Smith W.** Glass from the Ancient World. New York. 1957.

46. **Frova A.** Vetri Romani con Marchi. -JGS, XIII, 1971, 38-44.

სამაროვანი I, სამარხი № 11. 3. ტიპი III – IV-V სს., სამაროვანი II, დანგრეული სამარხი. 4. ტიპი IV – IV ს., სამაროვანი I, სამარხი № 2. 5. ტიპი V – IV ს., სამაროვანი I, სამარხი № 11. 6. ტიპი VI – IV სს., სამაროვანი II, სამარხი № 1. 7. ტიპი VII – IV-V სს., სამაროვანი II, შემთხვევითი მონაპოვარი. 8. ტიპი VIII – IV-V სს. ნაქალაქარი, დანგრეული სამარხი. 9. ტიპი IX – VI-VIII სს., ნაქალაქარი, შემთხვევითი მონაპოვარი. 10. სასმისი – IV ს., სამაროვანი I, სამარხი 1.

Описание рисунков

1–9. Бальзамарии: 1. Тип I – IV в. Могильник I, погребение № 1. 2. Тип II – IV в. Могильник I, погребение № 11. 3. Тип III – IV-V вв. Могильник II, из разрушенного погребения. 4. Тип IV – IV в. Могильник I, погребение № 2. 5. Тип V – IV в. Могильник I, погребение № 11. 6. Тип VI – IV в. Могильник II, погребение № 1. 7. Тип VII – IV-V вв. Могильник II, случайная находка. 8. Тип VIII – IV-V вв. Городище, из разрушенного погребения; 9. Тип IX – VI-VIII вв. Городище, случайная находка. 10. Сосуд для питья – IV в. Могильник I, погребение 1.

Description of the Figures

1-9. Ungentaria: 1. Type I – 4th cent. necropolis I, burial 1. 2. Type II – 4th cent., necropolis I, burial 11. 3. Type III – 4th-5th cent., necropolis II, destroyed burial. 4. Type IV – 4th cent., necropolis I, burial 2. 5. Type V – 4th cent., necropolis I, burial 11. 6. Type VI – 4th cent., necropolis II, burial 1. 7. Type VII – 4th-5th cent., necropolis II, casual finds. 8. Type VIII – 4th-5th cent., ancient site of the city, destroyed burial. 9. Type IX – 6th-8th cent., ancient site of the city, casual find. 10. Cup – 4th cent., necropolis I, burial 1.

სურათების აღწერილობა

1-9. სანელსაცხებლები: 1. ტიპი I – IV ს., სამაროვანი I, სამარხი № 1. 2. ტიპი II – IV ს.,

კახი წერეთელი ანატორის მკვლელობა


ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟინვალის კომპლექსური არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) რაზმმა 1974 წელს პირიქით ხევისურეთში, კერძოდ არღუნის ხეობაში, დაზვერა ისტორიული ძეგლები. სწორედ მაშინ მიაკვლიეს ანატორის ეკლესიის ნანგრევებს, რომელიც არქეოლოგიურად 1976 წლის აგვისტო-სექტემბერში იქნა შესწავლილი [27, გვ. 43; 28, გვ. 195-196].

ძეგლი მდებარეობს პირიქით ხევისურეთში, მდ. არღუნისა და მუცოსწყლის შესაყართან, შატლის აღმოსავლეთით 2 კმ-ზე, ანატორის ცნობილი აკლდამების სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, მაღალი, ციცაბო მთის მცირე დავაკებულ ადგილზე.

ანატორის ერთნავიანი ეკლესია გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხედა დასავლეთი მხრიდან მოგვიანო მოზრდილი მინაშენით (სურ.

მოგებულია ფიქალი ქვის ფილებით. შირიმის ქვებით გამოყვანილი აბსიდის კუთხეები, ძეგლის აბსოლუტურ ზომებთან შედარებით, საკმაოდ განიერია – 0,4 მ. ეკლესიის ინტერიერში თხრისას გამოვლენილი შირიმის კვადრების სიმრავლეს თუ გავითვალისწინებთ, სავარაუდოა, რომ კონქი და დარბაზის კამარა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შირიმის კვადრებით უნდა ყოფილიყო გადაყვანილი. ამდენად გამორიცხული არ არის, რომ დასავლეთი მინაშენის კედლების წყობაში ჩართული შირიმის კვადრები ეკლესიის დაქცევის შემდეგ იყოს იქიდან გაზიდული. ასევე განათხარ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკლესიის სახურავი მოზრდილი ფიქალებით ყოფილა გაწყობილი.

ეკლესიის ინტერიერში, დარბაზის სამხრეთ კედელთან, აღმოჩნდა ემბაზი, რომელიც მასიურ, შირიმის მონოლითურ კუბშია გამოკვეთილი




სურ. 1

1). სამშენებლო მასალა ფიქალი ქვაა. კედლების კუთხეები ნაწილობრივ შირიმის ნახერხი კვადრებითაა გამოყვანილი. მჭიდვად კირხსნარია ნახმარი. თავდაპირველად ეკლესიას ორი შესასვლელი ჰქონია – ერთი ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ მხარეს, მეორე კი დასავლეთი კედლის ცენტრში, რომელიც გვიან გაუუქმებიათ. ძეგლთან მისასვლელი ვიწრო ბილიკი მთის ძირას იწყება და ციცაბო ფერდობზე აყოლებით ეკლესიას ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან მიადგება. ეს ბილიკი ეკლესიასთან მისასვლელი ერთადერთი გზა უნდა ყოფილიყო, ხოლო ჩრდილოეთი კარი კი – ძირითადი შესასვლელი.

ეკლესიის აღმოსავლეთით ჩაწერილია სწორკუთხედში მოქცეული ნალისებური მოყვანილობის აბსიდი, რომლის ერთი საფეხურით შემადლებული ბაქანი წინაა გამოტანილი და


(სურ. 2), ზემოდან სამ მხარეს აკრავს რელიეფური სარტყელი, მის გაყოლებაზე მცირე



სურ. 2

წრიული ღრმულებია ჩაჭრილი. თითოეულ მხარეს ექვსი ასეთი ღრმულია. ემბაზს კუთხეებში, ვერტიკალურად, წრის 3/4 კვეთის დეკორატიული სვეტები ასდევს. ერთ-ერთ წახნაგზე სვეტებს შორის გამოკვეთილია ნახევარწრიული დეკორატიული ყრუ თალი; ორი სხვა წახნაგი სვეტებსა და სარტყელს შორის მოქცეულ სიბრტყეებს უკავია, ხოლო მეოთხე წახნაგი სრულიად სადაა.


ემბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, დაახლოებით 1 მ-ზე, დარბაზის იატაკზე თაღებით გახსნილი დიდი ზომის შირიმის მონოლითია დაფუძნებული (0,95 x 0,6 მ., სიმაღლე – 0,7 მ), რომელსაც აღმოსავლეთიდან ებჯინებოდა მასიური კვადრი. შირიმის ქვის ამ ორ მოზრდილ დეტალს შედარებით მცირე ფართობის დარბაზში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. როგორც გათხრებმა დაგვანახა, მონოლითი უშუალოდ ფიქალით მოგებულ იატაკზეა დაფუძნებული in situ მდგომარეობაში. მის აღმოსავლეთით მდებარე ქვის კუბი უთუოდ ადგილიდანაა დაძრული, რაც იქვე, მის ქვეშ მყოფ საკურთხევლის აღსავლის წინ შირიმის ქვის პატარა საფეხურის არსებობითაც გაირკვა.




სურ. 3

მოხსენიებულ დეტალებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს მცირე ფორმის არქიტექტურულ-დეკორატიული ნიმუში, რომელიც აბსიდის წინ, ეკლესიის სივრძივი ღერძის ხაზზე დევს. მის გრძივ წახნაგებში გამჭოლი ნახევარდწრიული თაღებია გამოკვეთილი (სურ. 3). აღმოსავლეთ მხარეზეც გამჭოლი ღიობია, ოღონდ არა თაღოვანი, არამედ სწორკუთხა (სურ. 4). მცირე ფორმის არქიტექტურულ-დეკორატიული ნიმუშის ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე ვერტიკალური შვერილი გამოიყოფა, ხოლო

სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე აშკარად ეტყობა, რომ ასეთივე შვერილი მომტკრეულია (სურ. 5).



სურ. 4



სურ. 5

მიუხედავად იმისა, რომ ეს არქიტექტურულ-დეკორატიული ნიმუში ერთ მთლიან, მასიურ ბლოკშია გამოკვეთილი, დიდი ზომის ღიობების წყალობით სიმსუბუქის ერთგვარი ილუზია იქმნება, რასაც, თავის მხრივ, ისიც აძლიერებს, რომ თაღები დაბლა გახსნილია, ე.ი. მონოლითს ფსკერი არ გააჩნია და ისეა იატაკზე დაფუძნებული. იქვე გამოვლენილი შირიმის კუბი, რომელიც ნაწილობრივ საკურთხევლის არდაბაგზე იდო, ერთიანი სადა მასივია ერთ-ერთი წახნაგის ცენტრში სწორკუთხა ღრმულით. ეკლესიის დარბაზშივე, აბსიდის არდაბაგთან ახლოს, აღმოჩნდა შირიმის ორი ბრტყელი ფილა, რომელთა კიდეები მსგავსადაა დამუშავებული. ერთ ფილაზე გამოკვეთილია ნახევარწრის განივკვეთის ლილვი, მეორე ფილის ლილვი კი შედარებით დაკუთხულია. ლილვები ფილების

სიბრტყიდან არ გამოიყოფა და გამოყვანილია ამოღარვის ხერხით.


როგორც ძველის აღწერიდან ჩანს, ანატორის ეკლესია ძლიერ დაზიანებული ნაგებობაა, რაც მის ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით შესწავლას საგრძნობლად ართულებს. მიუხედავად ამისა, ანატორის ეკლესიის მშენებლობის ხანის ზოგადი ჩარჩოების განსაზღვრისას მნიშვნელოვან დასაყრდენს მისი გეგმა იძლევა, რომელიც უთუოდ უცვლელი სახით შემოინახა. ანატორის ეკლესიაში აბსიდი დარბაზის სივრცეში 3,5-ჯერ ეტევა. თუ IX-X ს-ის მიჯნისა და შემდგომი ხანის ძეგლებში ასეთი შეფარდება ჩვეულებრივია (მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აბსიდი შიდა სივრცის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს – მაგ.: არბო, დისევი, ვანათი, ეხვევი – IX ს და XI ს-ის დამდეგი), უფრო ადრეულ ერთნავიან ეკლესიებში არსად დარბაზი აბსიდთან შედარებით ასე გრძელი არ არის. ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ანატორის ეკლესია IX ს-ის გასულის შემდგომ უნდა აეგოთ. მაგ., აბსიდისა და ნავის სივრცის შეფარდებით, ანატორის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული პარალელია IX-X სს-ის მიჯნის ქემერეთის ეკლესია [24, გვ. 44-47], თუმცა შიდა სივრცის აგებულებით იგი უფრო ადრეული ხანის ძეგლებთან პოულობს მსგავსებას. იგულისხმება პილასტრებით დაუნაწევრებელი, სადა კედლები და კიდევ ნალისებრი მონაზულობის აბსიდის მნიშვნელოვნად განიერი მხრები. მაგრამ არაგვის ხეობის სხვა ერთნავიანი ეკლესიების, კერძოდ ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის ე.წ. II ეკლესიის მაგალითზე დაყრდნობით ირკვევა, რომ XI-XII სს-შიც ხშირად გრძივი კედლებიდან პილასტრები არ გამოიყოფა, ხოლო ნალისებური აბსიდის კუთხეები ძვე-

ქართული ქრისტიანული არქიტექტურის კანონებისა და ნორმების არმცოდნე ადგილობრივმა ოსტატმა. მაგრამ, როგორც გვიანი ხანის ძეგლების მაგალითზე ირკვევა, ასეთ ნაგებობებს ამკარად ატყვია მთის ტრადიციული ხუროთმოძღვრების გავლენის კვალი და ანატორის ეკლესიისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. გარდა ამისა, ნავისა და აბსიდის სივრცეთა შეფარდება ყოველთვის მონაზავს ტაძრების მშენებლობის გარკვეულ ქრონოლოგიურ საზღვრებს. მაგ., იგივე ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის XI-XII სს-ის ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ ნალისებრი მოყვანილობის აბსიდი აქვს, შედარებით დამოკლებული გეგმისაა, რაც მას მთელ რიგ თანადროულ დარბაზულ ეკლესიებთან აკავშირებს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ აბსიდის ნალისებური მოყვანილობა და, შესაძლოა, განიერი მხრებიც, ანატორის ეკლესიის უფრო ადრინდელ ძეგლებთან კავშირზე მეტყველებს და მშენებლობის ხანად IX-X სს. მიჯნას არ უნდა გამორიცხავდეს.

როგორც ვხედავთ, ანატორის ეკლესიის არქიტექტურა (ის რაც შემორჩა) მცირე ქრონოლოგიური მონაცემების შემცველია.

რაც შეეხება ანატორის ეკლესიის საკურთხევლის წინ მდებარე მცირე ფორმის არქიტექტურულ-დეკორატიულ ნიმუშს, მისი დანიშნულების გარკვევა, რაიმე კონკრეტული ანალოგების არარსებობის მიზეზით, ძნელად ამოსახსნელია.

თუმცა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო სამუშაოებისას მთიულეთის არაგვის ხეობაში, სოფ. ნაღბაანების ე.წ. ცეცხლისჯვრის კომპლექსის ერთ-ერთ ეკლესიაში, საკურთხევლის წინ, გამოვლინდა ანატორის არქიტექტურულ-დეკორატიული ნიმუშის მსგავსი ობიექტი [5, გვ. 68].




სურ. 6

ლის აბსოლუტურ ზომებთან შედარებით, მნიშვნელოვნად განიერია [15, გვ. 52-54; 18, გვ. 8-14]. ერთი შეხედვით არც ისაა გამოსარიცხი, რომ ანატორის ეკლესია ააგო იმდროინდელი

ცეცხლისჯვრის კომპლექსის ჩვენთვის საინტერესო ეკლესია გეგმაში დამოკლებული ოთხკუთხედი (სურ. 6), რომლის აღმოსავლეთ ნაწილში გამოიყოფა სწორკუთხა საკურთხეველი,

სადაც კონქის ნახევარწრეზე გადასვლა კუთხის ტრომპების მეშვეობითაა განხორციელებული. აღმოსავლეთი კედლის კუთხეებში ნიშებია დატანებული, საფეხურებით გაწყობილი, ნახევარ წრიულთაღიანი სარკმლის ქვემოთ, კედელზე კუბური ფორმის ტრაპეზია მიშენებული, რომლის ჩრდილოეთითაც ისეთივე ფორმის, ოღონდ შედარებით მოძვრო ტრაპეზია გამართული. კონქის თალი მკვეთრად გამოსახული ნაღისებური ფორმისაა. ეკლესიის დარბაზის სივრცე ღერძზე კამარის საყრდენად წყვილი მასიური ბურჯია აღმართული. შედარებით ვიწრო აღმოსავლეთი ბურჯი ბათქაშით შეღესილ შირიმის ბლოკზეა დაფუძნებული, რომელიც სამ მხარეს ნახევარწრიული თაღებითაა გახსნილი. ბლოკის აღმოსავლეთი წახნაგი სადაა, დასავლეთი და ჩრდილოეთი თაღები ქვემოთ ბოლომდეა გახსნილი, სამხრეთი თალი კი სარკმლის ფორმისაა (სურ. 7). ჩრდილოეთი თაღის ნახევარწრეს საერთო მასივში გამოკვეთილი სადა დეკორატიული ტიშპანი ავსებს. სამხრეთ თაღში, დეკორატიული ტიშპანის სიბრტყეზე პატარა ყრუ თაღია გამოკვეთილი, ხოლო დასავლეთით სამი ასეთი თაღია.



სურ. 7

ამდენად, დამუშავების ხერხით, ფორმათა აღნაგობით და საერთო იერიითაც ცეცხლისჯვრის ეკლესიის თაღებით გახსნილი კვადრი ანატორის ეკლესიის მცირე ფორმის არქიტექტურულ ნიმუშთან ბევრ საერთოს ავლენს.

როგორც ცეცხლისჯვრის ეკლესიაზე დაკვირვებით ჩანს, ძეგლის გადაკეთება-რესტავრაცია უეჭველია, რამაც ნაგებობის გეგმა და შიდა სივრცითი სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეცვა-

ლა. დარბაზის გრძივ ღერძზე განლაგებული ბურჯების დანიშნულება უთუოდ განახლებული კამარის შეკავებაა. აღმოსავლეთი ბურჯი საკურთხეველის წინ მდებარე თაღებით გახსნილ ბლოკზე ისეა დაშენებული, რომ არ აზიანებს და არ ფარავს მის არცერთ წახნაგს. ასე რომ გასაგებია ძეგლის აღდგენისას გატარებული ამ ღონისძიების მიზანი: არ მიიჩქმალოს და ნაწილობრივ შენარჩუნებულ იქნას ის მნიშვნელობა, რომელიც, ალბათ, გააჩნდა თაღებით გახსნილ შირიმის კვადრს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისის თანახმად, გეგმაში სწორკუთხა საკურთხეველზე კუთხის ტრომპების მეშვეობით კონქის ნახევარწრის დაფუძნების კონსტრუქციული ხერხი ქართულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში VI-X სს-ში გამოიყენებოდა [32, გვ. 27-62]. ცეცხლისჯვრის ეკლესიის მშენებლობის თარიღი ცალკეულ კონსტრუქციულ ელემენტებზე დაყრდნობით, VII-IX სს-ით განისაზღვრება.

რაც შეეხება ანატორისა და ცეცხლისჯვრის ეკლესიების საკურთხეველის წინა არქიტექტურულ-დეკორატიულ ნიმუშების ფუნქციას, მათი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, შესაძლოა ისინი ჯვრის პოსტამენტებად მივიჩნიოთ.

ქართულ ეკლესიებში ჯვრის აღსამართავი პოსტამენტების აგებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ქვის კუბური ფორმის პოსტამენტზე აღმართებოდა წმინდა ნაწილების შესანახი, ჭედურობით მდიდრულად შემკობილი ჯვრები. ასეთი ტრადიციის ფესვები ღრმა ისტორიული წარსულიდან მომდინარეობს [30, გვ. 81], რაც ქართულ საისტორიო მწერლობაშიც აისახა.

ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებულ წყაროებში მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი აქვს ამბავს სასწაულმოქმედ ჯვრებზე, რომელიც კონსტანტინე დიდის მიერ ჯვრების აღმართვის თქმულების გადამუშავებული ვარიანტია [9, გვ. 103; 21, გვ. 239-245], ხოლო ქართულ წყაროებში „ჯუარი ცეცხლისასთან“ დაკავშირებით ჩართული ეპიზოდი მკვლევართა მიერ ადგილობრივ წარმომავლობისადაა მიჩნეული [22, გვ. 265-266].

სასწაულმოქმედ ჯვრებზე ისტორიკოსი ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ „იხილა ყოველმან ერმან ქალაქისამან ყოველთა მათ დღეთა: აჰა, ჩამოვიდის ჯუარი ცეცხლისა ზეცით და მისა გარემოს, მსგავსად გარგანისა ვარსკულავისათა, და დაადგრის ეკლესიასა ზედა ვიდრე განთიადმდე“ [12, გვ. 120]. სხვაგან: „მერმე კუალად იხილეს სხუა სასწაული ჯუარისა, ვითარცა რა ცეცხლი დგა თავსა ზედა მისსა...“ [12, გვ. 122]. წყაროდან ციტირებულ ტექსტთან კავშირში ყურადღებას იქცევს სოფ. ნადიბაანების ძეგლის ტოპონიმი ცეცხლისჯვარი, რაც ქართული ეკლესიებისათვის ძალზედ იშვიათია და რომლის ეტიმოლოგია, შესაძლოა, საისტორიო მწერლობაში შემონახულ ნახევ-

რადღეგენდარულ მოვლენებთან კავშირით აიხსნას. ქრისტიანობის აღიარების პირველი აქტები ქართლში ნათლისღებისა და ხის ჯვრების აღმართვაში გამოიხატებოდა [17, გვ. 238]. ასეთი ტრადიციის დამკვიდრება მნიშვნელოვნად განაპირობა ქართლის პოლიტიკურ და სასულიერო-კულტურულ ცენტრში – ქ. მცხეთაში აღმართულმა ჯვრებმა, რაც შემდგომ მიმბაძველობის საგნად გადაიქცა [30, გვ. 81]. ქრისტიანობის აღიარების სიმბოლოდ აღმართული ჯვრები ტრადიციულად მდინარეებისა და ხევების მახლობლად ამალღებულ და ადვილად დასანახ ადგილზე იდგებოდა [14, გვ. 35]. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების თანახმად, ქვის პოსტამენტზე აღმართული ჯვრები საკულტო დანიშნულებისაა, ხოლო ბაზის გარეშე, უბრალოდ მიწაში ჩადგმული სტელები და ჯვრები სასაზღვრო ნიშნებია [6, გვ. 27-63; 7, გვ. 78-92; 17, გვ. 241].

იმისდამიუხედავად, რომ ქართლის გაქრისტიანების საწყის ეტაპზე აღმართული ჯვრების ადგილას ეკლესიები ყველგან ერთდროულად არ აუგიათ, ჯვრები სათანადო ნაგებობათა გარეშეც ასრულებდნენ თავის დანიშნულებას [9, გვ. 31]. ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პარალელურად გაიშალა ეკლესიების მშენებლობის ინტენსიური პროცესი, რაც უპირველეს ყოვლისა, თაყვანისცემის უკვე ტრადიციულად ქცეულ ობიექტებს შეეხო [31, გვ. 6]. შემოთქმულთან კავშირში ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის, რომ ცეცხლისჯვრის კომპლექსის აღმოსავლეთით, დაახლოებით 100-120 მ-ზე, კლდოვან ნიდაგს თითქოსდა შეზრდია სწორკუთხა ბლოკი, ზედა წახნაგზე წრიული ღრმულით. ცეცხლისჯვარში გზად მიმავალი მლოცველები აქ ადრე სანთლებს ანთებდნენ. ეს ღრმულიანი შირიმის მონოლითი ალბათ აქ აღმართული საკულტო ჯვრის (ან სტელის) ბაზა უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ფორმითა და საერთო მოყვანილობით იგი ახლოს დგას VI ს-ის პანტიანის, ვარძიის გიორგი წმინდისა და აგარის სტელების ბაზებთან [4, გვ. 108-116; 38, გვ. 3]. ამდენად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ იმ ქედის აღმოსავლეთით, სადაც ცეცხლისჯვრის კომპლექსი მდებარეობს, თავდაპირველად ჯვარი აღუმართავთ, ხოლო მოგვიანებით იგივე ჯვრის სახელობის ეკლესია ცოტა მოცილებით აუშენებიათ. ამის მიზეზი უთუოდ ის იქნებოდა, რომ იქ სადაც ბაზაა, ადგილის სივიწროვეა.

ქართულ საისტორიო მწერლობაში დაცულია ცნობები, რომლებიც ქართლის გაქრისტიანების გარიჟრაჟზე აღმართული ჯვრების პოსტამენტების აგებას ეხება. ლეონტი მროველის წყაროთი ვიგებთ, რომ მირიან მეფის ძემ, რევმა მცხეთის სასწაულმოქმედ ჯვარს „საყუდელად“

„კუბო“ აუშენა [12, გვ. 123].¹⁵ თუ რას წარმოადგენდა რევისეული პოსტამენტი, ახლა ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. მცხეთის ჯვრის ტაძრის ცნობილი პოსტამენტი კი ოქტოგონის ფორმისაა, ხოლო თვით ჯვრის ბაზა სწორკუთხედა ცენტრში ჩასადგმელი ღრმულით (VI ს.) [30, გვ. 83-84]. მცხეთის ჯვრის პოსტამენტთან ახლოს დგას VIII-IX სს-ის ჟალეთის ეკლესიის შირიმის ქვათლილებით ნაგები იგივე დანიშნულების ექვსკუთხედი (სექსაგონი) [11, გვ. 35-36].¹⁶ განსხვავებული ფორმისაა ერედვის ბერის საყდარში არსებული ჯვრის აღსამართავი (X ს). უმეტესად კი, როგორც ითქვა ჯვრის პოსტამენტები სწორკუთხა ფორმის კუბებია.

როგორც ვხედავთ, ანატორიისა და ცეცხლისჯვრის ეკლესიების ინტერიერში დაცული მცირე ფორმის არქიტექტურულ-დეკორატიული ნიმუშები მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოში ცნობილ სხვადასხვა პერიოდის ჯვრის პოსტამენტებისაგან.

ქართლში ქრისტიანობის აღიარების სიმბოლოდ, გარდა ხის ჯვრებისა, აღმართებოდა სტელა-ჯვრებიც; თუმცა არ გადარჩენილა ბაზა-სტელა-ჯვრის არცერთი მთლიანი კომპოზიცია და „ყველა ამ სტელას აკლია მთლიანი ანსამბლის რაიმე ნაწილი“ [14, გვ. 49], მაგრამ ეძანის სიონის ეკლესიის (VI ს.) რელიეფზე სტელა-ჯვრის ყველა ტექტონიკური ნაწილია ასახული და შესაძლებელი ხდება თავდაპირველი კომპოზიციის საკმაოდ სარწმუნო რეკონსტრუქცია, რომელიც ბაზა-სტელა-ჯვრისქვეშა ბაზისა და ჯვრისაგან შედგება [33, გვ. 12]. ეძანის ეკლესიის რელიეფის მიხედვით, სტელის დამაბოლოებელი ელემენტია ჯვრისქვეშა ბაზა – კუბური ბლოკი, რომლის ფასადები დეკორატიული თაღებითაა გაფორმებული, ხოლო ზემოდან ჯვრის ჩასადგმელი ფოსო აქვს. ასეთი ჯვრისქვეშა ბაზები არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა ბოლნისის ლამაზგორაზე, რომელთა ფორმები და მორთულობა სავსებით შეესატყვისება ეძანის ეკლესიის რელიეფზე გამოსახულ სტელა-ჯვარს [1, გვ. 40; 33, გვ. 13].¹⁷ ჯვრის-

¹⁵ ქართლის ცხოვრების აკადემიური გამოცემის ლექსიკონში „კუბო“ განმარტებულია როგორც ტახტრევანი (გვ. 442). კუბოს მნიშვნელობას ერთგვარად განსხვავებულად ხსნის გ. ჩუბინაშვილი. შატბერდი-სეულ ნუსხაზე დაყრდნობით, სადაც „კუბოს“ ნაცვლად „გუმბადია“ ნახსენები, მკვლევარი დაასკვნის, რომ ორივე სიტყვა (კუბო და გუმბადი) ერთი და იგივე სიტყვის არაბული და სპარსული ფორმაა და ჩარდახის მსგავს ნაგებობას, კიკორიუმს უნდა გულისხმობდეს [30, გვ. 91].

¹⁶ განსხვავებული თვალსაზრისის თანახმად, ჟალეთის ძეგლი შედარებით ადრეული ხანისა უნდა იყოს [9, გვ. 31].

¹⁷ საგულისხმოა, რომ სომხეთის ადრეული შუა საუკუნეების სტელების (პარპი, ავანი, ოძუნი) დამაბო-

ქვეშა ბაზების არქიტექტურული მოდელების წარმომავლობის შესახებ გამოთქმულია აზრი, რომ ეს ნიმუშები ტაძრის სქემატურ გამოსახულებას – „ხალ იერუსალიმს“ ანუ სიონებს წარმოადგენენ და გადმოსცემენ მაცხოვრის საფლავის გარეგნულ სახეს, რომლებიც ჯვრის კვარცხლბეკებად გამოიყენებოდა როგორც საქართველოში, ისე ბიზანტიასა და რუსეთში [1, გვ. 40; 19, გვ. 284-306; 26, გვ. 1-70].

ანატორისა და ცეცხლისჯვრის ეკლესიების მცირე ფორმის არქიტექტურულ-დეკორატიული ნიმუშების თაღებით გახსნილი ფასადები, თვით თაღების მოყვანილობა და პროპორციები გვაფიქრებინებს, რომ მათი ფორმების საფუძვლად ასევე ხუროთმოძღვრების მაგალითია დადებული. ასე, რომ დასაშვებად მიგვაჩნია ორი განხილული მცირე ფორმის არქიტექტურულ-დეკორატიული ნიმუშის გენეტიკური კავშირი სტელების ჯვრისქვეშა ბაზებთან. ამ თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ს. მნაცაკანიანის დაკვირვება, რომელიც განვითარებული შუა საუკუნეების დროინდელი ეკლესიების მოდელების ფორმათა სათავედ ადრეული ხანის სტელების თაღებით გაფორმებულ დამაბოლოებელ ელემენტებს მიიჩნევს [25, გვ. 135]. გ. ჩუბინაშვილი მცხეთის ჯვრის ტაძრის ოქტოგონზე მსჯელობისას დასძენს, რომ „მისი შედარება საქართველოს მთიან რაიონებში დაცულ მთელ რიგ ეკლესიებთან, აგრეთვე ძველ ეკლესიათა ნაშთების დაკვირვება გვეუბნება, რომ ეს შენობა არის ძველი დროის ქართული ეკლესიის სახესხვაობა, რომელსაც ჯვარში დამატებული ნიშნებით მიცემული აქვს განცალკევებული ერთეულის სახე“ [13, გვ. 95].

ისეთი ადრეული მაგალითები, როგორცაა ლამაზორის სტელების ჯვრის ბაზები (VI ს.), საკმაოდ რეალისტურად გადმოსცემენ და იმეორებენ „დიდი ხუროთმოძღვრების“ დამახასიათებელ ფორმებს და დეკორატიულ-კონსტრუქციულ თავისებურებებს. შედარებით მოგვიანო ხანის საკუთხეველის წინ აღსამართავი ჯვრის კვარცხლბეკები, როგორადაც ანატორის და ცეცხლისჯვრის ეკლესიებში დაცული ნიმუშები გვესახება, ასევე ქრისტიანული ტაძრების მინიატურული მინაბადია, ოღონდ ადრეული ხანის ეკლესიების ერთგვარად რეალისტური მოდელისაგან განსხვავებით, აქ შექმნილია თაღებით გახსნილი, გამჭოლი მოცულობითი ფორმა, რაც, უნდა ვივარაუდოთ, განსაკუთრებული საკულტო დანიშნულებით იყო განპირობებული. ანატორისა და ცეცხლისჯვრის ეკლესიების ჯვრის პოსტამენტებთან აგრეთვე დიდ მსგავსებას პოულობს სოფ. მზეთამზიდან ბორჯომის პარკში ჩამოტანილი და წყალდიდობისას დაღუპული სტელის დამაბოლოებელი ელემენტი, რომელიც პირამიდული მოყვანილობისა იყო და გვერდები

გამჭოლი თაღებით ჰქონდა გახსნილი. [13, გვ. 213-214].¹⁸

ფასადების დამუშავების ხასიათით ჯვრის საკვლევი პოსტამენტების გარკვეულ პარალელად შესაძლოა ერედვის ბერის საყდარში (X ს.) მდებარე კუბური მონოლითი მოვიყვანოთ, რომლის ზედაპირზე ჯვრის ჩასადგმელი ფოსოა ჩაჭრილი, ხოლო ორ ფასადზე ნახევრადწრიული თაღებია გამოკვეთილი [8, გვ. 94], რომელთა ფორმა და პროპორციები ანატორისა და ცეცხლისჯვრის ეკლესიების არქიტექტურულ-დეკორატიულ ნიმუშებს ემსგავსება, მაგრამ ადრეული, შედარებით რეალისტური არქიტექტურული მინიატურებისაგან განსხვავებით, ერედვის მაგალითზე ფორმათა გეომეტრიული სტილიზაცია ჭარბობს. მიუხედავად ამისა, ერედვის ბერის საყდრის ქვის კუბი ჯვრის ბაზების იმ ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს, რომელთა საფუძვლად ქრისტიანული ტაძრის ფორმებია დადებული, ე.ი. ზოგიერთ ადრეულ ქართულ ეკლესიაში არსებული ჯვრის პოსტამენტები, უნდა ვივარაუდოთ, ფორმებს დაესესხა ნათლისღების სიმბოლოდ აღმართული სტელაჯვრების დამაბოლოებელ ელემენტებს, რომელთაც, როგორც ითქვამს, მინიატურული ტაძრების იერსახე აქვთ. ამ უკანასკნელმა კი, საუკუნეთა მანძილზე, ლიტურგიული პრაქტიკისა და ხუროთმოძღვრების საერთო ევოლუციის, აგრეთვე ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა.

ანატორის ეკლესიაში ჯვრის პოსტამენტს შირიმის ქვის კუბი ებჯინება. კუბის ერთ-ერთი გვერდის ზომები ზუსტად ემთხვევა ჯვრის პოსტამენტის ზედა სიბრტყის გვერდების ზომებს. ამიტომ სარწმუნოდ ჩანს, რომ კუბი სწორედ თაღებით გახსნილ პოსტამენტზე იქნებოდა შედგმული; მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში კუბის სწორკუთხა ღრმულიანი წახნაგი ზემოთ ექცევა. აღდგენის ასეთი ვარიანტი მით უფრო დამაჯერებელია, რომ ამ ობიექტების მდებარეობით აშკარად ჩანდა, თუ შირიმის კუბი თავდაპირველად რომელი წახნაგით იყო დაფუძნებული პოსტამენტზე. თუ რეკონსტრუქციის ამ ვარიანტს დასაშვებად ჩავთვლით, მივიღებთ ორი მოზრდილი დეტალისაგან შემდგარ კომბინაციას, რომლის ქვედა ნაწილი თაღებით გახსნილი პოსტამენტია, ხოლო ზედა – შირიმის კუბი, ჯვრის ბაზა, ჯვრის ჩასადგმელი ღრმულით. მართალია, ანატორისა და, მით უმეტეს არც ცეცხლისჯვრის ეკლესიებში ჯვრები არ შემონახულა, მაგრამ ეს არცაა მოულოდნელი, ვინაიდან, საკუთხეველის წინ აღმართული ჯვრები, როგორც წესი, ხის მასალისაგან მზადდებოდა [30, გვ. 80]. ასეთი ფორმის შედგენილი კონსტრუქცია კი, ჯვარსაც თუ დავუმატებთ, მცირე

ლობეული ელემენტები ასევე თაღოვანი მოტივითაა გაფორმებული [25, გვ. 135-136].

¹⁸ ნიშანდობლივია, რომ სომხეთის ორი სტელის (პარპი, ავანი) დამაბოლოებელ ელემენტებს მსგავსი ჩარდახისებური ფორმა აქვს [25, გვ. 135].

მოცულობის დარბაზში ერთობ დიდ ადგილს იკავებს და საკურთხევლის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.

წმინდა ჯვრის სახელზე აგებულ ეკლესიაში თავდაპირველად საკურთხეველზე უპირატესი მნიშვნელობა თვით ჯვარს ენიჭებოდა და ამიტომაც ჯვარს ტაძრის ინტერიერში განსაკუთრებული ადგილი ეკავა [36, გვ. 405]. თუ ვის სახელზე აუგიათ ანატორის ეკლესია, ამის გარკვევა უკვე ძალზე ჭირს. იმ გორას, რომელზეც ანატორის ეკლესია მდებარეობს, როგორც ა. ჭინჭარაული გვამცნობს, მარიამწმინდის მთა ჰქვია [16, გვ. 178].

ანატორის ეკლესიის ჯვრის პოსტამენტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, როგორც აღინიშნა, ვერტიკალური შვერილი გამოიყოფა. მოპირდაპირე მხარეს ასეთივე შვერილი მომტვრეულია, ხოლო მათ შორის ჰორიზონტალური სიბრტყეა შექმნილი, რომლის არსებობა, ალბათ, გარკვეული ფუნქციით იყო შეპირობებული.

ქართული ეკლესიების საკურთხევლებში უძრავი, ქვის ტრაპეზების აგებამ საყოველთაო ხასიათი შეიძინა [30, გვ. 87-88; 34, გვ. 28], მაგრამ ანატორის ეკლესიის აბსიდში, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ტრაპეზის არავითარი ნიშანი არ გაირჩევა. აბსიდის ბაქანის მთელი ფართი ფიქალი ქვითაა მოვებული. აბსიდის ჩრდილოეთი კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურებულია, ხოლო სამხრეთ მხარეს კედელში ნიში არ არის დატანებული. ამდენად, ანატორის ეკლესიის აბსიდი მღვდელთმსახურებისათვის აუცილებელ, უმთავრეს ატრიბუტს მოკლებულია. ქართულ ძეგლებში ტრაპეზები განსხვავებული ფორმისაა. ისინი საკურთხეველში იდგმებოდა სარკმლის ქვემოთ, კედელზე მიჯრით, ანდა კედლიდან გარკვეულ მანძილზე მოცილებით. უმეტესად ტრაპეზების ოთხწახნაგა მთლიანი ბლოკებია. ზოგიერთი ძეგლის ტრაპეზების წახნაგებში ნიშები დატანებულია როგორც გვერდითა, ასევე აღმოსავლეთ მხარესაც (მაგ. ძველი შუამთა). ნიშებიანი ტრაპეზები განსაკუთრებით მრავლად შემოინახა ზემო სვანეთის ძეგლებში, სადაც ეკლესიის შიდა მოწყობილობა, სხვა რაიონებისაგან განსხვავებით, უცვლელადაა დაცული [30, გვ. 28-29]. გაზიარებული თვალსაზრისის თანახმად, ტრაპეზის ნიშები რელიქვიების საცავებად გამოიყენებოდა [20, გვ. 6-7; 30, გვ. 88]. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ყ. ლასუსის მოსაზრება ნიკეის კრების დადგენილებაზე დაყრდნობით, რის თანახმადაც საკურთხეველზე, რომლის ქვეშაც რელიქვიები იყო მოთავსებული, ზდებოდა ზიარება [37, გვ. 31]. ამ თვალსაზრისს ო. შუაზიც იზიარებს [35, გვ. 59]. ისიც ფაქტია, რომ ადრექრისტიანულ ხანაში, როგორც დასავლეთ რომისა და ბიზანტიის ძეგლებში [35, გვ. 36-37], აგრეთვე ძველ ქართულ ტაძრებშიც, მსგავსად სომხეთისა (მაგ. ეჩმიაძინი), საკურ-

თხვეული და ტრაპეზი ტაძრის ცენტრში იყო მოთავსებული [23, გვ. 31].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანატორის ეკლესიაში მდებარე მცირე ფორმის არქიტექტურულ-დეკორატიული ნიმუშის – ჯვრის პოსტამენტის დასავლეთი ნაწილი, უნდა ვიფიქროთ, ტრაპეზის ფუნქციას ითავსებდა, ხოლო მასში არსებული სივრცე რელიქვიების საცავად გამოიყენებოდა.

სოფ. ნადიბაანების ცეცხლისჯვრის პოსტამენტს, ანატორისაგან განსხვავებით, დასავლეთი თარო არ გააჩნია. გარდა ამისა, ამ ეკლესიის აღწერისას ითქვა, რომ საკურთხევლის სამხრეთ და ჩრდილოეთ კუთხეებში ნიშებია ჩართული, ხოლო სარკმლის ქვემოთ, აღმოსავლეთ კედელზე ტრაპეზია მიშენებული, რომლის ჩრდილოეთითაც შედარებით მომცრო ტრაპეზია გამართული. ამრიგად, ცეცხლისჯვრის ეკლესიის საკურთხეველი შემცველია იმ ფუნქციური ელემენტებისა, რაც წირვისათვის იყო აუცილებელი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცეცხლისჯვრის ეკლესიის მცირე ფორმის არქიტექტურულ-დეკორატიული ნიმუში მხოლოდ ჯვრის ბაზაა და ერთდროულად, ალბათ, რელიქვიების საცავი – ლუსკუმა. საყურადღებოა, რომ განვითარებულ შუა საუკუნეების სომხეთში წმინდა ნაწილების შესანახად, ლუსკუმებად ეკლესიის მოდლები გამოიყენებოდა [29, გვ. 26]. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ისიც, რომ კუბოს სინონიმი (გავიხსენოთ რევისეული „კუბო“) ლუსკუმაცაა [2, გვ. 654].

როგორც ანატორის ეკლესიის განხილვა გვიჩვენებს, ეს ძეგლი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც პირველ ყოვლისა, საკურთხევლის ორგანიზაციის ინდივიდუალურ ნიშნებში იჩენს თავს. აქ ორიგინალურად, შეიძლება ითქვას, თავისთავად უნიკალურადაა გააზრებული ლიტურგიკის ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტის – ტრაპეზის ფორმა და მისი ადგილმდებარეობა ინტერიერში, რომელიც ჯვრის ბაზასთან კომბინაციაშია გადაწყვეტილი. აქედან გამომდინარე, ისმის საკითხი კონკრეტული ეპოქის ღვთისმსახურების ხასიათზე, მის შინაარსში არსებულ თავისებურებებზე და მოცემული დასახლებული პუნქტისათვის მის მნიშვნელობაზე [34, გვ. 50, 57].

ანატორის ეკლესიაში ღვთისმსახურების პრაქტიკასთან დაკავშირებულ თავისებურებათა მიზეზი შესაძლოა თავად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ამ უკიდურეს ჩრდილოეთ განაპირა პროვინციის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სულიერი ცხოვრება-განვითარების ლოკალური, თავისთავადი ხასიათითაც აიხსნას. ამ რეგიონში, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩა არა თუ ბარს, არამედ მთისწინეთის ზოლსაც, ქრისტიანობის მტკიცედ დამკვიდრებისათვის არც X-XI, თუ მომდევნო საუკუნეებშიც არ არსებულა ხელსაყრელი სოციალურ-

ეკონომიკური ბაზა. აქ წარმართული ტრადიციები ძალზე მყარად იყო ფესვგადგმული. ამიტომაც ცენტრალური ხელისუფლების (იქნებოდა ეს კახეთის სამეფო-სამთავრო, თუ ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია) ღონისძიებანი, მიმართული მთაში ხელისუფლების განსამტკიცებლად თუ ქრისტიანობის დასამკვიდრებლად, არ იქნებოდა ცალმხრივი ხასიათისა და ადგილობრივ პირობებთან ერთგვარ შეგუებას უთუოდ ითვალისწინებდა.

ზემოთ აღნიშნული საკითხები მთისა და ბარის ურთიერთობის, აგრეთვე დასახლებული რეგიონის სულიერი ცხოვრების ფართო სპექტრს მოიცავს და ცალკე ეკლესიის საგანი, მაგრამ ანატორის ეკლესიის შესწავლის შედეგებს ამ ეტაპზეც გარკვეულ დასკვნამდის მივყავართ.

მართალია, ჯვრების აღმართვა ადრეული შუა საუკუნეების ქართლში ქრისტიანობის გავრცელებასა და ნათლისღებასთან დაკავშირებული პრაქტიკაა, მაგრამ როდესაც მაღალმთიან რეგიონებში ფეოდალურ ურთიერთობათა დამკვიდრებისა და ქრისტიანობის გავრცელების მცდელობას აქვს ადგილი, გვიანაც აპრობირებულ საშუალებას მიმართავენ და ქრისტიანობას გზას ჯვრების საშუალებით უკვალავენ. თუ ადრეული შუა საუკუნეების ქართლის სამეფოში ადრე აღმართული ჯვრების ადგილზე, ან მათ სიახლოვეს, მოგვიანებით ეკლესიები იგებოდა (მაგ., მცხეთის ჯვარი თუ სოფ. ნადიბაანების ცეცხლისჯვარი), ანატორში ჯვარი და ეკლესია თანადროულია. ამ დროისათვის და უფრო გვიანაც ეკლესიის მშენებლობა და მასში ჯვრის აღმართვა, უმეტესად, ერთდროულად ხდებოდა, მაგრამ ანატორის ეკლესიაში აღმართული ჯვარი, ადრეული ტრადიციის დარად, ნათლისღების სიმბოლოს წარმოადგენდა.

ამრიგად, ანატორის ეკლესიის ინტერიერში მდებარე მცირე ფორმის არქიტექტურულ-დეკორატიული ნიმუში, ისევე, როგორც ნადიბაანების ცეცხლისჯვრის საკურთხეველის წინა მსგავსი ობიექტი, ორიგინალური ფორმის, აქამდე საქართველოში ნაკლებად ცნობილი ჯვრის პოსტამენტი, მაგრამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, იგი სამმაგი ფუნქციის შემცველია – 1. კივორიუმი, 2. ჯვრის პოსტამენტი, 3. ტრაპეზი.

რაც შეეხება ანატორის ეკლესიის მშენებლობის ხანას, იგი, როგორც ითქვა, მცირე მათარიღებელ მონაცემებს შეიცავს, მაგრამ ეკლესიის გეგმის პროპორციებიდან გამომდინარე და ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების გავთვალისწინებით, ძეგლის მშენებლობის პერიოდი, ზოგად ფარგლებში, IX-X სს-ის მიჯნას, ან, დასაშვებია, XI ს-საც არ გამორიცხავდეს. ყოველ შემთხვევისთვის, არქეოლოგიური მონაპოვარი გვიდასტურებს, რომ ძეგლზე ცხოვრება XV-XVI სს-ში ჩამკვდარია, თუმცა ადრეული პერიოდის მასალაც აქ საკმაოდ ჭარბადაა [10, გვ. 145-146; 27, გვ. 43]. დროთა განმავლობაში ძეგლი მთლიანად მიივიწყეს, ხოლო ის ადგილი,

სადაც ეკლესიის ნანგრევები შემორჩა, კვრივად, ტაბუირებულ ტერიტორიად იქცა, რაც ფაქტობრივად ადასტურებს საემოებად გაერთიანებული, მნიშვნელოვანწილად გვაროვნული ტრადიციების ერთგული ადგილობრივი საზოგადოების დამოკიდებულებას ძალად თავს მოხვეული ქრისტიანობისადმი.

К.Б. Церетели

АНАТОРСКАЯ ЦЕРКОВЬ (резюме)

Жинвальская комплексная археологическая экспедиция (рук. Р. М. Рамишвили) Института истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили в 1976 г. раскопала развалины Анаторской церкви. Памятник находится в горной части Грузии, в Пирикетской Хевсуретии, у слияния рек. Муцос-Цкали и Аргуни, в 2-х км восточнее Шатили (Душетский район) на отроге высокой, пологой горы. Однонэфная церковь в плане удлинённый прямоугольник с поздней пристройкой с запада. Стройматериалом использованы сланцевые плиты, углы здания выведены травертиновыми квадратами больших размеров. Церковь имеет два входа в западной части северной стены и в центре западной стены. Возвышение алтаря вынесено к западу и подобно полу зала, покрыто сланцевыми плитами. У южной стены была выявлена купель, высеченная в травертиновом монолите. Особый интерес вызывает, находящийся перед подковообразной абсидой травертиновый монолит больших размеров, со сквозными арками на южной, восточной и северной гранях, на котором первоначально был установлен травертиновый куб с выемкой для предалтарного креста. Привлекает внимание одна деталь – выделенная с востока полка на раскрытом арками монолите, и отсутствие в абсиде следов престола. При помощи сравнительного анализа выясняется, что находящаяся в Анаторской церкви конструкция, составленная из травертиновых блоков, является своеобразным постаментом креста, который совмещает функции кивория и престола.

Сравнительно – стилистическим анализом время строительства Анаторской церкви устанавливается в пределах рубежа IX – X вв. и начала XI в. Выявленный в большом количестве архео-

логический материал свидетельствует, что Анаторская церковь функционировала до конца XV в. Тот же материал не исключает возможности слияния в Анаторской церкви христианского богослужения с некоторыми элементами местных языческих религиозных верований (приношения в дар жертвенных предметов, превращения территорий церкви в табуированно – запретную зону).

Изученная археологически Анаторская церковь в аспекте исторических взаимоотношений низинных и горных областей Грузии, а также в контексте культурно – политических связей с Северным Кавказом, конкретнее Чечни и Ингушетии, представляет определенный интерес.

K. Tsereteli

THE CHURCH OF ANATORI

(Summary)

In 1976 the Zhinvali archaeological expedition excavated remains of the Church of Anatori (Dir. R. Ramishvili). It is situated in the central part of Georgian Highland, in Khevsureti, at the junction of the rivers Arghuni and Mutsostsqali, 2 km east of Shatili, on the plain place of a high, steep mountain. In plan this one-nave church is an elonged rectangle with an annex of a later period on the western side. For building material slate was used; the corners of the walls are erected with large travertine quadrels. The church has two entrances – on the western side of the north wall and in the centre of the west wall. The elevated apse platform is built to the west and like the floor of the hall is covered with slate slabs. The font cut in monolithic cube of travertine, was revealed at the southern wall. Interest attaches to the large travertine monolith – with through arches on the southern, eastern and northern sides – which is situated in front of the horseshoe shaped apse and on which the travertine cube was placed. The cube has a hole for the Cross on the upper side. One detail claims our attention – a shelf on the western side of the monolith and the absence of any trace of refectory in the apse. Judging by the comparative analysis, the structure of travertine blocks in the interior of the Anatori Church served as a kind of pedestal for a Cross of original form, which combines the functions of a refectory and ciborium.

According to comparative-stylistic analysis the church of Anatori was built in the 9th-10th centuries and at the beginning of the 11th century.

Judging by the rich archaeological materials, the church functioned till the end of the 15th century. The same material does not rule out the assumption that Christian divine service was combined with elements of local traditional beliefs in the church (sacrificial offerings, turning the territory of the church tabooed zone).

The church of Anatori – investigated archaeologically – supplies new and important material towards the study of historical relations between the highland and lowland of Georgia as well as the study of the political and cultural contacts with North Caucasus, in particular with Chechnya and Ingushetia.

ლიტერატურა

1. ამირანაშვილი ჯ. ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები. თბ., 1968.
2. არქეოლოგიური ლექსიკონი (რუსულ-ქართული). თბ., 1980.
3. ბერიძე ვ. ძველი ქართული სუროთმოდვრება. თბ., 1974.
4. ბერძენიშვილი დ. ორი ქვაჯვარის ბაზისი ქვემო ქართლიდან. – მსკი, 1976, გვ. 108-116.
5. გვახალია ჯ. არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. – სიგკ, V, 1975, გვ. 47-79.
6. თოფურია ვ. ქვაჯვარანი საქართველოში. – მსკი, ტ. IV, 1942, გვ. 27-63.
7. მელიქსეთ-ბეგი ლ. მანგლისის რაიონის ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით. – ას, № 2-3, 1924, გვ. 78-92.
8. მეფისაშვილი რ. ბერის საყდარი, X საუკუნის სამეკლესიანი ბაზილიკა. – ქს, ტ. 7, 1972, გვ. 89-102
9. რამიშვილი რ. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, სიონი, თბ., 1970.
10. რამიშვილი რ. ანატორის არქეოლოგიური ძეგლები. – საქართველო, ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1997, გვ. 145-146.
11. ქადეიშვილი ნ. ჟალეთის სუროთმოდვრული ძეგლი. თბ., 1965.
12. ქართლის ცხოვრება, ტ. I. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955.
13. ჩუბინაშვილი გ. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I, ტფ., 1936.
14. ჩუბინაშვილი ნ. ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები. – ძმ, № 30, 1972, გვ. 28-41.
15. წერეთელი კ. ჟინვალისა და მისი მიდამოების საეკლესიო სუროთმოდვრების ზოგიერთი ძეგლი. – ჟინვალის ექსპედიცია (პირველი

სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები). 1975, გვ. 52-54.

16. ჭინჭარაული ა. მთას ვიყავ. თბ., 1980.

17. ჯანაშია ს. შრომები, ტ. I, თბ., 1948.

18. ჯორბენაძე ბ., წერეთელი კ. ჟინვალის „ნაქალაქარის“ სამაროვნის ეკლესიები. – ძმ, № 49, 1979, გვ. 8-14.

19. Арциховский А. Прикладное искусство Новгорода. История русского искусства. Т. I., М., 1959, გვ. 284–306.

20. Епископ Кирион. Две святыни в Кахетии и приделы Мцхетского храма. Тифлис, 1901.

21. Кекелидзе К. С. Иерусалимский канонарь VII века. Тифлис, 1912.

22. Марр Н. Я. О начальной истории Армении Моисея Хоренского. – ВВ, Т. I, 1894, с. 248–304.

23. Меликсет–Беков Л. К вопросу об устройстве алтаря в древней Грузии. – ХВ, 1916, с. 306–318.

24. Меписашвили Р. С., Цинцадзе В. Г. Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида – Картли. Тბ., 1975.

25. Мнацакян С. С. Проблемы генезиса и типологии мемориальных памятников древней и средневековой Армении. – ИФЖ, № 1, 1980, с. 133–152.

26. Покровский Н. Иерусалимы или Сионы Софийской ризницы в Новгороде. – ВАИ, 1911, с. 1–70.

27. Рамишвили Р. М. Джорбенадзе В. А. Археологические исследования в зоне строительства Жинвальского гидротехнического комплекса. – Археологические исследования на новостройках Грузинской ССР. Тბ., 1976, с. 30–40.

28. Рамишвили Р., Джорбенадзе В. и др. – Работы Жинвальской комплексной экспедиции. – ПАИ, 1976 (1979), с. 185–197.

29. Халапахчян О. Х. Санаин. М., 1973.

30. Чубинашвили Г. Н. Памятники типа Джвари. Тბ., 1948.

31. Чубинашвили Г. Н. Архитектура Кахетии. Тბ., 1959.

32. Чубинашвили Н. Г. Зедазени, Кликис Джвари, Гвиара (Грузинские церкви с прямоугольным алтарем и конхой на тропках). – ქს, ტ. 7, 1971.

33. Чубинашвили Н. Г. Хандиси. Тბ., 1972.

34. Шмерлинг Р. О. Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тბ., 1962.

35. Шуази О. История архитектуры. Т. I, М., 1907.

36. Braun J. Der christliche Altar, Bd., I, München, 1924.

37. Lassus J. Sanctuaires chretiens de Syrie, Paris, 1947.

სურათების აღწერილობა

სურ. 1. ანატორის ეკლესიის გეგმა.

სურ. 2. ანატორის ეკლესიის ემბაზი.

სურ. 3. ანატორის ეკლესიის ჯვრის პოსტამენტი. განაკვეთი ხელით აღმოსავლეთისაკენ.

სურ. 4. ანატორის ეკლესიის ჯვრის პოსტამენტი – აქსიონომეტრია.

სურ. 5. ანატორის ეკლესიის ჯვრის პოსტამენტი. ზედხედი.

სურ. 6. ცეცხისჯვრის ეკლესიის გეგმა.

სურ. 7. ცეცხლისჯვრის ეკლესიის ჯვრის ბაზა.

Описание рисунков

Рис. 1. План Анаторской церкви.

Рис. 2. Купель Анаторской церкви.

Рис. 3. Постамент креста Анаторской церкви. Разрез с видом на восток.

Рис. 4. Постамент креста Анаторской церкви. Аксионометрия.

Рис. 5. Постамент креста Анаторской церкви. Вид сверху.

Рис. 6. План церкви Цецхлис – Джвари.

Рис. 7. Базис креста церкви Цецхлис – Джвари.

Discription of the Figures

Fig. 1. Plan of the Church of Anatori.

Fig. 2. Font of the Church of Anatori.

Fig. 3. Pedestal of the Cross of the Church of Anatori, section, view towards the East.

Fig. 4. Pedestal of the Cross of the Church of Anatori.

Fig. 5. Pedestal of the Cross of the Church of Anatori. Upper view.

Fig. 6. Plan of the Church of Tsetskhlis-jvari.

Fig. 7. Base of the Cross of the Church of Tsetskhlisjvari.

მილოცვა
ПОЗДРАВЛЕНИЕ
CONGRATULATION

თეიმურაზ ჩიქოვანი 75 წლისაა

ჩვენს თემოს, ბატონ თეიმურაზ ჩიქოვანს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყებიდან 40 წელი შეუსრულდა. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი ულოცავს ცნობილ მეცნიერს საიუბილეო თარიღს და უსურვებს ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლესა და შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო ასპარეზზე და პირად ცხოვრებაში.

თეიმურაზ ანტონის ძე ჩიქოვანი დაიბადა 1924 წლის 3 ოქტომბერს ახალციხის რაიონის სოფელ აწყურში. 1943 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1951 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობების განხრით და შევიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში კავკასიისა და საქართველოს ეთნოგრაფიის სპეციალობით. 1954 წელს დაამთავრა ასპირანტურა და იმავე წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი თრიალეთში“. იგივე ნაშრომი ცალკე წიგნად გამოდის 1960 წელს.

1955 წლიდან 1961 წლის ბოლომდე იგი მუშაობს ჯერ უმცროს, ხოლო 1959 წლიდან უფროს მეცნიერ თანამშრომლად ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში. 1961 წელს თეიმურაზ ჩიქოვანი გადაყვანილ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, სადაც მისი მეცნიერული მოღვაწეობა უფრო ინტენსიური და მიზანსწრაფული გახდა. 1967 წლის დასაწყისში მან ცალკე წიგნად გამოსცა ნაშრომი „ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან“, რომელიც საფუძველი გახდა იმავე წლის ბოლოს თეიმურაზ ჩიქოვანის მიერ წარმატებით დაცული სადოქტორო დისერტაციისა. ეს ნაშრომი ერთგვარი დაგვირგვინებაა თეიმურაზ ჩიქოვანის მიერ 15 წლის განმავლობაში კავკასიაში გავრცელებული ერდოიან-გვირგვინიანი დარბაზული საცხოვრებლების შესასწავლად ჩატარებული კვლევა-ძიებისა. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ თეიმურაზ ჩიქოვანის ამ საკითხისადმი მიძღვნილი ნაშრომები და ცხადია, უპირველეს ყოვლისა, მისი სადოქტორო დისერტაცია, ფუძემდებლური გამოკვლევებია კავკასიაში გავრცელებული დარბაზული საცხოვრებლების შემდგომი კვლევის საქმეში.

თეიმურაზ ჩიქოვანი ავტორია ოთხმოცზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომისა (გამოკვლევა,

სტატია, რეცენზია), რომელთაგან 10 ცალკე წიგნად არის გამოცემული. თბილისის გარდა, ეს ნაშრომები გამოცემულია ბათუმში, მოსკოვში, ვარშავასა და ბუდაპეშტში. ისინი სრულად ასახავენ ავტორის მეცნიერული ინტერესების დიაპაზონს, რომელშიც მკვეთრად გამოიყოფა ხალხური მატერიალური კულტურისა და განსაკუთრებით ქართული საცხოვრებელი ნაგებობის კვლევა. ამ მიმართულებით მრავალი წელია იგი ასევე გულდასმით იკვლევს ხალხურ სამეურნეო და საცხოვრებელ ნაგებობებს თითქმის მთელი კავკასიის მასშტაბით (საკუთრივ საქართველოს გარდა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ოსეთი, ინგუშეთი).

მატერიალური კულტურის საკვანძო საკითხების კვლევისას, ყოველ შესაფერის შემთხვევაში, თეიმურაზ ჩიქოვანს მხედველობის არედან არ რჩება არც არქეოლოგიური მონაცემები. ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალის ურთიერთშეჯერებისა და შედარების მეოხებით მას შესწავლილი აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობის საკითხები, როგორცაა ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებელი ნაგებობის წარმოშობა, განვითარება, გავრცელება და სხვ. უაღრესად საინტერესოა და მნიშვნელოვანი ჩვენი იუბილარის დასკვნა ამიერკავკასიული ერდოიან-გვირგვინიანი სახლის ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსული კულტურის სამყაროში წარმოშობისა და განვითარების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ დასკვნის ერთ-ერთი საფუძველი ისიც იყო, რომ ერდოიან-გვირგვინიანი სახლის არეალი არ სცილდება მტკვარ-არაქსული კულტურის გავრცელების საზღვრებს.

გარდა აღნიშნულისა, თეიმურაზ ჩიქოვანს ასევე მაღალ მეცნიერულ დონეზე აქვს შესწავლილი სხვა ტიპის საცხოვრებლებიც. გარკვეული აქვს მათი მხატვრულ-არქიტექტურული აღნაგობა, ტიპოლოგიური თავისებურებები, სოციალური მხარე და სამეურნეო თავისებურებანი. დიდი ადგილი უკავია ჩვენი იუბილარის მეცნიერულ მოღვაწეობაში ძველი სამეურნეო ყოფის ცალკეულ მხარეებს, კერძოდ კი, კოლექტიური შრომის ფორმებს, რასაც მან ორი გამოკვლევა მიუძღვნა. ასევე სპეციალური გამოკვლევები ჩაატარა მან ისეთი საკითხების შესასწავლად, როგორცაა ნაოსნობა მდ. ჭოროხზე, ამიერკავკასიის ხალხთა შრომითი ტრადიციები და სხვ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თეიმურაზ ჩიქოვანის დიდი საექსპედიციო-სამეცნიერო საქმიანობა. მას მონაწილეობა აქვს მიღებული ოცდაათზე მეტ ექსპედიციაში, მათ შორის: პოლო-

ნეთში, ბულგარეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ინგუშეთსა და ოსეთში. 17 ექსპედიციას იგი თავად ხელმძღვანელობდა, ამათგან არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული მრავალწლიანი საქსპედიციო საქმიანობა აჭარაში, რამდენადაც ეს ექსპედიციები ჭეშმარიტი სკოლა იყო იმ ახალგაზრდა დამწყები ეთნოგრაფების არც თუ მცირერიცხოვანი ჯგუფისათვის, რომელიც მაშინ ახლად დაარსებულ ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შეიქმნა აწ განსვენებული გამოჩენილი ეთნოგრაფის ბატონ ალექსი რობაქიძის ხელმძღვანელობით. სწორედ ბატონი ალექსი რობაქიძის პირადი თაოსნობით სავსე სამუშაოების ხელმძღვანელად ბათუმის ინსტიტუტში მიწვეულ იქნა მაშინ უკვე კარგად ცნობილი, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ეთნოგრაფი თეიმურაზ ჩიქოვანი. ბათუმელი ეთნოგრაფების პირველი თაობის წევრები, აწ უკვე თავადაც საკმაოდ ცნობილი მკვლევარები, სავსე ეთნოგრაფიულ ცხოვრებასა და საქმიანობას სწორედ თეიმურაზ ჩიქოვანის ხელმძღვანელობითა და პირადი მაგალითით ეუფლებოდნენ.

ექსპედიციაში დაგროვილი მასალისა და ფართო ცოდნის საფუძველზე, იგი პერიოდულად აქვეყნებს მხარეთმცოდნეობითი ხასიათის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შინაარსის მქონე ფრიად მნიშვნელოვან და საჭირო პატარ-პატარა წიგნებს იმ მხარეების შესახებ, რომლებშიც მას უმოღვაწია. ასე, მაგალითად, მას უკვე გამოქვეყნებული აქვს „თრიალეთი“ (1976 წ.), „მესხეთი“ (1979 წ.), „ჯავახეთი“ (1982 წ.) და „ზემო ქართლი“ (1987 წ.).

თეიმურაზ ჩიქოვანმა, პირველმა ქართველ ეთნოგრაფთა შორის, დაიწყო აქტიური მეცნიერული თანამშრომლობა პოლონელ და ბულგარულ კოლეგებთან. მან მონაწილეობა მიიღო აღნიშნული ქვეყნების ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, რის შედეგადაც, და საერთოდ იქ მიღებული შთაბეჭდილებებით, დაწერა ორი პატარა წიგნი. ერთი ბულგარეთზე „ზან ასპარუხის ქვეყანაში“ (ბულგარულ კოლეგა დ. კოლეგასთან ერთად) და მეორე პოლონეთზე – „გურალებთან“. აღსანიშნავია მისი აქტიური თანამშრომლობა პოლონურ ჟურნალ „ზკწ პუწკაშუ“-სთან. ამ ჟურნალში დროდადრო ქვეყნდება თ. ჩიქოვანის სხვადასხვა ხასიათის წერილები, ხოლო 1985 წლის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა ანჟეი ვონიაკის ვრცელი წერილი თეიმურაზ ჩიქოვანის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

თეიმურაზ ჩიქოვანის მეცნიერულ ინტერესებში ყოველთვის შედიოდა ეთნოგრაფიული მონაცემებისა და არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დაღვინილი ფაქტების ურთიერთშეჯერება. ალბათ ამან განაპირობა 1977 წელს მისი გადმოსვლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. აქ იგი სათავეში ჩაუდგა არქეოლოგიური ტერმინოლოგიის განყოფილებას, რომელსაც დავალებული ჰქონდა მასალის მომზადება „ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონისათვის“, ხოლო 1997 წლიდან იგი მოადგილეა ამ ლექსიკონის სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელისა.

ლექსიკონზე მუშაობის პარალელურად იგი, ბუნებრივია, აგრძელებს მეცნიერულ მოღვაწეობასაც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ეთნოარქეოლოგიური გამოკვლევები კოლხეთის ზღვისპირეთის უძველესი დასახლების მოდელის, ჯარგვალური სამშენებლო კულტურის, ქართული ხალხური კერამიკის ეთნოარქეოლოგიური კლასიფიკაციის, დასახლებისა და საცხოვრებლის მზის მიმართ ორიენტაციის, ნასახლარ კომპლექსებში ოჯახის საცხოვრებელი ნაწილის განსაზღვრის შესახებ. ხაზგასასმელია, რომ ამ საკითხთა უმეტესობის შესწავლა საქართველოში სწორედ თეიმურაზ ჩიქოვანის მიერ არის წამოწყებული.

თეიმურაზ ჩიქოვანს არაერთგზის მიუღია მონაწილეობა რესპუბლიკურ, საკავშირო, თუ საერთაშორისო სამეცნიერო სესიებსა და სიმპოზიუმებში. უცვლელი წევრია არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭოსი. ჯერ-ჯერობით მან ოფიციალური ოპონენტის სახით 27 კანდიდატსა და 8 დოქტორს დაულოცა გზა სამეცნიერო მოღვაწეობაში.

დაბოლოს არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ითქვას მის პიროვნებაზეც. თეიმურაზ ჩიქოვანი არის მზრუნველი და მოსიყვარულე მეუღლე, მამა, ბაბუა, დიდი ბაბუა; საიმედო ამხანაგი და მეგობარი; ყოველთვის აკურატული, თავის საქმეზე და ქვეყანაზე გულმხურვალედ შეყვარებული შესანიშნავი მოქალაქე.

არიან ბედნიერი ადამიანები რომლებისთვისაც საუკუნის სამი მეოთხედი მხოლოდ დიდი გამოცდილებისა და ცოდნის დაგროვების პერიოდი შემდგომი წარმატებული ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის. სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი იუბილარი. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვუსურვებთ ჩვენს ძვირფას თეიმურაზს ჩვეულ ჯანმრთელობასა და შემართებას სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მრავალი წლის მანძილზე.

Т. А. ЧИКОВАНИ 75 ЛЕТ

Исполнилось 75 лет со дня рождения и 40 лет с начала научной деятельности видного грузинского этнографа, доктора исторических наук, заместителя руководителя редакционной комиссии "Толкового словаря грузинской археологической терминологии", главного научного сотрудника Центра археологических исследований Теймураза Антоновича Чиковани. Он автор более 80 опубликованных работ, 10 из них изданы отдельными книгами. Т. А. Чиковани участник более 30 этнографических экспедиций, из которых 17 проводились под его руководством, а несколько — за пределами республики (в Польше, Болгарии, Азербайджане, Армении, Осетии и Ингуше — тии).

Центр археологических исследований сердечно поздравляет Теймураза Антоновича с юбилеем и желает ему крепкого здоровья, долгой жизни и больших успехов в дальнейшей творческой деятельности.

T. CHIKOVANI – 75

Seventy-five years have passed since the birth of T. Chikovani a prominent Georgian ethnographer, Dsc (History), deputy director of the editorial committee of the "Defining Dictionary of Georgian Archaeological Terminology", senior scientific collaborator of the

Centre for Archaeological Studies. He was the author of more than 80 published papers. Of these 10 are published as separate books. He is the participant of more than 30 ethnographic expeditions. Of these 17 were carried out under his direction. Several expeditions were carried out outside the republic (in Poland, Bulgaria, Azerbaijan, Armenia, Ossetia and Ingushetia).

The Centre for Archaeological Studies congratulates T. Chikovani with his anniversary and wishes him good health, long life and further success in scientific activity.

არქეოლოგიის ისტორია История археологии History of Archaeology

დიმიტრი მეღვინეთუხუცესის ძეგლი (1815-1878)

დიმიტრი კონსტანტინეს ძე მეღვინეთუხუცესის ძეგლი (ზოგან იხსენიება, როგორც მეღვინეთუხუცესის ძეგლი) დაიბადა და აღიზარდა კეთილშობილი აზნაურის ოჯახში ქ. გორში. მსახურობდა გორის სასამართლოში. მისი თანამედროვეების აზრით, იგი „ნიჭიერი კაცი იყო და საქართველოს ისტორიის დიდი მცოდნე და აღმალორძინებელი; იგი სადაც კი შეეძლო, ყველგან ცდილობდა საქართველოს ისტორიის სასარგებლოდ; ბევრი სხვადასხვა სამეცნიერო, საისტორიო და საარხეოლოგიო საზოგადოებათა წევრი იყო“ (ჟურ. საქართველოს კალენდარი, ტფ. 1895, გვ. 491). მაღალ შეფასებას აძლევს დ. მეღვინეთუხუცესის ძეგლის სამეცნიერო მოღვაწეობას ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსეც. დ. მეღვინეთუხუცესის ძეგლი 1849 წელს სამეცნიერო მოხსენებისათვის დააჯილდოვეს სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო სიგელით.

დ. მეღვინეთუხუცესის ძეგლი ალწერა და შეისწავლა საყურადღებო ისტორიული ძეგლები, შეაგროვა და შთამომავლობას დაუტოვა არაერთი ხელნაწერი თუ ნივთი. მან მოიარა და ისტორიულ-არქეოლოგიურად შეისწავლა ქართლი, იმერეთი, გურია, მესხეთი, აჭარა და სხვ.

1852 წლის ზაფხულში დ. მეღვინეთუხუცესის ძეგლი ნაქალაქარ უფლისციხეში ჩაატარა საქართველოში პირველი არქეოლოგიური თხრა, რომელიც მეცნიერულ მიზნებს ისახავდა. ამიტომ დ. მეღვინეთუხუცესის ძეგლი ითვლება საქართველოში გათხრითი არქეოლოგიის ფუძემდებლად. უფლისციხეში კვლევა-ძიებისათვის მას თბილისიდან მიუწვევია მხატვარი და შეუძენია სათანადო აღჭურვილობა ძეგლის გათხრა-ფიქსაციისათვის. არქეოლოგიური გათხრების დროს დ. მეღვინეთუხუცესის ძეგლი აწარმოებდა სავსე დღიურს. როგორც ჩანს, იგი აპირებდა უფლისციხის გათხრების შედეგების გამოქვეყნებას. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა, ხოლო სავსე დღიურები და მოპოვებული არქეოლოგიური ნივთები დაიკარგა. ამიტომ ამ გათხრების შესახებ წარმოდგენას ძირითადად გაზნე „კავკაზში“ დაბეჭდილი მოკლე ანგარიშები გვიქმნის. უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლა დ. მეღვინეთუხუცესის ძეგლის ზედაპირული დაზვერვებით დაუწყია. მას აუგებია ნაგებობები, რამდენიმე წარწერა აღმოუჩენია და გადმოუწერია.

მეღვინეთუხუცესის ძეგლს პირველად უფლისციხის დიდი დარბაზის გათხრა დაუწყია. გაუჭრია დაახლოებით ოთხი მეტრი სიგრძის თხრილი; აქ აღმოუჩენია სვეტის ფრაგმენტები და

კერამიკის ნატეხები. დიდი დარბაზის გვერდზე ოთახში დადასტურებულა ქვევრები. მისი აზრით, დიდი დარბაზი და მიმდებარე ნაგებობები წარჩინებული პირის სასახლეს წარმოადგენდა. უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლის დროს დ. მეღვინეთუხუცესის ძეგლს გაუთხრია სამარხებიც.

დ. მეღვინეთუხუცესის ძეგლი გარდაიცვალა 1878 წელს და დაკრძალულია გორთან, სოფ. ხიდისთავში. მისი ნაწერებიდან ჩვენამდე მოაღწია ისტორიული ხასიათის რამდენიმე ნაშრომა. სამწუხაროდ, დ. მეღვინეთუხუცესის ძეგლის შესახებ ძალზე ცოტა ცნობებია შემონახული, რაც აძნელებს ამ პიროვნებაზე სრული წარმოდგენის შექმნას.

თხზ.: ანგარიშები – Кавказъ, 1852, № 43, 66, 70; მოგზაურობა გორის უეზლის, ხიდისთავის უჩასტკასა შინა 1849-სა წელს; მოგზაურობა და მოხილვა იმერეთისა 1850 წელს; ალწერა გორის უეზლსა შინა ეკლესიებთა და მონასტერთა ზედა ღირსსსოვარ წარწერათა სრულიად. ხელნაწერები ინახება სანკტ-პეტერბურგის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მ. ბროსეს ხელნაწერთა ფონდის H-47-ში.

ლიტ.: გამყრელიძე გ. პირველი ქართველი არქეოლოგი. – ლიტერატურული საქართველო, 1981, II, 27, გვ. 10; გამყრელიძე გ. საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიიდან. – ცისკარი, № 8, 1982, გვ. 137-151; გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1996, გვ. 4-6; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 5; საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბ., 1991, გვ. 14-16; ხანთაძე შ. დიმიტრი მეღვინეთუხუცესის ძეგლის წერილები მარი ბროსესადმი. – საისტორიო მოამბე, ტ. 6, თბ., 1952; ხანთაძე შ. დიმიტრი მეღვინეთუხუცესის ძეგლი – ქსე, ტ. 6, 1983, გვ. 635; Gamkrelidze G. On the history of the inception and development of archaeology in Georgia, Tbilisi, 1990, p. 2-4, (Preprinter).

გელა გამყრელიძე



პირველად ქვეყნდება პირველი ქართველი არქეოლოგის დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის ფერწერული პორტრეტი, რომელიც ზეთის საღებავით არის შესრულებული XIX ს. 60-იან წლებში. ავტორი უცნობია. პორტრეტი ინახებოდა ქობულაშვილების ოჯახში.

Д. К. МЕГВИНЕТУХУЦЕСИШВИЛИ
(1815 – 1878)

Статья посвящена первому грузинскому археологу, энтузиасту – краеведу Дмитрию Константиновичу Мегвинетуцесишвили. В 1852 г. близ г. Гори он провел раскопки на территории древнего города Уплисцихе. Это были первые раскопки в Грузии. О результатах археологических изысканий в Уплисцихе сохранились лишь отрывочные сведения в газ. "Кавказ", 1852, № 43, 66, 70.

Прилагается список сочинений Д. Мегвинетуцесишвили и литература о нем.

Г. А. Гамквелидзе

D. MEGHVINETUKHUTSESHVILI
(1815-1878)

This article is dedicated to the first Georgian archaeologist-enthusiast, student of local lore Dimitri Meghvinetukhutsesishvili. In 1852 he carried out excavations on the territory of the ancient city Uplistsikhe, near Gori. Those were first excavations in Georgia. Some of his findings were published in the **Kavkaz** newspaper, in 1852, Nos 43, 66, 70 dealing with the archaeological investigations in Uplistsikhe.

Ak of Meghvinetukhutsesishvili's writings and literature about him is attached.

G. Gamkrelidze

უცხოეთში გაპართული რამდენიმე გამოფენის შესახებ

„კავკასიისთანა შესანიშნავი და ყურადღების ღირსი მხარე არა თუ რუსეთში, სხვა ქვეყნებშიც ბევრი არ მოგვეპოვება“ – ასე დაახასიათა 1887 წელს კავკასია „პეტერბურგის არქეოლოგიური საზოგადოების“ პირველ სხდომაზე კავკასიის არქეოგრაფიის კომისიის თავმჯდომარემ ალოლფ პეტრეს ძე ბერჟემ [2, გვ. 2].

ბერჟეს ეს სიტყვები კავკასიის შესწავლით დაინტერესებული მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციის საერთო აზრის გამოხატულებაც იყო.

ინტერესი კავკასიისა, კერძოდ კი ქართული სიძველეებისადმი განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის მე-2 ნახევრის 70-იანი წლებიდან. საქართველოში ჩამოდიოდნენ უცხოელი მეცნიერები თუ კოლექციონერები, ეწყობოდა არქეოლოგიური ექსპედიციებიც.

საქართველოში აღმოჩენილი უიშვიათესი ნივთები ამშვენებდა არა მარტო რუსეთის, არამედ ევროპის ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებსა და კერძო კოლექციებს. ამ უნიკალური ნივთების შესაკრებად და დასაცავად ჯერ კიდევ არ არსებობდა ეროვნული მუზეუმი თბილისში, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ქართული კულტურის ამსახველი მასალები [4ბ გვ. 5].

იმ პირთა შორის, რომელთაც მიზნად დაისახეს ქართულ სიძველეთა დაცვისა და შენახვის საქმე, იყო ცნობილი ქართველი ფოტოგრაფი ალექსანდრე როინაშვილი. იგი ღარიბი გლეხის ოჯახში იყო დაბადებული, ყოველთვის ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა ქართული ნივთების შეგროვება-შენახვისა და პოპულარიზაციის საქმეს.

დიდია ალექსანდრე როინაშვილის დამსახურება ქართველი ერის წინაშე. მან მოიარა კავკასია და თითქმის ოცი წლის განმავლობაში დიდი შრომითა და მეცადინეობით შეკრიბა ძვირფასი საისტორიო და საარქეოლოგიო კოლექცია. როინაშვილს განზრახული ჰქონდა თავისი კოლექციის ფართო მასებისათვის ჩვენება. პირველად შეკრებილი ნივთები მან ასტრახანში გამოფინა. ამ ფაქტის შესახებ, 1887 წლის გაზეთში „ივერია“ გამოქვეყნდა წერილი „კავკასიის არხეოლოგიური და ისტორიული მუზეი ა. როინაშვილისა ასტრახანში“. გაზეთი დიდ შეფასებას აძლევს ა. როინაშვილის მოღვაწეობას და გაკვირვებას გამოხატავს იმის გამო, თუ როგორ შეძლო ერთმა კაცმა საკუთარი ხარჯით, მხნეობითა და ჯაფით ასეთი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება.

ა. როინაშვილის მიერ მოწყობილ გამოფენას ასტრახანში (როინაშვილის გამოფენა პრესაში მუზეუმად იწოდება) გამოეხმაურა ასტრახანის ერთ-ერთი გაზეთი. გაზეთი ურჩევდა ასტრახანის მოსახლეობას ამ გამოფენის ნახვას. ეს

მუზეუმი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თავისი მნიშვნელობით. ასტრახანში გამართული გამოფენა რამდენიმე განყოფილებისაგან შედგებოდა: საარქეოლოგიო, საეთნოგრაფიო, საგეოგრაფიო და სანუმიზმატიკო.

გაზეთში აღწერილია ის ნივთები, რომლებიც გამოფენაზე ყოფილა წარმოდგენილი, მათ შორის აღსანიშნავია სპილენძის ქვაბები, მარმარილოს ქვები ლურსმული წარწერებით, საომარი იარაღი, ფული, ბრინჯაოს უძველესი ხანის ნივთები. „ყოველივე ეს ამტკიცებს ზოგიერთი ძველებური ერის ხელოვნების მაღალხარისხოვნებას აზიაში. არ იქნება ურიგო, რომ ა. როინაშვილის კოლექცია სხვადასხვა სასწავლებლის შევირდებმა გასინჯონ და საკუთარი თვალთა ნახონ დამამტკიცებელი საბუთები კაცობრიობის ძველისძველი კულტურისაო.“

გამოფენაზე წარმოდგენილი ნივთები განლაგებული იყო მინებით მოწყობილ ყუთებში. ზოგიერთი ნივთი კედელზე ყოფილა ჩამოკიდებული. კედელზევე ეკიდა ტილოზე დახატული კავკასიის ბუნების სურათები, მცხეთის, წმინდა ნინოს მონასტრის, ყაზბეგის მთისა, არარატისა, გუნიბის შამხალის სასახლისა და სხვა. კედელზევე ყოფილა ჩამოკიდებული საომარი იარაღი: ფარები, ჩაჩქნები, მშვილდ-ისარნი.

ასტრახანის საზოგადოების დიდი ცნობისმოყვარეობა გამოუწვევია ა. როინაშვილის გამოფენას, რომელიც ჯერ კიდევ სრული არ არის და რომლის შესავსებად მუდამ დღე შრომობს როინაშვილი ფულისა და ხარჯის დაუზოგავად.

გამოფენის გამართვის პირველ დღეს მუზეუმის სალაროში შესულა 80 მანეთი, მეორე დღეს – 127 მანეთი და მესამე დღეს – 113 მანეთი.

როგორც „ივერიის“ ფურცლებიდან ვგებულობთ, ალექსანდრე როინაშვილი ასტრახანიდან რუსეთის სხვა ქალაქებში აპირებს წასვლას. კერძოდ, სარატოვში, სამარაში, ხოლო შემდეგ – მოსკოვსა და პეტერბურგში.

ასტრახანში ურჩევიათ როინაშვილისათვის, რომ ეს გამოფენა დასავლეთ ევროპაშიც გაემართა. ერთ ასტრახანელ მდიდარ გერმანელს უთხოვია კიდევ მისთვის ბერლინში წაყოლა. ამისათვის მას 6000 მანეთი უძღვევია, მაგრამ ა. როინაშვილი არ დათანხმებულა იმ იმედით, რომ თუ მუზეუმის საქმე კარგად წავიდა, მე თვითონ მივაღწევ ბერლინამდე სხვის დაუხმარებლად.

ა. როინაშვილს განზრახული ჰქონია, რომ მას შემდეგ, რაც თავის კოლექციას სხვადასხვა ქალაქებს მოატარებდა, განდი თბილისში ჩამოეტანა. „როგორც ყური მოგვიკრავს, ბოლოს ბნ როინაშვილს ყველა ეს თავისი განძი უნდა ბოლოს თბილისში ჩამოიტანოს და თავისი სახე-

ლის გულისათვის თავის სამშობლო-ქვეყანას მიუძღვნას საჩუქრად“ [3, გვ. 2-3]. მართლაც, მისი კოლექცია გადაეცა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ [6, გვ. 96].

„ივერია“ დიდ შეფასებას აძლევს როინაშვილის მოღვაწეობას. „დასასრულ არ შეგვიძლია არა ვთქვათ, რომ დიდი ქებისა და პატივისცემის ღირსია ბ-ნი როინაშვილი, ასეთი მხნეობისა და გარჯისათვის... სწორედ საკვირველია როგორ შესძლო ყველა ეს ერთმა კაცმა, ერთის კაცის ღონემ, ერთი კაცის შრომისმოყვარეობამ“ [2, გვ. 2-3].

ალექსანდრე როინაშვილის მოღვაწეობას დიდი შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძემ. იგი „ივერიაში“ წერდა: „ოცი წელიწადია, რაც ბ-ნი როინაშვილი, წინათ ღუშეთში მცხოვრები, კაცი უფულო, უძმეო და ხელმეუწყობელი, მოეკიდა ამ მუზეისთვის კოლექციის შედგენას და შეაგროვა მრავალი და ძვირფასი ნივთები ძველისძველი ხელოვნებისა და ხელსაქმისა... ამ უძმეო და უფულო კაცმა ჩაიღო რა გულში საქმის კეთების სურვილი, ოცი წელიწადი იბეჯითა, ოცი წელიწადი იმხნევა, ოცი წელიწადი გულგაუტეხლად აჰყვა საქმესა და ბოლოს თავი და ბოლო ერთმანეთს მიაბა, საქმე გამართა და დაადგინა“ [6, გვ. 50-51].

ასტრახანიდან როინაშვილს თავისი მოძრავი გამოფენა გადაუტანია მოსკოვში, თუმცა ცუდი ამინდების გამო გამოფენაზე დიდი ხალხმრავლობა არ ყოფილა, მაგრამ მნახველი მაინც ყოფილა. „უფრო ნასწავლნი მოდიან: პროფესორები, სტუდენტები და სხვები, რომელთაც ჩემი კოლექცია შესანიშნავად ცნესო.“ გამოფენის დასავალიერებლად მოსულა გრაფინია უვაროვაც, რომელსაც დიდად მოსწონებია ზოგიერთი ნივთი. მოსკოვის გაზეთებმა უყურადღებოდ არ დატოვეს ჩემი კოლექცია და დიდი ქებით მოიხსენიეს იგიო – წერდა ალექსანდრე როინაშვილი გაზეთ „ივერიის“ რედაქციას [6, გვ. 53].

მოძრავი გამოფენა ა. როინაშვილმა მოსკოვიდან პეტერბურგში გადაიტანა. პეტერბურგში მოწყობილი გამოფენის შესახებ ჟურნალი „Новое время“ წერდა: „ახლა სასტუმრო ბელვიუში ბ-ნი როინოვი მსურველებს უჩვენებს მის მიერ კავკასიაში 20 წლის განმავლობაში შეგროვილ სიძველეებსა და იშვიათობებს. კოლექცია ბრინჯაოს ხანის ნივთებიდან იწყება. აქვია, ორი საინტერესო ჯამი. ერთი ადამისა და ევას გამოსახულებით, 1426 წელს რომიდან საქართველოში ჩამოტანილი კათოლიკე მისიონერის მიერ ქართველი მეფისწულისათვის; მეორე – ებრაული ნამუშევარი წვრილი, ნატიფი ამონაჭრებით მოჭედილი. სპილენძის ცილინდრისმაგვარი მაღალი სასაკმეველები, 400-ზე მეტი ძველი მონეტა, ოქროსი, ვერცხლისა, სპილენძის ბერძნული, სპარსული,

ქართული და სხვა. ბ-ნი როინაშვილი პირველი შემგროვებელია კავკასიის ყველა სიძველეებისა, რომელიც შეიცავს მრავალ საინტერესოს არქეოლოგიის ყველა დარგისათვის, მომავალი მეცნიერებისა და სპეციალისტ-მკვლევარებისათვის“ [6, გვ. 54].

პეტერბურგში გამართული გამოფენის შესახებ მეორე ცნობა დაიბეჭდა „Петербургский листок“-ში 1888 წ. № 19, სადაც აღწერილია ა. როინაშვილის მიერ მოწყობილი გამოფენა-მუზეუმი. „ბატონმა როინოვმა დაიწყო მოგზაურობა რუსეთში. უჩვენა თავისი მუზეუმი ასტრახანში, მოსკოვში და ახლა ჩამოვიდა ჩვენს დედაქალაქში.

მუზეუმის ნივთებს შორის ჩვენს ყურადღებას იმსახურებს:

1. ბრინჯაოს ძველებური ხანჯლები, ხმლები, ცულები, ბალთები, საკიდები, სამაჯურები.

2. მარმარილოს კედლების ნაწილები და აგურები ლურსმულის მსგავსი წარწერებითა და რელიეფური გამოსახულებებით.

3. მრგვალი მოგრძო ბრინჯაოს ფარი, სხვადასხვა ფორმის ქვაბები მხედრების რელიეფური გამოსახულებებით.

4. სპილენძისაგან ჩამოსხმული დოქები, თასები, კასრები – ვერცხლითა და ოქროთი მოჭედილი, ცხოველებისა და ადამიანების რელიეფური გამოსახულებებით, არაბული და კუფური წარწერებით.

5. დიდი მრგვალი და რვაკუთხოვანი ლანგრები ფსკერსა და გვერდებზე ისეთი ქრისტიანული სიუჟეტების რელიეფური გამოსახულებებით, როგორცაა ადამი და ევა, ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტის, ხარებობა და ძლევა-მოსილი წმინდა გიორგი, როგორც გველეშაპის განმგმირავი.

6. სპილენძის მაღალი ცილინდრული საკმეველები, შანდლები, აღმოსავლური წარწერებით.

7. ოთხასამდე ძველი მონეტის ნიმუში, ოქროსი, ვერცხლისი და სპილენძისა, ქართული, ბერძნული, სპარსული და სხვა.

8. აბჯრები, მუზარადები, სამკლავები, ისრები, მშვილდისრები, ყურანიდან ამოღებული არაბული წარწერებით.

ფაიფურის, ქაშანურის და თიხის ლანგრები და სხვა“ [6, გვ. 55].

ალ. როინაშვილის მოძრავ გამოფენას დიდი ინტერესი გამოუწვევია რუს საზოგადოებაში, ინტელიგენცია ყურადღებით ეცნობოდა კავკასიიდან ჩატანილ ექსპონატებს.

ქართული ნივთების კიდევ ერთი გამოფენა გამართა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში 1902 წელს. გამოფენის მოწყობის ინიციატორი იყო ფრანგი არქეოლოგი ბარონი დე ბაი, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა XIX საუკუნის მიწურულში [7, გვ. 15].

იგი საქართველოში პირველად 1897 წელს ჩამოვიდა და დიდად დაინტერესდა ჩვენი ქვეყნის სიძველეებით. დე ბაიმ არაერთხელ მოიარა

საქართველოს სხვადასხვა კუთხე. საქართველოში ყოფნის დროს იგი დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს.

მოგზაურობის დროს ბარონი დე ბაი მოსახლეობისაგან ყიდულობდა ძველ ნივთებს. იმდენად დიდი იყო მისი ინტერესი ქართული სიძველეებისადმი, რომ ფულს არ იშურებდა საინტერესო მასალების შესაძენად.

1898 წელს დე ბაის ურბნისში (გორის მაზრა) შეუქმნია მრავალი ძველი ნივთი. ამ ფაქტს ეხმაურება გაზეთი „ივერია“, რომელშიც ვკითხულობთ: „ბარონ დე ბაის გაეგონა, რომ სოფელ ურბნისში ძველს ნივთებს პოულობენ და მოიწადინა მათი შეძენა. მისი სურვილი რომ გაიგეს გლეხებმა, ცოტა ყოყმანის შემდეგ მოიტანეს მიწაში ნაპოვნი ძველი თიხის ჩარეკა, ქვაბ-ქოთანის, თითბრის სამაჯური და სხვა. ყველა ესენი ბარონმა შეიძინა. ვინც რა ფასს დაადებდა, იმას აძლევდა“ [1, გვ. 3].

საქართველოში შექმნილი ნივთები ბარონმა დე ბაიმ საფრანგეთში წაიღო. პარიზში დაბრუნებული მეცნიერი ეწევა ქართული კულტურის პროპაგანდას. მან პარიზში მრავალი ლექცია წაიკითხა საქართველოს შესახებ. გამოსცა წიგნები, სადაც ასახა იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, გადმოსცა თავისი შთაბეჭდილებანი და ეთნოგრაფიული დაკვირვებანი. მანვე 1902 წელს პარიზში მოაწყო საქართველოდან ჩატანილი ძველი ნივთების გამოფენა, რომელსაც დიდი ინტერესი გამოუწვევია ფრანგებში.

ამ გამოფენის შესახებ 1902 წელს „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა თედო სახოკიას კორესპონდენცია „წერილი პარიზიდან“ (საყურადღებო გამოფენა). კორესპონდენციაში სახოკია პარიზიდან გამოგზავნილი ცნობების მიხედვით აღწერს დე ბაის მიერ მოწყობილ გამოფენას. „ცნობილმა მოგზაურმა ბარონ დე ბაიმ თავისი უკანასკნელი მოგზაურობის დროს საქართველოში შეკრებილი ნივთები 28 მაისს გამოჰფინა გიმეს მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში. გამოფენილ ნივთებს შორის საყურადღებოა ძველებური თოფ-დამბაჩები, საუცხოო ხელოვნებისა, ვერცხლის ქინძისთავეები, თვალ-მარგალიტით შემკული ჯვრები და ხარაგაული ჭურჭლეულობა. საყურადღებოა, აგრეთვე ერთი ძველებური კოკა, რომელზედაც აქეთ-იქით ფრინველებია გამოყვანილი, რასაც იშვიათად შეხვდება კაცი თანამედროვე ჩვენებურ ჭურჭელზე და ყელს გარშემო მხედრული ასოებით შემდეგი წარწერა აქვს „მეჭურჭლე გიორგას გაკეთებული“ („ცნობის ფურცელი“) [5, გვ. 3].

ბარონ დე ბაის მიერ მოწყობილ გამოფენაზე ძველ ნივთებთან ერთად გამოფენილი ყოფილა საქართველოში გადაღებული ფოტოები. აღსანიშნავია, რომ ამ ნივთებს შორის ყოფილა აკაკი წერეთლის დიდი სურათი. გამოფენაზე დე ბაი თვითონ უწევდა მეგზურობას დამთვალიერებ-

ლებს და უხსნიდა თითოეული ნივთის დანიშნულებასა და ღირსებას.

გამოფენის გახსნის დღეს 400-ზე მეტი მნახველი ყოფილა მოსული. მათ უსასყიდლოდ დაურიგდათ ბარონ დე ბაის წიგნი „იმერეთში“, რომელშიც აღწერილი იყო მისი უკანასკნელი მოგზაურობა იმერეთსა, სამეგრელოსა და გურიაში. წიგნთან ერთად მსურველებს დაურიგდათ ძველი საქართველოს რუკები, რომელიც დე ბაიმ თავისი კონფერენციისათვის დააბეჭდვინა პარიზში ფრანგულ ენაზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბარონ დე ბაის მიერ მოწყობილმა გამოფენამ თავისი როლი შეასრულა: გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა ფრანგებს ქართულ კულტურაზე.

ფრანგ მეცნიერს განზრახული ჰქონდა გამოფენის დახურვის შემდეგ ნივთების ნაწილი (ფოტოები, იარაღი, სამკაული) გადაეცა პარიზის ახლადგახსნილი მუზეუმისათვის, რომელიც გათვლისწინებული იყო რუსეთის იმპერიიდან, მათ შორის საქართველოდან, შემოტანილი ნივთების მოსათავსებლად, ხოლო ნივთების ნაწილი, კერძოდ ჭურჭელი, უნდა გადასცემოდა ფაიფურის წარმოებით განთქმულ სევრის ჭურჭლეულის მუზეუმს.

რამდენად შეძლო ბარონმა დე ბაიმ თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა ჩვენთვის უცნობია. საფიქრებელია, რომ საფრანგეთის სხვადასხვა მუზეუმსა თუ სამეცნიერო დაწესებულებებში დღესაც ინახება საქართველოდან ოდესღაც გატანილი ნივთები.

ამ გამოფენებმა სათავე დაუდო საქართველოს სიძველეთა პოპულარიზაციის საქმეს უცხოეთში. გარკვეული როლი შეასრულა იმდროინდელი ევროპული საზოგადოების დადებითი წარმოდგენის შექმნაზე საქართველოს შესახებ.

М. Н. Мумладзе

О НЕКОТОРЫХ ВЫСТАВКАХ ЗАГРАНИЦЕЙ (резюме)

В XIX веке возрастает интерес европейских ученых и коллекционеров к историческим ценностям Грузии.

В городах России и Европы устраивались выставки, на которых были экспонированы старинные изделия и случайные археологические находки из Грузии и разных регионов Кавказа.

Особенно следует выделить выставки, организованные усилиями грузинского фотографа – самоучки А. Роинашвили в Москве, в Петербурге, в Астрахани, а также выставку, устроенную в Париже французским ученым бароном де Бай.

Эти выставки усилили интерес к грузинской культуре.

M. Mumladze

ON SOME EXHIBITIONS HELD ABROAD

(Summary)

In the 19th century European scholars and collectors showed great interest in Georgian historical values. Ancient items and casual archaeological finds discovered in Georgia and different regions of the Caucasus were exhibited in Russia and Europe.

The exhibitions arranged by the Georgian self-educated photographer Alexandre Roinashvili in Astrakhan, Moscow and Petersburg and by the French scholar Baron de Baye in Paris, should be singled out. These exhibitions enhanced great interest in Georgian culture.

ლიტერატურა

1. დაბა და სოფელი (მოწერილი ამბები). – ივერია, 1898, 23, 10, № 226.

2. კავკასიის არქეოლოგია. – დროება, 1871, 24, 10, № 50.

3. კავკასიის არქეოლოგიური და ისტორიული მუზეუმი ა. როინაშვილისა ასტრახანში. – ივერია, 1887, 24, 09, № 198.

4. მუჰლაძე მ. საეკლესიო მუზეუმი თბილისში. – ახალგაზრდა ივერიელი, 1989, 21, 10, № 125.

5. სახოკია თ. წერილი პარიზიდან. – ცნობის ფურცელი, 1902, № 1805.

6. ტაბიძე გ. ალექსანდრე როინაშვილი. თბ., 1962.

7. Маградзе Л. Французско – грузинские взаимоотношения конца XIX – начала XX вв. – Дис. на соиск. ученой степени канд. ист. наук. Тб., 1990.

ალექსანდრე კალანდაძის ფერილები
სიმონ ჯანაშიასადმი

წელს შესრულდა პროფ. ალ. კალანდაძის დაბადების 90 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ აკად. ს. ჯანაშიას არქივში დაცულ ალ. კალანდაძის 6 წერილს, რომლებიც მოიცავს 1936-1947 წწ. მასალას ვბეჭდავთ უცვლელად, მცირე კომენტარით.



23. XII. 1936, ლენინგრადი
9 იანვრის სანაპირო № 18 ГАИМК¹⁹

პატივცემულო სიმონ!

სამწუხაროდ, დღემდე ვერ შევძელი რაიმე გარკვეული ცნობა მომეწოდებინა ინსტიტუტისათვის²⁰ ჩემს შესახებ ორი გარემოების გამო. პირველი ავადმყოფობა იყო, რომელმაც მაიძულა საავადმყოფოში დავწოლილიყავი თითქმის ერთი თვის განმავლობაში. მეორე – ჩემი გაურკვეველი მდგომარეობა. რომ ეს უკანასკნელი გასაგები გახდეს, მოგაგონებთ შემდეგ მნიშვნელოვან დეტალს: ჩემს მიერ ამ ზაფხულზე სამეგრელოსა და გურიაში შეკრებილი არქეოლოგიური მასალები,²¹ პირობის თანახმად, მე გადავგზავნე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განკარგულებაში და ითვლება მისი, მუზეუმის საკუთრებად. სხვათაშორის ამ კოლექციაში პალეოლითურ ნაშთებთან ერთად (რომლის ძებნა და გამოვლინება ჩემი მთავარი ამოცანა იყო) არის აგრეთვე საინტერესო ნეოლითური ნაშთებიც ზუგდიდის რაიონიდან. რომ ეს მასალები გამოეტანებიათ ჩემთვის ჩემი თბილისში დაბრუნების შემთხვევაში, უეჭველია, კარგი იქნებოდა; მაგრამ რადგანაც ეს ასე არ

ხერხდება, ჩემს წინაშე 2 შესაძლებლობაა დარჩა: ან 1. დავბრუნდე თბილისში (რის მოხარული ვიქნებოდი) და გაურკვეველ დრომდე გადავლო დისერტაციის გაფორმება, ანდა 2. დავრჩე აქ დროებით და უზრუნველყო როგორმე მასალების დამუშავება, გამოქვეყნება და მით ზემოხსენებული მუშაობის შესრულება; ვგრძნობ ეს მეორე მეტადაა აუცილებელი. ამისათვის დროა საჭირო, დაახლოებით ზაფხულამდე მაინც. სწორედ ამიტომ პატ-ლო სიმონ, ჩემი თხოვნა არის ინსტიტუტისადმი: ხომ არ შეუძლია ინსტიტუტს რაიმეგვარად გამონახოს პატარა საშუალება ყოველთვიური დახმარების სახით? გულწრფელად მოგახსენებთ, რომ მრცხვენია როდესაც ამ საგანზე ვლაპარაკობ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ეს არსებობის საკითხია ჩემთვის. დახმარებას, რა თქმა უნდა, იმ იმედით ვთხოვლობ, რომ ჩემზე დანახარჯს გაკუსწორებ ინსტიტუტს სამუშაოზე მანდ გადმოსვლის მომენტიდან.

მართალი მოგახსენოთ, მე არ ვიცი რამდენად კანონიერია ჩემი თხოვნა, მაქვს თუ არა უფლება ამის. ეს უკეთ ინსტიტუტს მოეხსენება, რომელსაც თქვენი სახით ვთხოვ გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გარემოება. ამასთან ერთად ვაგზავნი განცხადებას და დახასიათებას ჩემი ხელმძღვანელის მიერ მოცემულს, რომელიც სხვა დროისათვის იყო შედგენილი და საკმაოდ მოძველდა. ეს ნაუცბათევადა; თუ საჭირო იქნება ახალს გამოვგზავნი; ეს სინქარის გული-სათვის.

პასუხი გთხოვთ მაცნობოთ: Ленинград, Набережная 9—го января, д. № 18, ГАИМК. ჩემთვის.

პატივისცემით ალ. კალანდაძე.

სალამი პატივცემულო სიმონ!

მერვე დღეა, რაც ექსპედიცია მასზე დაკისრებულ მისიას თითქოს პირნათლად ასრულებს. ამის შესახებ ალბათ გეტყვოდით ხომტარია.²² საქმე ეხლა ისე მობრუნდა, რომ მთავარი გახდა არა დაზვერვითი ფუნქცია, არამედ გათხრების წარმოება. ძველი თავისთავად ძალიან საინტერესოა არა მარტო ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ არქიტექტურული თვალსაზრისითაც. მართალია, ჯერჯერობით თარიღის მტკიცედ დამადასტურებელი დოკუმენტი არ არის, მაგრამ მისი არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, ასეთი დოკუმენტები მიუცილებლად ნახულ იქნება, თუ შევძლებთ ექსპედიციის უზრუნველყოფას საჭირო საშუალებებით: მუშაზელით, კადრებით. პირველის რიცხვის გადიდება

¹⁹ ГАИМК – მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემია, სადაც ალ. კალანდაძე გადიოდა ასპირანტურის კურსს.

²⁰ იმ დროს ს. ჯანაშია ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორი იყო.

²¹ ალ. კალანდაძე ექსპედიციაში იმყოფებოდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სახით.

²² არქეოლოგი ნინო ხომტარია.

იქნება საჭირო, რაც სათანადო ხარჯებს მოითხოვს. სასურველია, თითქმის აუცილებელი, არქიტექტორის (რომელსაც ქართული საისტორიო არქიტექტურა ეცოდინება) ჩაბმა ამ საქმეში, თუ მუდმივად არა, მისი რამდენიმეჯერ მოვლინება მაინც. პირველ ყოვლისა თქვენი ჩამოსვლა საჭირო ექსპედიციის მომავალი მუშაობის გეზის შესახებ მითითებების მისაცემად. აღნიშნული ძეგლის შესახებ ჯერჯერობით მე გარკვევით ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ ეს დიდი ნაგებობაა, ალბათ არა უგვიანეს VII-VIII სს. ჩვ.წ.-სა. ყოველ შემთხვევაში ამას და ბევრ სხვა საკითხს გათხრების გაფართოება გამოარკვევს.

გელოდებით, პატივისცემით ალ. კალანდაძე.

26. VII – 3 წ. არმაზი.²³

სალამი ჩვენი თანამშრომლებისაგან.

ენიმკი-ს დირექტორს

ვინაიდან მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების კამერალურ დამუშავებაზე თ/რწ. ინსტიტუტთან ხელშეკრულებით მომუშავე ს.ი. ბედუკაძე ჩემი მეუღლე გახდა, მის აღნიშნულ სამუშაოზე დარჩენას, როგორც მე, ისე თვითონ ის, უხერხულად ვთვლით და გთხოვთ ამიტომ მასთან დადებული ხელშეკრულება დარღვეულად ჩათვალოთ 1940 წ. 27 მაისიდან.

ალ. კალანდაძე.

ბატონო სიმონ,

როგორც იცით, 7. VII-ში სალამოთი მიღებული უწყების თანახმად, 8. VII-სთვის დილის 8 სთ-ზე უნდა გამოვცხადებულიყავი ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარიატში. მართლაც ამ უკანასკნელმა სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი კომისიისა და წინასწარი ვადის გარეშე გამაგზავნა სხვასთან ერთად ნაწილში. ამ დღიდან მოყოლებული ჩემს პირდაპირ უფროსებს ყოველდღიურად მოვაგონებ ხოლმე ჩემი საქმის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამკარა დაპირებისა, ჩემი მიმართვა უშედეგოდ რჩება. დღესაც მეორეჯერ დამპირდა ჩვენი უმცროსი ლეიტენანტი დაწვრილებით მოგლაპარაკებოდათ ტელეფონით, მაგრამ აბა რა ვიცი, შეასრულებს თავის დაპირებას თუ არა! რაც შეეხება გადაუბარებლობას სეიფისას, ეს არაოფიციალურად არ მოხერხდებოდა, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თქვენი ბრძანების გარეშე ეს შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, მასსოვს თქვენი სიტყვები, თქვენ მუშაობა გააგრძელებთ, სანამდის ეს შესაძლებელი არისო. მაგრამ თუ როდის გახდებოდა ეს შეუძლებელი, ბატონო სიმონ, ეს არც თქვენ იცოდით და არც მე. დიდ ბოდიშს ვიხდი, ბატონო სიმონ, თუ ჩემი მოქ-

²³ წლის აღმნიშვნელი თარიღის ბოლო ციფრი წამილილია. ალბათ, 1939 წ.

მედებით საქმეს რაიმე ვნება მივაყენე. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ თქვენ ნათლად და გარკვევით გესმით საქმის გარემოება და მარტო მე არ დამსახავთ მის პასუხისმგებლად.

of Tezi, Late Bronze Age settlement mound near v. Avranlo and several stelae and stone crosses, which were photographed on colour film and drawn.

Kaspi Regional Expedition (Director Z. Makharadze) continued investigations of barrow burial 1 on Ioramis Gora. The ground for funeral feast was revealed, coterminous with and similar to the pre-Kura-Araxes pottery found in the burial chamber. The small embankment of the platform for the funeral feast was covered by the common embankment of barrow. The expedition continued its work at the southern edge of Tsikhiagora. Remains of the fortification system, gate and rampart walls and a narrow canal to drain water out of the yard and fluted tiles were discovered.

Mashavera Archaeological expedition (Director K. Kakhiani) worked on 6 plots of the construction zone of the international telephone optical-fibre cable (Dmanisi district). On plot I, between the villages of Amamlo and Irganchai about 30 barrow burials were identified. Of the three barrow burials excavated on this plot № 1 is of transitional period from the middle to the Late Bronze Age, № 3 is dated to the Late Bronze Age, and № 4 represents a Trialeti Culture complex. On plot II, between the villages of Mtisdziri and Irganchai, in Argiani barrow burial without a pit was damaged by the construction. According to the discovered pottery, it is of a transition period from the Middle Bronze to the Late Bronze Age. On plot III at the site of "Kldeebis Dziri" near v. Mtisdziri cable ditch damaged two stone embankment burials, which belonged to the Late Bronze Age. In v. Gantiadi, the locality of Gokhebi, the cable ditch cut in half the 25 m diameter stone embankment pit barrow burial encircled with large stones. It contained richly ornamented original pottery, thin, plated gold facing, two silver fibulae, bronze ring, numerous paste beads, gold foil crumbs, biconic terminals of silver fibulae. At the depth of 5 to 6 m on the floor of the burial traces of a four-wheeled araba (kind of bullock cart) were identified. This very interesting burial is a significant relic of the Middle Bronze Age Trialeti culture, datable to the first half of the 2nd millennium B.C. On plot V the expedition cleaned the remains of a darbazi church damaged by construction, the remains pointing to two construction periods. Within 45 m from the church on plot VI ten damaged pit burials were excavated, where together with the deceased lying in crouched position with the head turned to the west, a supine extended position was recorded. The necropolis should be dated to the Early Middle Ages.

Dmanisi Expedition (Director J. Kopaliani) continued work on the territory of the city site of the Middle Ages and on plot I excavated building III in the north side of the Sioni Cathedral. It is a four-room building. Three wine jars were discovered at the eastern wall of room 4. A 2 m wide street between buildings II and III was also cleaned. The street, widening westward, must have been built following the collapse of the wall connecting the two buildings. Here were discovered materials of the 10th-13th centuries as well as of the Late Middle Ages. The expedition cleaned and studied the territory of the city site.

Nastakisi Archaeological Expedition (Director N. Mirianashvili) continued work in the Construction zone of the oil pipeline and optical-fibre cable. In v. Pralisa (Mtskheta district) within some 100 m of the acropolis, a thick cultural layer was identified in the oil pipeline ditch. Besides, at other six sections of the oil pipeline the expedition confirmed the existence of thick cultural layers and remains of buildings, recording them graphically. On the territory of the Ksani oil pumping station part of the remains of an apsed building was cleaned, being cut in half by the pipeline. In the ruins of this building – considered a church – a lot of pottery fragments were discovered and under it, traces of an earlier structure (marani?) with wine jars were discovered. The pottery discovered in the ruins of the church is generally dated to the 10th-11th centuries B.C. and the jars from the marani (wine cellar) are dateable to the Early Middle Ages. Salvage excavations were carried out at Igoeti-Samtavro section site damaged by the pipeline. Two pit burials of the 1st-2nd cent. B.C. covered with ground were also excavated. Unfortunately, a 3rd century B.C. site on Grakliani Gora was damaged during the pipeline construction on the right bank of the river Lekhura. Cultural layers were recorded at several places on the route of the optical-fibre cable. In two cases, ditches were widened. At section I an adobe structure of the Early Middle Ages was brought to light. Section II, remains of a jargvali type structure was traced.

Khashuri Archaeological Expedition (Director A. Ramishvili) examined the territory of the oil pump station near v. Didi Plevi. Five pit burials of the early stage of the Late Bronze Age were excavated 500 m east of the Natsargora settlement and its necropolis, studied earlier.

Kutaisi Archaeological Expedition (Director O. Lanchava) explored the territory of the Gelati monastery complex. While cleaning the floor of the St. Saba church a cist burial was studied. The church itself, built of large limestone blocks, is a

darbazi-type structure dating from the Developed Middle Ages.

Meskheti Archaeological Expedition (Director V. Licheli) resumed excavations on the territory of the necropolis of Mzetamze (ditch size 12×1 m). A stone embankment was identified in the ditch under which traces of the skeletons of the deceased, crouched and lying on the side and the head facing north-east, in bad state of preservation, was cleaned. Together with fragments of pottery, bronze fibula, pin, sard beads and a bronze needle were also discovered. In the southern part of the ditch three smashed clay vessels, an iron spearhead, a Colchian bronze axe and badly corroded iron dagger were found. All the burials are dated to the end of the 7th-6th centuries B.C.

Kukheti Archaeological expedition (Director Ts. Chikoidze) worked on the territory of the construction of the pipeline radio station, in the environs of v. Didi Lilo. Relics of the settlement of Developed Middle Ages were studied (traces of glazed and unglazed pottery). Traces of a building were also discovered 200 m north of the excavated area. In May the expedition identified two sites of the Late Classical Period and Early Middle Ages, near v. Gldani, damaged by the pipeline.

Lochini Archaeological Expedition (Director G. Pkhakadze) studied four burials with stone embankment at the 531st km of the pipeline, The pipeline damaged part of the excavated burials. The necropolis may be dated to the last quarter of the 2nd millenium B.C. (burials 1 and 4) and the 8th-7th centuries B.C.

Archaeological investigations of the Church of the Fourty Sebastean Martyrs in **Tbilisi** (Director O. Tqeshelashvili) was connected with the reconstruction of the church at this place. Archaeological work was financed by Father Superior Besarion (Menabde) of the Church of St. Nicholas of Krtsanisi and Father Superior Zurab (Antidze) of the Church of Mikhail of Tver. During excavations nine construction horizons were identified. Of these the first two belong to the period before Vakhtang Gorgasali (the 4th-5th centuries) and the other seven illustrate the construction and destruction of the Church from the 5th century to 1925.

The chronicle, based on documentary reports, was compiled by **G. Mindiashvili**.

რუსთავი

II



კრებული „რუსთავი“ II ეძღვნება ქალაქ რუსთავის აღორძინების 50 წლისთავს. ნაშრომი გამოცემას ელოდებოდა თითქმის ათი წელი და ამის განხორციელება მოხერხდა მხოლოდ რუსთავის მერიის ფინანსური მხარდაჭერით და მისი ხელმძღვანელების ბ-ნ მ. ტყეშელაშვილისა და ბ-ნ ი. ჯაფარიძის ხელშეწყობით. კრებულის გამოცემაში აგრეთვე წვლილი აქვთ შეტანილი მეცნიერებათა აღორძინების ფონდის პრეზიდენტს პროფესორ გ. ჩაჩანიძეს და გამომცემლობა „ინტელექტი“ს დირექტორს დოცენტ კ. კუდავას.

როგორც ცნობილია, 1944 წლიდან დაიწყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა და ძველი ქალაქის აღორძინება. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი მისი ტერიტორიის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მიწის სამუშაოების დროს თავი იჩინა წარსულის ნაშთებმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი მაშინვე ჩაება არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში ამ დიდი მშენებლობის ტერიტორიაზე. 1949 წლიდან დაიწყო რუსთავის ნაქალაქარის შესწავლა, ხოლო შემდგომ 1959 წლიდან გათხრები შეეხო რუსთავის ციხესაც, რომლის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის ისტორიის აღსადგენად. რუსთავის ციხის ნანგრევები ერთადერთი შემორჩენილი ძეგლია ამ რეგიონში.

თავდაპირველად არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში ჩაბმული იყვნენ მ. ივაშჩენკო, ნ. ლაბაშიძე, გ. ლომთათიძე, გ. ცქიტიშვილი, ნ. უგრელიძე, თ. პაატაშვილი, ქ. ბერძენიშვილი, ნ. ოქროპირიძე, ე. ბარაბაძე, შ. ხანთაძე და სხვ.

ქალაქ რუსთავის ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რომლის შედეგადაც გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის ძეგლები.

რუსთავის არქეოლოგიურ ექსპედიციას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ გ. ლომთათიძე, მ. მიწიშვილი და ნ. უგრელიძე. მათი თაოსნობით გამოვლენილი მასალები შესულია მოხსენებათა ანოტაციებში, გამოქვეყნებულია სტატიების სახით პერიოდულ გამოცემებში, შესულია სხვადასხვა ნაშრომებსა და დისერტაციებში, გამოცემულია მონოგრაფია (ლ. ჭილაშვილი. ქალაქი რუსთავი. თბ., 1958).

1977 წლიდან არქეოლოგიური კვლევის ცენტრის რუსთავის, შემდგომში კუხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობს ც. ჩიკოიძე. წყვეტილებით ექსპედიციამ აწარმოა გათხრები რუსთავის ციხეზე, ნაქალაქარის ტერიტორიაზე და ქალაქის შემოგარენში. საველე კვლევა-ძიებასთან ერთად ექსპედიციამ დაიწყო ნაშრომების გამოცემა. 1988 წელს დაიბეჭდა პირველი კრებული „რუსთავი. არქეოლოგიური გათხრები 1946-1965“, რომელშიც შესულია რუსთავის პირველი გამთხრელების გ. ლომთათიძისა და მ. ივაშჩენკოს შემაჯამებელი ნაშრომები.

კრებული „რუსთავი“ II იწყება რედაქტორის ც. ჩიკოიძის წინასიტყვაობით.

მ. ჩხატარაშვილის სტატიაში – „რუსთავის ციხის დასავლეთ უბანზე ჩატარებული მუშაობის შედეგები (1961-62, 1965, 1973-74 წწ.)“ – თანმიმდევრულად და ქრონოლოგიურად მოცემულია რუსთავის ციხის დასავლეთ უბანზე გამოვლენილი კოშკების, ბურჯების, თავდაცვითი კედლებისა და ზღუდეზე მიშენებული კედლების აღწერა და მათი მეცნიერული გააზრება. განხილულია თხრისას გამოვლენილი მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა.

გათხრებით გაირკვა, რომ რუსთავის ციხისათვის სამი ზღუდე იყო აგებული. პირველი – თავდაპირველი, ოთხკუთხა კოშკებით (IV-V სს.), მეორე – ნახევარწრიული ყრუ და მცველიანი კოშკებით (IX ს.) და მესამე გარე ზღუდე – XII ს.

რუსთავის შუა საუკუნეების ციხის კვლევა-ძიებით დადგინდა, რომ ის აგებული ყოფილა გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანის გორა-ნამოსახლარზე, რაც კარგად დასტურდება ქვედა ფენებში გამოვლენილი მასალებით.

გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული მასალების გააზრებისას მ. ჩხატარაშვილი ფართოდ იშველიებს ანალოგიებს სხვადასხვა ძეგლებიდან.

მ. მიწიშვილის სტატია – „1972 წელს რუსთავის ციხეზე წარმოებული (სამხრეთის სექტორის) თხრის ანგარიში“ – წარმოადგენს დოკუმენტურ ანგარიშს რუსთავის ციხის სამხრეთ-

აღმოსავლეთ ნაწილში ჩატარებული გათხრებისა. განხილულია თხრისას გამოვლენილი გალავნის, ბურჯისა და ნაგებობის ნაშთები, გამოყოფილია კულტურული ფენები. რუსთავის ციხის ამ მონაკვეთში მოპოვებული ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების მრავალფეროვანი და საყურადღებო თიხის ნაწარმი განხილულია დანიშნულების მიხედვით. აქაც ქვედა ფენებში აღმოჩენილია ადრეული პერიოდის მასალები.

თ. არჩვაძისა და მ. ჩხატარაშვილის სტატიაში „აღორძინებული რუსთავი და რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია“ – მოცემულია კუხეთის რუსთავისა და მისი შემოგარენის მრავალწლიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორია.

კრებულს ერთვის რეზიუმე და ტაბულების აღწერილობა რუსულ ენაზე და საილუსტრაციო მასალა (საველე ხელები, გეგმები, ჭრილები, მასალის ფოტოები და ჩანახატები).

კრებულის მიმართ გვაქვს ორიოდე შენიშვნა, უფრო სურვილის სახის. მიზანშეწონილი არ არის ქრონოლოგიის მოცემა ფორმაციის აღმნიშვნელი ტერმინით „ფეოდალური ხანა“, ვფიქრობთ, ის უნდა შეიცვალოს „შუა საუკუნეებით“. ეს ეხება მ. მიწიშვილის სტატიას, მაგრამ ვერ კიდევ გვხვდება ზოგიერთ სხვა პუბლიკაციებშიც. სტატიებში შენიშვნები უნდა წასულიყო სქოლიოში, ხოლო გამოყენებული ლიტერატურა ცალკე, ბოლოში. დასაზანია, რომ ამ კარგ გამოცემას ახლავს კორექტურული ხასიათის შეცდომები, რასაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. სასურველია, მომდევნო კრებულების გამოცემისას აგრეთვე მოცემული იყოს რეზიუმე და ტაბულების აღწერილობა ინგლისურ ენაზე.

ნაქალაქარების, ნასოფლარების, ციხეების და ამ ტიპის ძეგლების შესწავლა ვერ ხერხდება ერთიანად, რაც აძნელებს მათ მთლიანობაში გააზრებას. ამ მხრივ კუხეთის ექსპედიციამ კარგი ნაბიჯი გადადგა და დაიწყო ამ მეტად საყურადღებო ძეგლის პუბლიკაცია მის სრულ გათხრამდე. იმედია, რომ მიუხედავად მძიმე ეკონომიკური ვითარებისა, მოხერხდება ექსპედიციის მიერ შესწავლილი სხვა ძეგლების გამოცემა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კრებულის რედაქტორს და სტატიების ავტორებს ექსპედიციის სხვა წევრებთან ერთად გაწეული აქვთ დიდი შრომა რუსთავის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაში. მათ მიერ აღმოჩენილი მასალები არსებითად ამდიდრებენ წერილობით ისტორიულ წყაროებს საქართველოს ამ რეგიონის შესახებ.

კრებული „რუსთავი“ II კარგი შენაძენია ქართული მედიევისტური ლიტერატურისა.

ბესარიონ ჯორბენაძე

Сборник о прошлом Рустави

Рустави. II. Тбилиси, "Интеллект", 1998, 140 с., ил., рез. на рус. яз.

С 1944 года, с начала строительства Руставского металлургического завода и возрождения древнего города Рустави на его территории с перерывами ведутся археологические раскопки. Итоги этих исследований опубликованы в аннотациях докладов, статьях, издана монография и сборник "Рустави".

Рецензия посвящена очередному сборнику "Рустави" II, который начинается с предисловия Ц. Чикоидзе. В нем напечатаны статьи М. Чхатарашвили "Отчет о работе, проделанной на западном участке Руставской крепости (1961-62, 1965, 1973-74 гг.)", М. Мицишвили "Итоги раскопок Руставской крепости за 1972 год", Т. Арчвадзе, М. Чхатарашвили "Возрожденный Рустави и Руставская археологическая экспедиция".

Сборник "Рустави" II хорошее приобретение грузинской медиевистической литературы.

В. А. Джорбенадзе

Collected Papers on the History of Rustavi

Rustavi II, Tbilisi, "Intellect", 1998, 140 p., with a summary in Russian.

Since 1944 – the beginning of the construction of Rustavi Metallurgical Works and revival of the ancient city of Rustavi – intermittent archaeological excavations have been carried out on the territory of Rustavi. The results of these investigations have been published in abstracts of papers, articles, a monograph, and collected papers "Rustavi".

The review is dedicated to the next volume "Rustavi II". It begins with a preface by B. Chikoidze. Papers by N. Chkhatarashvili "The results of archaeological studies carried out in the western section of Rustavi fortress (1961-62, 1965, 1973-74"; M. Mitsishvili "The results of the excavations of Rustavi fortress in 1972" and by T. Archvadze, M. Chkhatarashvili "Revival of Rustavi and the Rustavi Archaeological Expedition" are published in "Rustavi II".

"Rustavi II" is a good addition to Georgian literature on medieval studies.

B. Jorbenadze

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრსა და თეირანის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტს შორის 1997 წელს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 1998 წლის 30 ოქტომბრიდან ნოემბრამდე თბილისში ჩატარდა სიმპოზიუმი თემაზე „ირანისა და საქართველოს არქეოლოგიის პრობლემები.“

სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ და მოხსენებები წაიკითხეს ირანელმა არქეოლოგებმა: თეირანის უნივერსიტეტის პროფესორებმა ჰასან თალაიმ, ჯალალ რაფიფარმა, მასუდ აზარნუშმა და ირანის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციის თანამშრომელმა პროფესორმა რაჰიმ სარაფიმ. სიმპოზიუმის გეგმით ირანელმა არქეოლოგებმა იმოგზაურეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. დაათვალიერეს არქეოლოგიური ძეგლები და მუზეუმები.

სიმპოზიუმის მუშაობასა და საქართველოს ეძღვნება 1999 წლის ივლისში, სპარსულენოვან ჟურნალში „ირანის არქეოლოგია და ისტორია“ გამოქვეყნებული პროფესორ მასუდ აზარნუშის სტატია „საქართველოში მოგზაურობის შესახებ.“ ჟურნალი სამეცნიერო ხასიათისაა და განკუთვნილია ისტორიკოსებისა და სიძველეთმცოდნეებისათვის.

შესავალში ავტორი მადლიერებით მოიხსენიებს სიმპოზიუმის ორგანიზატორებს საერთოდ, და განსაკუთრებით არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფ. ოთ. ლორთქიფანიძეს. შემდეგ ავტორი აღწერს საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, მის ლანდშაფტს, კლიმატს, ბუნებრივ რესურსებსა და ეთნიკურ შემადგენლობას. მოკლედ ეხება საქართველოს წარსულს უძველესი დროიდან დღემდე, საქართველოს მეცნიერებას და კულტურას. როგორც სპეციალისტი, შედარებით ვრცლად განიხილავს საქართველოს არქეოლოგიის წამყვანი დაწესებულებების – არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სტრუქტურას, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მეცნიერულ მიღწევებსა და ორგანიზაციულ მხარეს სიძველეთა შესწავლის საქმეში.

ნაშრომში ვრცლადაა განხილული, სხვადასხვა პერიოდის, საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ექსპონატები, ხაზგასმულია მათი მეცნიერული ღირებულების შესახებ.

ავტორი ირანელ სპეციალისტებს უზიარებს თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ვანში, დუშეთში, მცხეთაში, გორში, უფლისციხესა და ციხიაგორაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს. მიმოიხილავს აქ არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებს და ამ ძეგლებზე მონაპოვარ ნივთიერ მასალას. მკითხველს პერსონალურად აცნობს იმ ქართველ არქეოლოგებს, რომლებმაც მოხსენებები უშუა-

ლოდ ძეგლებზე და მუზეუმებში წაიკითხეს ირანელი კოლეგებისათვის (ოთ. ლორთქიფანიძე, რ. რამიშვილი, ო. ლანჩავა, გ. ყიფიანი, გ. მინდიაშვილი, ზ. მახარაძე და გ. ნარიმანიშვილი).

ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომით ავტორმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული არქეოლოგიის გაცნობისა და პოპულარიზაციისათვის, ისეთ მასწობელ და უცხო ქვეყანაში როგორც ირანია.

რევაზ პაპუაშვილი

АРХЕОЛОГИЯ ГРУЗИИ В ИРАНСКОМ ЖУРНАЛЕ

В Тбилиси с 30 октября по 6 ноября 1998 года состоялся симпозиум Центра археологических исследований Академии наук Грузии и Института археологии Тегеранского университета на тему: "Проблемы археологии Ирана и Грузии."

На симпозиуме иранские археологи прочли доклады, ознакомились с музеями и археологическими памятниками.

Этой встрече и памятникам Грузии посвящена статья иранского археолога, участника симпозиума, профессора Масуда Азарнуша, опубликованная в 1999 году ираноязычном журнале "Археология и история Ирана" (Iranian journal of Archeology and History; vol. 12, = 1^ა 2)&

Р. И. Папуашвили

GEORGIAN ARCHAEOLOGY IN AN IRANIAN JOURNAL

A symposium of the Centre for Archaeological Studies and the Institute of Archaeology of Teheran University on the theme: "Problems of the Archaeology of Iran and Georgia" was held in Tbilisi from October 30 to November 6, 1998.

Iranian Archaeologists presented papers and visited museums and archaeological sites of Georgia.

An article by the Iranian archaeologist, Professor Masud Azarnush, who participated in the Symposium, deals with the work of the Symposium. His article was published in 1999 in the Iranian Journal of Archaeology and History, Vol. 12, nos. 1, 2.

R. Papuashvili

გ ა ხ ს მ ე მ ბ ა
ПАМЯТЬ
IN MEMORIAM

გიორგი ლომთათიძე
(1914-1971)



ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი იყო გიორგი ალექსანდრეს ძე ლომთათიძე, რომელსაც 1999 წელს 85 წელი შეუსრულდებოდა.

გიორგი ლომთათიძე დაიბადა 1914 წლის 26 ნოემბერს ქ. ცხინვალში, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ლომთათიძის ოჯახში, რომელიც იყო დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი. საშუალო განათლება გიორგი ლომთათიძემ მიიღო თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში.

1931 წელს გ. ლომთათიძე შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1936 წელს. მიუხედავად იმისა, რომ გეოლოგიაში მან დიდხანს არ იმორგაწა, მაინც დატოვა სათანადო კვალი საქართველოს ამ მეცნიერების განვითარებაში. კოლეგებთან (მ. ფოფხაძე, კ. ჯავრიშვილი) ერთად, მან შეადგინა ლექსიკონი

– „გეოლოგიური ტერმინოლოგია“ და თარგმნა რუსულიდან რამდენიმე გეოლოგიური ნაშრომი.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიით დაინტერესებული გიორგი ლომთათიძე 1938 წელს შედისყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც არქეოლოგიის საფუძვლებს ეუფლებოდა პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით.

მას შემდეგ მისი მეცნიერული და ორგანიზატორული მოღვაწეობა დაკავშირებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან. წლების მანძილზე იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი. აქ ხდება მისი ჩამოყალიბება, როგორც მეცნიერ-არქეოლოგისა. ამავე ინსტიტუტში მის მიერ დაარსებულ (1965) შუა საუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე.

გიორგი ლომთათიძის საველე-კვლევითი მოღვაწეობის დასაწყისი დაკავშირებული იყო მცხეთის არქეოლოგიურ შესწავლასთან. 1938 წლიდან მონაწილეობას იღებს აკადემიკოსების ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით წამოწყებულ საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის კვლევა-ძიებაში. ამან განაპირობა ის, რომ გიორგი ლომთათიძემ თავისი პირველი შრომები მიუძღვნა მცხეთის არქეოლოგიურ შესწავლას. 1944 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ეხებოდა გვიანბრინჯაოსა და ადრეკინის ხანის ბრინჯაოს იარაღების შესწავლას სამთავროს (მცხეთა) სამაროვნიდან. მასვე ეკუთვნის განზოგადებული ნაშრომი „არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში“, რომელიც 1944 წელს გამოიცა ქართულად, ხოლო შეესებული – 1955 წელს რუსულად.

გიორგი ლომთათიძე თანაავტორია (ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე) ფუნდამენტური შრომისა – „არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით“, რომელიც წარმოადგენდა პირველ წიგნს აკად. ს. ჯანაშიას მიერ დაარსებული სერიისა – „მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.“ წიგნი 1955 წელს გამოიცა ქართულად, ხოლო 1958 წელს – რუსულად (გ. ლომთათიძის თარგმანი).

1957 წელს გამოვიდა გ. ლომთათიძის მონოგრაფია „კლდეეთის სამაროვანი ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა“, რომელიც მიეძღვნა

1942 წლის ბრწყინვალე აღმოჩენებს ს. კლდე-
ეთში (ზესტაფონის რაიონი).

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი გიორგი
ლომთათიძისა საქართველოს შუა საუკუნეთა
ძეგლების შესწავლაში. მისი ხელმძღვანელობით
გათხრები ჩატარდა: თბილისში, რუსთავში,
უჯარმაში, თელავში, კვეტერაში, ქვემო ქარ-
თლში, ურბნისში, ვარდციხეში, ვარძიაში,
ახალქალაქში და სხვ., სადაც შესწავლილია
ნაქალაქარები, ნასოფლარები, ციხე-სიმაგრეები,
საწარმოო კერები და სამაროვნები. ამ საველე
კვლევა-ძიების შედეგები ასახულია მრავალ-
რიცხოვან წერილებსა და გამოკვლევებში.

გ. ლომთათიძე ერთ-ერთი ავტორია სახელ-
მძღვანელოსი – „საქართველოს არქეოლოგია“,
რომელიც გამოსცა თბილისის უნივერსიტეტმა
1959 წელს. მასვე ეკუთვნის სათანადო პარა-
გრაფები „საქართველოს ისტორიის ნარკვევებ-
ის“ რვატომეულში. გ. ლომთათიძემ შემაჯა-
ძებელი სტატიები დაბეჭდა, აგრეთვე, მოსკოვ-
ში, ჟურნალში "Советская археология" If
obuyib "Очерки истории СССР."

მეცნიერი ზმირად მონაწილეობდა საინსტი-
ტუტო, რესპუბლიკურ თუ საკავშირო კონფე-
რენციებში. ის კითხულობდა ლექციებს თბილი-
სის უნივერსიტეტსა და თბილისის სამხატვრო
აკადემიაში. მას ეკუთვნის მრავალი სტატია პე-
რიოდულ გამოცემებში, რომლებშიც პოპულარი-
ზაციას უწევდა არქეოლოგიას და მოუწოდებდა
ქართული კულტურის ძეგლებზე ზრუნვისათ-
ვის.

გიორგი ლომთათიძემ დიდი შრომა გასწია
ქართული მეცნიერების ცნობილი მოღვაწის ექვ-
თიმე თაყაიშვილის შრომების გამოსაცემად მომ-
ზადებაში და მისი ბიოგრაფიის შედგენაში.

იგი იყო მაღლიერი დამფასებელი წინაპართა
ღვაწლისა და მასვე ეკუთვნის ათობით მოგონე-
ბა ე. თაყაიშვილზე, ივ. ჯავახიშვილზე, ს. ჯა-
ნაშიაზე, ლ. მუსხელიშვილზე, გ. ნიორაძეზე, ი.
გძელიშვილზე და სხვ.

აღსანიშნავია გიორგი ლომთათიძის ზრუნვა
ქართული ენის სიწმინდისათვის. ის დიდ მუშა-
ობას ეწეოდა ქართული არქეოლოგიური ტერ-
მინოლოგიის შესაქმნელად. აქვე არ შეიძლება
არ ითქვას მის მთარგმნელობით მოღვაწეობაზე.

გიორგი ლომთათიძე დიდი სიყვარულით ამ-
ზადებდა ახალგაზრდა თაობას არქეოლოგიური
მეცნიერებისათვის.

გიორგი ლომთათიძე გარდაიცვალა 1971
წლის 23 ოქტომბერს. დაკრძალულია გამოჩე-
ნილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და მწე-
რალთა დიდუბის პანთეონში.

მას დარჩა ბევრი გამოუქვეყნებელი ნაშრო-
მი, რომელთაგან ნაწილი შემდგომში დაიბეჭდა
პერიოდულ გამოცემებში, კრებულებში და
გამოიცა ცალკე წიგნებად. ესენია: „ბრინჯაოს
სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს
სამარხებში“ (1974), "Иван Александрович
Джавахишвили" (1976), „საქართველოს

მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს.“
(1977), „რუსთავი. არქეოლოგიური გათხრები
1946-1965,“ (1988), „არქეოლოგიური კვლევა-
ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში“ (1989),
„ქართული კულტურის მემკვიდრე ექვთიმე
თაყაიშვილი“ (1990), „გამდიდრებისათვის ქარ-
თულისა ჩემისა“ (1999).

ბესარიონ ჯორბენაძე

Г. А. ЛОМТАТИДЗЕ
(1914 – 1971)

Одним из известных представителей
грузинской археологии был Г. А.
Ломтатидзе. Начало его археологической
деятельности связано с раскопками в
Мцхета, которые проводились в 30 – 40 –
их годах под руководством академиков
И. А. Джавахишвили и С. Н. Джанашиа.
Первые публикации и диссертация были
посвящены исследованиям в Мцхета. Он
соавтор первого тома сериала "Мцхета."

Вся научно – исследовательская и
организаторская деятельность Г. А.
Ломтатидзе была связана с Институтом
истории, археологии и этнографии им.
И. А. Джавахишвили. Диапазон его
научной проблематики составлял брон-
зовый период Грузии, вопросы архео-
логии античного и средневекового
периодов. Под руководством Георгия
Александровича проведены раскопки
различных средневековых памятников,
которым посвятил целый ряд пуб-
ликаций. Кроме того он был автором
многих обобщающих исследований по
средневековой археологии, опублико-
ванных в Тбилиси и Москве.

Г. А. Ломтатидзе часто выступал на
различных научных форумах и был
популяризатором археологической
науки.

Большая заслуга принадлежит Г. А.
Ломтатидзе в деле подготовки к пуб-
ликации трудов Е. С. Такашвили и в
составлении его биографии. Георгий
Александрович воспитал молодые кадры
для археологической науки.

В. А. Джорбенадзе

GIORGI LOMTATIDZE
(1914-1971)

Giorgi Lomtadze was one of the prominent representatives of the older generation of Georgian archaeologists. His archaeological career began with the excavations at Mtskheta, carried out in the 1930s and the 1940s under the direction of I. Javakhishvili and S. Janashia. His first publications and thesis were devoted to these studies at Mtskheta. He was co-author of the first volume of the serial Mtskheta.

His research work and organizational activity were connected with the I. Javakhishvili Institute of History, Archaeology and Ethnography. The scope of his research work was broad, covering the Bronze Age of Georgia, problems of Archaeology of Classical and Medieval periods. Different medieval monuments were excavated under Lomtadze's direction. A number of his publications were devoted to these excavations. Besides, he was the author of many studies on medieval archaeology, published in Tbilisi and Moscow.

Lomtadze often took part in different scientific forums. He was a popularizer of archaeological science.

Lomtadze made a major contribution to the preparation for publication of E. Taqaishvili's works. Giorgi Lomtadze trained specialists for archaeological science.

B. Jorbenadze

იოსებ გპელიშვილი
(1909-1968)



1999 წლის 29 ნოემბერს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა უფროსი თაობის არქეოლოგთა ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს იოსებ ალექსანდრეს ძე გპელიშვილს. იგი ჩვენს რიგებს ნაადრევად გამოაკლდა, 59 წლისა, ჯერ კიდევ ჭარმაგი, ენერგიითა და მოქმედების სურვილით აღსავსე.

ი. გპელიშვილი დაიბადა თბილისელი ინტელიგენტის ალექსანდრე სიმონის ძე გპელიშვილის ოჯახში. იოსების მამა განათლებით ლინგვისტი იყო და გარდა პედაგოგიური საქმიანობისა (გიმნაზიაში ასწავლიდა ბერძნულსა და ლათინურ ენებს), დიდი გატაცებით ეწეოდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას. სწორედ ამ მიზნით ალექსანდრე გპელიშვილი, ოჯახთან ერთად, გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც 1905-1909 წლებში აგროვებდა მასალებს სადოქტორო დისერტაციისათვის, მაგრამ სრულიად ახალგაზრდა, 37 წლისა, მოულოდნელად გარდაიცვალა და მცირეწლოვანი შვილების აღზრდის საქმე მხრებზე დააწვა იოსების დედას ბარბალეს.

სკოლისა და ეკონომიკური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იოსები 1928 წელს შევიდა ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტში (დღევანდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), რომელიც დაასრულა 1932 წელს ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. ახალგაზრდა იოსები იმთავითვე გაიტაცა სამეცნიერ-

რო საქმიანობამ. მსახურობდა ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროს, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ამ წლებში ი. გპელიშვილმა სახელი მოიხვეჭა, როგორც საინჟინრო გეოლოგიის ერთ-ერთმა ძლიერმა სპეციალისტმა. მან საგრძნობი წვლილი შეიტანა შენობათა დაფუძნების კვლევისა და ქალაქ თბილისის სეისმური რუკის შედგენის საქმეში. ამ პრობლემაზე მუშაობა მას არ შეუწყვეტია შემდგომ წლებშიც. 1944 წელს ი. გპელიშვილი გადაიყვანეს გზათა დაპროექტების საკავშირო ორგანიზაციის საქართველოს კანტორის უფროს გეოლოგად. ამ დროისათვის ი. გპელიშვილს უკვე საკმაოდ დიდი სტაჟი გააჩნდა არქეოლოგიურ ექსპედიციებთან თანამშრომლობისა. იგი მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას თავიდანვე უწევდა კონსულტაციას ძველი მშენებლობის პირობებისა და ტექნიკის შესწავლაში, აძლევდა გეოლოგიურ დასკვნებს და ეს თანამშრომლობა იმდენად საქმიანი და სასარგებლო იყო, რომ 1945 წლიდან, აკად. ს. ჯანაშიას ინიციატივით, იგი მიიწვიეს ისტორიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საინჟინრო გეოლოგიასთან კავშირი მას არ გაუწყვეტია 60-იანი წლების დასაწყისამდე, რაზედაც მეტყველებს მის მიერ ამ დარგში 1945-1961 წლებში გამოქვეყნებული 20-მდე ნაშრომი.

ისტორიის ინსტიტუტში ი. გპელიშვილი ეწეოდა მრავალმხრივსა და ფრიად სასარგებლო შრომას. უაღრესად ფართო იყო მისი საქმიანობის დიაპაზონი და როდესაც დღევანდელი გადასახედიდან ვაფასებთ ი. გპელიშვილის მოღვაწეობას, ზოგჯერ გვიკვირს კიდევაც, როგორ აუდიოდა ამდენ საქმეს ერთი ადამიანი, როგორ ახერხებდა გაწვდომლად იმდენ პრობლემას, თეორიულ თუ პრაქტიკულ საკითხს. ამავე დროს, იგი ისტორიის ინსტიტუტში მთელი 7 წელი მუშაობდა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, კერძოდ, 1948-1955 წლებში იყო ამ საკმაოდ დიდი და რთული სამეცნიერო დაწესებულების სწავლული მდივანი.

ისტორიის ინსტიტუტში მიწვევისთანავე ი. გპელიშვილი აქტიურად ჩაება კოლხეთის დაბლობის ნამოსახლართა არქეოლოგიური თხრის მეთოდების შემუშავებაში. იგი ამ შემთხვევაში მჭიდროდ თანამშრომლობდა ცნობილ ქართველ არქეოლოგ ქალთან ნ. ხოშტარასთან, რომელიც იმხანად ხელმძღვანელობდა კოლხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას. ამ პერიოდში ი. გპელიშვილმა შეიმუშავა კოლხეთის დაბლობის ნამოსახლართა ტოპოგრაფიული დოკუმენტაციისა და ჭაობში მდებარე ნამოსახლართა თხრის მეთოდები.

ამასთანავე იგი, ერთი მხრივ, იკვლევდა თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიას, ხოლო მეორე მხრივ, საგულდაგულოდ — ძველ სახელოსნოთა თხრისას მოპოვებულ წიდეებს. ამ მიმართულებით ბევრი რამ ჰქონდა ჩაფიქრე-

ბული მკვლევარს, მაგრამ უდროო სიკვდილმა ხელი შეუშალა ჩანაფიქრის განხორციელებას. იგი, ფაქტობრივად, ჩვენ შორის იყო პირველი, ვინც დიდი დრო და ენერგია შეაღწია საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა მეთოდებისა და მიღწევების გამოყენებას არქეოლოგიაში. სწორედ მისი მცდელობით შეიქმნა ისტორიის ინსტიტუტში არქეოლოგიური ტექნოლოგიის პირველი განყოფილება, რომელსაც 1959-65 წლებში თვითონვე ედგა სათავეში. სამწუხაროდ, ეს სამუშაოები 1965 წლის შემდეგ კარგახანს შეჩერდა, რამაც იმხანად საგრძნობლად შეაფერხა ქართული არქეოლოგიის შემდგომი განვითარება.

1945 წელს ი. გპელიშვილმა პირველი დამოუკიდებელი არქეოლოგიური სამუშაო ჩაატარა წებელდის სამაროვანზე. ამ წლიდან მოყოლებული, იგი მონაწილეობდა ქვემო ქართლის, მცხეთის, ნაცარგორის, აფხაზეთის, თრიალეთის, ხოვლეს, საგვარჯილეს, კახეთის და სხვა ექსპედიციებში. 1953-56 წლებში იგი ხელმძღვანელობდა თეთრი წყაროს, 1957-1960 და 1964-1966 წწ. ბოლნისის ექსპედიციებს, სადაც საგანგებოდ იკვლევდა შუა საუკუნეთა ხანის ნასოფლარებს. ეს მუშაობა საფუძვლად დაედო ი. გპელიშვილის მონოგრაფიულ გამოკვლევას შუა საუკუნეთა ხანის ქართული სოფლის შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც გამოუქვეყნებელია.

1956-1957 და 1966-67 წლებში ი. გპელიშვილი მონაწილეობდა თბილისის არქეოლოგიურ გამოკვლევაში. ამ შრომის შედეგია ო. ტყემულაშვილთან თანაავტორობით შექმნილი მონოგრაფიული გამოკვლევა „თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები“ (1961), რომელიც მიეძღვნა ერეკლე II-ის მოედანზე ჩატარებული სავლე სამუშაოების შედეგებს.

უაღრესად შრომატევადი სამუშაოები აქვს ჩატარებული ი. გპელიშვილს მეტალურგიის ისტორიის კვლევაში. გარდა იმისა, რომ მრავალი წლის მანძილზე იკვლევდა ლითონის საწარმოო კერებს ქვემო ქართლსა და აჭარაში, იგი უაღრესად ნაყოფიერად მუშაობდა მეტალურგიის ისტორიაში, რკინის წარმოების ტექნოლოგიაში და სხვ. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი ძიებანი 1960-1961 წწ. აჭარაში, სადაც მყარი საფუძველი ჩაეყარა სამთო საქმის ისტორიის კვლევას, რომელიც დღესაც ასე წარმატებით გრძელდება. ამ დიდი შრომის ნაყოფი იყო მისი მეცნიერული გამოკვლევა "Железоплавильное производство в древней Грузии," რომელიც გამოქვეყნდა 1964 წელს და სადოქტორო დისერტაცია, რომელშიც თავმოყრილია მკვლევრის მრავალწლიანი მუშაობის შედეგები. სამწუხაროდ, სადოქტორო დისერტაციის დაცვა მას არ დასცალდა და მის მიერ წარდგენილი ნაშრომი ჯერაც გამოუქვეყნებელია.

ასეთია ამ მრავალმხრივი მკვლევრის, ჩვენ-
გან უდროოდ წასული ი. გპელიშვილის საქ-
მიანობის ძალზე მოკლე მონახაზი. ჩვენთვის
განსაკუთრებით ძვირფასია მისი საქმიანობა
არქეოლოგიური მეცნიერების სარბიელზე. მან
უდავოდ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქარ-
თული ისტორიოგრაფიის განვითარებაში და ეს
ღვაწლი კიდევ უფრო რელიეფურად გამოიკვე-
თება მას შემდეგ, როდესაც საზოგადოებრიობა
მიიღებს მის გამოუქვეყნებელ ნაშრომებსაც.

რამინ რამიშვილი

И. А. ГЗЕЛИШВИЛИ (1909 – 1968)

Исполнилось 90 лет со дня рождения
видного грузинского археолога Иосифа
Александровича Гзелишвили. В 1928-32
гг. И. А. Гзелишвили учился в политех-
ническом институте на геологическом
факультете. По окончании института вел
научную деятельность в разных учре-
ждениях Тбилиси на должности ин-
женера-геолога.

В 1945 г. по инициативе акад. С. Н.
Джанашиа И. А. Гзелишвили был зачи-
слен в Институт истории на должность
старшего научного сотрудника. С этого
периода он активно включился в архе-
ологические исследования, хотя, парал-
лельно, продолжал работу по вопросам
геологии и сейсмологии.

В 1948-55 гг. И. А. Гзелишвили был
ученым секретарем Института истории
им. И. А. Джавахишвили. Первую само-
стоятельную полевую работу осуществил
на Цебельдинском могильнике в 1945
году.

В 1945-68 гг. И. А. Гзелишвили был
участником археологических экспеди-
ций: в Даблагоми, Квемо Картли, Мцхе-
та, Нацаргора, Триалети, Ховле, Са-
гварджиле и др. В 1953-56 гг. являлся
руководителем археологической экспе-
диции в Тетрицкаройском районе, в
1964-66 гг. — вел работы в Болниском
р-не. В 1956-57 гг. и 1966-67 гг. был
участником Тбилисской археологической
экспедиции.

И. А. Гзелишвили автор многих на-
учных работ, в том числе монографий,
посвященных изучению железопла-
вильного производства, селищ, города
Тбилиси и т.д.

Р. М. Рамишвили

IOSEB GZELISHVILI (1909-1968)

Ninety years have passed since the birth of I.
Gzelishvili, a prominent Georgian archaeologist.

In 1928-1932 he studied at the department of
geology of the Tbilisi Polytechnical Institute.
After graduating from the institute, he carried on
research work at different institutions of Tbilisi as
an engineer-geologist. In 1945, on S. Janashia's
initiative, Gzelishvili was appointed a senior
scientific worker of the Institute of History. From
that period he took an active part in archaeological
investigations, though he continued to work on
problems of geology and seismology.

In 1948-1955 Gzelishvili was a scientific secretary
of the Institute of History. He carried out his first
independent field work at the Tsebelda necropolis
in 1945. In 1945-1968 he participated in
archaeological expeditions of: Dablagomi,
Kvemo-Kartli, Mtskheta, Natsargora, Khovle, Sa-
gvarjile, etc. In 1953-1956 he directed an archaeo-
logical expedition in Tetrtsqaro district. In 1964-
66 he carried out excavations in Bolnisi district. In
1956-57 and 1966-1967 he took part in the work
of the archaeological expedition of Tbilisi.

Gzelishvili authored many scientific studies,
including monographs devoted to the study of
ancient iron smelting sites, of villages, Tbilisi, etc.

R. Ramishvili

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა თ ა ს ი ა
СПИСОК СОКРАЩЕНИЙ
ABBREVIATIONS

- აკც** – არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი.
- ას** – ახალი სკოლისაკენ. თბილისი.
- კაეშ** – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.
- მსკა** – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
- მსკი** – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი.
- ნაეშ** – ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
- ჟე** – ჟინვალის ექსპედიცია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.
- სას** – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.
- სიგკ** – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
- სმამ** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი.
- სსმმ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.
- სხ** – საბჭოთა ხელოვნება. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალი. თბილისი.
- ფსად** – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
- ქხ** – ქართული ხელოვნება. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი.
- ქმ** – ძეგლის მეგობარი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. თბილისი.
- ქსკი** – ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
- АПАр** – Археологические памятники Армении. Ереван.
- АРАр** – Археологические раскопки в Армении. Ереван.
- ВАИ** – Вестник археологии и истории. СПб.
- ВВ** – Византийский временник. СПб.
- ВГМГ** – Вестник государственного музея Грузии им. С. Джанашиа. Тбилиси.
- ВДИ** – Вестник древней истории. Институт всеобщей истории. Москва.
- ИФЖ** – Историко – филологический журнал. Ереван.
- КСИА** – Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института археологии. Москва.
- КСИИМК** – Краткие сообщения Института истории материальной культуры. Москва.
- МАГК** – Материалы по археологии Грузии и Кавказа. Институт истории им. И. А. Джавахишвили Академии наук Грузии. Тбилиси.
- МИА** – Материалы и исследования по археологии СССР. Москва.
- МИГК** – Материалы по истории Грузии и Кавказа. Тбилиси.
- НЭ** – Нумизматика и эпиграфика. Москва.
- ПАИ** – Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси.
- СА** – Советская археология. Институт археологии. Москва.
- САИ** – Свод археологических источников. Археология СССР. Москва.
- ТКАЭ** – Труды Кахетской археологической экспедиции. Центр археологических исследований. Тбилиси.
- ХВ** – Христианский Восток. СПб.
- ВСН** – Bulletin de correspondance Hellenique.
- JGS** – Journal of Glass Studies. The corning Museum of Glass.